

114
1985/3

ISSN 0182-590 X
საქართველოს
ზოგადი განათლების
მინისტროს

გენთოლოგი



10
1985



ენათმეცნიერება

საქართველოს
მწერთა კავშირი

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წილი № 61-0

№ 10

ოქტომბერი, 1985 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

ტარიელ მანუჩია — ლექსები	3
ნაირა ველაშვილი — დიდიან ოთახი. რომანი. ვაგრაძელება.	9
მურის ფოცხიშვილი — ლექსები	60
მიხეილ ანთაძე — ქველთვიური საბუთი. მოთხრობა	64
დავით აღმაშენებელი — ორი ლექსი	73
ზურაბ აუხიანიძე — ზურაბი. მოთხრობა.	74
სოსო ბერიძე — ორი ლექსი	88
ოზარ თარგამაშვილი — უსათუფო. ლექსი	89
გიორგი პაპუაშვილი — ორი მოთხრობა	90
იოსებ ვოლფგანგ გომთა — ფაუსტი. გერმანულიდან თარგმნა ვიოტაგი ჯორჯანელი	99

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ლიან სტურვა — ზალვა აფხაიძე	111
ზურაბ ბარნოვი — ურბი ბადაგორეძე, გზა მიწის არ ჩანს	114

მეცნიერება

აკაკი მაჭავარიძე — ვინ არის ავგუსტინესა და გურამიშვილის „სიძე“	127
ვათე მაჭავარი — შარულქაჩისტიანთა საკითხისათვის ჩადილო-აღმოსავლეთ ანატოლიური	144
ავთანდილ კოკიაშვილი — ცხოვრების პერიოდი და მანერული მნიშვნის კიბის გზაზე	152

მომოწმებები, ფაქტები

ზალვა მაკოვასვილი — ილიას მემორიები	160
-------------------------------------	-----

(მ. შიორე გვერდი).

ხელშეკრება

ნათელა ურუშაძე — მსახიობი და მიმომხივარი

165

წიგნების მიმოხილვა

ნინო მსაქინიშვილი — რუსეთის კოსმოლოგიური შეხედულებების შესახებ 172



შთაფარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამავუბელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
მიანიშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ა. ქალაძე, მ. ლასური, მ. ლეგანიძე,
ე. მალრაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩა-
რკვიანი, ნ. წულუბისაძე, თ. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი),
რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

86781
18298
5008

ბარიელ მანბურია

დიდი შუამავალი

რა იქნება — გაათხოვო,
რა იქნება — შერთო!
რა იქნება! არა, მაინც
რა მოხდება, ღმერთო!

მე დღეიდან მათ საქმეში
უსათუოდ ჩაგრევე,
თორემ, აბა, რა გამოდის —
უკეთესებს ჩაგრავე!

ამ მაღალ მკერდს რომ უყურებ,
თერამეტ ვაეკაცს გაზრდის!
მაგრამ ქვევრებს საქორწილოს
მოლოდინში გასდის...

მერცხლისას ჯობს ყრმის ტიტინი —
შუქით აესებს ერდოს!

რა იქნება — გაათხოვო,
რა მოხდება — შერთო!

უწმიდესო,
უნათლესო,
უმალლესო,
ერთო...
რა მოხდება, გეკითხები,
რა იქნება, შერთო!

თმაც შეთხელდა — ძველებურად
ალარ აღვას ჯაგრაღ!
ღმერთო, ჩემს დებს,
ღმერთო, ჩემს ძმებს
რა უღმერთოდ ჩაგრავე!

ამის მერე? — მათ საქმეში
უსათუოდ ჩაგრევე...

ვიღაცამ ევას ასაკი კითხა

— რამდენი წლის ვარ? რამდენი წლის ვარ...
რა შუაშია! — თუ ისევ ის ვარ?
აპრილის შვილი, ენძელას ხნის ვარ,
ნაწვიმარ ბალის, უღრუბლო ცის ვარ...

რამდენი წლის ვარ? რამდენი წლის ვარ:
ცაში გაკიდულ ჩანჩქერის წყლის ვარ;
ვარდობისთვეში ვარდების შლის ვარ;
ქმრისა ვარ, შვილის, სიძის ვარ, რძლის ვარ;
ციცკრისას გაზზე შედგმული რძის ვარ;
ნაცარა ვაშლის, გულაბა მსხლის ვარ;

საქ. სსრ კ. მარკ
საბ. საბ. რესპუბ.

კამეჩის ყველის, კევერა მხლის ვარ;
 დაბალი წრის ვარ, მაღალი წრის ვარ;
 რამდენიც მინდა, იმდენი წლის ვარ!

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ნელინელ კვდომის, ნელინელ ხრწნის ვარ;
 ღმერთების ფეხის უბრალო მტვრის ვარ;
 არაგვის, თერგის, რიონის, მტკვრის ვარ;
 ქორწილის ღამით ბეჭდების ცვლის ვარ;
 ატმების კვირტის, ვაზების რქის ვარ;
 სააკვენ ფიცრის, საფლავის ქვის ვარ;
 აქაურ მთის ვარ, იქაურ ბრის ვარ;
 ტარანის კუდის, მტრედების ფრთის ვარ;
 მიღუღლ მთვარის, ჩამავალ მზის ვარ!
 ვინ გეკითხებათ, რამდენი წლის ვარ!

ზაფხულის, ზამთრის, მოყვრის ვარ, მტრის ვარ;
 ზოგჯერ — სულელის, ზოგჯერაც — ბრძნის ვარ,
 მარკიზის, გრაფის, ხელმწიფის ღირს ვარ;
 ხან — შიშიმე ჩადრის, ხან — დეკოლტის ვარ;
 ხან — დალხინების, ხანაც — სიმწრის ვარ;
 ეკუნას ქერა ნაწნავის ბწნის ვარ;
 შვილებით დაღლილ დედამიწის ვარ!
 რამდენსაც იტყვიან, იმდენი წლის ვარ!

მოკლული ვეფხვის პარპალა ბწყლის ვარ;
 მავთულზე შეკრდით შემსკდარი მწყრის ვარ;
 ჭეირნის მწვადზე დაყრილი ცვრის ვარ;
 ვარ პირველ კლასში — სულ ექვსი წლის ვარ,
 მახლობელ სოფლის, შორეულ მხრის ვარ;
 ღმობიერ ღომის, უღმობელ მგლის ვარ;
 ფულები ფლანგვის, ფულები ჭრის ვარ;
 ხან — ისე მსუქნის, ხან — ისე მკლის ვარ;
 საყურის, ბეჭდის, კაბების ცვლის ვარ!
 თქვენ თვითონ მიხვდით, რამდენი წლის ვარ!

მახობლის პურის, ოჭროსფერ ძნის ვარ;
 ხან ავი ზნის ვარ, ხან კარგი ზნის ვარ;
 ქართული ჰანგის, ქართული ზმნის ვარ;
 ქოროხის ზვირთის, კასპიის ზღვის ვარ;
 კოდორის ტყეში მოჭრილი ბზის ვარ;
 მტევნების წიპწის, ლეღვების რძის ვარ;
 ჩვიდმეტის გინდათ? — ჩვიდმეტი წლის ვარ!

ათასის გინდათ? —
 ათასი წლის ვარ!



მზა. მთვარე. შეყვარებულები

ყოველთვის,
როცა შეყვარებულები ერთმანეთს კოცნიან,
მთვარე ღრუბლებში იმალება.

ყოველთვის,
როცა მთვარე ღრუბლებში იმალება,
შეყვარებულები ერთმანეთს კოცნიან.

ყოველთვის,
როცა ამოდის მზე,
მთვარე თვალს ეფარება.

ქვეყანა იარსებებს, სანამ
ვილიცას ვილიცა ეყვარება!

• • •

მე ვარ მაძიებელი,
ოლონდ — არა შურის! —
მე ვარ მაძიებელი
სიმართლის და პურის!
სიმართლეს და პურს გარდა
უცნაურად მსურის
ერთადერთი — უმანკო
და ლამაზი სული!

მე ვარ მაძიებელი,
ოლონდ — არა შურის! —

მე ვარ მაძიებელი
გზების შორზე შორის,
და ხიდებში — ყველაზე
უმოკლესი ხიდის —
გადებულის სიკვდილსა
და სიცოცხლეს შორის!

მე ვარ მაძიებელი,
რა თქმა უნდა, შურის:
მტერი დღესაც ბლომად გვყავს —
რაგინდარა ჯურის!

აკობი

სიკვდილსა და სიცოცხლეს
ერთადერთი წამი ყოფს!
იმ ერთადერთ ლამაზ წამს
ცნობა უნდა, ძამიკო!

მიწას რომც გადავურჩე,
პირს მაშინვე ცა მიყოფს...
საფიქრალმა ამ ორმა
მთლად გონება წამიღო...

თუ მე, ფიროსმანივით,
უნდა ძეგლიც ამიგონ,
სახე გაღიმებული
ნუ მექნება, ძამიკო!

ცა მეხუროს თბილისის,
ძირს — მისი მიწა მეგოს...
თქვენი ყველა ტკივილი
მარტო მე ერთს წამეღოს...

სარკასტი სარკესთან



შე მსუბუქო, შე ცანცარავ, ღიმილის და სარკის კაცო,
 დაგრა? — რამე სასაცილო, საჭირჭილო, საკისკასო!
 სარკე არის შენთვის სარკეც, ჭაც, ფანჯარაც, წიგნის თაროც!
 ვერ ახერხებ, ლანდისაყენ თვალი რომ არ გააპარო!
 მომწონს შენი გემოვნება — სილამაზის დამფასებლის!
 გიყვარს დიდი სარკეები სარკიანი დარბაზების! —
 ღიმილი რომ ღიმილს ხედება და თვალეზი — უცხო თვალებს!
 შენგან იძენს შენი ლანდი ნათელს, როგორც მზისგან — მთვარე!
 სად გამჭრალა ის ღიმილი, უკვე კუშტო, დინჯო, მკაცრო,
 შე მსუბუქო, შე ცანცარავ, ღიმილის და სარკის კაცო!
 შეგითხელდა ქოჩრის ფუნჯი! თმაში — ოცდაათი ვერცხლი! —
 გაგყიდეს და გილაღატეს — მიიბეჭუტა ყრმობის ცეცხლი!
 ჩაგჩურჩულებს ყურში ეამი: „უნდა სულაც ჭვარზე გაცო!“

შე მცინარავ, შე ცანცარავ,
 ღიმილის და სარკის კაცო!

• • •

უპოვარი, არასმქონე —
 ადგა კაცი, მიდგა-მოდგა,
 დადგა სახლი, დარგო ვაზი,
 და... გაჩაღდა მითქმა-მოთქმა!
 არ ჯობს ამდენ მითქმა-მოთქმას
 ერთმანეთთან მისვლა მოსვლა? —
 გავდეს ჩვენი მისვლა-მოსვლა
 მზის ჩასვლას და მზის ამოსვლას!
 რად უნდა კაცს ათი სახლი
 და ათასი ხარახურა!

რით ვჯობივართ ვითომ ირემს! —
 არ აცვია, არ ახურავს
 არ ჯობს — გადმოატიყება?
 მერე — გადაატიყება! —
 შეწყობილად, დაწყობილად —
 როგორც ამას ბატი შვრება!
 არ დამიწყო, თუ კაცი ხარ,
 რაღაც დრო და მიცლა-მოცლა! —
 როგორც მზეს და დედამიწას —
 გვჭონდეს ჩვენაც მისვლა-მოსვლა!

• • •

შენ კარგად იცი, თეა! — ხვალისთვის
 დღემდე რამდენი საქმე გადავდე!
 გადავდე! მაგრამ კაცმა არ იცის —
 კაცი, იქნება, წუთში გათავდე...

ვერ დამიბრუნა ლექსმა ხალისი —
 ეჭვი მასვია გულში ვადამდე.
 ერთი სიცოცხლე! ისიც ხვალისთვის,
 ისიც ზეგისთვის როგორ გადავდე...



რა თქმა უნდა, მესმის —
შეიძლება მეტიც...
მაგრამ დროა უკვე!
უკვე დროა აწი...

თუ არ მაცვა ჯვარზე,
შენ არ იყო ღმერთი!
თუ არ დაგიფასო,
მე არ ვიყო კაცი!

— პაწაწინა ცრემლის წვეთო,
ნეტა ერთად არ ვიწვეთო...
შენი ერთი გაღიშება
მეძევა ბედად, მეძევა სვედო!
გულში როდის ჩამესობი,
ჯერაც ნორჩო ეკლის წვეტო...

ნეტა სულ არ შევხვედროდით,
ნეტა ერთად არ ვიწვეთო...

— შემიძლია? — ვიყრ ცრემლი
და ლოყაზე არ ვიწვეთო...
ნეტა სულ არ შევხვედროდით.
ანდა ერთად არ ვიწვეთო...

დედაჩემი — სამაგალითო დიასახლისი

ქრისტე არ ხარ, მაგრამ ერთხელ
მოშიებულ ას კაცს
სულ უბრალოდ გაუყავი
ერთადერთი პასკა!

ერესია შედარება
მოკვდავის და უფლის,
მაგრამ თუკი უფალია
შემწყე შენი სუფრის?!

პასკა რაა! — სუფრა მახსოვს
ასჯერ უკეთესი:
ას მშიერ კაცს ამყოფინე
ერთადერთი თევზი!

არ ენახოს შენს ნაშიერს
შიშშილი და ომი! —
შენს ნაშიერს, შექმნილს შენი
ღვთაებრივი ცომით...

იქნებ თავად მაცხოვარსაც
შეპარვოდა შური:
ას მშიერ კაცს უწილადე
ერთი დედას პური!

შენ რომ იცი, სხვამ ვინ იცის
სუფრის უცებ გაშლა!
ხელაჲ? — სიტყვას ვერც ვამთავრებ,
პირებს გვიწვავს ხაშლა...

ბაბანათი — ჩემი სოფალი

აპრილის ცა იცვლის
ვარსკვლავების ფასონს:
შალზე უფრო ახლა
ღრუბლის ტოგა ფასობს!
უკვდავების გამო
დარხეული ქორი

ნიავევით დაჭრის
გალაქტიკებს შორის.
ბესელიას ბიჭს კი
კლავს პრობლემა ძველი:
ხელში შერჩა ჭადი —
გაუთავდა ყველი...

ჩემი ზაფხული



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კი დღეები მძულს შვებულების;
სმის და ლაყბობის; სმის და ბოლების;
აქ ხეტიალის; იქ ხეტიალის;
თვლა ლეღვის ხეზე წიფობელების...

არ მიყვარს, რა ვქნა, დრო შვებულების;
მწვანე წიაღი ჩვენი ბუნების;
წყაროს რაკრაკი;
ცაცხვის შრიალი;
მეჯლისი მერცხლის და ბულბულების...

სასტუმროების ინტერიერში
ცქერა შიშკინის დათვის ბელების;

კვრეტა მეჯლისის (ანუ—„ბალების“)...
არ მიყვარს, რა ვქნა, დრო
შვებულების! —

ესამი განცხრომის! დრო ფუფუნების!
პობა კუნძების! ძებნა ფონების!
ხარჯვა სიმშვიდის! კუჭყი ფულების!
დღე შვებულების! დრო შვებულების!

ნინდა თბილისმა თავის ათასი
ჭუჩის უცმური მტვერი დამადოს,
და „ივერიის“ გრილ ვერანდაზე,
თუ შემხვდა ჭერი, მეც ვითამადო...

ერთადერთი დღი საქმო საფლავში

ამდენ ვაჟკაცში, ამდენ — ბიჭში —
შენ ერთი — ქალი...
ბაჯალლო. ვერცხლი. სერდოლიკი.
ბროლ-ბადახშ-ლალი.
ჟორჯეტი. ჩითი. აბრეშუმი.
სატინა. შალი...
ხომ შეიძლება, უცებ ბიჭებს
მოსწყურდეთ წყალი...

ვერ შედგებიან აწი მტევნებს სუფთა ფეხებით!
ველარ ირბენენ ვაჟკაცები ირმისფეხება!
არ მოგერიდოს უხერხულად მათთან შეხების! —
შენ მათი ხელი სხვანაირად ვერ შეგეხება...

— — —

ღელის ოთახი*

რომანი

დაიღალა. კარადის კარი მიხურა. გასაღებით ჩაკეტა. შუბლი მიაყრდნო გრილ მინას: ასე, ახლოდან შეხედა საგნებს, დედამისის ღია-დახურულ გამოფენას. ყველას ერთად უყურებდა: როგორც ერთიან ნახატს ან ქვეყანას. არა, შეუძლებელი იყო მათზე სათითაოდ ფიქრი. მათი ცალ-ცალკე განცდა. მოგონებათა, სურათ-სახეთა ტივტივა ჯაჭვი მოსდევდა თვითიველ მათგანს. დაიღალა.

მოშორდა შეშინულ, ჩაკეტილ კარადას. ბუხართან მივიდა. მერე სარკესთან. სარკის წინ იდგა. ჯერ თავისთავს არ უყურებდა: სარკეზე ჩამოცოცებულ მწვანე რტოებს მისჩერებოდა. მერე საკუთარ გამოსახულებაზე გადაიტანა მზერა: აი, ეს მე ვარ. ასეთი ვარ. ასეთი ვიყავი, და ასეთი: აღარ ვიქნები. გადაუვლის სიკვდილისა და მიწის საშლელი, წაშლის სისხლ-ხორცის თბილ, მსუნთქვე ნაკვეთებს. შეკუმს, შეიწოვს და შეისრუტავს. დარჩება ძვალი. საუკუნეები ძლებს. ვერაფერს აკლებს მიწა და ჭია, ყინვა, სიციხე და ქვეწარმავალი. არის და არის. მარტოოდენ ცეცხლი ან ქიმიური მძლავრი ნაერთი თუ დაადნობს და აამტვერებს. ძვალში ფოსფორია? ძლებს. მერე ის გამძლე ძვალი რას იზამს ნეტავ? ისევ თავიდან შეიმოსე-

ბა სისხლით და ხორციით, როგორც შიშველი, ნაზამთრალი ხე? ძელური ხმითა და საიდუმლო რამ პაროლეზით მოუხმობს, შემოოცრებს საშყაროს მტვერში გაფანტულ უჭრედებს, სისხლსა და ხორცს; კანსა და თმასა და ფრჩხილს. თავიდან აისბამს თავის სხეულს. ცოცხალ უჭრედში მკვდრეთით აღდგომის კოდია ჩატვიფრული: ნაწილს მთელი ახსოვს, ნაწილაკი ნაწილაკს მიერქმის, მთელისკენ ისწრაფვის. თვითონაც მიადგა ამ ჭეშმარიტებას, დისერტაციაც ამაზე დაიცვა, მოახერხა, რომ საშინაოდ არ მოსჩვევებოდათ მისი დასკვნები. არავინ გაელიზიანებინა. ხოლო ქართველში, დიდად სათნო და მორწმუნე ბრძენმა აგრერიგად თქვა, ცოცხლად და ხატოვნად: იატაკზე დავარდნილი ვერცხლისწყალი დანამცეცდება, დაქუცმა ცდება და განიბნევა მთელს ოთახში. მაგრამ თუ კარგი ცოცხით მოჰგავე, ისევ აესხმება ნამცეცს ნამცეცი, შეერთდება და გამთელდება, ისევ იმხელა წვეთი დარჩება და იკრიალებს. ეგრეთავე ვერცხლისწყალი გამოხატავს უჭრედის საიდუმლო კოდს, წყალი კი — სიცოცხლეს. მაგრამ ის ცოცხი? როდის, როდის დაიძვრება აღსაგველად და მოსაგველად? სად არის ახლა მყოფდებული: უხმარი, ახალი, გამოსაყენებლად გამზადებული? ან ეგებ ის მცენარე, რისგანაც მაგარი და

* გაგრძელება იხ. „მნათობი“, ა/წ № 7, 8, 9.

თან რბილი და სანდო ცოცხი უნდა შეიკრას, ჭერაც არ გაშლილა უცნობ მინდორზე? ჭერ იმასაც მიწაში სძინავს — გაფუებული თესლის წილში? როდის გასკდება იგი თესლი, როდის ამოვა? როდის შეეკრავენ, როდის დაგვიან? როდის გაითაჩუნებენ აღსადგომად, გასაცოცხლებლად ჩაფიქრებული ის უჭრედები? როცა ცეცხლი განკითხვის დღისა გადაუბურბურებს მრგვალ დედამიწას? აი, ამ ფოთოლივით მწვანე სიცოცხლის გამოსაწვავად? მწვანეა სიცოცხლე? თუ რა ფერია? არა. სიცოცხლე ყველა ფერია. სიკვდილი კი მისი მხოლოდ ერთ-ერთი ფერი. ასე არ წერია: მწვანე ცხენი — სიკუდილიაო? გადაიგვლებენ უხორცო ცხენები. ცხენები: სპეტაკი, წითელი, შავი და მწუანე, და ატყდება მკვდართა ლაღადი, და მერე შეექუსე ბეჭედის აღიღო: ვითარცა ძაძვი ბაღისაი, იქმნა მზე და ვითარცა სისხლი — მთოვარე. ვარსკვლავები ლელვის ყვავილებივით ჩამოცვივდნენ, ჩამოიბენტნენ. რა უბედურებაა! ლელვის ყვავილი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. ცა აივრავნა და წარივრავნა და გადაივრავნა და მთანი და ბორცვნი და ქვანი შეიძრნენ. კაცმა რომ თქვას, ვარსკვლავებმა რაღა დაამავეს? ხომ იმას აკეთებდნენ მთელი სიცოცხლე, რაც ევალებოდათ: ეკიდნენ, ანათებდნენ. თუ სამყაროს ყავლი გაუვიდა, ჭვენი ცოდვები რა შუაშია, თუ ჩვენ უნდა გვიწიოს ცოდვამ, ვარსკვლავები რა შუაშია, „მთოვარე“ ან მზე? ის უფრო უპრიანი არ იქნებოდა: მთელ-მთელი, უვნებლად და ფრთხილად რომ ჩამოეხსნათ ციდან, როგორც ნაძვის ხის სათამაშოები: ვერ შეიშნოვით, ამათი ყადრი ვერ გაიგეთ და ახლა თვალსაც ველარ მოპკრავთო, მტვერი გადაეწმინდათ, უკეთესი, დამჭრე მოდგმისათვის გადაენახათ. მაგრამ არა. უნდა იყოს: ქუხილნი და ხმანი და ელვანი! სეტყვა და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა! ზეცას მოსწყდება, უზარმაზარი ვარსკვლავი აფსინთ-

საზარი, ჭურღმულნი და ქვეყნელნი აბოლდებიან. თან სულ უნდა იქნება საყვირებით დასტეკ-დარეკენ ანგლოზნი დიდრონ-დიდრონნი. იქუხებენ და ილარილებენ ვითარცა ლომნი. ოპო-პო-პო. არაფერი დააკლოთ. არა, რა ფილმი გაუშვეს პათმოსის წყნარ, მწვანე ჭალაქში! მიდიოდა კაცი თავისთვის, ჩიტს უსმენდა, ბალახს ეფერებოდა, ჭიაცოდებოდა. ეს ხო აჩვენეს და აჩვენეს; — გველეშაპი, სატანა და ცრუ უფალი და ის — მხეცზე გადაჩაჩხული მემკვი — ბაბილონი, ბიწ-ლირწ-ყროლით დატენილი დედაკაცი, — ხო აჩვენეს ცეცხლთა ბუზბუცი და ღველფი და თქეში, ახლა წიგნი რომ შეაჭამეს, პირში ეტკბილა და მუცელი სულ გამოუშუშხა, გინდა თუ არა, ნახე ყველაფერი და ჩაიწერეო... რათა მერე თავი იმტერიონ: ის ეშვი რას ნიშნავს, კულზე ვარსკვლავი — რა სიმბოლოა, იმ მხეცში ეს აზრია, იმ ტბაში კიდევ ეს იგულისხმება. ამოკალიპსური რეზუსების შიფვრაში დაატყდებით თავს მრისხანე კრავრ. რისხვა და სისასტიკეა აქ აშკარაა, გაშიფვრა რომ არა სჭირდება. რისხვა და ზარი. გენაცვალეთ, მიდით, მიდით. არ დაზოგოთ ნავთი და დენთი და ცეცხლი და კვესი. შეუთეთ, შეუკეთეთ, სული შეუბერეთ, რომ ევერესტს ასცდეს ღველფი და ალი.

— მათე! მათე!

რა ხმაა! დედა იძახის! თითქოს მუქი ქარვა დავარდა რკინაზე. დიბზარა.

— მათე!

შიშით დაზაფრული საშველად უხმობს.

ოთახში შევარდა.

დედა სარკის წინ ზის, ღამის პერანგის ამარა. ზურგს უკან გაჩერდა. სარკეში შეხედეს ერთმანეთს.

რა შემოხედვა იყო! საწყალი, გერი გოგო იყურებოდა: შველას ითხოვდა: სიტყვას, ნუგეშსა და თანადგომას. თითქოს სიბნელე ჩამოწოლილიყო ოთახში. გული გაუღღვა: რა ადვილი იყო

ასეთის სიყვარული. უტანჯველად შეიძლებოდა გყვარებოდა: შენი ამღიარებელი, ბუნებრივად სუსტი და ამით ლამაზი.

— რა მოხდა!

— ...არაფერი. რალაც მომეჩვენა. არაფერი... — მკვდრის ფერი აქვს.

— რა მოგეჩვენა? — და თან არ უნდა, რომ უპასუხონ.

— ისეთი არაფერი...

— მითხარი!

— აი, აქ... ნახე... — და პერანგი გადაიწია მარცხენა მხრიდან, გაიჩერა და მარჯვენათი მისი ხელი შეიხო მკერდის დასაწყისთან, ილღისკენ...

თითებმა უმაღლეს იგრძნეს კვერცხის ფორმის უცხო სიმკვრივე... რომელმაც მთელი მტვეანი გაუყინა... იქედან კი მკლავს აუყვია, მტრული სიცივე, და გულ-მკერდის მღვიმეში თოვალ ჩაუღვია...

— ნუ გეშინია. ჩაიცივი. წავიდეთ. სიჩუმე.

— არ მეშინია, მათე. — და ისევ ისეთი გახდა უცებ, როგორც იყო: დახურული. პერანგი გაისწორა მხარზე.

ენდი და გიორგი შუა ოთახში გაჩერდნენ, ნელა მიდიან სარკისკენ...

დედას მწვანე თვალები აქვს, მთვარის ჭვასავით ელფერს რომ იცვლის დღის სინათლეზე: ხან მუჭისფერად ჩაღრმავდება, ხან მოთაფლისფეროდ, ხან კი მწვანეთა, ბალახები წყალს რომ ღებავენ. თვითონ ცისფერი თვალები აქვს, ენდის — მომწვანო, გიორგის — თაფლისფერი და სამი ფერის სამ წყვილ თვალს დედის თვალებში მოუყრია თავი. სარკეში.

გიორგი, გაფითრებული, მხრებზე ხელებს აწყობს:

— რა მოხდა, დედი?

დედას თვითონ მიჰყავს მანქანა. ცუდი ფერი აქვს და თვალები ხალისიან-მქრალი.

მერე: გრძელი დერეფანი გაიარეს, ორივე მხარეს უამრავი კარი რომ აქვს

დატანებული, და მრგვალ, დახშულ ოთახში ამოჰყევს თავი. მტრული, თეთრი კარია და შავად დაწერილი სპერამენტული ბიოქიმიური ლაბორატორია.

— ეს არის შენი ლაბორატორია? — კითხულობს ლიმილისმავარი რალაცით, „ლაბორატორიას“ ისე ამბობს როგორც ამბროსი, იცნობს იმასაც.

კარი შეაღეს.

სტელა წამოდგა. მიაჩერდა, გაკვირვებული.

— სტელა, სისხლი აიღე და გამიმზადე ანალიზისთვის. თუმცა, ჯერ გაიცანი, დედა ჩემი.

სტელა ფითრდება, თმაზე ხელს ისვამს, გალიმებას ცდილობს და არ გამოსდის.

— მობრძანდით, ქალბატონო.

დედა უჯდება ცივიციფერ, ოთხკუთხა მაგიდას და თვალს ავლებს ოთახს. მერე პლასტიკატზე გულალმა აწვეს ხელს.

სტელა სპირტიანი ბამბით ჩვეულებრივზე მეტ ხანს წმენდს არათითის ნახად ამობურცულ, ვარდისფერ ბალიშს და უცბად ურჭობს რკინის კალამს.

„ამანა სთქვა, რომ არ მოგვეცესო?.. იმ ეჭვებისათვის ისჯება“.

სისხლის პირველი, მუქი წვეთი ნამივით დასკუბდა უცნაურ ამბავში გაბმული, მუდამ დაეჭვებული არათითის ბალიშზე.

სტელამ სველი ბამბით გადაწმინდა, თითები მოუქირა და შუშის წყირით დაეწაფა უკვე კარგად გამოდენილი სისხლის წყაროს, ნელა რომ აიწია შუშის მილაკში.

შეიღება ერთი, მეორე, მესამე წყირი. ჩვეულებრივ, საერთო ანალიზიც კეთდება და სპეციალურიც.

შემდეგ კაბის სახელოს აწვეა სთხოვა. „ირიბირიუსისთვის“ ვენიდან არის სისხლი საჭირო.

გამოხარშული, თბილი შპრიცი ხელში ნერვიულად შეათამაშა, სტელამ. სათუთად გაწმინდა ცისფერი ვანტო-

ტილი მდინარე ხელის სახსარში და... ნემსის წვერი ფრთხილად დააჭირა ერთ-ერთ ნაკადს...

ფანჯარასთან მიდის, ზეცას აპყურებს.

— ორ საათში პასუხი იქნება და, რა თქმა უნდა, კარგი. ახლა შინ წაგიყვან, დაგბრუნდები და ანალიზს შევუდგები...

— არა. რად მინდა შენი წაყვანა. მე თვითონ წავალ.

— წახვალ? კარგი, როგორც შენ გინდა. შინ დამელოდე.

წავიდა.

სტელამ, გამშრალმა, დაზაფრულმა უბმოდ მიაწოდა შტატივის ღერძში მასრებივით ჩამწკრივებული, სისხლით სავეს სამი სინჯარა.

— ჩაეწერო? — იკითხა, ყოყმანით, უფრო იმიტომ, რომ რაიმე ეთქვა.

— რა? ეს? არა, ხომ დამთავრდა ექსპერიმენტი!

— იცი, გუშინწინ უკანასკნელს ავუღლეთ სისხლი. მაგრამ სინჯარა გამოივარდა... დამედვარა. ზვალ, პასუხისთვის რომ მოვიდოდა, მაშინ ვაპირებდი მეორედ აღებას. ისე, რომ ერთი აკლია ორი ათასს.

— ჩაწერე მაშინ, რა მნიშვნელობა აქვს? — მაგრამ გულმა რეჩხი უყო. — რამდენი ზანი დასჭირდა მაგ რაოდენობას?

— ზუსტად გეტყვით, რიცხვს, როცა დავიწყებთ. დღეს მთავრდება, ფაქტიურად, — რვეული გადაშალა, — 17 იანვარს დაგვიწყია. დღეს 28 აგვისტოა.

აყოვნებდა თავის ოთახში გასვლას. ლაბორატორიის პატარა სენაკში, რომელიც მხოლოდ მის გამგებლობაში იყო. აქ, ორი-სამი წლის წინ მიიღო „ირიბირიუს 1“. სულ სხვა რამეზე წვალობდა მაშინ და სულ სხვა რასმე ვადააწყდა, სრულიად შემთხვევით.

შევიდა, კარი ჩაეკეტა. თამბაქოსფერი ფარდები გადასწია: მზე შემოიღვარა: კოლბებში და სინჯარებში ჩადგა. უფე-

რო გამხსნელებში მზის ათინათი ათამაშდა.

გარკვეული

სეიფი გახსნა და შავი ნაქსტყმაღღეში გამოკრული, მძიმე კოლბა გამოიღო. ბადე ჩაწია და მზეზე დიჭირა, მინის ჭურჭელი. ავად აივზნო, აციავდა „ირიბირიუს 1“ — დამდნარ მთვარესავით მძიმე, მძიმედ ეღვარე სითხე. სუნიც მძიმე აქვს, გულშემაღონებელი: მაგნოლიისა და იოდის ნაზავი. მერე სისხლით სავეს სინჯარას გახელდა მზეზე: მზემ ბლანტი ძოწი ააელვარ-აახახახასა. „ბროწეულის წვენივითა... თუ ჭარხლის წვენივით? ანდა ანწლის, შვინდის, ძახველის, ეოლოს, მაყვლის მუქი წითელი ერთად. სიცოცხლის პეწამული. მაინც ყველაზე მეტად ბროწეულისას უახლოვდება“. უეცრად ამაზზრზენი გაცდა დაეუფლა: შიში და ზიზღი ერთდროულად. ქვემოთ დასწია მოგარძო სინჯარა, მზეს მოაშორა.

აყოვნებდა ანალიზის დაწყებას. დაზაფრულიყო. ცდილობდა ამ შიშსა და ზაფრაზე აღარ ეფიქრა. რაც დედასთან ერთად ლაბორატორიაში შემოაბიჯა, აუტანელმა დაღლილობამ შეიპყრო. უცბად მოწყდა. თითქოს აღარაფერი აღარ უნდოდა. ახლაც: სურვილმა წამოუარა: წამომხტარიყო, უკან მოუხედავად გაქცეულიყო, სადმე ჩუმად მიკუნტულიყო: ზემოდან რაღაც წაეფარებინა: მძიმე, გაუვალ-შეუვალი ჯადო-საბანი. რადგან რაღაც იწყებოდა, რაღაც დაიწყო, რაც ძალასა და რკინასავით ნერვებს მოსთხოვდა და მას არ ექნებოდა არაფერი: გამძლევი, წინამდგომი. — „დედა“ — ყრუდ დაიკვნესა გულმა სხეულში, ჩამორეკა მუქად, საბრალოდ: „დედა“.

„ნუთუ ასე დამთავრდება ყველაფერი?“ გრძელი, გამოხარშული ჰიპეტი ნელა ჩაუშვა ასპროცენტთან ინდიკატორში და მერე: ყვითელი, მძიმე წვეთები ერთმანეთის მიყოლებაზე ჩაიკარგნენ ბლანტ, თხევად ძოწში. „ერთი... ორი... ათი...“. ფრთხილად შეაჩქარია. დადგა, ნახევარი საათის შემდეგ მიე-



როსკოპის ლულის ქვეშ გაირკვეოდა ყველაფერი. თუ სისხლი უცვლელი დარჩა კროლა-ყვითლად არ შეიღებდა... არაფერია მაშინ საშიში. მაგრამ თუ ფერი იცვალა და სისხლის წითელმა ბურთულაკებმა დაშლა დაიწყო... მაშინ, მაშინ... და რაც მეტ ნაწილად დაქუცმაცდება, მით უფრო შორსაა პროცესი წასული. ვიდრე სიბნელეში მოათავსებდა, სისხლით საესე სინჯარას კიდევ ერთხელ ვახედა მზეზე.

გაიყინა.

შინდისფერი ფიფქები ცალ-ცალკე ირეოდნენ, უწესრიგოდ ეფინებოდნენ ერთმანეთს, ისევ სწყდებოდნენ. ციციქნა ნაფლეთები. თითქოს წითელი პატარა პეპლები დაეკუწათ. სისხლი რძესავით იყო აჭრილი. არ მიიღო უცხო სითხე: აიჭრა.

გაოგნებული მისჩერებოდა სინჯარაში დაფლეთილ სისხლს. ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა. აბსოლუტური სტერილობის პირობებში კვთდებოდა ანალიზი. კიდევ რომ შელახულიყო ეს სტერილობა, ასეთი შედეგის მიღება მაინც არ იყო ბუნებრივი. სწორედ არაბუნებრივ სურათს აჩვენებდა სისხლი. არც 2000 ცხოველზე და არც 1999 ადამიანზე გაუგებრობა არ ჰქონიათ. რა მოხდა?

მეორე სინჯარას მისწვდა. ხელის კანკალით ჩააწვეთა ყვითელი სითხე... და... მეხუთე წვეთიც რომ ჩაეშვა: გაოგნებულმა შეჰყვირა „ირიბირიუს 1“ სისხლში არ იხსნებოდა: ყვითელი წვეთები ვერცხლისწყლის წვეთებივით მძიმედ ეშვებოდნენ სისხლის მუქამულში, ასე წვეთებად შეკრულ-შენივთული რჩებოდნენ და უგზოუკვლოდ დაბორიალებდნენ სისხლის ზღვაში და ეს ყველაფერი თვალნათლივ, დაუძაბავად ჩანდა.

სისხლის საქციელი არავითარ ლოგიკას არ ემორჩილებოდა. ერთი და იგივე სისხლი ამ წუთს რძესავით აიჭრა, მეორე წუთს კი ისეთი ერთიანი, განუყოფელი სიმტკიცე გამოამყ-

ლანა, რომ უცხო წვეთი არც გაიყარა, არ შეუშვა, არაფერად ჩაეგდო!

რა მოხდა? — სკამზე ჩქვს დასჯარივე სინჯარას გამოფიტული შესცქეროდა. მესამეს წაატანა ხელი. ნეტავ აქ რაღა მოხდება, საინტერესოა. შტატივიდან ვერ ამოაძრო, ჩაჭედლიყო ღერძში, მეორე ხელით შტატივი დაიჭირა, სინჯარას დაეჭაჭურა და... უეცრად ამოსხლეტილი მიკროსკოპს მიანარცხა... სისხლმა შეღება ხელი, მიკროსკოპი, შავიდა...

არა, ჯადო ტრიალებდა მის თავს. გათვალული იყო. მარცხენა ფეხზე ამდგარი, კვიმატი, თარსო, ნავსი რამ დასდევდა, გონებას ურევდა. ზომ არის ხოლმე ასეთი დღევები... უაზრობა უაზრობას გადაეხმება, მარცხი — მარცხს, გაუგებრობის, აუხსნელი შემთხვევითობების ფერხულში ამოჰყოფ გაოგნებულ თავს... რა აღარ ხდება. ესეც მოხდა. მიდი და იმტკრიე ისედაც დალლილი თავი! მიდი და ახსენი! რა ქნას? მეორედ აულოს სისხლი? „მეორედ არ ითვლება! „ნიჩურტა“ ზომ არ არის“. ვინ უთბრა? ვინ ვის უთბრა? ვინ ვის უთბრა ერთხელ? ესეც „ირიბირიუსი“ ზომ არ დაიველდა? ნუთუ გაფუჭდა. არა, შეუძლებელია. და შეუძლებელია ამის გამხელა. ნუთუ სისხლია ასე სნეული? მთლიანად სახეცვლილი? რას ამბობს! ყველაფერი თავდაყირა დადგა. ამის გამხელა შეუძლებელია. რა თქვას? დედას ეტყვის, რომ სითხე დაეღვარა, ახალი ერთ კვირამდე არ იქნება, ჩვეულებრივ გასინჯვას უნდა დასჯერდეს. არა, ეჭვი შეეპარება. ცუდს იფიქრებს. ონკოლოგებს უთბრას, რომ... კიბოა, მერე, ოპერაციის დროს რომ ჩვეულებრივი კისტა აღმოჩნდეს? ან ეგებ სულაც არ არის საოპერაციო. უბრალოდ ჭირკვალია გაღიზიანებული? თქვას, რომ „ირიბირიუსმა“ კიბო არ აჩვენა და ოპერაციის დროს რომ კიბო აღმოჩნდეს! ქირურგები აუცილებლად იკითხვენ მისი ანალიზის შედეგს. ახლა ყველა მას ეკითხება. არა, იტყვის, რომ დაიღვარა

„ირიბირიუსი“! მაგრამ სტელა? სტელამ ხომ იცის! სამ კოლბს ერთად ხომ ვერ დაღვრიდა. გარეთ ელოდება. ფენს არ მოიცივლის, ვიდრე პასუხს არ გაიგებს. შუალამედე დაელოდება, და მისი თვალები? სტელას თვალები — „ირიბირიუსისა“ და მისი გამომგონებლის ურყევი ღირებულების სარკე!

დიდხანს იჯდა თავგზააბნეული. ტელეფონთან მივიდა მერე. ვახტანგს დაურეკა.

— ეგებ ცოტა ხნით გაიყვანო, მერე აგიხსნი.

— ჰა, რა იყო, ოხერო, მანდ ხომ არ მიგყავს ვინმე, მაგ კოლბებში და ქიმიკატებში... უჰ, რას ისიამოვნებს! ჰი-ჰა-ჰი...

— მისმინე, უთხარი, რომ მაგის დასთან დაკავშირებით, ხო, რა პქვია, თინასთან დაკავშირებით გინდა მოელაპარაკო... მერე რაც გინდა მთხოვე.

— ხომ იცი, რასაც ვთხოვ, ცოტა, ბევრი არ მინდა.

— მოგცემ, მოგცემ. ოღონდ გაიყვანე. ეხლავე დარეკე, გესმის? მე არ ავიღებ. ის გიპასუხებს. შე ჩემთან ვარ. ის იქ არის... წინა ოთახში.

— რა ვუთხრა, ისე, კაცმა რომ თქვას? აუჰ, რას ვაქეთებ შენი გულისთვის, ხო აზრზე ხარ? მაგის და ძლივს დავაშოშმინე თავის დროზე. მაგის გულისთვის არ იყო, ლექცია რომ წამიკითხე ამას წინათ და ეხლა, ხო აზრზე ხარ...

— ცოტა ბუნდოვნად ელაპარაკე თავიდან, არეულად, მერე უთხარი, ბოდინის მოხდა მინდოდა თქო. ბავშვს არაფერს მოეკლებ, ოღონდ ცოლად შერთვა არ შემიძლია, ნერვიული ავადმყოფი ვარ, ყველასთან ხომ ვერ ვიტყვი, ისე ძალიან განვიცდი თქო და რაღაც ეგეთი.

— უჰ, შენი. კარგი, დავრეკავ. შენ რაღაც ვერა ჩანხარ გუნებაზე. რა დაგეშართა. არ ითქმება?

— ახლავე დარეკე. შესვენება იწყება და პირდაპირ წამოვა.

წამის შემდეგ ტელეფონი აწყრიალ-

და. უცებ, რატომღაც საშინლად მოუნდა დაენახა, როგორ წაეღობოდა სტელა: აჩქარდებოდა, ალბათ ხელი ხალათში გაეზღარებოდა და თმის კუდი ფარფლებივით აეშლებოდა.

— არაფერი ცუდი არ აღმოჩნდა. ეტყობა კისტაა. მაგრამ ოპერაცია აუცილებელია.

გიორგი დედას შემოეხვია. ენდი ორივეს.

— ხომ გეუბნებოდი! — ყვიროდა გიორგი, — რა სისულელეა! რა სისულელე! ნუ გეშინია!

— დროს ნუ დაჯვარავთ. ონკოლოგმაც უნდა ვაგსინჯოს. „ირიბირიუსის“ პასუხი ჯერ ოფიციალურად არ ითვლება. ექსპერიმენტის დონეზე რჩება.

ყვითელ ღილაკს ხელი დააჭირა და რკინის მაღალმა ქათქათა კარმა ყურთწამლები ელურტული ატება. გაოგნებულებმა შეხედეს ერთმანეთს. თითი აუშვა — შეწყდა. კიდევ დააჭირა და ისევ ჩამოეპენტათ სტვენა-ჰიკიკის ღრუბელი. „სამოთხის მისადგომებთან გეგონება თავი... ნეტარი ხმები გეგებებიან...“

კარი თეთრხალათიანმა, ენერგიულმა კაცმა გააღო, რომლის სრულყოფილად მელოტი თავი საიდანღაც დაეცემულ შუქს ირეკლავდა. თვალები მოკუტა და მერე სწრაფად მოიძრო სათვალე.

— ოო, ეს თქვენა ხართ? რა ქარმა გადმოგაგდოთ? გამარჯობათ! მობრძანდით. ნუთუ ჩვენც დაგვირდით?

— გამარჯობათ, ბატონო სავლე. გაიცანით. დედაა ჩემი.

— ოჰ! რას ბრძანებთ! სასიამოვნოა. დიდად მოხარული ვარ, თუმცა, ენახოთ, დიახ, შემობრძანდით, დაბრძანდით, ქალბატონო, აქეთ, აქეთ, დიახ.

კაბინეტში შეუძღვა დედა-შვილს. დედა იქ დასტოვეს. თვითონ ვრცელ სასტუმრო ოთახში განმარტოვდნენ... კაცები.

— ბატონო, სავლე, მინდა, გასინჯოთ. ის ჩემი მეთოდი... რატომღაც არ



მოინდომა, უცნაური ადამიანია... ათასი უცნაური თავისებურება სჭირს... თქვენ იცით, თხოვნა რად გინდათ, როგორი ყურადღებით... — და გასრიალდა თეთრსაბიან-ხალათიანი, თრითინსავეთ მიმომსხლტოში ექიმში.

თვითონ იქ რჩება. „ზალაში“. ჯდება. მერე დგება. მაგიდასთან მიდის. სიგარეტს საფერფლეში ჰყვლტს. ისევ უკიდებს. მიდის ფანჯარასთან. გვერდზე სწევს ფარდას. უყურებს თავიანთ მანქანას. „ნეტავ ეს ქუჩა სად გადის“. ოთახის შუაგულში მრგვალი მაგიდა დგას. თავისი სკამებით. ერთ კუთხეში უზარმაზარი იაპონური ფაიფურის ვაზა. მეორეში სერვანტი: ფაიფურით და ბროლით აფსებული. მესამეში ორი სავარძელი. მეოთხეში მრგვალი, მაღალი წერწებულებიანი მაგიდა. ასეთ მაგიდებზე ერთი ყვავილის ქოთანს ეტევა. აქ ყვავილი არა დგას. ამავე კუთხესთან მეორე კარია, რომელიც ალბათ საძინებელ ოთახში გადის. ის იაპონური ვაზა, ასე 3000 მანეთი ეღირება, ჰალი 5000, ის სერვანტი, მთელი შიგთავსით — ალბათ 4000 მანეთი... რას ანგარიშობს, სულ ფეხებზე არა ჰკილია? აეკვირება. მორჩა. ის ფარდა რაღა ეღირება, საძინებლის კარზე რომ ირხევა. ძვირფასი ჩანს. მივიდა. შეხედა მოთეთრო ფარდას, მაგრამ ვერ აღიქვა, რადგან მისი ყურადღება პატარა, მრგვალმა მაგიდამ მიიპყრო, რომელსაც ფოჩებოიანი სუფრა იატაკამდე დასთრევდა. მაგიდა წელამდე სწვდებოდა და... საეჭვოდ ცმუკავდა... უკან დაიხია, დაიხარა და შეხედა. მაგიდა მისკენ წამოვიდა. ისევ დაიხია უკან. მაგიდაც აყანყალდა და გაჰყვა. უცებ განათდა კოდეც: შიგნიდან. სუფრა გამჰვირვალდა. გულგახეთქილი იხევდა უკან, სავარძლებისაკენ. მოულოდნელად პრილა ფოჩებოში იატაკზე გაბრტყელებულ პატარა ხელს მოჰკრა თვალი. მაგიდა გაჩერდა, ახითხითდა და უკანვე წავიდა. გაჩერდა. სუფრა აიწია და ფოჩებოში სათვალემ გაიბრწყინა. სუფრიდან გამოყოფილ-

მა, გვერდზე გადახრილმა სახემ მკითხა:

— შეგეშინდათ?

ექვსი წლისა იქნებოდა ბიჭი. დიდი, მუქარჩოიანი სათვალე თვალებს საოცრად უღიდებდა და უფრო მეკეთრად უჩენდა მარჯვენა — ელამ თვალს, ცხვირთან, საცრემლე ჭირკვლის კუნჭულში რომ მიყუყუებოდა. სათვალეიანი ბავშვის უმწეო მზერით შესცქეროდა. მოუხერხებლად.

— შემეშინდა. — გამოტყდა.

— ეს ჩემი სახლია. სოკო-ნათურაც შიგ მიდგას. წიგნებსაც აქ ვკითხულობ.

— გიყვარს წიგნები? „იტყუება. ალბათ ათვალეირებს. კითხვა არ ეცოდინება“.

— თამაში უფრო მიყვარს. გარეთ. ქუჩის ძაღლები და შორს გადაფურთხება. მაგრამ არ მიშვებენ. ქუჩა ცუდიაო. — ძირებნაშავებული, დიდი, უსწორმასწორო კბილები მოუჩანდა.

გამოფორთხდა. უფერული თმა და სახე გამოაჩინა და ისევ შეძრა თავის ბუნავში.

„საწყალი. უჯიშო. უღლეური“ ბავშვმა გააღიზიანა. სათნოების მაგვარს ვერაფერს განიცდიდა. „ნეტავ შვილია თუ შვილიშვილიო“. ისევ ფანჯარასთან მივიდა.

შემოსხლტა: ექიმში. სათვალე სწრაფად ჩამოიგლიჯა და ცალი ყურით ხელის გულზე დაიკაჟუნა.

— სასწრაფო ოპერაცია! ამბუტაცია! დღესვე საავადმყოფოში. არც ერთი წუთი! თქვენი ანალიზი რომ ჩაგეტარებინათ, ისიც ამას გიჩვენებდათ.

— ჰამ! ჰამ! — დაიყვინძა მაგიდამ და შეხტა.

— ტუთ! — გამკაცრდა ექიმი და მაგიდაზე დააკაჟუნა. — ტუთ მეთქი!

„ნეტავ შვილია თუ შვილიშვილი“.

მანქანა დედას მიჰყავს. ვაზა ონკოლოგიურ საავადმყოფოსკენ უხვევს ხელოვნურ ნაძვნარში. თანდათან მაღლდება.

გადასახვევთან ორისრიანი ძელი აღ-

მართულა. მარცხენა ისარს შავად აწერია: „ონკოლოგიური ცენტრი“. მარჯვენას — „ლისის ტბა“. აიორჩიე: წინ წყალი, უკან მწვერი“.

გამოჩნდა: ჯადოქრული საამქრო. რომელსაც განაგებს ერთადერთი მთავარი და ძალთა მპყრობელი: უჯრედი.

ზედმეტი: სარეველასავით რომ პოხიერდება კაცის სხეულში, სრულიად უცხო, უსამართლო და უუფლებო, გუგულის ბარტყივით რომ ჭყლეტს, სრესს და ამოიერებს იმ სამართლიან, ჭკვიან უჯრედებს, ფუტკრებივით უბმო რუღუნებით, პატიოსნად და შეუსვენებლად რომ ასრულებენ ოდესღაც, ეამთა საშოში მიჩენილ საქმეს, დაწესებულს და აუცილებელს. მთელი სამყაროს სიციბიერე და ვერაგობა, სიბინძურე და ძალადობა დაწნეხილა, შენეფთულა ციკქნა უჯრედად. ეს არის მისი უმციორესი ნაწილაკი, იმ უზარმაზარის, ჭკეყნის მომცეცელის — ამა

ჭკეყნის ბნელთავადისა. მოძალადე უჯრედი, ნამდვილ მკვიდრს რომ მიერეგება, სდევნის და ორივენი ერთად კვდებიან ბოლოს. მტყვენებად რომ იხუნძლება კაცის გულ-ღვიძლში. რამდენი წამი, რამდენი საათი გაუტარებია ამ უსახურ უჯრედზე ფიქრით... მილიონობით ადამიანთა ლაშქარი ებრძოდა, შეიარაღებული ლაშქრებებით, ნემსებით, სხივებით. სჭრიდნენ, სწვავდნენ, ძირკვავდნენ — ის კი ხარობდა, ცოცხლობდა როგორც ფენიჭსი, მრავლდებოდა დევის თავებივით, ერთის ნაცვლად — ორი, მოდებულებო — ეშმაკის მეჭეჭ-ჭიბლიბოები, სატანას მუწუჯ-ძიძიბოები, დაფრჭვეოდა კაცის ჯილაგს, თესლივით მოეპნა ბნელთავადის თათს მსუნთქავ სხეულებში...

პოხიერი ნიადაგი იყო მისთვის ხორცი და სისხლი, კანი და ფრჩხილი... ერი და ქვეყანა, — გუგულის ბარტყები. და მითთანაც შემოცოცდა სახლში, ოჯახში... ჩუმად გაბადრულ-გაჯაგრულიყო დედის სხეულში!

მანქანამ უეცრად მოუხვია და და-მუხრუქდა. ბადიან მესერას მიადო

ცხვირი, სხვა მანქანებს მიუღდა გვერდით.

ღედამ მანქანის გასაღები გაუწოდა და მის პეშვში ზემოდან ჩაუშვა: „ეს შენ“.

გააეროლა.

შევიდნენ. შეეგებნენ: ამხანაგები, ნაცნობები. ელოდებოდნენ. წინასწარ დარეკა.

ღედა დააწვინეს. მარტოა პალატაში. ენდია მასთან. მერე ენდი გამოდის. შედიან. ორი პროფესორი, სამი ცნობილი ჭირურგი, თერაპევტი.

გიორგი კედელზეა აკრული, პალატის გვერდით. ენდიც იქვე ზის, რკინის თეთრ სკამზე. დამლაგებელმა ცოცხი და ჭუჭყიანი თეთრეულის ვეება ბოხჩა ჩაატარა. ყვრიმალეებიდან ნიკაპისკენ როგორც ვაცს ისე მოსდებია ხვეული წვერი. პალატიდან მკერდსავსე ქალი გამოდის, თერაპევტი, სისხლისფერი პომადით ტუჩებისათვის აკოკრილი ფორმა მიუცია. ენდის თავზე ადებს ხელს „ნუ გეშინია, გოგონი“. ენდი კედელზე ატურებს კეფას: „არ მეშინია“. გიორგი უაზროდ უყუერებს ამ სცენას.

ყველანი გამოდიან. მიდიან მასთან. გიორგიც უახლოვდება. ენდი ადგილიდან არ იძვრის, მაგრამ თვალეები ლამის შიგნით ჩაექცეს: მუღარით. პროფესორი შუბლზე ხელს ისვამს: „ამპუტაცია“. „სრული“. „სასწრაფო“.

გიორგის თვალის კაკლები მარჯვნივ გასრიალდნენ, წრიულად მდგომთა სახეებზე შემოსრიალდნენ. მერე შუაში შეჩერდნენ, გაფართოვდნენ. თვალის ბაიები გამკვირვალდნენ და „არა!“ — დაიყვირეს. გაიქცა, გიორგი.

ენდი ფეხზეა. უყუერებს გაქცეულს. მერე ფითრდება, ტუჩები უფიწროვდება, უფროს ძმას შეკითხვას მიახლის თვალეებით. და პალატაში შედის. თვითონ არ შეუძლია შესვლა.

გიორგი მანქანასთან ელოდება. მესერის ძირას ჩამომჯდარა, ბეტონის დაბალ კედელზე. ბადეზე მიუყრდნია თავი. თვალეები დახუჭული აქვს. მე-

სერს იქით, ნაძვებით დახატულ, მწირ ბალახს კორტნის წითელი, მაკე ძროხა. მანქანაში სხდებიან.

— მათე, — წინ იყურება გიორგი, თვალგამტერებული — მათე, ეგებ მოვიცადოთ, პა... ცოტა ხანს. რალაც გული მეუბნება: არაო.

„დედამისივით ლაპარაკობს“.

— გაიგეთ, სასწაულები არა ხდება! გაიგეთ! რა ხალხი ხართ! ვინა ხართ! რა გული! რის გული! მოდებულისა მეტასტაზები! — ხელები აუცახცახდა.

— შენ იცოდი?

— ვიცოდი.

„გადანერვილი, ნაიპრევი: მკერდი. ბრტყელი ნამკერდალი, თითქოს გადამწვარი-გადამუგულა, ტრიალი მინდორი. მერე ხელოვნური ღრუბლის მკერდი. კორსეტი. „მეტასტაზები“ — რანაირი სიტყვაა: ცილისა და პლასტიკატის, ცელულოიდის, ნიკელის, ალუმინის, ნეილონის ნახავი, თითქოს საკუთარი აქუსტიკა აქვს, თუთიის საცეცი: ფუჰ! ანკესივით დაუტრიალდა გულმუცელში და თითქოს ანკესს ზემოთ ეწევიან, ყელიდან. თეთრი, მოკვეთილი მკერდი თრთის ლანცეტებს, ღანბსა და ცხვირმოკაუტებულ მაკრატლებს შორის, ჯერ ისევ თბილი... გადაჭრილი სისხლძარღვები ჭიყვლებივით სავსავებენ. იის ფესვებივით ტოკვენ... სარბევე სადინარებიდან იოდნარევი სითხე მოქონავს. მერე ცოტას კიდევ დასჯიჯგნიან და აყროლებულს სანაგვეში გადააგდებენ. რამდენი მილიონი მკერდია უკვე ჩამოსხებილი, თეთრი ყორღანები... რამდენი საშვილოსნო ამოგლეჯილი. ავადმყოფი ამორძალები, „ამაო რძლები“, როგორც ამტკიცებდა ერთი...“

„დედა“. „დედა“ — დაიყვირა უზმოდ და თითქოს სამართებელმა გადაუსერა ნაწლავები. ცალი ხელი მუცელზე შემოიჭირა. არადა ზვართქალასავით გაცოცდება, აყვავილდება მეტასტაზები, სატანის მკვეპ-ძიძიბობები. დაშლის, დააცხავენს, დაზრავს მთელ სხეულს. უნდა მოიკეთოს, ძირიანად ამოიგლი-

ჯოს, რაკი სხვა გზა აღარ არსებობს... — მათე, ზემოთ, ტრიალი მინდორი თვის წინ სიზმარი ვნახე, ძალიან ძირია, აი, სწორედ იმ დღეს ჩავედი იმ სიზმრის შემდგე... ფსკერის ორმოში... ვნახე: „ლაშეა. მთვარე დამნათის, თეთრი და მრგვალი. ხან კვერცხს მაგონებს, ხან აბრეშუმის ჭიის პარკს, მივდივარ, რალაც მიმაქვს კალათით. არ ვიცი, სად მივდივარ და რა დევს იმ კალათში. არადა მძიმეა. ცუდად ვარ, ძალიან ცუდად და ვტირი. ავედი რალაც აღმართის თავში და სასაფლაოზე ამოვყავი თავი. ნანის საფლავისკენ მივდივარ. მივედი, მიწის ამოთხრა დავიწყე და უცებ თეთრ ფაჩუნებს მოვკარი თვალი. ავიხედე და ნანი ჩამომჭდა-რა რალაც ქვაზე. დიდი გოგოა. ჭკვიანი, მშვიდი, და ნალვლიანად მომჩერებია: „მანდ მეძებ? — მეკითხება გულნატყენი, — მათემ ვითხრა, არა, მიწაშიაო. რა მომიტანე?“ კალათს მივხედე, თუთის ფოთლები ეფარა, მწვანე, ხასხასა და თან აბრეშუმის ჭიის ნაჭამი. ავაცალე ფოთლები და რალაცამ თეთრად გაიქათათა, ჯერ აბრეშუმის პარკი მეგონა, უზარმაზარი, მაგრამ ავიღე და ქალის მკერდი შემრჩა ხელთ, მოკვეთილი. მოყვითალო, სისხლნარევი ხსენი სდიოდა და იმწამშივე მუზღებზე დავეცი ნანის წინაშე: „დედა ცუდად არის, ნანი“ მაშინლა გამახსენდა, რაც მაწუხებდა. „დედა კვდება, ნანი“ და ვტირი, ვტირი... რალაც გიჟურად. „ეგ მე მომიტანე? რატომ მოკვეთეთ?“ — მეკითხება ნაწყენი, „არ ვიცი“, — ვეუბნები. „შენ უკვე მოგიკვდა დედა, გიო, აღარ მოგიკვდება... ეს კი წაიღე, უკან მიუტანე, ვიდრე თბილია, გაიჭეცი“. ხელი გადაუსვა და გაქათათადა, გათბა ძუძუსითმა შევბამ მომიცვა, ვერ ავიწერ. ვუყურებთ ორივენი: თეთრი იასამანის ყუნწულას დაემსგავსა, მერე თეთრი ყურძნის მტევანს, ხან თეთრი ბატყნის თავს მაგონებს... როგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს „დედა უკვე მოგიკვდა, აღარ მოგიკვდებაო“, ან საერთოდ

1930

ის ყველაფერი! და ამის წინა დღეს ალიკამ ენდის წერილი ამომიტანა. მწერდა „წუხელ ნანი მესიზმრა, ასე მითხრა: დედას ოთახში ფანჯარა გააღეთო“.

ბაზარში გაიარეს. ხილი იყიდეს: ბროწეული, ვაშლი, ყურძენი, სოფიკოს გაუარეს. შინ არ დაუხვდათ. დედას მეგობარ ცოლ-ქმართან მივიდნენ, ქალაქში არ იყვნენ. დედის დეიდაშვილს მიაკითხეს, კარი არავინ გაუღოთ.

— როდის არის დანიშნული? — იკითხა გიორგიმ.

— ზეგ დილას.

სალამოს ისევ საავადმყოფოში იყვნენ.

— ახლა შინ წადით ყველანი, მე წავიკითხავ რაიმეს და მერე დავიძინებ,

— დე, მე ჯერ არ წავალ... გეხვეწები, შენთან დავრჩები... გიორგიც, რა, გეხვეწებით, აი, ხომ ხედავ, ზუსტად სამი საწოლია. დავრჩებით რაა. — ენდი ამბობს.

— რად გინდათ, ენდი, წადით შინ. — ძალიან არ ეწინააღმდეგება.

— დავრჩებით, რა... ვრჩებით, ხო? ვრჩებით!

— მათე, სოფიკოს გული არ გაუხუთქო. ხომ იცი, საშიში არაფერია.

— არა. აბა, წავედი. ყოჩაღად იყავით. ზვალ 12 საათზე მოვალ.

რა უცნაურად თქვა. „ხომ იცი, საშიში არაფერია“. თითქოს მას გამოაჯავრა. ნუთუ მიხვდა, რომ მკერდის მოკვეთას უპირებენ! არავის უთქვამს. იცის, რომ კისტაა. ან ეგებ მოეჩვენა. ისე, არაფერი ეტყობა. შიშის მაგვარი. არის თავისთვის.

შინ წავიდა. გასაღებით გააღო სქელი ხის კარი. შუა ოთახში შევიდა და დიდი საათის პირდაპირ სავარძელში ჩაესვენა. იჯდა და იჯდა. ბუნდოვნად ესმოდა, დროის ტაატს გულმოდგინედ რომ იუწყებოდა ძველი საათი, დედის ოთახის კარს უყურებდა, მიშტე-

რებოდა, მისწებებოდა. თვალები აუკრეულდა ბოლოს.

— რამანგ! — ჩამორეკა დიღმა საათმა და ფარდა კარზე თითქოს შეერთაო, ოღნავ შეტოკდა...

თავსდატეხილი უბედურებით მხრებში მოხრილს, განადგურებულს, სულში დაუძლეველი გაღიზიანება, ბრაზი და ამბოხი დაგროვებოდა, არ ეთანხმებოდა! ბედისწერას! არ იღებდა! აცოფებდა მისი ძირები, მისი ბნელი, გრძელი ძირფესვი... ჩამოწოლილი, წლითი-წლობით შედედებული ნისლისა და ბურუსის გაფანტვა სურდა. ბინდის დაშლა, ბადის გაგლეჯვა, იმ ქსლის დაწყვეტა, რამიც გაბმულიყვნენ, ჩაქუპრებულიყვნენ ყველანი.

— რამანგ! შუალამისას რეკდა საათი. უეცრად წამოხტა, მოთმინების ძაფგაწყვეტილი და მიიჭრა ღამის ფანჯრიდან შემონადენი წელი სიოთი ოღნავ მსუნთქავ, მოლივლივე ორმაგ ქსოვილთან...

ისევ სარკესთან იდგა. თავის სახეს ველარ ხედავდა... გამოსახულებას ატანდა მისი შერა და სარკის სიღრმეში როგორც წყალში საკუთარი სხეულის ფონზე მისჩერებოდა მიმომჭროლავ წამებს, სურათებს.

შუბლი მიადო სარკეს და გლუვი, მზბინავი სიგრილე გაედვარა საფეთქლებისაკენ...

საშიშად ჰქონდა წარმოსახვა და მენსიერება გამოლევითებული. ფენა-ფენა აშლილიყო და მტვერით სდიოდა ტვინის ხვეულებს დაღეჭილი ცხოვრება. ერთ ამბავს მეორე მოსდევდა, ერთი სახე მაგნიტივით ეზიდებოდა სხვასა და სხვას, დიოდნენ ამბებისა და წამების ჩაჭვები, დგებოდნენ ხსოვნის სარკოფაგებიდან, ბოლივით ირხეოდნენ... და უეცრად გაუელვა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რომ ფარდისა არ იყოს, ოთახშიც რაღაც ჯადოქრული ძალმომრეობა დატრიალდა. რადგან ასე დაწვრილებით, ასე მკაფიოდ არც ერთ ადამიანს არ ახსოვდა განვლილი წლები, როგორც მას გაახსენდა ამ

ჭერქვეშ, ამ საგნებსა და ამ კედლებში. წარსული აბსოვთ როგორც ნაქარგის მეორე მხარე: ბუნდოვან ლაქებად. სადაც მხოლოდ ზოგი ამბავი, ზოგი არსება და სურათი ელვარებს წალმა პირიდან: ზუსტად, აშკარად. დანარჩენი ნისლში ტივტივებს. წაშლილია კონტური, დეტალები, მოძრაობანი. ძირითადი ამბავი რჩება, ძირითად ხაზებში. ნიუანსები ორთქლდება, ქრება. იფანტება სიტყვები, ხელის შეგრძნებანი, სურნელებანი. დიახ, სიტყვები! სიტყვები სულ არ ამახსოვრდებათ! რჩება მხოლოდ შთაბეჭდილება და სწორედ ამიტომ: დიალოგები

იყო ყველაზე საეჭვო! დიალოგები — არაბუნებრივი! რადგან შეუძლებელი გახლდათ მათი ასეთი ცოცხლად აღდგენა. საუბრები გაისმა, გაიხშიანა: ჩურჩულით, ყვირილით, ხმადაბლა, ზამალა, მაშინ დააჩნდა მოსაუბრეთა სმენის წილს და... წაიშალა დღეთა სრბოლაში. ვის შეუძლია ათი-ოცი წლის წინანდელი საუბრის მოყოლა. დაწვრილებით! თანმიმდევრულად!

ვიღაც წარმართავდა მის გონებას, აქ: მოჩვენებითი შემთხვევითობით საესე ოთახში, სადაც ფარული, აწ მოძალადე წესრიგი მიმალულიყო, ერთი შეხედვით, თავისთვის, უწყინრად მდებარე საგანთა შორის. მისი მგხსიერებაც რაღაცამ ჯადოქრულად აამოძრავა. ტვინის ხვეულებში ჩათესლილ-ჩალექილი ცხოვრება კინოფირივით გაამფლავნა და გაუშვა: თავის ქალის მრგვალ, მზურვალე დარბაზში. სხვაგვარად, ჩვეულებრივად, ხსოვნის ასეთი ძალისხმევა შეუძლებელი იყო! არადა, ამბობენ, ცხოვრების ფირი მხოლოდ სიკვდილის წუთებში მელავნდებაო. აბსოლუტური თანმიმდევრობით, ოღონდ: უკუღმა, სიკვდილიდან ბავშვობისაკენ. ალბათ იმიტომ, რომ დაბადებით დაამთავრეს სიცოცხლე. დაბადება იყოს ბოლო მოგონება: სიკვდილის ჭიშკარში, სადაც ცახცახებენ გასასვლელად მომზადებულნი. გამოსვლა აბსენდებათ. ასე ამბობენ,

და თან: რა ტკივილიც სხვას მიაყენე, იმას თვითონ განიცდიოყ, ქსებჯრული, ნეტავ? ნეგატივ-პოზიტაქტი: ნარ მარბ-და, სხვებსაც ენახათ ფილმი! მკედრები შემოხვეოდნენ ახალმოსულს, დამკდარიყო, მოეთბრო: ასე და ასე იყო ჩემი საქმეო და ყველას თვალწინ გასულიყო მისი ცხოვრება, ერთად ენახათ. ზოგი თავის თავსაც აღმოაჩენდა, ეპიზოდურ როლში, წამოიძახებდა: „აი, აი, ეს მე ვიყავიო“. მამ იყო მთავარი მოქმედი გმირის, ან მამა, მეზობელი ან ბიძაშვილი, და იქნებოდა სანახაობა. უძვლო-უხორცო თავების ქნევას მოჰყვებოდნენ და „რას გავუძელითო“ — იშრიალებდნენ.

„უშრობას ვფიქრობ. ფიქრებს ვეღარ ვთოკავ. ვინ არის აქ? ვინ განაგებს აქაურობას?“

თავი ასწია და ჭერს ახედა. რას ეცებ. უფლის სახე ზომ არ იქნება მოხატული, ძირს ჩამომშირალი დიდი თვლებით: რაღაც მოეჩვენა ჭადის ჩრდილებში. თითქოს ქალის სახე ჩამოსცქეროდა. თმაჩამოშლილი, დაკვირვებით ჩამომშირალი. დედის ოთახში იყო.

სავარძელში ჩაევენა, პატარა მაგიდას დააყრდნო იდაყვები. ლოცვა მაინც შეეძლოს. ილოცებდა. მაგრამ რას იტყოდა, რა აქვს სათქმელი. ძველი ლოცვა მისთვის სულ აღარ, აღარ არსებობს. აი, რას ეტყოდა, რას შესძახებდა გადამალულს შორეულ ცებში: ღმერთო, რომელსაც ვერასოდეს გიწოდებ მამა, და არ ვიცი, სად ხარ.

შენ არასოდეს მოისურვე ჩემთან შეხვედრა. ვცოდავდი, რათა სასჯელში მაინც დაგენახე და ვერ დაგინახე.

ახლა მოგმართავ: მე, ვინც შეურაცხყოფილი ვარ, არა მხოლოდ ცხოვრებით, ჩვენ რომ მოვიწყეთ, არამედ სიცოცხლითაც, შენ რომ შეჰქმენი. ვინც შეურაცხყოფილი ვარ: არა მხოლოდ სხვით, არამედ საკუთარი ჩემი თავითაც, ნიადაგ ხელიდან რომ მისხლტებოდა. ვინც გამაჩინე: რათა ცოდვა მებარებინა, ცოდვა სრულმყო.

ისმინე ვედრება ჩემი: დაასრულე ჩემი ადამიანობა! დაასრულე ჩემი სიცოცხლე: — ნაკლოვანი, სიკვდილი რომ სჭირდება განახლებისთვის და ავადმყოფობა — სიძლიერისთვის. სიცოცხლე, ხრწნას რო უერთდება ყოველწამიერ.

შეურაცხყოფილი ვარ, ღმერთო, რომელიც, ვერ გავიგე: სად ხარ, როდის ხარ.

სირცხვილია — აკვანი ჩვენი.

შენ სიმახინჯე აგვიზილე სილამაზეში და სიწმინდეში — ბიწიერება!

შეგვადულე, თუკი მაინც ეს გვიწერია, გამოგვხარშე, გამოგვწვი, აზილე ჩვენი ნაცარტუტა და გამოძერწე სულ სხვა არსება: ძლიერი, შეუბღალავი და კეთილშობილი. რომელიც ილიველებს წყალში, ჰაერში. სახლი იქნება მისთვის მიწაც და მიწისქვეშეთიც.

რომლის სიყვარული არ დასრულდება წამბობით, დაწოლით და წაბრქვაებით. რომლის სხეულის გვირაბებშიც ხრწნაშემდგარი, ოხშიერიანი საკმელ-სასამელი არ იბუყბუყებს. რომელსაც ექნება თვალები — წყაროს წყალივით და ფრთები — ძლიერი და დაულაქავი.

დაზურე, ღმერთო, დედამიწის ლაზარეთი. წალეკე დრო, სისხლი და ხორცი და ჩვენი ნაცარტუტა ახალ თიხად გამოიყენე. ამინ“.

თავი აიღო. „ცუდადა ვარ. საშიშად ვფიქრობ. თუმცა სულ ერთია“.

დედის საწერი მაგიდისკენ გაიხედა. მთელი ეს ხანი არ შეუხედავს. იდგა, უცდიდა: ცდუნება. უძრავი, ოთხ ფეხზე შემდგარი.

რაღა აზრი ჰქონდა აქ შეჩერებას — ბოლოს წინა საფეხურზე. ხეზე მიდგმული კიბის კი არა, ხაროში ჩადგმულის. იქ შეჩერებას, სადაც ხელის ვაწვდენაზე სუნთქავდა ფსკერი და თანაც „უკეთუ გულსა შიგან შესცოდე“. კი, კი გულსა შიგან სულ სცოდავდა, მუდამ, გაუთავებლად. მაშ რაღა აზრი ჰქონდა ცოდვის არ ჩადენას, თუკი სურვილი ცოდვის ჩადენისა არა ჰქრე-

ბოდა! და არც გეპატიებოდა! თან რა შვების მომტანია: „რაც მოსახდენია, მოხდეს!“ „მოხდეს, მოხდეს, რაც მოსახდენია“. თუმცა რას ამბობს! რომელი ვარდნა, ხარო ან ცოდვა, გულში-გან თუ გულსგარეთ. განა აქ კვანძის გამოსახსნელად არ შემოვიდა? ძალის თავის ამოსათბრელად. იმ დაფარული რალაც ცოდვისა, რომლის გამოც სნება გასხვიდა ოთახებში, დედის სხეულში! დიახ, დაფარული რალაც მიზეზი სარეველასავით იბარდებოდა. ბოლქვით უნდა ამოთბრილიყო!

მაგიდასთან მივიდა და უჭრა გამო-ალო-სამი მოგროო საერთო რვეული იდო ერთმანეთზე. სხვადასხვა სისქის, სხვადასხვა ფერის. რატომღაც შუა აიღო. შუა და ნისლისფერი. დედისა-ვე მაგიდას მიუჭრა და რვეული გადაშალა:

...დედა ისევ ტიროდა... მამაჩემმა დაუყვირა და მაგიდას მუშტი დაარტყა. წაბარბაცდა, საფერფლეს გადაემხო, მერე სკამზე დაენარცხა და უთხრა: სულელი ხარო. გან-სა-ცვი-ფრებ-ლად, — სწორედ ასე დამარცვლა, — სულელი, უაზრო ქალი ხარ, მეზიზღები... შენი ტირილიც მძულს, ეგ თვალითა-ქცური ცრემლებიო.

დედა ჩუმად იწმენდდა თვალებს აბრეშუმის მაქმანიანი ცხვირსახოციოთ, ზოგჯერ მის მუჭში მთლიანად რომ უჩინარდებოდა... მერე თავი უკან გადასწია, კეფა სკამის საზურგეს დააყრდნო: ერთმა მსხვილმა ცრემლმა საფეთქელი გადაკვეთა და თმის ძირებში ჩაეონა. და თეთრი ყელი დაეჭიმა და ორი მსხვილი ძარღვი თეთრად ამოებურცა ახლადგათილილი საშურ-დულე ტოტივით.

მერე დავინახე: მამა დედაჩემთან მისულიყო და მისი მოცახცახე მარცხენა ხელი ნელა უახლოვდებოდა თეთრ, დაჭიმულ ყელს... დედა კი, არ ვიცო, ვერ ხედავდა, თუ დაიღალა, არც შეტოკებულა და აი, თითები შეეხნენ კიდევ კანს ლავიწის ძვალთან... საში-ნელებისაგან ისე დავდამბლავდი, თვა-

ლის დახუჭვასაც ვერ ვახერხებდი. მაგრამ ის ხელი გამაოცრად ფრთხილად შეჩერდა, მერე კი ჩემთვის უცხო — რალაცნაირი ტანჯული სინაზით, კანკალით აცურდა ნიკაპისაკენ და მაშინვე მოშორდა. მამა შემობრუნდა და ნელა დაეშვა სკამზე.

მინდოდა ოთახიდან გავსულიყავი, მაგრამ ვერ ვებედავდი. არც დედასთან შემეძლო მისვლა. მამაჩემი უარესად გააფთრდებოდა. ფანჯარასთან ვიდექი და ასე მეგონა, რაც კი სხეულში სისხლი მედგა ნელა შრებოდა, შრებოდა და ამ აუტანელი სიმშრალისაგან გული თონეში დამწვარი პურივით მეფშვნიტებოდა...

თავი აიღო, გააღიზიანა დაწვრილებითმა, აუჩქარებელმა თბრობამ: „ძველი თბრობაა: დინჯად, თანმიმდევრულად, დაგემოვნებით გაიმბობენ: აღმოსავლელი ბერიკაცები ჩაის წრუპავენ, მზე მინეტარებს ცარგვალზე. წინ სვეტებია: ჩამოქნილი, ნელა ნატვიფრ-ნაჩუქურთმები, ციცირის მორკალული ბუმბული ნელა, რა ნელა ეშვება ძირს. ძალი დინჯად აბრუნებს თავს და ლომის ჭროლა დისკოები ზანტად გასრიალდებიან კაკლების სარკოვან ოვალში: წვეთავს, მოყონავს დღე და საათი. და როცა იქ სიჩქარე ჩნდება — ის სიჩქარეა; ცქაფი. წმინდა, ნამდვილი, ისარივით, სამართებლივით ჰაერის მკვეთი: რადგან ნაჩქარეობას არ შეუწელებ-დაუდამბლავებია მისი უცარი ამოვარდნა, ზემოსხლტომა და იელვებს ლომის თვალედი და ველური სკუბი, შმაგი ნახტომი, დაძაბული კიდურების ჰაერში გამულა მზის რკალოვანი ტრაექტორიით! მახვილის ქნევა, მოლაპლაპე! და ისარივით მიმსწრაფი ცხენი!

— ძველი თბრობაა, ყურადღება თანაბრად ნაწილდება გამომეტყველებაზე, მოძრაობებზე, სიტყვებსა და ფერებზე. ყველაფერი თავის წილად აღიბეჭდება. დრო აქვთ: ფილიგრანი. ინკრუსტაცია: ნეტარება დაწვრილებითი ფორმისა. მათი დრო-ჟამი ნელა

მიდის ბარის მდინარესავით, დარბაისლურად, თავზიანად აცლავს მისკლას, მათ მხარეზეა, გენაცვალე, ჩვენი დროსავით კისრისტებით კი არ მიექანება, მუჯლუგუნებს რომ გვიფუენებს და გვაბტუნებს კალიებივით! სკუპ-სკუპ! აქეთ-იქით! — ფიქრში, თბრობაში, სიყვარულში და საუბარში. ყოფნა — ჰაი-ჰარად შეძერწილ-შეთითხნილი, ადამიანი — ფაცა-ფუციით მოფერებული, ნაჩქარევად ჩასახული, ფეთებით დაბადებული, ელდისცემით ნაკვებ-ნაზარდი, ჩქარა! ჩქარა! წინ! ჩქარა დატები, ჩქარა ისიამოვნე, ჩქარა იმშობიარე! ჩქარა განიკურნე! ცხოველები კი ძველ დროში დარჩნენ, მცენარეებიც, იქა დგანან: ტაატა ქაშში. მზე თავის დროზე შეცურდება ზოლი-აქოში, და მის მღუარ ძარღვთანაა ქვეყნიერების მაჯა შეწული: ჩვენ ამოვვარდით და გავუჩნდით ტაბიკარდიად. ჩქარა, ჩქარა წინ! მერე — თქლაფ! — გამოფიტვა, დეპრესია, აპათია — სხეულის თარაზულად გდება. მერე ისევ წამოვარდნა. ჩქარა, ჩქარა, წინ! რასაც მივწვდებით ვუჯიკავებთ, მუჯლუგუნით მივერეკებით: მცენარეს, ცხოველს, რასაც მივწვდებით: ჩქარა აუვავდი! ჩქარა დამწიფდი! ბევრჯერ მოისხი! დამაყდი! შობე! ჩქარა, ბევრჯერ! ჩქარა წინ! და ნაჩქარეობით გაბერწებულ ცხოვრებაში, ჩაქრა: სიჩქარე! წმიდა სისწრაფე, ცქაფი!

ისინი კი, ძველები, უსმინე, ერთი, რა დაჯერებულად და დამაჯერებლად გუუნებნიან, რა იყო გარეთ და რას იწვევდა შიგნით, მათ სულში. არშინი აქვთ, დალოცვილებს, ზუსტად იციან: სინამდვილეში ასე ხდებოდა, მე კი ასე აღვიჭვამდიო. დიდება შენდა, ღმერთო! საიდან იცოდნენ, ნეტავ! ჩვენს ცხვირწინ ხდება რალაც ამბავი, გვერდზე, სახლში, ჩვენს თავს ტრიალეს და თავი და ბოლო ვერ გაგვიგია: რაა მიზეზი, რაა შედეგი, რა კიდევ ძალა, ვინ მსხვერპლია, ვინ — დამნაშავე. და ამიტომ ვერ მოყვები, ველაჩავის ვედარ უამბობ, და თუ მოყვე-

ბი, წარა-მარა „მე მგონი“ უნდა იძახო, „ალბათ“, „ვინ იცის“, „მგებ“ და „თითქოს“. ან ერთმანეთში არ ერეოდით გარეთა და შიგნითა? როცა არ იცი, ნამდვილად ხდება თუ შენ გეჩვენება!

ამიტომაც აუტანელია ახლა: კლასიკა — ამ დღანდგარში, ამ ბურჟუზში, ამ სიჩქარეში. ვალიზიანებს ძველების კითხვა, მათი მკაფიო თვალეები ჩვენ ვერ გეხედავენ და მკაფიო სიტყვები ჩვენ არ გეხეებიან. და გამოთქმები აქვთ რვეერანსებივით: „ხოლო მან მიუგო“, „ათქვენი ქაჯად როგორ გეკითხოთ?“ „და მე ისე მიძგერდა გული“ და „მეტადრე“, „ნუთუ“ და „არამედ“. სად წავედი? არ მინდა წაკითხვა? იმიტომ დავწაწალებ წალმუჯუღმა? ესეც არ ვიცი, მინდა თუ არა. მაშ: „დედა ტიროდა და მამა ყვიროდა?“ აბა რისთვის არიან დედა და მამა?

...ამ დროს დედამ ჩემკენ გამოიხედო: რაღაცნაირად. და მისკენ რომ გადაედგო ნაბიჯი, მამაჩემი წამოიწია, ორივე ხელით დასწვდა ჩემს დიდ, ალისფერ ნიჟარას, მთელი ეს ხანი მაგიდაზე რომ ყანყალებდა და ძირს დაახეტა. შევბტი და მერე ადგილზე გაქვავდი: ნამსხვრევებს დავაჩერდი, იატაკზე: ნუთუ იქ არაფერი იყო, შიგნით? აბა, რა შრიალეზდა, ვინ მღეროდა ხოლმე? მაგრამ ნიჟარას ალისფერი ფარფლები შემომსხვრეოდა მხოლოდ, აგრაგნილი ნაპირი, მისი მკვრივი, ჩახვეული მუცელი კი გადაჩენილიყო, ნამსხვრევებში ეგდო და ირწეოდა. „შენც მაგნაირი გამოხვალ,

— მიყვიროდა მამა და ხელს დედაჩემისაკენ ოშვერდა, — უსულგულო და ქარაფშუტა. ან რა უნდა გამოიხვიდე ამისი გაზრდილი“ და შეიფინა.

როცა ჩხუბობდნენ, ანუ როცა მამა დედას ეჩხუბებოდა, ყოველთვის იქ უნდა ცყოფილიყავი: დედაჩემს მარტო დარჩენა არ უნდოდა და არ წახვიდეო, ხშირად შემხვეწია, ჩუმად. მამაც არასდროს მიშვებდა ოთახიდან. ალბათ, დედისა ვიყავი მისთვის, და მისი

ლანძღვა-გინება ორთავეს გეხეზოდა.

„გადი, ღვინო შემოღებენ, მისი და მიყვირო, არ გავნძრეულვარ“, გავგებებული დაშტერებოდი ფერად ნატეხებს: ცრემლებით მქონდა თვალეები სავსე და მთელი ოთახი ტივტივებდა. ნიჟარაც მომწყდებოდა ცრემლი, — ჩნდებოდა, მომადგებოდა — დაიბინდებოდა. კიდევ და კიდევ. მამაჩემკაც დახედა იატაკს და ეტყობა, მაშინლა მიხვდა, რაც ვაეტეხა: თვალეები აახამხამა, ნიკაპქვეშ ოღნავ ამოზრდილი წვერით ჩაშავებული ყელი მოიფხანა, შეემჩნია: საშინლად ეწყინა, ისე ეწყინა, რომ, ოღნავ გამოფხიზლდა კიდევ და უარესად დამიღრიალა: „გესმის, გოგო, გადი, ღვინო შემომიტანე!“

გავედი. სამზარეულოს კარადა გამოვალე და ღვინით სავსე თეთრი სურა რომ გამოვაცურე, გამივარდა და გატყდა. უაზროდ ჩავქექი, ყველაფერი ისევე ბუნდოვნად ტივტივებდა ჩემს ცრემლებში. ჩავქექი და თეთრი ნამსხვრევებით სავსე შავი ღვინის გუბეში თითები ჩავყავი. ხელეებს სისველეში ვურევიდი, უაზროდ ვაფათურებდი და თან იმაზე ვფიჭრობდი, რომ სადაც იყო, დამიძახებდნენ, ოთახში უნდა შეესულოყავი, იმ საშინელ ოთახში, მამაჩემისთვის მეთქვა, რომ ღვინო დავლვარე და ყველაფერი გადამეტანა.

„სადა ხარ, ამდენხანს!“ მომესმა კიდევ ავდექი, კარიც გაიღო და მამა გამოჩნდა. უცებ შედგა, თვალეები აახამხამა და სულ სხვა ხმით აღმოხდა: „რა დაგემართა!“ ხელეზე მიყურებდა. მეც დავიხდე და იმწამსვე საშინელი წვაც შევიგარძენი: ორივე ხელის მტევიდან თქრიალით მდიოდა სისხლი. მერე მამაჩემი ლანდალ იქცა, ლანდი ჩემკენ მოზარბაცებდა და დედაც, მის ზურგსუკან რომ გამოჩნდა კარში, ჩრდილისა იყო და მერე აღარ მახსოვს...

თვალი რომ გავახილე, ორი თეთრი ნიჩაბი მალლა მიიწვედა, ჩემი სახის ზემოთ და ვილაც გაბმულად, ძალიან შორიდან იძახდა: „სად არის ჩემი

ზღვის სული... საღ დაიქარგა... ცალი თვალი მწვანე აქვს და ცალი ყვითელი-მწვანე, ზომ არ გინახავთ... სახლი გაუტეხეს და აღარ დაბრუნდებია... შიი შირლა-საი, დაბრუნდი ჩემთან“. ბუნდოვანად გამოვიკვირდა: საიდან იცის იმ ვილაყამ, ნავში რომ ზის და ზღვაში მიცურავს, ჩემი შირლასაის სახელი, რომელიც ნიქარაში ცხოვრობს? ცოტა ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ის თეთრი ნიჩბები ჩემი ხელები იყო, თეთრი დოლბანდით მძიმედ შეხვეული და ეს მე ვუძახდი ზღვის პატარა სულს, შირლას, ან შირლასაის, რომელსაც, დაწმუნებული ვიყავი, ტანზე საკუთარი თმა ეხვია, სხვადასხვა ფერის, ძალიან სველი თვალები ჰქონდა, ჩემს ნიქარაში იჯდა და მღეროდა. ოთახის საგნებიც ჯერ რაღაც დამღლეულ ბურუსში დატივტივებდნენ, მერე ნელ-ნელა დაეშენენ ძირს, გასწორდნენ და მყარად დადგნენ თავიანთ ადგილებზე. პირველი, რაც გავარჩიე, გვერდით, დედაჩემის საწოლზე გადაფარებული, ზღვისფერად მოლივლივე ლურჯი ქსოვილი იყო. მე მამაჩემის საწოლში ვიწეკი.

თავი გვერდზე მივაბრუნე და იქ მამა დამიხვდა: საწოლთან მეჯდა, გაუპარსავ, დაბზარულ სახეზე, თითქოს ცუდად შეწყებებული ნატეხებისაგან რომ შედგებოდა, ვაება ეხატა. ასეთი იყო ყოველთვის, ახლად ფიზიკური, ახლა კი განსაკუთრებით. მოიწია და რაღაც მითხრა, მაგრამ ვერ გავიგონე, რა, რადგან ამ დროს დედაჩემის ხმა შემომგსმა და იქით გავიხედე... დედა აუჩქარებლად წმუნდა მტვერს საწოლის თავიდან, ნათიბისფერი, აბრეშუმით თმა კეთაზე აებულულებინა და ეტყობოდა, ცუდ გუნებაზე არ იყო.

„დამშვიდდი, — მითხრა დედამ და შეჩერდა, — იქ ნიქარაში მართლა კი არ ცხოვრობდა ვილაყ — მტვერიანი, წითელი ჩვარი მაღლა ასწია — ნიქარები ცარიელია... პატარა ხომ აღარა ხარ, მალე თერთმეტი წლისა გახდები, ნუ დარდობ, არავინ გაქცეულა, — ჩვრია-

ნი ხელით რქალი ახაზა, — არც გაქცეულა და არც დაბრუნდებია. — ხელი დაუშვა და საწოლის თავზე მსუბუქად გაასრი-ალა.

მამაჩემს უცბად შეეცვალა სახე. რაღაც ზიზზნარევეა გაღიზიანებამ გადაურბინა და ძლივს დაშოშმინებული ნაკეთები ისევ წამოუშალა... ისეთი მზერა ესროლა დედაჩემს, ეტყობა, გულში სილა გააწნა ან დაუყვირა, მაგრამ ხმაშალა არაფერი უთქვამს, რაღაც ძნელად ჩასაბრუნებელი უკანვე ჩაიბრუნა და ხელი ჩაიქნია მხოლოდ ფიზიკური არასოდეს უყვიროდა, დედას, პირიქით, ძალიან ხმადაბალი ლაპარაკი იყო, მცირე ხმაურზეც კი შეკრთებოდა ხოლმე, ცოლს რაღაც გულდაწყვეტილი და მორჩილი თვალებით შესცქეროდა, და დედაც იფერებდა ამ გატანჯულ, გაუგებარ მორჩილებას, სჩანდა: გრძობდა თავის ძალას ქმარზე, ალბათ თავისთვისვე აუნაღეს ძალას და ეს მშვიდ, დაწმუნებული მოძრაობასა და იერს ანიჭებდა, რაც მამაჩემის დაბრუნებისთანავე ხუხულასავით ჩამოიფშვნებოდა ხოლმე. და მე ვერ გამეგო, ბოლოს და ბოლოს, ვინ ვის მორჩილებდა და ვის ვისი ეშინოდა.

როდესაც დედა ოთახიდან გავიდა, მამაჩემი გადმოიხარა და ყრუ, დაგლეჯილი ხმით მითხრა: „ყურს ნუ უგდებ, არაფერი არ ესმის... რა იცის მაგან! იცი, შ-შირლასაი მაინც ველარ ეტეოდა იქ, წუხდა, ნიქარა მისთვის ნამდვილად პატარა იყო, ლმერთმანი, წუხდა... კაბის კალთებსაც კი ვერ იშლიდა ხეირიანად... აი, ნახე, ეს როგორია, რამხელაა, ზედავ?“ — ხელი გაიწოდა, იქვე სკამიდან ვეებერთელა, რძისფერ-ვარდისფერი, გადაგრაგნილი, ფარფლებამაგნილი ნიქარა აიღო და ყურთან მომიტანა: „უსმინე, როგორ მღერის! როგორ უხარია, ხომ გესმის?“

დაბვეული, შორიდან მოღწეული შრიალი ჩამესმა, უფრო ძლიერი, ვიდრე ძველი ნიქარიდან გამოისმოდა.

ნიჟარა საბანზე დავისვენე, თვალები დავხუტე და როცა მამაჩემმა გაჭირვებით ამოღერდა: „ნუ გეშინია, მალე მორჩები... სულ მალე ადგები-ო“, უღონოდ და უსაყვედუროდ ჩავილაპარაკე: „არ მინდა, მამა... არ მინდა მორჩენა... მინდა ნიჟარაში ვცხოვრობდე და... არაფერი არ დავინახო“. მან ჩემი მძიმე, შეზვეული ხელი აიღო, ფრთხილად მიიკრა ლოყაზე, მაპატიეო, ამბობდა. მე ხელი გაჭყეე, მისი ხელეზიკ გავიყოლე, ყელში ჩავიწვინე და ნიკაბი დავაყრდენი... ვტიროდით, ორივენი ვტიროდით, რადგან ვიცოდით: ჩვენი საშველი არ არსებობდა. ის ძველი ნიჟარაც მამაჩემის ნაჩუჭარი იყო.

სამ დღეს მქონდა მაღალი სიცხე. ექიმს ეფიქრა, კრილოზიდან შეჭრილი ინფექციის ბრალი იქნებოა. მამას კი ეთქვა, არა, ინერვიულა, იმისი ბრალიაო. მამაჩემი გვერდით მჯდომოდა მთელი ის ხანი. თურმე არაფერი მესმოდა და ვბოდავდი.

ორი კვირის შემდეგ ეზოში გამიყვანეს, დაწულ, სარწყველა სავარძელში ჩამაწვინეს. ახლად შესწილი, ნაკრილოზევი ხელები კალთაზე მეწყო და მსიამოვნებდა, მზე რომ მელაშენებოდა. მამა გვერდით მეჯდა, ხელებზე დამყურებდა და მერე მითხრა, რომ ამის შემდეგ მთვრალს რამდენაც არ უნდა ეძახა და ეყვირა, ჩემი ოთახიდან არ გავსულიყავი. „კარგი“ — დავეთანხმე ძალიან ჩუმიად.

მეორე საღამოსვე შემომესმა მისი ყვირილი, ჩემს საწოლზე ჩაძინებულს, და გული კინალამ ამოვიყარდა. მოვიკუნტე და საბანი თავზე წავიფარე.

მამა ხშირად ერთი-ორი დღე შინ არ მოდიოდა და ასეთ დღეებში დედა მუდამ კარგ გუნებაზე იყო. დიდინით ალაგებდა სახლს. რწყავდა ოთახის ყვავილებს ან ფორტეპიანოს მიუჭდებოდა, ნოტებს გადაშლიდა და ტანის ოდნავი რწყევით უკრავდა. დიდხანს და ხალისიანად იცვამდა, სახლიდან გადიოდა თეთრი, არშიიანი ქოლგითა და

პატარა ხელჩანთით. ორ-სამ საათში უკან ბრუნდებოდა ყვანდობისა და მცირე რამ ნავაჭრით. მამა დაიძინებდა თუ არა, მაშინვე გახალისდებოდა, ისე ადვილად გადაეყრებოდა ხოლმე ნალველი, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, რაც მუდამ უსაზღვროდ მაკვირვებდა, რადგან მე მამაჩემის სიფხიზლეშიც კი არაფერი მიხაროდა. ისეთი კარგი იყო ეს ადამიანი, ასე სამი დღის ფხიზელი, რომ შინაგანად ეკრუნჩხებოდი ხოლმე მისი წარსული სიმთვრალის გახსენებითა და შოაბლოებულის მოლოდინით. დედა კი ხალისიანი იყო. შეიძლება ამით გვეუსხავდა მე და მამაჩემს. თავის უიღბლობასაც კი — ასეთი ქმარი რომ ჰყავდა — ცოცხლად და გატაცებით უყვებოდა ხოლმე მეგობარ ქალებს, ან ჩვენთან სახლში, ან მათთან სტუმრად როცა ვიყავით. ასეთ დროს სადმე მივიკუნტებოდი და მრცხვენოდა.

პატარაობისას შეეძლო მთელი დღე კაბა ეკერა ჩემთვის. შემოიკრავდა რუშებიან, ნაოჭყარილ კაბას, გამომაწყობდა, სარკის წინ დიდხანს მატრიალებდა, წვალბოდა ჩემი ხშირი თმის მორჯულებაზე და ასე წამიყვანდა ხოლმე ვინმესთან სახლში. იქ ორი ან სამი მისი ასაკის ქალი გვხვდებოდა, ზოგჯერ კაცები და ბავშვებიც ტრიალებდნენ, იქვე, დიასახლისის ვილაყეები, რომლებიც მალევე ჭრებოდნენ და მერე შიგდაშიგ კიდევ ჩნდებოდნენ ან დამშვიდობებისას დერეფანში გამოლაგდებოდნენ ხოლმე, სასტუმრო ოთახში ქათქათა სუფრა ეფარა მაგიდას და ზედ ამპარტავანი, ვერცხლისფერი სამოვარი თუხთუხებდა, რომლის გაბერილ მუცელთან შეერთებულ მოკაუჭებულ ცხვირს, წარამარა ატრიალებდნენ და ჭვეშ რიგ-რიგობით უდგამდნენ ფაიფურის სიფრიფანა ფინჯნებს. მერე ხან ფინჯანი მიჭქონდათ წითელ ტუჩებთან, ხან შავ, მშონიავ-მურაბიანი კოვზი... და ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ... ზოგჯერ აჩურ-



მულდებოდნენ და ამ დროს თავებს ატყუებდნენ და მათი თმები ერთმანეთს ეხებოდა. მერე გაიშლებოდნენ და მაგიდის შუაგული ისევ ჩნდებოდა. მერე ხმაძალა იცინოდნენ: სკამის საზურგეებს აწვებოდნენ და მათი მკერდი მაგიდას შორდებოდა. ან უცებ ამლერდებოდნენ და მაშინ იდაყვებით მაგიდას ეყრდნობოდნენ, ან სუფრაზე იწვენდნენ ხელებს... მერე აღგებოდნენ და ოთახში მიმოფანტულ სავარძლებში ჩაეშვებოდნენ, რომელიმე მათგანი პიანინოს მიუჭდებოდა და ქალები ხშირად ხუჭავდნენ თვალებს.

მე კი, თავიდან აღტაცებულნი რომ მხვდებოდნენ ყველანი, თმაზე ნაზად მისვამდნენ ხელს, ლოყებს მიკოცნიდნენ და რა ლამაზიაო, გაიძახოდნენ — მერე აღარავინ მაწუხებდა. თითქოს იქ აღარ ვიყავი. ჭერ ქალებს შევცქეროდი, მუდამ უსაზღვროდ განცვიფრებული. ვუყურებდი მათ ბეჭდებიან ხელებს, მათ კაბებს, სიცილს—და მოძრაობებს. ისეთი მიუწვდომელი იყო ეს ყველაფერი, რომ ვერ წარმომედგინა, ნუთუ როდესმე დადგებოდა დრო, როცა მეც ამათსავით ზუსტად მეცოდინებოდა, როდის უნდა გამეცინა ხმაძალა და როდის ჩუმად, როდის გამეშალა ხელი და გადამეგდო თავი, ისე რომ თმა ლამაზად გადაყრილიყო, როდის შემეგრა ტუჩები და მეთქვა: „ო, რას ბრძანებთ“, „რა მშვენიერია“, და „მოდრი ჩემთან, ჩემო პატარა“, და ზოდის უნდა დამეხარა თვალები ან უეცრად, სწრაფად გამეხედა ჭმრისკენ... ოო, ქალებმა იმდენი რამ იცოდნენ...

მერე სურათებს ვათვალიერებდი კედელზე, ან ოთახის მცენარეებს: ფიკუსებს, კაქტუსებს, პალმებს ზარის ენებს. მერე აივანზე ვაკვობრიალდებოდი ან საკიბურში, ხშირად კაბას გადავიწყებოდი სადმე და ვუცდიდი, კუდს როდის აირკალავდა. ის კი უცბად უნდობლად და გამომცდელად შემომანათებდა ყვითელ, ცივად გიზგიზა თვალებს და მერე აგდებით, დაუდევრად მაქცევდა ზურგს... ბოლოს საში-

ნელი მოწყენილობიდან ძილში გაჭრბოდი, სადაც მუდამ ეჭველუფებოდა ფერად-ფერადი, უცნაურხანსხანსხანსების მთელი ლაშქარი. „ჩემი მძინარა, ჩემი პატარა უემური“ — მალვიმებდა დედა და შინ ვბრუნდებოდი. და მე ზედნიერი ვიყავი, რომ ბოლოს და ბოლოს დედაჩემის მკლავს ვგრძნობდი ლოყით. თუმცა განუყრელად ერთად ვიყავით, მაინც სულ დედა მენატრებოდა: თითქოს იქ არ იყო, თითქოს შორეულ ქვეყანაში გამგზავრებულიყო დიდი ხნის წინათ და ახლა ყოველ წუთს მის დაბრუნებას ველოდებოდი. თუმცა დედაჩემს სულ არ ეთქმოდა ბრაზიანი ან უკარება, პირიქით, პირიქით, მაინც სულ მაკლდა, რაღაცნაირად არა მყავდა და როცა ვეხვეოდი, დედას ვეძებდი ხოლმე...

სხვებს კი, ადამიანებს, საერთოდ ბუნდოვნად აღვიქვამდი. თავბრუს მახვევდნენ. არასოდეს ვიცოდი, გვერდითა ეზოებში რა ხალხი დაფუსფუსებდა, ვინ ცხოვრობდა მეზობელ სახლებში, ვინ ვისი შვილი იყო, ვისი ცოლი, ვისი დედა. თვითველ მათგანს ან სულ ცალკე, მარტოდ ვხედავდი, ვერავისთან ვაკავშირებდი, ან ყველა ერთად მეგულებოდა სადღაც გარეთ, ერთ ლაქად თავშეყრილი, ერთად — უჩემოდ. ბავშვების კი მეშინოდა. ყველაზე უფრო მეშინოდა ამ ქვეყნად. რადგან თვალს მოკრავდნენ თუ არა სახლისკენ ბარბაკით მომავალ მამაჩემს, გამოეკიდებოდნენ და სიარულში აჯავრებდნენ. შემდეგ უთახდნენ, დამცინავი სერიოზულობით რაღაცას, ეკითხებოდნენ... ის კი შეჩერდებოდა, ფულწრფელად პასუხობდა და მერე უსაზღვროდ გაკვირვებული ახამხამებდა თვალებს, როცა უეცრად ახითხითებული ბავშვები ზურგს აქცევდნენ და გარბოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ყვირილს დაადევნებდა ხოლმე გაქცეულებს, რაც კიდევ უფრო ახორხოცებდა ქუჩას. მე ჩვენს ეზოში ვიდექი ხოლმე, მეჩხერ მესერთან.

თითქმის მთელი დღე ეზოში ვიყა-



ვი, თუკი მაკლიდნენ. იქ შტერისა და ქანინის დიდი ბურჭები გვედგა, ერთი ეკალიბტი და ერთი — პატარა ფიჭვი დღე ყოველთვის შეუმჩნევლად გადიოდა და საღამო მუდამ მოულოდნელი იყო. გაუთავებლად დავცქეროდი მიწაზე მოფუსფუსე ჭიანჭველებს, ჭიამაიებს, ქვიშის ნამცეცებივით ციკუნა წითელ ობობებს, ქინძისთავით ნახვტელზე წამოსკულებულ სისხლის წვეთს რომ წააგავდნენ, გოგრის თესლებივით ბრტყელ, აგურისფერ ჭიებს, ზურგზე შავი ჯვრები რომ ეხატათ... დავჩერებოდი ამ ნამცეცა, ფუსფუსა სამყაროს, ისე პატარა მწერებს და ჭია-ლუას. ნემსის წვერზე რომ დავეტოვდნენ და ბალახის ღერები მუხებად ეჩვენებოდათ ალბათ, ვუყურებდი, არ მწყინდებოდა და უკვე იმდენი რამ ვიცოდი მათზე... ვიცოდი მათი ჩვევები, ცხოვრების წესები... თუ მათი ყურებით თვალები დამელღებოდა, ბალახზე ვწევბოდი და ღრუბლებს ვაშტერდებოდი. მოიგრაგნებოდნენ მთაგრეხილები, ქალაქები და გოლიათები და ცამტკვრდებოდნენ, იფანტებოდნენ ხელებამდელი, თავებამდელი რაღაც ლაქებად... ის შუა სამყარო კი, რაც ბალახსა და ღრუბლებს შორის იყო, ადამიანებიანად, რატომღაც ნისლში რჩებოდა ჩემთვის.

ერთხელ მამაჩემი ავად გახდა და საწოლიდან ვეღარ წამოდგა. თავით ვეჭვქი და დაწვრილებით ვუამბობდი რა ხდებოდა, მიწაზე, ბალახის ძირში, შეუმჩნეველ, არადჩაგდებულ სამყაროში, რომელსაც ყველა ფეხით თელავდა, აპარტახებდა: არადა, გვარტომები ცხოვრობდნენ იქაც, მთელი ოჯახები და სამეფოები. თავიანთი დედოფლებითა და წინამძღოლობით. იქაც თავს დაჰკანკალებდნენ შვილებს, და უსამველოდ წვალობდნენ დედები, იქაც იცოდნენ წესრიგი, ომი და თავგამწირვა და შიში, შიში მეფობდა იქაც, შიში აწრიალებდა და აფუთფუთებდა მათ სამეფოებს, არავინ იცოდა რა იყო სიმშვილე და ამით ჰგავდნენ ადამიანებს.

ზრუნვით და შიშით, მუდმივ შიშით საფრთხის წინაშე.

მამაჩემი თვალებგაფართოებული მისმენდა, ხშირად რაღაცას მეკითხებოდა, მერე ისევ იტრუნებოდა და ბოლოს, როცა გავჩუმდი, თქვა: „აი, თურმე როგორ მარტო ხარ“. ცამეტი წელი მისრულდებოდა.

როცა გამოკეთდა და გამოშუშდა, მითხრა, რომ საღდაც ერთად უნდა წავსულიყავით.

ჩემად მივუყვებოდით ზღვის ნაპირს. ალაგ-ალაგ დიდ ქვებს ამოყვით თავი ქვიშიდან. მთელი სანაპირო გამორიყული, დაკრუნჩხული შავი ტოტებითა და აძენძილი რაღაც ფესვებით მოფენილიყო. ზღვას ალარაფერი სჭრადა, ისევენბდა, მოდუნებული, ხმელეთთან ოდნავ თუ აეკეცებოდა ხოლმე მიმოკლავილი ქაფის მაქმანი და მაშინ ნაზი ტყლაშუნი ისმოდა, თითქოს დიდმა თევზმა კული დაჰკრა წყლის ზედაპირსო...

„არ მიყვარს ზღვა, ზღვისპირეთი, ვერ შევიყვარე — ამბობდა მამა — აქ მიწაც წყალგამჭდარია, რბილი, ფხვიერი, ვერ დაეყრდნობი, აგრე გგონია, ფეხქვეშ ჩაეშლება, ჰაერი — სულ სველი, ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ძვლები კი არა წყლის მილები მედგას ტანში. ყველგან ნესტია, სულ მაგრიალებს. აქ ვერაფერს ვერ დაეყრდნობი, ყველაფერი სველია, მოძრაობს, თითქოს იშლება... ყოველივე ზღვას ბაძავს, ზღვასა ჰგავს... ადამიანებიც. მიიტკევიან — მოიტკევიან, გისხტებიან. ჩემს სოფელში კი მიწა ცხელია, მკვრივი, მაგარი... სითბო ამოსდის, მშრალი სითბო. ალაგ-ალაგ ქვაში გადადის, ის მიწა, ქვავდება, და ქვის ბორცვები და კუხები უჩნდება... ადვილად არაფერს გაძლევს, უნდა ჩაეწურო, მაგრამ სანდოა, დაყრდნობა შეიძლება... ააგე, რამდენიც გინდა საყდრები და კოშკები და სამრეკლოები. ატარებს, მკვიდრად... იქ მიწა დგას. მაგრად. ჭიუტად, ფეხებქვეშ არ გეცლავ“

ბა. ჰაერიც მშრალია, უვნებლად მშრალი, კარგი.

ჩვენი სოფელი ფერდზეა შეფენილი, ერთხელ ხომ იყავი, ვახსოვს? თუ არა, ალბათ არ ვახსოვდება. ფერდის თავზე, სულ მაღლა, ეკლესია გვედგა, ღვთისმშობლისა, პატარძალას ეძახდა ხალხი. თეთრი ეკლესია იყო, ნარნარი, გუმბათქვეშ თორმეტი ვიწრო და გრძელი სარკმელი ჰქონდა დატანებული და იმ სარკმელებშიორის კედელს ჩუქურთმები დაუყვებოდა, განა ერთნაირი, სულ სხვადასხვა მოხაზულობის... ზოგან მტევნები ამოეკვეთათ, ზოგან კიდევ ვარსკვლავები... ეკლესიის ირგვლივ სასაფლაო იყო. ჩვენი სოფლისა, სასაფლაოს ქვემოთ ღელე თუ რუ მიწაწკარუბდა და იმას ქვემოდან სახლები იწყებოდა. პირველ სახლში სასაფლაოსა და სოფელშია დედაჩემის მამა — ჩვენი სოფლის მღვდელი ცხოვრობდა. ჩემი ახალგაზრდა ბიძა კი, დედაჩემის მომღვწეო, მნათე იყო. ღვთის მონააო, ბიძაჩემზე ამბობდნენ ხალხში, უყვარდათ, მაგრამ რაღაცნაირად ერიდებოდნენ. მარტოს ხეტიალი უყვარდა დღითა და ღამით, დამინახავს, თავისთვის რომ ილიმებოდა, თავისთვის ხმადაბლა ლაპარაკობდა და წყნარად, კეთილად ჩაიციებდა ხოლმე.

პაპაჩემი კი ხის რიკულებიან აივანზე მინახავს ხშირად. ეს აივანი ორსართულიან აგურის სახლს გარშემო ერტყა. და იქიდან მთელი სოფელიც მოსჩანდა ქვემოთ და ჩვენი საყდარსაფლავებიანი გორაკიც. ამ სახლში ხშირად ვიყავი და ზოგჯერ, მთვარიან ღამით რომ გამღვიძებია და ფანჯრიდან გამიხედავს, აივანზე პაპაჩემისთვის მომიკრავს თვალი. იდგა მოაჯირთან გულზე ხელეზემწეებებული, დიდხანს იდგა ასე მდუმარედ და მერე მშვიდი და ფართო მოძრაობით პირჯვარს გადასწერდა ხოლმე მძინარე სოფელს, მერე გვერდზე შებრუნდებოდა და ახლა ეკლესია-სასაფლაოსკენ ამოჰკვეთდა ჯვარს ღამის ჰაერში.

დედაჩემს, ელენე, დუნედ, რბილად დაწილი თმა ხან გვერდზე გვეწვდებოდა, ხან ახვეული ჰქონდა და მთელი სხეული კისერს უჩენდა. ყველას და ყველაფერს ეფერებოდა ირგვლივ: ხელს, შეავლებდა, რაღაც საალერსოს ეუბნებოდა: მზეზე გარუჯულ, ფეხებდატყავებულ გოგო-ბიჭებს, სოფლის მოხუცებს, სოფლის ნახირს, კენჭებს ჩვენს ორიობეში, საფლავის ლოდებსა და სასაფლაოს ბაღებს. პირჯვარს რომ იწერდა და ლოცულობდა, სხვებივით დაძაბული და შეშინებული კი არ იყო, არა, სიხარული ედგა თვალებში, თითქო საყვარელ სიმღერას მღეროდა ძველ მეგობართან ერთად, ვისთანაც ხმა ჰქონდა შეწყობილი, შეთანხმებული... ეზოში შემომავალ მამაჩემს რომ მოჰკრავდა თვალს, რა საქმეც არ უნდა ეკეთებინა, ხელს შეუშვებდა და კიბეზე ჩაფრინდებოდა. მერე უეცრად შედგებოდა და თითქოს სასწაულს რასმე ხედავსო, მიაჩერდებოდა: გაკვირვებულად ბედნიერი. მეც ეგრე მიცქერდა ხოლმე: ჩემს სახეს ხელეში მოიჭკეცდა და თითქოს სასწაულს რასმე შეესწორო, ჩამცქეროდა: განცვიფრებულად გახარებული. ეგეთი ყურება ჩემს ცხოვრებაში აღარ მინახავს და არც ეგეთი ღვთის მაღლიერი, უცნაურად გაოცებული აღამიანი, დედამთილი აუბუზღუნდებოდა ხოლმე, დიდდედაჩემი, სად გაგონილა, ქმარს დღისით, მზისით ეგრე საქვეყნოდ რომ შეჰფოფინებო. მაგრამ დედაჩემი ისე გაიციინებდა... და ამოკუზულ მხრებზე ხელს მოჰხვევდა და მიმკნარ ლოყაზე ხმა მაღლა აკოცებდა და ისიც ჩუმად ჩაილიმებდა უკბილო პირში ჩადრეკილი ტუჩებით და რძალი რომ გაეცლებოდა, ფარული სიამაყით დაადევნებდა ხოლმე თვალს: იმისი მაღალი ტანის რხევას...

ერთხელაც, მაშინ ათი წლისა ვიქნებოდი, ვილაც ქალი შემოვიდა ეზოში და ეჭვსიოდე წლის გამხდარი, ფერმკრთალი ბიჭი შემოიყოლა. ბიჭი ხელჩაკიდებული მისდევდა დედამისს,

თვალეზს ცნობისმოყვარედ აცეცებდა, მე რომ დამინახა, უხერხულად გამოიღიმა და კისერმოღრეცილმა განაგრძო გზა ჩვენი სახლისკენ. კიბეზე ავიდნენ.

დედაჩემი გამოეგებათ, შევატყვევ, სტუმრებს არ იცნობდა. ქალები შინ შევიდნენ, ბიჭი აივანზე დარჩა. მინდოდა ხელი დამეჭნია: ჩამოდი, ვითამაშოთ მეთქი, მაგრამ შემრცხვა, ხეზე ავძვერი, კენჭებით ჯიბედატენილი და იქედან კენჭების სროლა დავიწყე. როცა დედა-შვილმა ისევ გადაიარა ეზო, ბიჭმა ისევ შემომიღიმა და ისევ კისერმოღრეცილი გავიდა ჭიშკრიდან.

დედაჩემი კი მთელი დღე აღარ გამოჩენილა. ნასამხრევს მასთან შევედი და ველარ ვიცანი: მიყურებდა, მაგრამ ველარ მხედავდა. თვალეზი ჩავარდნოდა და სახეზე მიტკლისფერი გადაჰყენოდა. მერე აჩურჩულდა: „არაფერი არ ეტყობოდა, მთელი ეს ხანი სულ არაფერიო... ღმერთო, ეს რანაირად შეიძლებოდა... ვიხსენე, ვიხსენე და ვერაფერი გავიხსენე ნიშანდობლივით. სხვაც ჰყვარებია... — გაოგნებულმა ჩამარცვლა ეს სიტყვა, ჩაცრა — და ვერაფერს მივხვდი... მე სხვანაირი ქალი ვიყავი — „ვიყავი“ და გული გამეყინა — მე უნდა მეგრძნო... თუ არ ვუყვარდი, ხომ საშინელებაა და თუ ვუყვარდი, კიდევ უფრო საშინელებაა და ხომ გჭერა—თვალეზში შემომხედა, არა როგორც ბავშვს, არამედ როგორც ერთადერთ შემსწრესა და გამკითხავს — ხომ გჭერა, რომ არაფერი ეტყობოდა, კი არ შევკუბებივარ! — ვერაფერს მივხვდი, გესმის ეს რას ნიშნავს? — მერე სახე ახლოს მომიტანა და უფრო ხმადაბლა დაიჩურჩულა: მრცხვენია. სახეში ვერ შევხედავ. არ შემიძლია, ვერ შევხვდებიო“.

აზრით ვერაფერს მივხვდი რას მეუბნებოდა: ან რისი რცხვენოდა, ან რა ვერ აეტანა, მაგრამ რომ რაღაც საშინელება დასტყდომოდა თავს, უპქველი იყო და მოკვებვიე. ტირილი დავიწყე. უცბად გამოერკვა, თვითონაც მომეხვია. განწირულად მწუხარე, ისეთი

სახით, ამ მოხვევების მიტკისფერად რომ ვერ მპირდებოდა. მერე ზღადაც ძნელი და უცნაური ფიქრით შეპყრობილმა გამომიშვა. ცოტა ხანში თვითონაც გამოჩნდა კიბეზე, პატარა კალათი აიღო და ჭიშკრისკენ გაემართა. დედა-მთილის შეკითხვაზე მალე მოვალე — უპასუხა და ეზოდან გავიდა. მართლაც მალე დაბრუნდა ოქრომხალათი საცხე კალათით. შვინდისფერი კაბა ეცვა.

მეორე დღეს, მამაჩემი რომ შემოვიდა ეზოში და დედაჩემი არ შეეგება და თან აღმოჩნდა, რომ თუმცა უკვე მოდღევებული იყო, თვალი ჯერ არავის მოგვეკრა... შეერთა, გაფითრდა, სწრაფი, წამიერი მხერა მესროლა, სისხლიანი ხოხბები ძირს დაყარა, თოფი მოაჯიბზე მიაყუდა და კიბეზე ავარდა. მეც მიყვევი, მამაჩემი ტანადი, ძალ-ღონით საცხე კაცი იყო, ადვილად შეამტვრია ჩარახული კარი... და მე დავინახე, რომ დედაჩემს ტუჩები და ხელები პატარა ბავშვივით წითლად მოთხუბნოდა და მთლად მიტკლისფერი ძირს ხალიჩაზე იწვა ხელებგაშლილი, თითქოს ჰაერში ფრინავდა და ძირს ჩამოვარდო... თმა და შლოდა, გვერდზე მიტკეოდა და ოქრომხალაც ხალიჩაზე მოშანშულელიყო, მის თმას შერეოდა, თითქოს ზედ ასხიაო. ხოლო ცარიელი კალათის პირზე ძალ-ყურძენას შავად წითელი ყუნწულა ეკიდა, წინა საღამოს სასაფლაოზე მოკრეფილი და კალათის ძირში ჩამალული.

გვიან გავიგე, ის ქალი მამაჩემის საყვარელი ყოფილიყო და დედაჩემისთვის ეთქვა, მე და შენი ქმარი ექვსი წელია ერთადა ვართ, ერთმანეთი გვიყვარს, უერთმანეთოდ ვერა ვძლებთ, ეს ბიჭიც იმისგანა მყავსო. მერე კი, დედაჩემის სიკვდილი რომ გაეგო, მერე ეთქვა, ცოლი ძალიან უყვარდა, მაგრამ მეუბნებოდა, შენც მინდიხარ, შენცა მპირდებიო. ვეჭვიანობდი, მინდოდა, გამეშწარებინა, მე რა ვიცოდი, ის უბედური დღისა თუ ამას მოიმოქმედებდაო. სხვა სოფლიდან იყო ის

ქალი. იმისი პატარა, გაცრეცილი ბიჭი სახაღმა იმსხვერპლა ორი წლის შემდეგ.

დედაჩემზე მზე ამოსდიოდა ახლო-მახლო ყველას. მახსოვს, ავლა-ჩაულა-ში როგორ შემოსძახებდნენ ხოლმე კიშკრიდან ხნიერი დედაკაცები: „სადა ხარ, სოფლის ვარსკვლავოო!“ და სოფელმა მამაჩემი შეიძულა. პირს აღარაინ უჩვენებდა. მე კი რამდენიმეჯერ მოგჯარი ყური, მთვრალი თავისთვის რომ ლაპარაკობდა: „რა სულელი ყოფილა, რა სულელი ყოფილა ეს ჩემი ცოდვით სავსეო... იმ ქალის გულისთვის როგორ მოიკლა თავიო“ — „იმ ქალის“ ხსენებაზე მწარედ და გესლიანად ჩაიცივებდა ხოლმე, — გაგიყეობამდე მიდიოდა გაუგებრობისაგან, ხელებსა შლიდა სახესთან ახლოს — „იმ ქალის გულისთვისო! შეიძლება გიყი იყო, სულ თავიდანვე და ვერას ვამჩნევდი! ალბათ გიყი იყო, თან დაუნდობელიო“ — გულწრფელად გაოგნებული ჩანდა, და დედაჩემზე გაბრაზებული, უსამართლოდ მისგან დასჯილი. მერე კი წავიდა ჩვენი სოფლიდან. მამაჩემის დედა, ელენე, არცა ჩიოდა, არცა ტიროდა, დილიდან საღამომდე ხელუბაპრობილი სწყველიდა „იმ ქალს“.

მე პაპაჩემთან გადავსახლდი.

კიდევ ერთი სურათი მიდგას თვალწინ. ერთხელ, ექვსიოდე წლისა, ჩვენ სახლს უკან დიდი, მსხმოიარე შავი თუთისკენ ბილიკს მივუყვებოდი... დედაჩემი და მამაჩემი დავინახე. დაბუნძლული, შავად მბზინავი თუთის ქვეშ იდგნენ, და ერთმანეთს სახეში შესუქროდნენ... მერე მამაჩემმა რაღაც უთხრა, დედამ საფეთქელზე დაუსვა ხელი. მამაჩემის ხელიც უცხად დედაჩემის წელზე გაჩნდა. ვაოგნების, სიოცხვილისა და ეჭვიანობის რაღაც შწარე, უცნობმა განცდამ შემიბურო: ადგილზე გავშეშდი და ტირილი მომინდა. უცებ დედაჩემმა მოიხედა, ხმამალლა გაიციინა, გამოიქცა და ხელში მიიყვანა... ჩემი თავი მამაჩემს ჩაუხუ-

ტა, ერთად მოგვხვია მერე ხელები და ხან მე მკოცნიდა, ხან ჩემს უხეობით ამოვისუნთქე და სიკვლამს სიკვლამს ყე. სამივენი ვიცივნოდით. როცა მინდა, სიხარული გავიხსენო, რას ერქვა და როგორი იყო, სულ ეს სურათი მიდგება თვალიწინ“.

სახეზე სუსტი ღიმილი გადაეფინა. ამოიოხრა. სულ უფო ახლოს მიდიოდა ზღვასთან. უკვე სველ შლამში მივაბიჭებდით. ზოგჯერ შეჩერდებოდა, განზე გადადგებოდა და საკუთარ ნატერფალს ამტერდებოდა. და ისევ მივდიოდით. მივდიოდით და მიამბობდა.

„პაპაჩემმა წესი არ დაარღვია და დედა, როგორც თავის მკვლელი, წესის აუგებლად, უეჭრთებლად და შეუნდობლად სასაფლაოს გარეთ დაკრძალეს. მე და ბიძაჩემი ღამით ხშირად ავსულვართ სამარეკლოზე... და იქიდან კარგად მოსჩანდა თეთრ იასამნებში მიმოწოლილი საფლავის ლოდები და დედაჩემის გარიყული საფლავი ძალეყურძნებს შორის... თუ მთვარიანი ღამე იყო, მაშინ ხომ სულ თეთრ-ყვითლად ქათქათებდა ჩვენი სასაფლაო.“

პაპაჩემი დღისით წირვა-ლოცვას უნდებოდა, განათლვას, ჯვრისწერასა თუ წესის აგებას, გვიან საღამოს თავის ქალიშვილს ჩასტიროდა ჩუმიად, მალულად: მამატიე, აქ რომ ეგრე მარტო დაგაგდეო. შუალამისას კი აივანზე იდგა, გულზე ხელებშეწებებული და პირჯვარს სწერდა: ქვემოთ, ძილში წასულ სოფელსა და ზემოთ — ამ სოფლიდან სამუდამო ძილში წასულბს, ჩვენს ხეებს, წყაროსა და სახლებს. საერთოდ, დედაჩემის გვარში კაცები ღვთის მსახურები იყვნენ მეტწილად.

ხუთი წლის შემდეგ პაპაჩემი გარდაიცვალა.

დავრჩით მე და ბიძაჩემი მარტო. სოფელს მღვდელი აღარ ჰყავდა და წირვა-ლოცვა დროებით შეწყდა. ბიძაჩემი, მანამდე ხომ მნათე იყო, ახლა მღვდლად უნდა ეკურთხებინათ... მთელი დღე ერთად ვიყავით. ტყიდან მუხის ნერგი წამოვიღეთ და ეკლესიის

გვერდით ჩაგრვით. დიდ, ძველ მუხას ფულურო გაუჩნდა, და ეს რომ წაიქცეს აქაურობა სულ მოშიშვლდება, ეგებ სანამ ეგ ჩაიშობლებს, ეს ახალი წამოეწიოსო, ბიძაჩემმა. ცოდოა საყდარი, გვერდით ერთი ხე მაინც თუ არა ჰყავსო. ეკლესიას თვითონ უვლიდა. დიდხანს და აუჩქარებლად სწმენდდა ხატებს, ჩარჩოებს, სასაკმეველებს... უპატრონო საფლავების მიხედვაც იცოდა. ლოლოსა და ნარ-ეკალს უთიბავდა, ხავსსა და გახეხეშებულ სუროს აცლიდა. სოფელს თუ სალოცავი და სასაფლაო გაუვერანდა, ის რაღა სოფელია, ცოცხლად დამარხულა და ეგ არისო. — ამბობდა. ტყეშიც გვიყვარდა ხეტიალი. მელიებისა და კურდღლების სოროებს მაჩვენებდა. და მე უსაზღვროდ განვცვიფრდი, როცა დავინახე, რომ ბიძაჩემს ზოგი ნადირი მიჩვეული ჰყოლოდა. ერთ მელას დავუძახა, რალაცნაირად, ჩუმაღ დაუსტვინა და ისიც გამოკუნცულდა სოროდან, ცოცხალი, ცნობისმოყვარე თვლები მიჩხვლიტა და ბიძაჩემმა რომ უთხრა, მოდი ნუ გეშინიასო, მართლა მოვიდა. პატარა მელაკუდებიც გამოლაგდნენ სოროდან და შშვიდად გვიცქერდნენ. იმან საკმეელი რალაც დაუდო ძირს და წავედით. მერე დედა ციყვი გამაცნო, ოჯახიანად. ხის ასაკის გამოცნობა მასწავლა, ვარსკვლავებით გზის გაგნება, ჩიტოვით სტეენა და სალამურის გამოთლა...

იმ დღეს კი ეკლესიის გვერდით იმ ძველი, უზარმაზარი მუხის ამოყრილ-ამოყოყრილ ზედქვეულ ფესვებზე ვიდამქით და სოფელს ჩავცქეროდით. გული ამოვარდნაზე მქონდა...

„არა, ეგ არ მოხდება, ღმერთი გვიხსნისო“ — დაიჩურჩულა ბიძაჩემმა და ჭერჭერობით მართლაც არავინ ჩანდა... მაგრამ მერე ამოეფინნენ, სასაფლაოს ფერღზე... ნელა მოუყვებოდნენ, გაიშალნენ საფლავებშორის, მოდიოდნენ: ჩვენი სოფლელები, უმეტესად ახალგაზრდობა. ხანდაზმულნიც ერივნენ და გოგო-ბიჭებიც მოსდევდნენ ბტუნ-

ვა-ბტუნვით. მოდიოდნენ უროვითობა და წერაქვებით და რამდენიმე წამოსანი. განსაკუთრებით ომახრანად მოხმანებდა და მოაბიჯებდა. ამოაღწიეს და ეკლესიის წინ შედგნენ. შეჩქვიფდნენ. ჩვენ თვალს გვარიღებდა ყველა და მე იმ თაოსანთა შორის თავზარდაცემულმა ხუთი წლის წინათ გადაკარგული მამაჩემი აღმოვაჩინე.

ეკლესიას მზე დახნათოდა და გუშბათს თეთრად ულაპლაპებდა... „ჰა, რალას უცდით! აბა! ჰე! — დაიძახა ერთ-ერთმა მეთაურმა, ტყავის ქურთუკში გამოწყობილმა. მაგრამ უეცრად ჩამოვარდნილი მოდუნება და უხერხულობა რომ ვერ გაჰფანტა, ერთ ცალთვალა ბიჭს ხელიდან ურო წაგლიჯა და ეკლესიასთან მიიბრინა. უყურებდნენ: ზოგი ლაზღანდარულად, ზოგი შემკრთალი, ზოგი ცნობისმოყვარედ, სხვანი — ალტაცებით და სხვანი კიდევ — დაღონებულნი. ორიოდ ხნიერი გლეხი თავჩალუნული, სახედალრეჯით იდგა. და გაისმა პირველი ზათქი... თეთრი, სქელი მტვერი ავარდა... კიდევ. ზოგი ნაძალადევედ გაყოჩაღდა, ზოგი — მართლა. მეთაურებმაც ისევ შეუძახეს და... დაიძრნენ ძალაყინებითა და წერაქვებით. ხათქა-ხუთქმა გააყრუა იქაურობა, მთელი სასაფლაო. გადმოეშვნილი კირქვა მტვრად აღიოდა და თანდათან ფარავდა ყველას...

ბიძაჩემს მიწისფერი დასდებოდა, გულზე ხელებგადაჭვარეღინებულო, ცხედარივით იდგა ჩემს გვერდით. ეკლესიის ზემოდან ვილაც კუზიანი დედაბერი გამოჩნდა. მოაკაკავებდა, მოქოშინებდა და ჩვენს შორიბლო ხელჯოხს ჩამოეყრდნო ორივე ხელით. შავი თავსაფრიდან თეთრ, მეჩხერ თმას სტაცებდა ქარი და ჰაერში უფრიალებდა.

მძიმე, ჭვრებამოკვეთილი ხის კარი ჩამოგლიჯეს, გამოათრიეს, მაგრამ ველარ შეაკავეს და კარი იჭვე, საფლავის ძველ, წარწერაშლილ ლოდს დაენარცხა...

— წყეულიმც იყავით უკუნიითი უკუ-

ნისამდე! — დახავებული, ხრინწხამდგარი ხმით დაიხავლა დედაბერმა და ჯობით ჰაერში დააკაუნა — ცოდვა თქვენი თქვენს შვილებზე და შვილთაშვილებზე!

ერთი-ორმა ყური მოჰკრა და ავად შემოთებულმა გახედა მაწყვევარს. — შეუნდე უფალო, არ უწყიან, რასა სჩადიან — მომესმა ბიძაჩემის ჩურჩული — შეუნდე უფალო. იესო, ძეო ღვთისაო, მაცხოვარო ჩვენო!

ცალთვალა ბიჭს შეებჯინენ და ისიც ყოჩაღად აფოფხდა ეკლესიის კედელზე... გუმბათის ძირში გაჩერდა... ერთი მამაჩემი იყო, ვინც ებჯინებოდა... გოგნებული ყურს ველარ ვუგდებდი ჩემი გულის კვნესასა და ტკივილს, რასაც მამაჩემის დანახვა იწვევდა... ისიც არ იყურებოდა ჩემკენ, თვალს გვირბიდებდა, მე და ბიძაჩემს. ბიჭს თოკი აუგდეს, იმან ყულფი გამოწასკვა და ჯვარს მოხერხებულად ესროლა: ორჯერ, სამჯერ. ბოლოს ჩამოაცვა, ჯვრის ძირთან ჩააგდო, თოკს ჩამოსწია, ყულფი შეიკრა და ბიჭი უფრო დაეჭიდა თოკს. „მიღი, მიღი, ჩვენი გაკეთებული კი არ არის, ადვილად მოსტერეს!“ — სიცილით ამხნევებდნენ ქვემოდან. მეორე მხრიდანაც აცოცებულებიო სახურაზე ორი კაცი, კიბე მიეყუდებიანთ კედელზე. ცალ-თვალას უძახოდნენ, მოგვიცადე, ერთად მოვაძროთო... ერთ-ერთმა ფეხი რალაც ველარ მოინაცვლა, გადმოქანდა და ლოდზე აყირავებულ მუხის კარს პირქვე დააწყდა. თავპირი გადაეგლიჯა და რომ მოიკუნტა, ველარ გაშალეს. წედანდელი სიყოჩად გაპქრობოდა და ახლა საცოდავად იხვეწებოდა წყალსა და დედას. ახლად ვიცანი, ჩემი ამხანაგი იყო, სამი-ოთხი წლით ჩემზე უფროსი, დედა არა ჰყავდა და სულ დედაჩემს დასდევდა ხოლმე კულში. პატარაობისას ერთად ვთამაშობდით და დედაჩემი ერთად გვაჰყვებდა პურს. მივირბინე და თავი ავუწყვიე. შემომხედა... ტიროდა, ორმა კაცმა სისხლიანი ბიჭი ხელში აიყვანა და თავქვე დაეშვა სოფლისაყენ.

ხალხი შედრკა. აღარ იძრობდა. ცალთვალას არაფერი გაუგებრდებოდა ისე იწვედა ჯვრისკენ. შემტყუარებულმა მეთაურმა დაიძახა: „აბა, მოდიო, ამისი პატრონი დედაო“ და ისევ შეესივნენ კარჩამოშწყდარ საყდარს. — წყუთლიმც იყავით უკუნითი უკუნისამდე, ცოდვა თქვენი თქვენ შვილებსა და შვილთაშვილებზე! ცოფი და სიგიჟე თქვენს გვარსა და ჯილას, დასჯამეთ და დახარით ერთმანეთი, ძაღლებივით დატყვირეთ მამამ-მამა და მამამ შვილი. — ხრინწიანი ხმა უწყდებოდა დედაბერს და ჯობსმართული ერთიანად ცახცახებდა ქარში.

— შეუნდე უფალო, არ იციან, რასა სჩადიან, შეუნდე უფალო იესო, მაცხოვარო ჩვენო, გზაკვალაბნეულთ! უფალო, უფალო იესო, ძეო ღვთისაო, მაცხოვარო ჩვენო! — გაძლიერდა ბიძაჩემის ჩურჩული.

ეკლესიას ბოლივით ასდიოდა მტკერი. მოსწყდა კართან დატანებული ერთი დიდი ლოდი და თავქვე დაგორდა: იქვე დაეჯახა საფლავის ქვას და გვერდზე მიღრიცა, მერე მეორეს მიეხეთქა, გადაქელა საფლავის ჯვრები, ერთგან ახლად ამოზურცულ, ფხვიერ მიწას გადაუარა, გადატკეპნა, მერე პატარა ლოდი, ჩვილების საფლავებზე რომ იცოდნენ, გვერდზე მიიგდო და სადღაც ქვემოთ შეჩერდა. გამოჩნდა ხანგრძლივად ქვისქვეშ გამოშწყდელული, მზისუნახავი მიწა: დატკეპნილი და დასვრტეილი, მზეზე ასავსავებული ვარდისფერი ჭიყვლებით და ძაფის-სიმსხო, თეთრი, სუსტი რალაც ფესვებით.

— წყუთლიმც იყავით უკუნითი უკუნისამდე. ცოფი და დელგმა თქვენს შვილებსა და...

ვილაც დაიხარა და რალაც ჯობი თუ გოროხი დედაბრისკენ გაისროლა. დედაბერმა აირიდა, მაგრამ წაიქცა. მიწიანი, ტუჩებდათეთქვილი სახე აიღო და: ცოდვა თქვენი შვილებზე და შვილთაშვილებზეო დაიძახა.

— მარიამ, წმიდათა უწმიდესო ოქროსა და სასაკმევლოო — ამღერდა ბიძაჩემი, მაგრამ რომ შევხედე, თვალები ამოვარდნაზე ჰქონდა. ხმაილა გალობდა და დედაბრის ხმას ფარავდა: — შენ გვეყვხარ მეოხად წინაშე ღვთისა... მოყავ ხელი შენი უძლეველი, ზღუდევ უბრძოლველო, ევედრე სოფლისა მეცხოვარსა, რათა ვედრებითა შენითა გვიხსნას ჩვენ, ქალწულო, ყოვლად უბიწოო, მოხედენ ერსა შეცოდებულსა, ყოვლად წმიდაო და აჩვენე მარადის ძლიერება შენი, ვედრებას ჩვენსას ნუ უგულველჰყოფ, ლელვათაგან და ჭირთაგან გვიხსენ ჩვენ, მხოლოდ კურთხეულო დედაო...

ისევ დაცვივდა ქვები გრუხუნით და საფლავის ჭერებსა და ლოდებს მისაკდა. უცბად დავინახე, რომ მამაჩემმა განზე გახტომა ველარ მოასწრო და დაგორებულმა ოთხკუთხა ლოდმა ტერფზე გადაუარა... ამ დროს ერთმა ჯმუხმა, ჯან-ლონიანმა გლუხმა, მანამდეც რომ პირქუშად იდგა ერთ ალავას, მუშტები ჰაერში აღმართა და დაიღრიალა: „გეყოფათ! გეყოფათ! ჩემი ბალის საფლავს არ დაეძგეროს ქვა, თორე, გამჩენის მადლმა!“ და წინ წაიწია. ერთი-ორი სხვაც ამოუდგა გვერდით: „გეყოფათ! საფლავებიდან ხო არ უნდა წამოჰყაროთ ხალხი!“ შეჩერდნენ. მე მამაჩემთან მიხდოდა მირბენა, მაგრამ ვილაკეები შემოხვეოდნენ. ტერფს უსინჯავდნენ სახედაღრეჯილს.

სიჩუმე ჩამოვარდა. მტვერი თანდათან გაიფანტა. მერე შებრუნდნენ და უბრად, ცალ-ცალკე დაეშვენ თავქვე...

მზე გადაიწვერა. მე და ბიძაჩემილა შევრჩით კარჩამოგლეჯილ, ჯვარმომცვრალ ეკლესიას. ის მუხლებზე დაეცა და სახეზე ხელები აიფარა. მე კი აღარ მახსოვს, როგორ დამიბნეულდა თვალი და თავი გამეტებით როგორ ვაძგერებებერ მუხას. ბიძაჩემი წამოვარდა და მკლავებში მომიმწყვდია. „შეჩერდიო“,

დამიყვირა. „რისთვის ბიძა, რისთვის?“ — ვეკითხებოდი მათთვის.

იმ დღის შემდეგ ბიძაჩემი სახლში ჩაიკეტა და გარეთ აღარ გამოდიოდა. ერთ მთვარიან ღამით კი ეზოში დავინახე: უცნაურად ხელებგაშლილი უბრაოდ იდგა და ნეტარად ილიმებოდა. სისხლი გამეყინა. მივედი, დაეუძახე. არ შერხეულა. შინ შევირბინე და ჩემი ყრუ-მუნჯი ძალო გამოვიყვანე. უყურა, უყურა: ცრემლები ჩამოსდინდა, პირჯვარი გადაიწერა, იმასაც გადასწერა, შინ შემიყვანა და ლოგინში ძალისძალათ ჩამაწვინა.

მერე ბიძაჩემი გადაიკარგა. დიდხანს ვეძებე და ტყეში ვიპოვე. ხელებაწვედილი ხეებშორის იდგა უბრაოდ. ხანდახან თითებს აატოკებდა, იშმუშნებოდა და წყნარად, კეთილად ჩაილიმებდა ხოლმე. ფეხებზე შემოვეხვიე, ეტროდი და შინ წამო, ბიძა, მე ხომ შენს მეტი აღარავინა მყავს მეთქი, ვეუბნებოდი. ჯერ არა და მერე ჩამომხედა, და რა ვაებით! ჩამომჩურჩულა, გამენდო: „მე ხე ვარო“. და კიდევ ცოტა ხნის შემდეგ, მალულად ახედა მალალ ხეებს და საიდუმლოდ, რათა იმათ არ გაეგონათ, გაწამებულად შემევედრა: „წადი. შინ წადიო“, ასწია თავი და თელებს და მუხებს გაუღიმა. სულ მარტო დავრჩი...

მამაჩემი შეჩერდა. სული მოითქვა: ჩამუხლა და ხელი ზღვაში დაისველა, საფეთქელზე მოისვა: აი, ეს მახსოვს, ელენე, ეს ყველაფერი, და მე მეგონა, თანდათან დამავიწყდებოდა და თანდათან უფრო მითრევს და მითრევს ჩემი ბავშვობა. ვფიქრობ და ვფიქრობ მამაჩემზე და დედაჩემზე, ბიძაჩემზე და პაპაჩემზე, ჩვენს საყდარსა და სასაფლაოზე და ამ ფიქრს ველარსად გავქცევოვარ. და მუშტავს ეს ფიქრი, მაგრამ ფქვილად კი არა, ნაცრად. თითქოს იმიტომ ვარ აქ, უნდა, რომ წარსულზე

ვიფქრო. მარტო წარსული მაქვს, სხვა აღარაფერი შემიძლია მქონდეს, მე წარსულსაც ვერ ავუღივარ... იმან ამომკამა და აწმყოსთვის ველარა ვრჩები... ნუთუ ჩემს ანაბარა მოხდა ამდენი რამ? ჩემს დასანახად? და სხვა არავინ არის დამნახავი და გამგები? ეს ამბები უფრო მახსოვს, იქედან რომ დავბრუნდი, მამაჩემის მოძებნა ვცადე და ვერსად ვიპოვე. მხოლოდ ამ ათი წლის წინათ ერთი ნაცნობის წყალობით მივაგენი: სურამის საცივეში. მივედი და მითხრეს: აი, ეს არისო. მოხუცი, ჩამოძინილი კაცო! იჭდა ეზოს კუთხეში და ძველი, მონჯილრეული საცრით ნაცარსა ცრიდა. სახენაიარევემა, ზორზობა ტანის მომვლელმა კაცმა საცერი ხელიდან წაგლიჯა და იმან ტირილი დაიწყო. «ესა აქვს აჩემებული, სხვას არაფერს აშავებსო — მითხრა შავმა მომვლელმა — მერე შიგა შარდავს, ნაცარში, ზილავს და კვერებს აცობს მზეზეო». — ზიზლით ჩაიციხა და გადააწიტა და ისევ მიუგდო ძველი საცერი. «მამავ»-მეთქი, ვუთხარი და მის წინა ჩავიშხლე. შემომხედა. მერე თავზარდაცემულმა სახეზე საცერი აიფარა და ღმუილი დაიწყო. მომვლელს ფული დავუბრუნე, შევემუდარე, არ ეცემა ხოლმე და წამოვედი.

ისევ გაჩუმდა. ფიქრმა წაიღო. თითებს უგრძნობელად ათამაშებდა წყალში. ვგრძნობდი, კიდევ ბევრი რამ მიაბო: უხმოდ. მერე, უცებ ამომხედა და თავისი მთავარი საიდუმლო გამანდო: «მე კაცი აღარა ვარ»-ო. ხელი ჩაიქნია: «ვერ დავრჩი კაცად. კიდევ ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რამაც გამტეხა. იცი? არის ისეთი ბოღმა, თუ ჩაყლაპე, კაცად ველარასოდეს ველარ ივარგებ, თუ ბედი გაქვს, ...ძალიან არ უნდა გაგსრისოს ცხოვრებამ, თუ ძალიან შეგდგა ფეხით და აიტანე... მოკლედ, არის შეურაცხყოფა, რომლის

ატანაც არ შეიძლება... ვიხსენებ და დაუხადო სამაგიერო და შენც იქვე მოკვდე, სულერთია, თუ შენც იქვე მინც ველარ ივარგებ...»

ისევ წაიღო ფიქრმა. «ღედაშენი კი ძალიან მიყვარდა, უასმინს მაგონებდა. ფერი აქვს ისეთი. მაგრამ — ხელისგული შლამს დააკირა, და როცა ტალღამ მისი ნახელისგულარი ჩარეცხა, ცოვად ჩაეცინა — აი, ეს არის დედაშენი: არაფერი ამ ქალში არ რჩება. არაფერი. სულერთია, ვისი ცოლი იქნებოდა, სულ ერთი. თითქოს წარსული არა აქვს, თითქოს უბავშვობოდ იცხოვრა. გახსენდება, რომ შავან როდესმე რაიმე მოიგონოს? არა, მოგონებები არ აწუხებენ. შენა გგონია, როცა ტირის, იტანჯება? არაა! ისე ტირის. თან დარწმუნებულია, რომ მტრალი უფრო ლამაზია. იცი, რომ ჩვენი ჩხუბით და აყალმაყალით მხოლოდ ერთობა? არ შეგინიშნავს? ერთი სული აქვს, როდის მოუყვება თავის მეგობრებს: რა უსამართლოდ იტანჯება. ერთობა. ისინიც უთანაგრძნობენ. რა საშინელებაა, როგორ უძლებ, რა მძიმე ბედი გქონიაო. ლაპარაკობენ. სულ ის მაწვალებს, ფიქრობს ეს ქალი საერთოდ, თუ არა? მე გგონი, არა. შავას ვერაფერს მოუყვები, არ ამახსოვრდება, არ აინტერესებს. ისე, მოგეფერება, გიმლერებს, გაგართობს, თუ წამოუარა რალაცამ, თავს შემოგვევლება, ვიდრე გადაუვლიდეს, ოღონდ, შენ თვითონ სულ არ აინტერესებ. ერთი ადამიანია, ელენე, მარტო იმან იცის ჩემი ცხოვრება. არ დაგამშვიდებს, არ გაგიადვილებს, არ გაგართობს — ცივია ისეთი, მაგრამ, გისმენს. გისმენს, და ესმის. არაფერს გეტყვის საწუგუშებელს, მაგრამ შეგეკითხება, ისეთ რასმე შეგეკითხება, რაც გინდა, რომ გკითხონ, ან, რაც შენც აღარ გახსოვს, არადა უნდა გახსოვდეს და კარგია, რომ გა-

გახსენეს... და იმის მეტთან ველარავეისთან ველარა ვიღებ... მაგრამ დედაშენი — უცბად მომიბრუნდა და გამწარებულად აღიარა: — თან ხომ მაკოფებს და ლამის მეზიზღება. არაფერი არ სწამს, არსად არაფერი არ ეგულება! მაგრამ არ შემიძლია. არ მინდოდეს, გესმის? ვერ დავტოვებ. მინდა, რომ ჩემი იყოს. მინდა, რომ მყავდეს, თუმცა როგორ უნდა იყოს ქვიშა ვინმისი? ან როგორ შეიძლება წყალი გყავდეს? მოეხვევი და მისბლტის, მიიღვრება! არ გრჩება! არ გაგიყოლებს! არ ამახსოვრდება! გესმის? მე კი მინდა! მინდა! რა მინდა? — უცებ ისევ მოტყდა — ვნება მაქვს მაგ ქალისადმი, სიყვარული კი არა, ვნება. ზოგჯერ მგონია, მტრობა და ბრახი მაკავშირებს მაგასთან, რომ ჩემი თავი ვერ დავამჩნიე — მამაჩემი სულ ჩაქრა, ჩაკვდა და გაჩუმდა. მერე მწარედ და ყრუდ ჩაიკინა: „გახსოვს, რა გითხრა? — ნიყარები ცარიელიაო?“.

მახსოვდა. რადგან ეს სიტყვები იმ გიტებილ ნიყარაზე უარესი იყო.

— ეჰ, რეებს გიყვები. მამატიე — ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია. — წავიდეთ.

წავედით. ძლივს მიმქონდა ქვასავით დამძიმებული გული.

რადაც ბილიკს აუყუევით. გზაზე გავედით. ცოტა ხანს კიდევ ვიარეთ და აი, მოვედითო, სოქვა მამაჩემმა.

პატარა, ბადეგაყრულ ჭიშკართან ვიდექით. შევალეთ. ჭიშკარსა და თეთრი აგურით ნაგები მომცრო სახლის კარს ვიწრო ბილიკი აერთებდა. და ეს ბილიკი პატარა, ბაღნარის გულში გადიოდა. მაგრამ რა უცნაური იყო იქაურობა! მხოლოდ თეთრი ყვავილები ხარობდნენ ირგვლივ. თეთრი პიონები, თეთრი ვარდები, თეთრი ზამბახები. თეთრი ქრიზანთემები და ჰორტენზიები. თითქოს ყინვით მოხატული ფანჯარა გაცოცხლებულიყო, 'ამობურცულ-დაბალლულიყო, სუნთქვა და მოძრაობა შეეძინა. არა, თითქოს თოვლი აეპენტა ვილაყას, მატყლივით,

და ჰაერში აშლილი ძირს ყვავილებად დაშვებულყო. ფოთლებად, შენელებულიყო და საცაა ისევ დაიშლებოდა. ეს გამოაგნებელი, შემაწუხებელი სითეთრე ალაგ-ალაგ სიყვითლეში გადადიოდა: ყვითელი ვარდები და ჭროლაგულიანი ყვითელი ზამბახები ერთბოლოდნენ შიგადაშიგ. ამ თეთრმა ყვავილნარმა უცნაურად შემაშფოთა და მომნუსხა, თითქოს ზამთრის ბალი იყო, სპეტაკი, საშინელი — სიკვდილის ტყვრი, სახლის კარი გაიღო და მაღალი, წელში გამართული, თეთრკაბიანი ქალი გამოვიდა. მოგვიახლოვდა თუ არა, მაშინვე მისი არაჩვეულებრივი სიფერმკრთალებეცა თვალში. ჩვენს წინ შეჩერდა და მამაჩემს მისალმების ნაცვლად ჰკითხა: „მოიყვანე?“ — და მე მომაჩერდა. თითქმის გამჭვირვალე სახის კანზე ცისფერი ძარღვები შემაწუხებულად მკვეთრად ემჩნეოდა და მის მოლურჯო თვლებზე გავიფიქრე, თოვლის ალყაში მოქცეული ტბებია მეთქი, ხახვისფურცლოვით თხელი, ფერმკრთალი, მშრალი ტუჩები ჰქონდა. მამაჩემმა ჩემსკენ ამოიოხრა: „გაიცანი მამიდა, მამიდა არა? — დაიწა და მასპინძელს შეხედა — ჰო, მამიდა მთვარისაა.“ შემდეგ დასძინა, რომ გზა უკვე ვიცოდით, როცა მომინდებოდა, ყოველთვის შემემძლო აქ მოსვლა და წაქადა.

ვრცელი ოთახი, სადაც პირველად შევბაჩეთ. ძაფებით აღმოჩნდა დაქსელილი. ფერად-ფერადი, თმის ღერივით წვრილი ძაფები ოთახის ყველა კუთხეში გაებ-გამოებათ. ოთახის გულია იყო დაუქსელავი. და იქ, ჭადის ქვეშ, მრგვალ მაგიდაზე უწვრილესი ნემსებით ზღარბადქცეული პატარა ბალიშები შევნიშნე. თარგები, მაყრატლები და ყარსნალები. და მთელს ოთახში დიდ-პატარა, მრგვალ თუ ოთხკუთხედ ქარგებზე გადაჭიმულ სიფრიფანა ქსოვილებს ვხედავდი ყველგან. ხოლო როცა მასპინძელმა თავისი ნაქარგი ქსოვილები გადამიშალა — სუფრები, ტილოები, აბაყურები, საწოლზე გადასაფარებლები — საბო-

ლოოდ შემეკრა სუნთქვა. თავბრუ დამეხვია და მეტისმეტი გაოგნებისაგან რაღაც უცნაურმა დაღლილობამ შემიპყრო.

ნაქარგები მანამდეც მენახა: ჩვენთან სახლში, დედაჩემის კუთხებში მოქარგული სუფრები თუ ხელსახოცები, სხვასთანაც — დედაჩემის მეგობრებთან. მაგრამ ეს, რასაც ახლა დავჩერებოდი, ადამიანის ხელით შექმნილს არ ჰგავდა. ჭერ ერთი, არ ჰგავდა ნაქარგს და ერთი შეხედვით ნახატი გეგონებოდა. მაგრამ გაბნეულა ის, რომ: ეს ნაყოფები, ტოტები, ჩიტები, ხავსი. ტბა, ნიყარა თუ პორიზონტი — ყველაფერი, რაც ამ შემაშინებელ ქალს თავზარდამცემი, გამანადგურებელი გულმოდგინებით ამოქარგა — ყოველგვარ ნახატზე უფრო ცოცხალი, თბილი და შთამბეჭდავი იყო: ჩიტებს თითქოს ყელი უთრთოდათ, დანაწევმარ ფოთლებს უკანასკნელი წვიმის წვეთი ეკრძათ ეუწუწოებიან კიდებზე... წყალი კი ისე ნამდვილად კრიალებდა და ლაპლაპებდა მთვარის ქვეშ, პატარა, შემალღებული კონცხის ნაპირთან...

— წყალი რითი გაქვთ ამოქარგული? — გავბედი.

— გეტყვი. მერე. იცი, არა?, რომ წყლის ამოქარგვა თითქმის შეუძლებლად ითვლება! — ოდნავ გაელიმა. ოთახში მიმოვდიოდით.

— რა არის ქსოვილი? — იკითხა ჩემად და შთაგონებულად — ერთმანეთზე გადაჯვარდინებული მილიონობით ძაფი! ძაფის უთვალავი, უჩინარი ჯვარდინი. აურაცხელი უჭრედი, აურაცხელი — როგორც ქვიშისა და თოვლის ნამცეცები! დააკვირდი. ზომ ხედავ ამ ჭვრებს? ამ ციკქნა უჭრედებს? და ელენე, სადაც ერთ ძაფს უნდა ამოუყარო ნემსის წვერი და მის ქვეშ სხვა, სხვაფერის ძაფი გაასრილო, იქ არასოდეს უნდა მიგიყვეს ორი! თუ მიგიყვება, ერთი ისევ გაუშვი. თუ ერთხელ მაინც გიმტყუნებს ნერვები, გესმის? ნერვები!

და ერთი ძაფის მაგივრად ორს ამოუყარი ნემსის წვერს, — აუკუყუჭედე? — იქ, სადაც მხოლოდ ერთი ნემსი ნამდვილი მქარავი ვერასოდეს ველარ გახდები! და ნელ-ნელა უნდა დაფარო ათასობით ძლივს შესამჩნევი, ციკქნა უჭრედი, ძაფების უხილავი ჭვრებ-ნამცეცები, ქსოვილის მისხალ-მისხლები... — მონუსხული ლაპარაკობდა, თითქოს ველარ მხედავდა. — ზოგჯერ აი, ჭიამიას ხელა ოთხკუთხედს უნდა გადაატარო ძაფი, გადააფარო, და ამოავსო... ეს ადვილია. მაგრამ ხშირად, ძალიან ხშირად, ჭიანჭველას თავის ან თვალის ხელა ნამცეცს უნდა დაასვა ძაფის წერტილი და ასეთი ცალკეული, ასობით წერტილით დაფარო ერთი მტკაველი თეთრი ტილო, ან — აქ უცნაურად გაელიმა, ხმას დაუწია — მთელი ქსოვილი — და მკლავები ბოლომდე გაშალა. — რა გინდ დიდ ქსოვილსაც არ უნდა ქარგავდე, მუდამ გახსოვდეს, რომ ის უთვალავი ნამცეცის, ჯვარდინის, უჭრედისაგან შედგება და შენ ამ უხილავ უჭრედებთან გაქვს საქმე... ერთი კუთხიდან მეორემდე გადააელებ ძაფს, ნელა, ნელა, აუქარებლად: ამოავსებ და განა ერთი, არა, უმეტესად რამდენიმე, ერთმანეთის ახლობელი, ერთმანეთთან დაზავებული ფერის ძაფით. არასოდეს გამოტოვო რომელიმე ეს ოთხკუთხედი, ისე უაზროდ, არ გამოტოვო, არ ასწრაფდე და ერთის მაგიერ ნემსის წვერი ორ ძაფს ერთად არ ამოუყარო“.

უცებ გაიუმბა და მკითხა: „გინდა ისწავლო?“ — თავისი, თოვლში მოქცეული ლურჯი ტბები შემომამღვარა. ახლა აღარ მივიკრდა მისი თავზარდამცემი სითეთრე. ამ ქალის სისხლი წვრილ, ფერად ძაფებსა და ამ ძაფებით დაწნულ მხელ ქვეყნიერებას შეესრუტა. ალბათ. თვითონ კი მითხრა: „სისხლნაკლულობა მჭირს. და ველარ ვიტან მკვეთრ ფერებს ვარეთ. ტივილს მაყენებს, თითქოს თვალებსა და კანს მიჭრის, ფერადი — მხოლოდ ძაფები შემიძლია მიყვარდეს“. ამ დროს

შევნიშნე, რომ მამიდას მარჯვენა ხელის სამი თითი — ცერი, შუა და საჩვენებელი — თითქოს დადნობოდა, მათი ერთმანეთისკენ მიქცეული მხარეები გალუულიყო და ზედ ნემსის ჩაღრმავებული, წერილი, აწ სამუდამოდ წარუშლელი კვალი აჩნდა. გამაყრიალა.

— რისთვის გინდათ ეს ნაქარგები? — ვკითხე, რომ ამომესუნთქა.

— ჯერ ჩემთვის. მერე ვნახოთ. თავის გზას მონახავს. გინდა ისწავლო? — ისევე მკითხა და რომ შევხედე, ტყვილიანი თანაგრძნობა ედგა თვალებში, — მაგრამ იცოდე, ისე ჩაგითრევს, როგორც ჭაობი. გინდა? — და მომეჩვენა თუ „არას“ ვეტყვოდი, შევებით ამოისუნთქებდა. ისევე შემეშინდა და მით უფრო მტკიცედ ვუთხარი:

— გინდა.

სალამოს შინ რომ მივედი, მამაჩემის ყვირილი მომესმა და რალაცის გატეხვის ხმა. ძალაგამოცლილმა ჩემს პატარა ოთახს მივაშურე. დიდი ნიჟარა იქვე იდო, სკამზე, სასთუმალთან. ლოგინში ჩაწეკი, თავზე საბანი წაიფიფარე და ღმერთს შევეხვეწე, წავეყვანე ამ ქვეყნიდან, ამ სახლიდან, ამ ქალაქიდან, რომ აღარ დამენახა, როგორ ტიროდა დედა და როგორ კაწრავდა ცხოვრებას მამაჩემი.

ამის შემდეგ მამა თითქმის აღარ მიენახავს ფხიზელი. ერთმანეთს უკვე იშვიათად ვხვდებოდით. ჩემი ფანჯრიდან გავყურებდი ხოლმე სახლიდან მიმავალს. და როგორც კი შინ ფეხს შემოდგამდა, თუ ძალიან გვიან არ იყო, მამიდაჩემთან გავრბოდი. ორმოც წუთში უკვე იქ ვიყავი, სწრაფი ნაბიჯით თუკი ვივლიდი. მივიჩქაროდი და მრცხვენოდა, რომ გავრბოდი მათგან, მარტო ვტოვებდი ერთმანეთთან, ორს — რალაც აუხსნელ, უსაშველო ზღართში ვაბმულეებს, რომ მიზაროდა გარეთ გასვლა და მათი ხმის აღარ გავონება...

— რატომ აქამდე არ მომიყვანა მამამ?

ან რატომ არაფერს ამბობდა თქვენზე? — ვკითხე მამიდას. *ეროვნულად*

კი ვიცოდი, რომ მამაჩემს მამაჩემს ავი ქალი ცხოვრობდა, სადღაც, ქალაქის გარეუბანში, მაგრამ მეტი არაფერი. ამ ქალს არავინ ახსენებდა შინ. მამიდა მთვარისა მამაჩემის მკვიდრი დედა ყოფილიყო.

— არ ვიცი, — ამოიოხრა მამიდამ, ქარგიდან თავი არ აუღია...

კითხვა შეწყვიტა: არა. ეს ძველი თხრობა არ არის. ძველიცაა და ახალიც, ერთდროულად. ერთი შეხედვით, ვითომ ჩვეულებრივ გიყვება: უამრავ შემთხვევით დეტალს გაწვდის. მაგრამ „ერთომ“. აქ შემთხვევითი არაფერია, მოჩვენებითი შემთხვევითობა. ყველაფერი შერჩეულია და ყველაფერზე მთავარი მახვილი მოდის. გიამბობს ცხოვრებას, რაც ჩარჩა და რაც განიცადა. მაგრამ რადგან თვითონა აქვს შემკრები სული — მზის სხივეების შემკრები პრიზმა, ისე გარდატეხება მასში ცხოვრების ჭრელი ჭავლი, რომ მთავარი რჩება, ყველაფერი მთავარი გამოდის. ამიტომ ბუნებრივიცაა და სიმბოლურიც. ძველიცაა და ახალიც. რალაცნაირია. არ ჩქარობს, ნერვები მოთოკილი აქვს, დრო ნელა მიდის, აკომპანემენტს უწევს ფიქრსა და წერას, კი არ ასელება, კი არ ფატრავს შინაგან ნაკადს, როგორც მე მექცევა. დედაჩემიც არ ჩქარობს, მაგრამ აუჩქარებლად ტოვებს: უამრავ ამბავს, წლებს, და საათებს. აუჩქარებელი ნახტომებია. მთავარიდან მთავარზე. მამა ხომ სხვასაც ბევრ რაიმეს მოუყვებოდა. ნუ ვწყვეტ ვერ მოვასწრებ. შესვენებებით უფრო გამიჭირდება. თუ კითხულობ, იკითხე. რას არჩევ. ანალიზის დროა? ისედაც ცუდად ხარ. ეგებ თავს არიდებ. წინ, წინ. წაიკითხე, რაკი დაიწყე.

...იმ დღეს კი კოვზით ამოვიყვანე ყოლოსს მურაბაში ჩავარდნილი ფუტკარი და ფანჯრის რაფაზე დავსკ...

ფრთები ტანზე მისწებებოდა და ველარ იცილებდა. ძაფივით წვრილი, მოხრილი ფეხები თავს რაფას ეკვროდა. კოვზით ფრთხილად დავასხი წყალი, ისე რომ თავზე არ მოხვედროდა, თან სულ ახლოდან შეგცქეროდი თვალის წერტილებში, მერე გარეთ გაიყვანე და ბალახზე დავსვი, რომ მზეზე გამშრალიყო. ტანზე შერჩენილი, ეოლოს მურაბის ერთი-ორი წვეთიც ჩამოვაცილე ჩხირით და სწორედ ამ დროს გაისმა მათი ხმა:

— ეე-ე, მამაშენი სილაში წვეს ზღვასთან!

ორი ბიჭი მესერზე ამომძვრალიყო. ერთ გოგოს კი ამოგდებული ფიცარი გვერდზე გადაეწია, თავი შემოეყო და თვალები დაეჭკიტა:

— ხვრინავს. წადი, გააღვიძე!

მეორე ბიჭმა მოხრილი სალოკი ცერზე აისხლიტა და ყელზე მიიკაჟენა.

— გადაკრულშია და ზღვასთან სძინავს!

— ნანა — ნანა — ძინავს, — თავი გადააქნია გოგომ.

ახითხიდან და ძირს ჩაბტნენ. გოგოც მიიმალა და განზე გაწეული ფიცარი თავის ადგილას დაბრუნდა.

გავიქეცი. ისინიც დამედევნენ. სანაპიროზე დავეშვი და შორიდანვე მოკვარი თვალი სილაში წამოხილს. მივირბინე, ქვიშაში ჰკინტებით ჩაძირულ ფეხსაცმელებთან შევჩერდი და მიახლოვებას ველარ ვებდავდი.

ბავშვებიც შორიხლო ჩაკუცქდნენ, კეჭების სროლა დაიწყეს. მამაჩემის თავთან ჩავიძუხლე. მზე ბუგავდა ცარიელ ნაპირს — თავარა, აღისფერი. მამაჩემი ლოყით ეგდო სილაში, სახის ნახევარს მზე უწვავდა. ერთი პატარა კენჭი მზისგან ვარდისფრად გამჭვირვალეზულ ყურის ნიჟარაში ჩაუვარდა. მაგრამ მას არაფერი უგრძენია. ხელის კანკალით ამოვაცალე კენჭი, ბავშვებისაკენ არ გამიხედავს. კიდევ ისროლეს, მხარში მომხვდა. „მამა“ — დავუძახე ჩუმად, თუმცა პასუხი უკვე შეუძლებლად მიმაჩნდა. რაღაც უც-

ხო, უსახელო, აქამდე უცნაურად მჯეროდა, გულს რომ მიყინავდა და ჩემს მხრებზე ვიჯდებოდა, აუტანელმა მზემ დააღწო, მზემ, რომელიც დაუნდობლად ისრუტავდა ჩემგან სიციხის ყოველ ნამცეცხს, ხალისსა და სურვილს, შიშისათვის საჭირო ძალასაც და სიკვდილს მიიოლებდა. მაგრამ ხელი რომ დავუხვი ლოყაზე, უკანვე ვიტაცე მაინც. მე შევიგრძენი ხორცი, რომელიც მზეს რომ არ გაეფიცებინა ცივი იქნებოდა, ძალიან ცივი. შევიგრძენი შედედებული, მზეზე გამთბარი სისხლი გრძობადაც კარგულ, წვერამოზრდილ კანქვეშ. არ ვიცი, რა ძალა მომეცა: მამაჩემს ცალ მხარში ჩავეჭიდე და გულალმა გადავაბრუნე: სახის ნახევარი ქვიშით მოსვროდა, თვალები, როგორც ძილში ახლაც ოდნავ ღია დარჩენოდა. გუგების ღია ნაწილი ფრჩხილის ნახევარმთვარეს მახსენებდა და ცალ, კრიალა ნახევარმთვარეზეც ქვიშის ნამცეცხები მისწებებოდა. „მამა. მამა“ — ვეუბნებოდი. არ ვიცი, გულში თუ ძალიან ჩუმად. „მამა — მამა“ მეტ გამოსავალს ვერ პოულობდა ის, რაც მამინ ჩემში ხდებოდა, შიგნიდან მკრუნხხავდა... თვალეში მზის აღმურვი მიბიბინებდა, რომლის ძალამ მწვერვალს მიაღწია და მე ვნებდებოდი... და ამ დროს ერთი დიდი, ფაფუკი, მოწყალე ღრუბელი მზეს გადაეფარა: უკანასკნელი, რაც დავინახე: ღრუბლის უზარმაზარმა გრეხილმა კოშკმა უბგეროდ შთანთქა ცეცხლისმფრქვეველი, ყვითელი დისკო, და უკანასკნელი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ არ მოვკვდებოდი. თვალთ დამიბნელდა და მამაჩემის გვერდით ჩავეცი ქვიშაში.

როდესაც თვალი გავახილე, თავი შეხვეული მქონდა — და შუბლი მტკიოდა. ოდნავ შემოღებულ კარიდან დედაჩემის წყნარი, სევდიანი ლილინი მოისმოდა. დავუძახე. შემოვიდა: შავი ატლასის, ტანზე ლამაზად მომდგარი კაბა ეცვა. დაიხარა და შუბლზე მაკოცა: „მზემ დაგარტყა, ჩემო საყვარელო, ნუ გეშინია“.

მამაჩემი ორი დღის დამარბული იყო. „მახრჩობს, სულს მიხუთავს“, — წამდაუწყებ უჩიოდა დედაჩემი ძაძას, რომელიც ძალიან შვენილია: ბზინვარებას მატებდა მის სალუქ კანსა და ბუნებრივად ნათიბისფერ, აბულულეზულ თმას. მისი მოყვითალო-მომწვანო, კროლა თვალები კი ყველაფერზე ისევ ისე — ატლასივით დასრიალებდნენ, ვერც ერთი საგანი მათ წამითაც ვერ აკავებდა, ვერ ინარჩუნებდა.

ორმოცზე, ჩათავდა თუ არა ათციანი თავშეყრა, შავები გაიხადა, წლისთავზე კი გათხოვდა. დედაჩემისა და მისი ახალი ქმრის ერთადყოფნას ახალი ურთიერთობის მანძილი არ ეტყობოდა.

ჩვენი სახლი გავყიდეთ და დედაჩემის ქმართან გადავედით: დიდ, ორსართულიან სახლში, რომელსაც ვრცელი, ამწვანებული ეზო ერტყა გარს. სამი დიდი მაგნოლია გვედგა ეზოში, ორი ხნიერი, კელაპტარივით კვიპაროსი, ორი, ფაფუკი ფიჭვი, ერთიც კედარი, ლიმონის პატარა ხეები და კიდევ შქერი და ოლეანდრები ყვოდა უხვად. დიდებული იყო იქაურობა, მაგრამ ვერაფერს ვერ ვეხსენებოდი: ყველაფერი გარეთ რჩებოდა, მხოლოდ ჩემი თვალებისათვის, ჩემი ჩარაზული გულის წინ, გარეთ. მთავარეულივით დავაბიჯებდი ეზოში თუ მეორე სართულის ვრცელ აივანზე და სულ მამაჩემი მელანდებოდა: ცოცხალი, მკვდარი, ცოცხალ-მკვდარი. ღამით მეორე სართულის განაპირა, მყუდრო ოთახში ვიწვექი და ღია ფანჯრიდან ღამის ღრუბლებს მივაცილებდი: ნალველში ამოვლებულ, ბინდისფერ აფრებს. მიცურავდნენ, ქვეყნიერებას თავს უწელიდნენ და ცრემლსა და ვარამს ისრუტავდნენ ყველგან დედამიწიდან ოზშივრად ადენილს... ვუყურებდი, მამა მტკიოდა, სხვაკ ბევრი რამ მტკიოდა — და წყნარად, გაუნძრევლად ვტიროდი. თხუთმეტი წლისა ვიყავი მამინ.

ჩემი მამინაცვალი უცნაური კაცი

იყო, გამოუცნობი. ძალიან კარგად მეტყეოდა, რას აღარ ყიდებოდა... წემთვის, ძვირფას ქაბებს, მსკესებს, წიგნებს. ყველანაირად ცდილობდა გავერთე, ვავეხალისებინე... მაგრამ რალაც დაძაბულობა, რალაც დამორგუნავი, გუნებისწამხდენი სიმძიმე მოდიოდა ამ კაცისაგან... წარბებქვეშ კანი შეშუპებული ჰქონდა და გრძელ, დამრეც ქუთუთოებს ბოლოში ისე ჩამოსწოლოდა, რომ ირიბი ნაკეციოთ ჰქვეოდა თვალის კრილს, თვალის დაბოლოებას ჰფარავდა. ხშირად მიგრძენია მისი უცნაურად დაკვირვებული, მძიმედფიქრიანი მზერა, სულს რომ მიფორიაქებდა და სახელი ვერ დამერქმია. ჩემს ოთახში რომ შევდიოდი, დასაძინებლად, შიში ამეკვიატებოდა ხოლმე ეცებ შემოვა მეთქი, და კარს გულდაგულ ვკეატავდი. სულ მამიდასკენ მიწევდა გული. სკოლიდან მოვიდოდი თუ არა, ცოტა ხანში იქით გავვროდი. დედას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

ვისხედით და ვქარგავდით. სულ უფრო მეტად მითრევდა ძაფით ნახლართ-ნაქარგი ქვეყანა. ღია ფანჯარაში თეთრი ბალი სუნთქავდა, თეთრ სურნელს აფრქვევდა. მამიდა ქარგვისას ლაპარაკს ვერ იტანდა. მერე კი ერთად ვვანშობდით და ვსაუბრობდით. თანდათან შევეჩვიე და აღარ მეუცხოვებოდა მისთვის მამიდა დამეძახა. მერე შინ მაცილებდა. დღესა და ღამეს დიდად არ ანსხვავებდა ერთმანეთისაგან, სულ არ ეშინოდა ღამით სიარული და ძალიან გამიკვირდა, როცა გავვიგე, რომ სიბნელეშიც კარგად ხედავდა. მეც ვერ წარმომედგინა, რომ ვინმეს შეეძლო რაიმე შეეხებდა ამ თეთრი, მკაცრი ქალისათვის. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ თითქოს მოტყდა, ხშირად იწვა თვალდახუჭული და სისხლნაკლულობა გაუძლიერდა.

ერთხელ დედაჩემი და მისი ქმარი შინ არ იყვნენ. მეორე სართულის ვრცელ აივანზე ვიდექი და ჩვენს ბაღს ვავკეპროდი, ნელა რომ ალტობდა



უჩინარი წვიმა. მამიდასთან ვაპირებ-
დი წასვლას. მაგრამ ჭერ-ჭერობით
ფეხს ვერ ვიციკლიდი: ისე უნუგეზოდ,
გელისშემგველად ცრიდა. შევეყურე-
ბდი და ძველ, უსახელო ნაღველს ვნებ-
დებოდი. თვალები ისე გამიშტერდა,
დაბამხამება ველარ მომხერხებინა.
და უცებ მომეჩვენა, რომ ერთი კვი-
პაროსის ძირში მიწიდან შუქი ამოდი-
ოდა... თვალებში წერტილები ამიბრ-
კეკიალდა და ბოლოს და ბოლოს და-
ვახამხამე... ერთ ხანს ისევ მოსჩანდა
ორთქლივით ამომავალი ნათება... და
ნელა გაქრა. გავოგნდი. მაგრამ მერე
გადავწყვიტე, რომ მომეჩვენა და კი-
ბეზე დავაპირე ჩასვლა... მოულოდნე-
ლად ჩემი მამინაცვალი გამოჩნდა კი-
ბის თავზე... გაუცნობიერებელი, ბუნ-
დოვანი შიშისაგან გული მომიდუნდა:
ერთმანეთს სახეში შევაჩერდით. ნამა-
ლადვეად გაიღიმა: „რატომ არ რჩები
შინ? სულ მამიდაშენთან რომ გარბი-
ხარ, არ მოგწონს აქ? მითხარი, რა გი-
ნდა, რა გაკლია. გინდა, სადმე გაგიშ-
ვით შენ და დედაშენი? იმოგზაურეთ
ცოტა“ — პირს რომ კუმავდა, ტუჩე-
ბი თითქმის აღარ მოუჩანდა და ეს
მწარე, ჩაკეტილ იერს აძლევდა.

გულამოვარდნილმა ძლივსგასაგონად
წავილულულე: „არაფერი მაკლია.
არაფერი მინდა. მამიდასთან მინდა
ცხოვრება“. „სულელი, — ხმა და
მზერა გაუთბა, დაურბილდა, ხელი წა-
მოსწია თავზე გადასასმელად, — არა
გწყინდება იმ გამომშრალ ქალთან? ან
რას იწყალებ მაგ თვალებს. თუ არ
იცო, რა თვალები გაქვს?“

უკან დავიხიე. არ ვიცო, რა დაინახა
ჩემს სახეზე ისეთი, რომ განზე გადაგა,
და გზა გამითავისუფლა. „წადი, თუ
გინდა, კი არ გიკრძალავ...“ — ჩაილა-
პარაკა უმწეოდ და თითქმის დაღონდა.

კიბე ჩავირბინე და მამიდაჩემთან გა-
ვიქეცი.

მამიდასთვის ამბიონზე გადასათა-
რებელი ქსოვილი შეეკვეთა ეკლესიას
და მამიდამ მითხრა, ორი თვე დაისვენე,
ნულარ მოხვალ. მარტომ უნდა ვი-

მუშავო. თან დავალბებ მომცად: თე-
თრი იასამნის პატარა ბუჩქი, მე
ამომეჭარა. წამოვიღე საცრისხელა
ქარავაზე გადაჭიმული მამიდასთან
ბატისტი და წამოვედი.

თუმცა მამინაცვალს აღარაფერი უთ-
ქვამს. მაგრამ მისი მძიმე შემოხედვა,
აშკარა თუ ზურგსუკან დადევნებულო,
უსახელო, უცნობ შფოთსა და ტკი-
კილს თესდა ჩემში. ღამით ხშირად მე-
ღვიძებოდა ძილშივე გულამოვარდ-
ნილს და სულ მეგონა სიბნელეში ჩემ-
სკენ იყო გადმოხრილი და შორიდან,
საიდანღაც უსახლვროდ შორიდან მე-
სმოდა მისი ხმა: ჩემი, სასოწარკვეთი-
ლი. „ელენეეეე“. და უსაშველოდ ნა-
ღვლიანი სინაზით თავსა და ლოყაზე
მისვამდა ხელს.

ძილსაფხიზლეს შორის რომ ჩვენე-
ბები იცის, აი, იქ, იმგვარად, ხშირად
მომჩვენებია მისი ხელები, ვილაცის
ყელზე შემოხვეული, ხელები უელს
ეკირებოდნენ და ადამიანს სასიკვდი-
ლოდ აჩანჯლარებდნენ. არ ვიცო, საი-
დან ამეკვიატა, ეს კოლანდება.

ხშირად ვიყავი მამიდასთან საფლავ-
ზე. იქ შევხვდი გაზაყუნულს, გაიშალა
თეთრი იასამნის პატარა ბუჩქი, მე და
მამიდაჩემმა რომ დავურგეთ, ვიჭეჭი
და თეთრი იასამნის შეხუნძლულ, შე-
ფიფქულ მტევანს ვქარავავდი მამიდა-
სთან ბატისტზე... ფუტკრები დაბ-
ზუოდნენ მკედრების ყვავილებს... შა-
შვები სტვენდნენ და დაღლილი, ძვე-
ლი მოთქმის დამშრალი ხმა აღწევდა
შორიდან.

ერთხელ ჩემმა მამინაცვალმა, რალა-
ნაირად სხვათაშორის მითხრა, მარტო
შორს ნურსად წახვალო.

ერთ დღეს კი, არ ვიცო, ქმარმა რა
უთხრა, მაგრამ მათი ოთახის ღია კა-
რიდან დედაჩემის პასუხს მოგვარი ყუ-
რი. „რაა?! უბრალოდ გზაკვალაბნეუ-
ლი კაცი იყო! მაგრამ ძალიან კეთილ-
შობილი! და მეც მიყვარდა! დიახ! ძა-
ლიან მიყვარდა! არცერთი წყენა არ
მახსოვს მისგან!“ — ფეხი დაჰქრა და
ეზოში ჩაირბინა. ოღენდრების დი-

დი თაიგული შეკრა საჩქაროდ და მამაჩემის საფლავზე წავიდა. ეს იყო და ეს. მეტად აღარ გასჩენია მსგავსი სურვილი. ალბათ აღარ წაიცივლავებულა ქმართან. ოღუანდრები კი მამაჩემს გამორჩეულად ეჯავრებოდა.

უმზეო, მშრალი და თბილი დღე იდგა. სასაფლაოს ჭიშკარს გამოვცდი თუ არა, ერთი კუზიანი დედაბერი მომიხლოვდა და მთხოვა, მძიმე ჩანთა მაქვს და შენს გახარებას, აქვე, ახლოს ვცხოვრობ, შინ მიმატანიეო. ქართული ისეთნაირად ეშლებოდა, სომეხი უნდა ყოფილიყო. სასაფლაოს მესერთან დიდი შავი ჩანთა იდო მიწაზე, ერთი კი გამიკვირდა, ეს ჩანთა აქ ვინ მოიტანა მეტქ, მაგრამ არაფერი მიკითხავს. თავისი ქართულით მაინც ვერ გამაგებინებდა და თან, არც მაინტერესებდა.

დედაბერი წინ მიკავკავებდა და მე უკან მივდევი. შეეუხვებით მარჯვნივ ქვაფენილიან ბევლ ქუჩაზე, სადაც უცხოური ტიპის, საბურავწაწვეტილი, მანსარდიანი სახლები იდგა, მერე — მარცხნივ, ორსართულიან, ეზოებიან სახლებს ჩავუარეთ. ისევ მარჯვნივ, უსახეო, ერთმანეთზე მიჯრით მიშენებულ სახლებს მივუყვებოდით... ამა სობაში სახლების თვალყურება მომწყინდა, მიწას დავამტერდი და ფიქრში წავედი. უცბად წავიბოროტიე, თუმცა ძირს არაფერი ეგდო... წინ დედაბრის, ყვავის ფეხებივით გამხმარი, შავწინდიანი კანკები მიმიძლოდნენ, ერთ მტკაველზე რომ აჩენდა შავი, ოკრობოკრო ქობიანი კაბა, წვრილი კანკები, კოჭებით ერთმანეთს რომ ეხებოდნენ და მერე უცებ ერთმანეთისაგან გარბოდნენ... ჩანთამ დამალა.

მიკუსკუსებდა. მომხედა, ზელი დამიქნა და სადარბაზოში გაუჩინარდა. მივეყვი. ავიარეთ ძველი ხის კიბე და ბნელ დერეფანში ამოვეყავით თავი. დედაბერმა რომელიღაც კარის სახელური დასწია და ოთახში შემიძღვა. ჩანთა ძირს დავდე და გამოსვლა დავაპირე. იმან შემომკინასავით და სკამი გამო-

მიწია, დაისვენეო. კარი სხვათაშორის ჩაეცტა და მეორე ოთახში წავიხინარდა.

გული საშინლად დამიმძიმდა. არა, მივხვდი, რომ კარგა ხანი იყო, ქვასავით დამმძიმებოდა. მაგიდაზე, შუშის ვაზაში გასანთლული ქალადრის ქყეტელი, მძიმე ვარდები იდო. კედელზე გრძელფოჩებიანი, მბზინავი გობელენი ეკიდა. სადაც ლამისპერანგის ამარა შეავთვალწარბა ქალი წეროსაყენ დახრილიყო და მისი გრძელი ნისკარტი სავსე, მოლიავებულ მკერდზე ეხებოდა. ოვალურ სარკეში მისალოცი ღია ბარათები და ფარშევანგის ფრთები ჩემმაგრებიანთ. გარდერობის თავზე ათამდე დიდ-პატარა, წითელტუჩება პრიალასახიანი თოჯინა იჯდა. მათი სხვადასხვაფერის შუშის თვალები ნათურის შუქს ირეკლავდნენ და ამაზრხენად ბრჭყვიალებდნენ მკვდარი თმის ვარაყში. და კიდევ ვიღაც კინომსახიობი ქალის სურათი იყო კედელზე გაკრული. სახელმწიფო მოღვაწისა და რალაც ახალი ტიპის ავტომანქანის ფოტოები. და საერთოდ, ოთახში ისეთი გულწმამლონებელი, გამანადგურებელი უსახეობა და უგემოვნობა სუფევდა, თითქოს რამდენიმე უშირ-ფესვო, უწესჩვეულებო და უჩიშო ადამიანი ერთად ცხოვრობდა და ყველას თავისი სახელდახელო შეკოწიწებულნი, დაბალი გემოვნების დალი დაემჩნია იქაურობისათვის. ამ უბადრუტობამ და მდარე პრეტენზიულობამ რატომღაც ავბედითი, ბნელი წინათგრძნობა ამიშალა. საშინელმა, ფორი-აქა სევდამ შემიაპყრო და წამოვდექი. ამ დროს გაიღო გვერდითა ოთახის კარიც, სადაც წელან ჩემი მეგზური ყვავი გაუჩინარდა და ის ახალგაზრდა, წყლისფერთვალემა ბიჭი გამოჩნდა. ჩემი კლასელის მეშვეობით რომ გამეცნო ერთხელ, მერე რამდენიმეჯერ სკოლის წინ დამხვდა, ბოლოს სიყვარული ამიხსნა, და მე რომ საერთოდ აღარ მახსოვდა, არც თვითონ და არც მისი სიტყვები, რადგან სერიოზულად

იმთავრე არ აღმიქვამს.

— ახლა ჩემი ხარ, — თქვა უბოროტოდ.

ჩუმად ვიყავი.

— აბა რა შექნა, ნებით არ გინდოდა და. — ხმა დაუთბა და მომიახლოვდა. ლელავდა. — ცუდი არაფერი გაივლო თავში, — („გულში“ — შევეუსწორე გულში) ხომ იცი, რომ მიყვარხარ, ცოლად მინდებარ. — „ცოლობა“ დიდმნიშვნელოვნად წარმოთქვა, გაიღიმა. — როგორ შეიძლება შენ სხვაგვარად უნდოდე ვინმეს, შენ ყველას ცოლად მოუნდები...

— არა.

— რა არა.

— არ ვიქნები შენი ცოლი.

— რატომ.

— არ მინდა.

— მიყვარხარ და იქნები ჩემი. — ხელები ნერვიულად შეუხტა. სცადა, ბრაზი დაეფარა. — ბრაზობ, რომ მოგიტაცე?

— ეს არის მოტაცება? — ჩამეცინა.

— ეს მოპარვაა. რომ მოგეტაცებინე, შეიძლებოდა, მომწონებოდი.

— სულ ერთია, — უფრო გაღიზიანდა და უფრო შეეცადა დაფარვას. — ჩემი ცოლი იქნები.

— არ ვიქნები. არასოდეს.

— უკვე ჩემი ხარ! — ისევ ნერვიულად შეუხტა თითები და მომიახლოვდა. მხრებზე დამაწყვო ხელები, ოდნავ მომიჭირა, მისი სუნთქვა სახეში მცემდა. საკმარისი იყო გამეღიმა, დავბოზობოდი და მოეშვებოდა, დარბილდებოდა. მაგრამ რაღაც დაუძლეველმა ბრაზმა შემოპყრო, ჩემს თავს ვერაფერს მოეუხერხებდი.

— ნუ გაჯიუტდები, — თითქმის შემეხვეწა. — აბა, რა შეგიძლია, — დამიყვავა. — ჩემი ხარ, ჩემთანა ხარ. აქ ვერავინ მოგეშველება.

— არ ვიქნები შენი ცოლი!

— იქნები! — დაიყვირა, — მალე! ახლავე! — და გადაფითრდა. — და როცა ჩემი გახდები, მერე აქეთ შე-

მეხვეწები ცოლობას. ქართველი არა უარსულები ხარ!

— არ ვიქნები! — ვერაზობდი, ხერხები აწყდებოდა.

— რისი იმედი გაქვს? — მომეხვია. კისერზე მომაწება ცბელი, მოცახცახე ტუჩები.

ეს პირველი შეხება იყო. პირველად შემეხნენ როგორც ქალს და... რაღაც დამთავრდა: როცა ხანგრძლივად მშვიდი, კუშტი, უკარება და გარკვეული, ლიბი, ზიზღნარევი ქრუანტელი ჩამეღვარა სხეულში. თითქოს მძინარე, ფერადმა გველმა გამოიღვიძა, გაიზმორა და აიკლავა. შხამიანმა ბრაზმა იფეთქა მთელი ჩემი არსებიდან, ცოფივით რაღაცა ძალამ, და მისი ხელები გააფთრებულმა ჩამოვიწყვიტე.

ერთმანეთს მივჩერებოდით აცახცახებულნი.

— არ მომეკარო, — გამოვცერი, — არ მომეკარო, თორემ ამოგთხრი მავწყლიან თვალებს. — მძულდა. კარისკენ წავიდი, უკან-უკან.

კომოდთან მივიდა და... ხელში რევოლვერი აუბრჭყვილა.

— გესერი. — ხელები უთრთოდა, სახეზე მკვდრისფერი ეღო.

— მესროლე, არ გავხდები შენი ცოლი!

— ნუ მეუბნები! მასე ნუ მეუბნები! სხვანაირად მაინც მითხარი! მართლა გესერი! — თითქმის მევედრებოდა.

„ისერის. სუსტი ნერვები აქვს. გიჟია“ — გავიფიქე და მოვეშვი. უცებ საშინელი დაღლილობა დამეუფლა. უაზრობის შეგრძნებამ დამცალა, მომადუნა. კედელზე თავი მივაყრდენი და გავიფიქრე: „მამა არა მყავს“. პირველად ვიგრძენი უშამობა. და მივხვდი, რომ ხშირად ვიგრძნობდი კიდევ, თუ საერთოდ თავს დავალწევი ამ საშინელ, გულისამრევე ოთახს და ამ საიდანღაც გამომტყვრალ, წყლისფერ თვალება, ნერვიულ ბიჭს. გარდერობის თავიდან ათიოდე წყვილი ბრჭყვი-

ალა, სხვადასხვაფერის შუშის თვალი მომჩერებოდა.

მომიხლოვდა. სრეკოლვერი ხელში უკანკალებდა.

დაღლილი და დაცარიელებული ვუყურებდი. ნუთუ შეიძლებოდა აქ მოვეკვდარიყავი, ამ პარაფინისვარდებიან, ფარშევანგის ფრთებიან ოთახში? მე ხომ სულ ზღვაში ვნატრობდი სიკვდილს. ნუთუ შეიძლებოდა აქ კაბა შემოეფლიათ ჩემთვის. და უცხო, ამბზრზენად უცხო ტუჩებით შემხებოდნენ? ცრემლები მომადგა თვალებში... მისი სუნთქვა ისევ შეეხო ჩემს სახეს. და... უცებ კარს რაღაც მოაწყდა გარედან, ისევ მოეხეთქა. კარი შემოიმტვრა და ჩემი მამინაცვალი შემოჰყვა.

— მამა! — აღმოძნდა და მისკენ გაქვანდი. მაგრამ სახეზე რომ შევხედე, უკანვე დავიხიე. გამომეტყველება ჰქონდა ისეთი, მისი უფრო შემეშინდა, ვიდრე იმ ჩემი მომტაცებლისა, ბიჭისკენ წავედი და მომესმა ჩემი წამოყვირება:

— არ მოკლა!

მამინაცვალი უცებ შეჩერდა, ნელა და უხმოდ რომ უახლოვდებოდა ერთ აღგილზე გაყინულ, დადამბლავებულ ბიჭს. თავი ჩემკენ მოატრიალა და:

— რატომ? — მკითხა უცნაურად.

მოულოდნელობისაგან გავოგნდი. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა:

— არ... არ უნდა მოკლა.

— რატომ? გეკითხები, რატომ? — ხაზგასმით მკითხა. რაღაც საშინელ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის შეკითხვას და... ჩემს პასუხსაც.

ვერაფერი ვუპასუხე და შევევედრე:

— ნუ მოკლავ.

— ეგ სხვა საქმეა, — ჩაილაპარაკა მძიმედ, ფიქრიანად, მერე თითქოს გაეღიმა და მითხრა, — წადი, ქუჩაში დამელოდე, ნუ გეშინია.

გამოვედი. მთლიანად ერთი შთაბეჭდილებით შეპყრობილი: ჩემი სიტყვები სამიდან არც ერთს არ მოგვჩვენებია უადგილოდ, არც იმ ბიჭს აღუქვამი გადაჭარბებულად. ეს შთაბეჭ-

დილება ყველაფერს აფერხებდა და, მავწყებდა, და აკლავდა იმისი თავი გავოცებულად და გაჩნდა ჩემი მამინაცვალი აქ.

მალე გამოვიდა და უხმოდ გავუყვირე ქუჩას.

— რა უთხარი? — ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ და ამ შენობით მიმართვამ მევე შემიძებუნა.

— არაფერი.

— გაარტყი?

შემომხედა, გაიცინა და ხელი ჩაქნია:

— შიშით სახლიდან ველარ გამოვა ან სულ გადაიყარგება ამ ქალაქიდან, — ისევ ჩაეცინა, — მიყვარსო... ცოლად მინდაო...

მძიმე, მახინჯი ნაღველი ჩამიწვა სულში.

— ხომ ვითხარი, შორს ნურსად წახვალ მეთქი.

— მი... მაკვირდებოდრი?

— იგრძენი? — არ მიყურებდა.

— ჰო. მაგრამ ჩემს გულს არ დავუჭერე. სასაფლაოდან რომ გამოვდიოდრი, შენზე ფიქრი ამეკვატებოდა ხოლმე.

— მხოლოდ სასაფლაოსთან, არა? — მწარედ, ბნელად ჩაეცინა. მერე შუბლი შეევშუბუნა. — არ მიყვარს ქალის მარტო სიარული... სასაფლაოზე, სულ მგონია რაღაცას გადააწყდება... ცუდს.

უცებ რაღაც უნუგეშო სურვილი ვიგრძენი: ამ კაცის მხარზე თავი ჩამომეყრდნო და მეტირა.

შეეხედე.

შეჩერდა.

მეც შევჩერდი.

— რა იყო? — მკითხა ჩუმად.

თავი გავაქნიე და წავედი.

— შეგეშინდა? — მკითხა უფრო ჩუმად, მიწას დაჰყურებდა.

უხმოდ დავეთანხმე.

— იმ მაიმუნის?

— არა.

— ჩემი? — მხრები აიჩეჩა და ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა. — ის ჩოჩო მოგიახლოვდა თუ არა, სასაფლაოსთან, მაშინვე მივხვდი. როგორც კი გამოვიდა ოთახიდან, მარტო რომ დაგტოვათ... მე ჩამივარდა ხელში.

„სადაც ერთ ძაფს უნდა ამოუყარო ნემსის წვერი, იქ ორი არ მიგიყვებს, თუ მიგიყვება, ერთი ისევ გაუშვია... თუ ერთხელ მაინც გიმტყუნებს ნერვები, მერე მიეჩვევი და სხვამ შეიძლება ვერც შენიშნოს, მაგრამ ნაჭარგი ის აღარ იქნება, რაც უნდა იყოს“, — სულ ყურში მედგა მამიდაჩემის სიტყვები და მეც არ მიჭირდა ამ წესის დაცვა. რადგან გარეთ არაფერი მიძახდა, არ მაჩქარებდა, არსად მიმიხაროდა და სურვილები ხელს არ მიშლიდნენ. ჩემი გულმოდგინება ძაფის მღვწრეში ჩაწენის, იქ ჩახლართვის სურვილი იყო. უბედური უნდა ყოფილიყავი, რომ ასე მთლიანად მისცემოდი საქმეს, რომელიც ენით აუწერელ მოთმინებასა და ყურადღებას ითხოვდა. ყვავილი-ყვავილზე ემატებოდა შეფიფქული, ღრუბელივით ფაფუკი ისაშენის ყუნწულას.

მერე დედაჩემი და მისი ქმარი დასასვენებლად წავიდნენ. ზაფხული იდგა. სკოლა დავაშთავრე. ჩემი სურვილით მარტო დამტოვეს. მარტო დიდ, ორსართულიან სახლსა და დატევრილ ეზოში. და პირველად ვიგრძენი შინ თავი. ჩემად ვიგრძენი ხეები და ბუჩქები ეზოში; ხმადაბლა ვმღეროდი ხოლმე და ოთახიდან ოთახში დავდიოდი ან ჩვენს ბაღში, მაღალ ხეებქვეშ დავსეირნობდი: ჩემს წარმოდგენაში გრძელი, კოჭებამდე კაბა და დაწნული სანდლები მეცვა. შუბლზე ვერცხლის ვიწრო სარტყელი მეკეთა. ძალიან ლამაზი ვიყავი, თანაც დედოფალი, ჩემი სასახლე კი ამწვანებულ კონცხზე იდგა და იქედან ზღვას გავცქეროდი და დიდი ხომალდის გამოჩენას ველოდი, რომლის კიჩოზე ის უნდა მდგარიყო: ვინც შეძებდა და ჩემთვის იყო დაბადებული.

სასე მთვარე მძლავრობდა. იმ დამეგობრივ და მაგნოლიის დანახვას, რომს-ფერქ, მიმიხედსურნელოვანს უკვავილურს ყვითლად აქათათებდა. ერთ ასეთ ღამით ხეებსშორის დავბოროილებდი. მიწაზე დავჯექი. ხეს მივეყრდენი, მთვარეს შევაკებრდი და თანდათან რალაც უცნაური განცდა დამეუფლა. რალაც სრულიად უცნობი, მშფოთვარე წუხილი. რატომღაც გავიფიქრე, რომ მიწისაგან გადმომცემოდა და წამოვხტი. ახლაც შევნიშნე: იმ კვიპაროსს მივეყრდნობოდი, რომლის ძირშიც ერთხელ რალაც ანათებდა და უცებ, არ ვიცი ეს ფიქრი იყო თუ განცდა, მაგრამ სადაც, ჩემს არსებაში — ტვინსა და გულში — სინათლის ასობით დაიწერა: „აქ ვილაც მარხია“.

გავიქეცი და ჭიშკრის ჭრიალი შემომესმა. გავქვავიდი, დეიდა სოფიკო შემოვიდა — დედაჩემის ნახევარდა. რომელიც ღამღამობით ჩემთან რჩებოდა. ახლა კი ბოდის მიხდინდა, რომ ასე დაავიანდა.

— რა მოგივიდა? — შეწყვიტა უცებ ლაპარაკი.

არაფერი მითქვამს და კბებს ავუყვივით.

დეიდა სოფიკო მამაჩემის სიმთვრალის გამო ჩვენს ძველ სახლში არ დავდიოდა. მამა როცა მთვრალი იყო, დედაჩემს ხომ „თმაგრძელსა და ჭკუამოკლეს“ ეძახდა, დეიდა სოფოზე კი „თმა-ჭკუამოკლე და ენაგრძელიო“, ამბობდა. ერთი შეხედვით, ცივი და უკმეხი ქალი იყო, დედაჩემთან ვერ რიგდებოდა და სულ კინკლაობდნენ. მე კი თავს დამტრიალებდა. ალბათ, საერთოდაც ჩემი გულისთვის მოდიოდა ჩვენთან. „როგორ სულ იჩხვლიტება, ღმერთო ჩემო, ქალი კი არა ზღარბია“. — გულსგარეთ ჩიოდა დედა, ან: — „რა უხეშია, ღმერთო ჩემო, ქალი კი არა კაციოა“.

დეიდა სოფო მამიდაჩემს შორიდან იცნობდა, შემოლილად მიაჩნდა და არ მოსწონდა ჩვენი დაახლოვება. „სულ მამაშენის ბრალია, — აბუზღუნდებო-

და ხოლმე. — საწყალი, ღმერთმა აცხოვნოს, ისიც გიგი იყო. „ეს კი სულელია“. — ხელის ჩაქნევით ამბობდა დედაჩემზე.

დეიდა სოფო შებინდებისას მოდიოდა, სახლს ალაგებდა და საქმელს მიკეთებდა. იმ ღამის შემდეგ, კვიპაროსის შირში უცხო და უსახელო განცდა რომ დამეუფლა, დავიძაბე და აღარ მიხაროდა შინ მარტო დარჩენა.

სამი დღე იყო გასული. ბინდებოდსავე. აივანზე ვიდექი მოაჯირთან. ხის სვეტზე ხელი მქონდა შემოხვეული. საფეთქლით ვეყრდნობოდი და ბაღს ვავცქეროდი. ბილიდან უცხო რამ წვალბამ დამალა. რალაც სიზმარი გამომყვა, უფრო სწორად, სიზმრით მიღებული რალაც შთაბეჭდილება, თვითონ სიზმარი კი არ მახსოვდა: და ახლა ვერც ვიხსენებდი და ვერც ვივიწყებდი. და მთელი დღე ასე ვწვალობდი: აკვიტებულ, გასახსენებელ მგლოდიასავით თავს დამტრიალებდა და საშველს არ მაძლევდა. კიბეზე ფენის ზმა გაისმა, გავიფიქრე, დეიდა სოფო მოვიდა მეთქი, მივტრიალდი და... ჩემი მამინაცვალი შემოდგა კიბის თავზე.

უხერხულობამ, შიშმა და კიდევ რალაც უსახელო მძაფრმა განცდამ სისხლი ძარღვებში გამიჩერა. უხმოდ შევაცქერდით ერთმანეთს.

— გეწყინა ჩემი ჩამოსვლა? — ვაწვალებული ღიმილი გაუერთა.

ჩემად ვიყავი. თვალს არ ვაშორებდი. მერე მივტრიალდი და ჩემი ოთახისაკენ გავემართე. ვცდილობდი, ფენი არ ამეჩქარებინა და მთელი მგრძნობელობა ხერხემალში მომექცა. კარი გამოვალე და ხელი რომ მივკარი მისახურად, არ დიხურა: და მხრებზე მისი ხელები ვიგრძენი კიდევ. შიშისაგან ისე მოვდუნდი, განძრევა არც მიცდია. თან მისმა სიტყვებმა შემიპყრეს ერთიანად.

— აღარ შემიძლია. აღარ შემიძლია. აღარ. სულ შენზე ვფიქრობ, სულ შენზე, მარტო შენზე. სულ თვალწინ მი-

დგახარ. თან დამყვები. სულ ჩემთან ხარ. ველარ გავძელი, სულ დედაშენთან. წავიდეთ აქედან. მე და შენ, სულ ერთად ვიყოთ. არავინ მინდა, არავინ შემიძლია შენს მეტი. არავინ. მიშველე რამე, გადამარჩინე... მარტო შენ შეგიძლია ჩემი გადარჩენა. არ ვიცი, რა დამემართა, რა შემართება, რა მჭირს შენს მიმართ, მაგრამ რაც მჭირს, ორივეს დაგვლუპავს, დაიძახსოვრე, მარტო მე ვერ მოვუვლი... — მთელი სხეულით თრთოდა, მაგრამ ხელები არ უდუნდებოდა. და ისე, რომ ხელი არ გაუშვია, წინ მომექცა, მუხლებზე დაეშვა. და ახლა ასე შემომეხვია. გატანჯული, ჩამწყდარი ხმით ამოთქვა: „— როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ...“ — თავზარდაცემული ვიდექი. სწორედ თავზარდაცემული: მისი სიტყვების სიმართლით, რადგან ამ სიტყვების გამანადგურებელი ძალა მათი სიმართლიდან მოდიოდა... აუტანელი, უსაშველო სიმართლიდან. ეს კაცი მხოლოდ იმას ამბობდა, რასაც მართლა განიცდიდა. არ აჭარბებდა, არ იტყუებოდა. თვალელები დახუჭა და ჩურჩულით დაამთავრა: „არ შემიძლია უშენოდ“. და მე შემეშინდა, როცა ვიგრძენი, რომ მასზე ვერ ვბრაზდებოდი, ის წელანდელი შიშისკენ გამიქრა და ახლა რალაც სასოწარკვეთილი დალილობა მეუფლებოდა, გამოუვალობის დალილი შეგრძნება. უცებ თავი გამოვიფხიზლე, ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი „გამიშვი. გამიშვი, მიპლხარ“. — ვიტყუებოდი.

„გძულვარ? — გაიმეორა და წამით მოეშვა. ხელები ჩაუტურდა და თვალელები საშინელი სევდით ავესო... მაგრამ უეცრად იმ ნაცნობმა რისხვამ იფეთქა მის სახეზე. ისევ მომეხვია. ასე მუხლის ჩოქზე მდგარი: „არა არ შეიძლება. ეგ არ შეიძლება“. უაზროდ ჩურჩულებდა. სადაც იყო, წავიქცეოდი, სადაც, მივექანებოდი. ელვის სისწრაფით. სადაც ბნელ სიღრმეში. და აღარ მახსოვს, როგორ გადავიხარე

გვარდზე, ხელი დაეკაცე ჩემს დიდ ნიჟარას და მთელი ძალით დავეშვი ძირს. სისხლი წამოსკდა შუბლიდან და უკან გადაქანდა...

გავრბოდი... ეზოში, ქუჩაში, ქუჩიდან ქუჩაში... ვერც ვერაფერს ვხედავდი, ვერც ვერაფერს ვგრძნობდი. რამდენიმე სიტყვა ტრიალებდა მხოლოდ ჩემს ტვინში, ტრიალებდა ჩემი ნაბიჯების სისწრაფით, მატარებლის ბორბლები რომ ადგან-დგარებენ აკვიატებულ სიტყვებს: „ჩქარა ზღვაში. ჩქარა ზღვაში. მოკვდა. მოკვდა. ჩქარა ზღვაში. დაისვენებ. დაისვენებ. ჩქარა. ჩქარა. ზღვაში. ზღვაში“.

ფეხქვეშ ქვიშა შევიგრძენი, და... წყალში რომ უნდა შევეარდნილიყავი, მუხდაცემულივით გავშეშდი... ზედ ნაპირთან ბავშვის ცალი, თეთრი ფაჩუჩი ტიტივებდა. ტალღა ხან შლამზე ამოაგდებდა და ტოვებდა, თვითონ კი უკან იხევდა — ლევკმა რომ იციის წინა თათების გაჭიმვა და წელის ჩაზნექა, ისე, — ხან უკანვე იტაცებდა და ატიტივებდა, თითქოს ეთამაშებო. დავიხარე, ხელში ავიღე და ყურში განწირული კვილი ჩამესმა: „დედა! მიშველე!“ თმა ყალუზე დამიდგა. ზღვას გავხედე: ცარიელი იყო და მშვიდი. ირგვლივ ძე ხორციელი არ ქაჭანებდა. ხელში ჩაბლუჯული ფაჩუჩი მკერდზე მივხუტე და საშინელი სიმკვეთრით გაჩახახახა წუხანდელი სიზმარი: ძალყურძენებისაკენ მივდიოდი. წინ, ბლიკზე ბებიაჩემი გადამიდგა — მამაჩემის დედა. ახალგაზრდა და ტანმადალი. წითელი კაბა ულივლივებდა, წვივებთან მუქფერ ტალღებად სცემდა. ღუნედ დაწნილი თმა მკერდზე მძიმედ უტოკავდა... ხელები და ტუჩები წითლად ჰქონდა მოთხუპნული. სევდიანად გაიცინა, ხელი ბავშვივით გაქნია: წითლად დალაქულმა ხელისგულმა, ხელისგულის ხაზებმა გაიელვა პაერში და თქვა „არა“. „რატომ, ელე, რატომ? მეც მინდა ძალყურძენა... ისე მარტო ვარ, ისე მარტო... და მეტი აღარ შემიძლია“. სახელით

მივმართავდი, ჩემს თანატოლად, მეგობრად განვიცდიდი. „აჰ შენ კი...“, — დამიყვავა, და მერე „დღედა! მიშველე!“, და „მეც მინდა ძალყურძენა...“, — და ბავშვივით შეიქმუნხნა შუბლი: „ისეთი მწარეა“ უცებ გაჩუმდა, სახე გაუფაციცდა, ხელი გაიშვირა და დაძაბულმა შემომჩურჩულა: „ყური დაუგდე!“ „დედა! მიშველე!“ გაისმა ბავშვის განწირული ხმა. გამაყრიალა. მიეტრიალდი: რალაც ლელქაშიან წყალში პატარა, შიშველი ბავშვი იძირებოდა. ხელები მაღლა, ცისკენ აეწია და უკვე მკერდამდე ფარავდა წყალი. „დედა!...“ ისევ დაიკვილა და წყლისკენ გაიქცევი. მე მიძახდა. ჩემი ბავშვი იყო. და გამელვინა. ფაჩუჩი ხელიდან გამივარდა. ტალღამ წაიღო და გადაკარგა. აღარ ამოუვდია შლამზე. თითქოს გამიბრახდა. მზე ჩადიოდა. და გავიქეცი. მაკანკალებდა, ცრემლები მდიოდა ღვარად. ვერაფერს ვხედავდი. „მამიდა, მიშველე!“ — ერთი კი დავიძახე, კარი რომ გაიღო, და გონი დავკარგე...

— რაენნგგგ! — ჩაიგრიალა უცებ საათმა და გულგახეთქილი წამოვარდა სავარძლიდან, ძირს დაუვარდა დედის რვეული. „რა მომდის, ხომ ვიცი, რომ საათია და რეკავს“. რვეული აიღო. შუბლზე მოისვა ხელი. ცივი ოფლით დანამოდა. ტულაშუნი გაისმა. მიხედა: აქვარიუმის კედელს წამახული საბით მობჯნოდა: **Telapia Maria** — წყალშუშისაგან გაბუნდოვნებული. „მე მიყურებს, მეშინია“. თვალი აარიდა, რვეული გადაშალა ისევ.

...ხუთი დღე მქონდა მაღალი სიცხე. რას აღარ ვხედავდი იმ დღეებში. ვინ აღარ იყო ჩემ ირგვლივ: გარდაცვლილი წინაპრები, ნათესალები: ბებია, პაპა, მამაჩემის ბიძა და მამაჩემი, ნაცნობები და მეზობლები. ქუჩაში დამახსოვრებული და სიზმარში ნანახი ადამიანები, ბავშვობისდროინდელი სახეები, მერე რომ აღარსად მენახა. ქალები, ბავშვებო, კაცებო მოხუცები.

ამ სანახაობას შეჩვეული ვიყავი. ყოველთვის, როცა კი მაღალ სიციხეს მადღევდა, მე კი, თუ სიციხე მქონდა, მუდამ — მაღალი, მაშინვე რაღაც უცხო სინამდვილეში გადავიხვეწებოდი ხოლმე, სადაც ყველას და ყველაფერს ერთად ვხედავდი. წარსულს, თავად განცდილსა თუ მონათხრობს, ჩემს უცნობ წინაპრებს და მომავალსაც, ალბათ. რადგან ვგრძნობდი, მრავალი უცნობი ჩემი მომავლიდან მოდიოდა და როდესმე შემხედვებოდა ცხოვრებაში, უფრო დაწვრილებით ამაზე წერა არ შემიძლია და არცა ღირს.

გონს მოსვლა რომ დავიწყე, იქამდე, ვიდრე საბოლოოდ გამოვფხიზლდებოდი, ძილსა და სიციხადეს შორის, საოცარი სიხარული ვიგრძენი. რაღაც უსაზღვრო ხალისმა ამავსო ერთბაშად, შვებამ, ნეტარებამ, სიყვარულმა, სინათლემ. მაგრამ როგორც კი ფეხი შევდგი ცხად სიცოცხლეში და აზრი მოვიკრიბე, შიშისაგან თმა ყალყზე დამიდგა, წამოვიწიე, მაგრამ ვერ ავღეჭი, გვერდზე გადავქანდი და იქვე მჯდომ მამიდაჩემს კალთაში ჩავაფრინდი:

— მამიდა, მოკვდა?

— რა იყო, ელე, ვინ? როდის? — ხელები დამიჭირა გულგახეთქილმა.

— ჩემი მამინაცვალი მოკვდა?

მამიდას თვალები გაუფართოვდა.

— შენ, რა, იცოდი?

— რა ვიცოდი?

— მატარებლიდან რომ ჩამოვარდა...

— ვინ ჩამოვარდა?

— შენი მამინაცვალი... მატარებლიდან ჩამოვარდნილა...

— მოკვდა?

— არაა. — და ჩაიციხა. — ეგ ეგრე ადვილად არ მოკვდება. თვითონვე წასულა ექიმთან. შუბლი გახეთქია, ჯერ დედაშენი იყო აქ, გეძებდა. მერე დედაშენი. ისინი მომიყვინენ. ახლაც წევს თურმე. თავის ტყვილები დარჩენია. ელე, შეილო, — ხმა შეეცვალა უცებ მამიდას, — არ მოველო-

დი. განცვიფრებული ვარ. განცვიფრებული.

— ? — გული გადმეწევიყენა

— დედაშენმა შენი ქარგა მოიტანა.

— მამიდა ქარგას გადასწვდა, — ეგრე მე მხოლოდ ათი წლის წინათ დავიწყე ქარგვა, მთელი ოცდაათწლიანი წვალების შემდეგ. იცი, რომ ეს საოცრებაა?! — თვალს არ აშორებდა დასამთავრებელ ისამანს, და მერე, ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა: — ეს იმიტომ, რომ შენ უფრო მეტი ტანჯვა შეგხვდა. ნიჭი კი შეიძლება ერთნაირი გვაქვს. ახლა სულ აქ იქნები, ჩემთან — თავი აიღო — ერთად ვიცხოვრებთ, გინდა? ეს კი, დაამთავრე და თუ არ გენანება, მე მაჩუქე.

უცებ ისევ იმ გიყურმა, აუხსნელმა სიხარულმა წამომიარა, საბანს ხელი ვკარი, წამოვფრინდი და მამიდაჩემს მოვეხვიე: ვკოცნიდი თმაზე, ლოყებზე, ხელებზე. მერე ისევ საწოლზე ავხტი, საბანს ვტაცე ხელი, დავატრიალე, ვიციხოდი, ვიციხოდი, ბალიშზე დავეცი — და მამიდაჩემსაც გადაედო და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილით ამყვა. მერე მითხრა.

— იცი? ახლა მართლა ჩემი და იყავი, მამაშენის დედა, ვისი სახელიც გქვია, იცი როგორი სიცილი იცოდა? ძალიან ლამაზი იყო, და ამაყი. თან ნაზი. შეგიძლია წარმოიდგინო? ცოტა და ნახევარი არაფერი უნდოდა, არ შეეძლო. მამაშენი მეუბნებოდა ხოლმე შენზე, დედაჩემსა ჰგავსო... ვიდრე გაგიცნობდი.

სამი დღის შემდეგ დედაჩემი გვესტუმრა. შუბლზე მაკოცა და მამიდას მიუბრუნდა.

— სულ ასე მოსდიოდა პატარაობიდან, უცებ და უმოზეზოდ აძლევდა სიციხს. ორმოცდაერთამდე აუვიდოდა, მთელი სამი-ოთხი დღე იწვებოდა და ვერაფრით ვშველოდით, ვიდრე თვითონ არ გაუვლიდა. რა უცნაურობა აღარ ხდება. — ჩანთა გახსნა და პირველი, რაც ამოიღო, ჩემი ნიყარა იყო. მერე კაბები მოაყოლა. მერე



ხელჩანთიდან ხილი და შოკოლადის ყუთი ამოალაგა, თან დაბალი, მელოდური ხმით განაგრძობდა ლაპარაკს. ცოცხლად მოგვიყვია, რა ხდებოდა იქ, შორეულ კურორტზე, ვინ გაიცნო, საიდან იყვნენ, ოსტატურად ბამავდა ყველას. აგვიწერა მათი ჩაცმულობა და უცნაურობანი, ეგ იყო, მხოლოდ ამინდებმა არ გაგვიმართლაო, ახალი კაბები ვერც კი ჩაეცვა, ეს რომ გაახსენდა, ისევ გამბრაზდა წვიმიან დღეებზე. და მერე იმაზე, ნადრევად რომ მოუხდა კურორტის დატოვება, რადგან მისი მეუღლე სამსახურში გამოიძახეს და ის კი, აქეთ რომ მოდიოდა, რატომღაც მატარებლიდან ჩამოვარდა. ნეტავი, გამაგებინა, რამ ჩამოაგდოო. შენს წიგნებსაც მოგიტანო, — მომიბრუნდა. — მაინც როგორ ცხოვრობთ აქ ასე მარტოო, — უთანაგრძნო მაშიდას. — ისე კი მშვენიერი ბალი გაქვთ, მაგრამ მე ფერადი ყვავილები მირჩენია. რაც შეიძლება ქრელი, ფერადი, მძაფრსურწნელოვანი. ეს ფეხსაცმელი მიჭერს, ახლა მთელი აგვისტო აქ უნდა ვიყო, ჩემი მეუღლე ჯერ თავსაც ვერ წვეს ბალიშიდან. არა, მაინც რა უცნაურები არიან ეს კაცები, რამ ჩამოაგდო მატარებლიდან? ჩემი პირველი ქმარი კი რატომღაც სულ ყვიროდა. ხოლო მამაჩემს, არც დაიჯერებთ, კირივით სძულდა გამხდარი ქალები, ყოველგვარი უკეთურების კერად მიიჩნდა, არცერთ მათგანს არ ენდობოდა და ქვებუღანებს ეძახდა. ეს კილემ არაფერი. ყველანაირი სუნამო და ზარის ხმა თავს ატკივებდა, იქამდე, რომ ვიღაცას ფული მისცა და ჩვენს ქუჩაზე მდებარე ეკლესიის ზარი მოაპარვინა. თანაც ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი დადიოდა სახლში, და იცით? — სტუმრად იყო, ქათმის ხორცს ჭამდა და ძვალი გაეჩხირა, რადგან ეკლესიის ზარი დარეკეს იმ დროს და თანაც მის გვერდით მჯდომ ძალიან გამხდარ ქალს საშინლად მძაფრი სუნამო ესხა თურმე. ძვალი გაეჩხირა და ოპერაცია დასჯირდა, ძლივს გადაარჩინეს. თუმცა

მერე დიდხანს აღარ უცოცხლია. „ხედავთ? ტყუილად კი არა მოგვარებოდა ზარი და სუნამო! ხედავთ, რა მიყვესო?“ — სულ ამას იძახდა. საერთოდ, ყველა კაცი — დედაჩემმა ვარდისფერფრჩხილიანი თითი საფეთქელზე მიიკაქუნა და წამოდგა. აბუღუღებულ, ნათიბისფერ თმას ხშირ-ხშირად ისწორებდა. ყელს მარაოთი ინიავებდა, რომელსაც უცბად კეცავდა და მუხლზე მსუბუქად დაირტყამდა ხოლმე. იადონისფერი კაბა, ეცვა, აბრეშუმისა. მამაჩემის სიტყვები გამახსენდა: „რომ იცოდე, როგორ მიყვარდა... ის ჩემი სიყვარული მიყვარს... და ვერ ვიციწყებ, ველარ ვეშვები, ესამინს მაგონებდა...“ კილევ, დეიდა სოფოს ნაამბობი წამომიტკიცვდა. შეძლებულად უცხოვრია დედაჩემის ოჯახს. ორი ქალიშვილი ჰყოლიათ. დედაჩემი უმცროსი იყო. დეიდა სოფო დედამისთან იზრდებოდა, მაგრამ მამასთანაც ხშირად მიდიოდა, მამის უკვე მესამე ოჯახში. ჰოდა, აი, იმ ოჯახში ხან რა იკარგებოდა, ხან რა ქრებოდა ფული, წერილ-წვრილი ნივთები და რაც ძალიან უცნაურად ეჩვენებოდათ: ყველის თავებიც, მხელ-მთელი ძეხვები, თაფლით სავსე ქილები და ასე შემდეგ. ჯერ ვერ ამჩნევდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ... მერე უკვე აშკარა შეიქნა და ერთმანეთის მიყოლებით ითხოვდნენ და იღებდნენ შინამოსამსახურეებს. ერთხელაც, საზეიმოდ რომ გატეხეს ბავშვების ყულაბა — თავგასერილი თაბაშირის დათვი და იქნაგულეები მონეტების ნაცვლად რკინის ლილები წამოზავდა, უკვე განგაში ატეხა ოჯახის უფროსმა და განაცხადა, რომ ახალგაზრდა მოსამსახურე გოგოს დაუყოვნებლივ სამართალში მისცემდა. აქ კი წინ წამომდგარა თორმეტი წლის დედაჩემი, ფეხი დაუბაკუნებია და განუცხადებია, რომ ყველაფერი თვითონ გაჰქონდა სახლიდან და მომავალშიც იგივეს აპირებდა, რადგან ისე ცხოვრება ძალიან უინტერესო იყო: არაფერი მათ სახლში არ

ხდებოდა. ნათესავეებიც კი არ უკვდებოდათ! ნათესავეებიც კი რომლებიც მხოლოდ იმით იყვნენ საინტერესო, რომ შეეძლოთ ხანდახან დახოცილიყვნენ, მათი ძალიც მეტისმეტად ჭკვიანი იყო და არაყის დაგლეჯას არ აპირებდა, არც ქურდები ესზომდნენ თავს და მამამისმა, რომ იმ ვილაც ბანდიტს ზარი ჩამოახსნევინა ეკლესიიდან, ეს იყო და ეს, არაფერი საინტერესო მერე თავში აღარ მოსვლია, და რომ დედას, დედას მაინც! სალომეს დედასავით შაკიკი მაინც ჰქონოდა, რომ ცივ-ცივი ბაყაყები დაესვათ შუბლზე! ან თვითონ მაინც ყოფილიყო აყვანილი, სადმე ნაპოვნი, ვინმეს გადაგდებულო, ან სადღაც მოპარული ბავშვი, არა! კანონიერი შვილი იყო, მაინცა და მაინც! არაფერი საინტერესო მათთვის არ გაიმეტა ღმერთმა! არაფერი — საიდუმლოდ მოსაყოლი! და რომ ასეთ პირობებში ადამიანი გაგიყდებოდა.

თურმე საგანგებოდ გამოიბრანყებოდა ხოლმე, დედამისის სამაჯურს გაიკეთებდა და დედამისის შარფს მოისხამდა, შარფის ქვეშ ძეხვს ან თაფლის ქილას ამოიჩრიდა, კალათიც მოსაკითხით ჰქონდა სავსე, ოღონდ ზემოდან სულ სხვა რამ, რაიმე უწყინარი მოსჩანდა და ასე გასწევდა ხოლმე რომელიმე მეგობრის ხელმოკლე ოჯახში. იქ სავარძელში მოკალათდებოდა, და დიდი ქალივით გააბამდა საუბარს ამინდზე, ფასებზე, ქალაქის ამბებზე... შუა საუბარში სხვათაშორის ამოიღებდა მოსაკითხს, თითქოს მაშინლა გაახსენდაო, დედამ გამოვიგზავნათო, უმნიშვნელოდ ჩაურთავდა და ისევე აგრძელებდა მასლაათს. ეს ყოფილა ყველაზე დიდი გასართობი დედაჩემისთვის. განსაკუთრებით ასაჩუქრებდა თურმე იმ ბიჭებს, რომლებსაც უყვარდათ, მაგრამ რომელთა მიმართაც როგორც გოგო გულგრილი იყო. ყიდულობდა მათთვის ბურთებს, საათებს, დანებს. „განსაკუთრებლად გულუხვი იყო. ოღონდ ვინმესთვის რა-

იმე უჩუქებინა! — ამბობდა დეიდა სოფიკო — მაგრამ სულ ვხალ-ახალ ამხანაგებს ირჩევდა, ხან ვისთან მეგობრობდა, ხან ვისთან. სულ ერთთან დიდხანს ვერ ძლებდა და როცა ძველი ამხანაგი შეხვდებოდა, თითქოს ახლა გაიცნოო, თავიდან იწყებდა მასთან ურთიერთობას. ეკითხებოდა სახელს, ასაკს და რა ვიცი. სხვათაშორის, ვერ მიხვდებოდიო, ხუმრობდა თუ მართლა აღარ ახსოვდა“. მართლაც, დედაჩემისთვის რაც არ უნდა ეთხოვნა ადამიანს, არ დაიშურებდა და ისეც, უთხოვენლადაც, ისე ადვილად გააჩუქებდა ხოლმე რაიმეს, თუნდაც ძალიან ძვირფასს, თითქოს მისი არ ყოფილიყო...

გასვლისას უცებ მომიბრუნდა:

— მართლა სულ აქ დარჩები?

თითქოს რაღაც გულდაწყვეტამ გადაუარა სახეზე, ჩრდილის სიფრიფანა ტალღა აუტურდა ჭროლა, მომწვანოდ გამჭვივალე თვალებში. გაერთა და გაქრა.

— დავრჩები, დედა, — გული მომეწურა, ეს რომ ვუთხარი. მივედი და უხერხულად მოვეხვიე.

თვითონაც მაკოცა. მაგრამ აღარაფერი უთქვამს. ხელი დაგვიქნია მხოლოდ და ბაღის ბილიკზე ქოლგა გაშალა.

მამიდა საამბიონე ქსოვილს ქარგავდა.

ბაკიისფერი, სალუქი მირინოსის შუაგული მჭრქალი ფანქრით სულ შეუმჩნევლად მოეხატა. დიდი ფიქრის შემდეგ, 7 ვარდის გვირგვინის მოქარგვა გადაეწყვიტა. ოთხი მათგანი უკვე მოემთავრებინა: ხახვისფურცლისფერ, სანახევროდ გაშლილ ყვავილებს ეხებოდა და არც ეხებოდა წინა ვარდის ოდნავ მორკალული ღერო, ორი-სამი ღია მწვანე ფოთოლი რომ ება.

„ყვავილებიდან ვარდი ყველაზე ძნელი ამოსაქარგია“, — ამბობდა მამიდა და მართლაც წარმოუდგენელი იყო: როგორ უნდა გაეჩინა ძაფს ერთ-



მანეთიდან ამომავალი უამრავი თეთრი თუ ვარდისფერი ნახევარმთვარე? ოღონდ გადაზნექილი, არც მკვრივი, არც სიფრთხანა ფურცლები, ერთმანეთს შუამდე რომ ფარავდნენ, მაგრამ ფერით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ!

მამიდა ერთდროულად ოთხ ნემსს ხმარობდა, ოთხ უწვრილეს ნემსს, სულ სხვადასხვა ფერის ძაფებით. ამ ოთხნაირი ძაფიდან ორი ხახვის ფურცელში იყო შეღებილი, ხახვისფურცლისავე ფერი დაკრავდა, ოღონდ ერთი მუჭი იყო, მეორე — ბაცი: მუჭქრდილების, გარდამავალი, მოლივილივე ელფერის შესაქმნელად. მესამე კი — ფერფლისფერ-მოთეთრო.

თვითეული ფურცლის მორკალულ ნაპირს, ნაპირის ხაზს, ძლივს შესამჩნევ კუწუბოს ძაფის მიმართულება ქმნიდა და არა ფერი. ეს ხაზი, რომლის დამჩნევა აუცილებელი იყო, რათა ერთი ფოთოლი მეორეს გამოჰყოფოდა, მამიდას თარაზულად გამოჰყავდა და თან იმ პირისფერ ძაფში მიყოლებით ურთავდა ფერფლისფერ წერტილებს. ვარდის ფურცლის დანარჩენი ნაწილი კი შვეულად იჭარგებოდა, მაგრამ ნაქარგზე ამ ხერხს ვერასდიდებოდა ვერ შენიშნავდი — ისე შეუმჩნევლად ერთოდ-ერთვოდნენ ძაფები ერთმანეთს. ძაფის სხვადასხვა მიმართულების შემჩნევა მხოლოდ უკუღმა მხრიდან შეიძლებოდა, რომელიც მამიდაჩემის ქსოვილებზე აბურღულდაბურღულ შავ პირს კი არ წარმოადგენდა, არამედ ისიც ნაქარგი იყო — ოღონდ ფერად-ფერად ლაქებს გვიჩენდა. თითქოს ეს იყო პირველადი ნივთიერება, სადაც მომავალი სურათის ყველა ფერი ჯერ-ჯერობით ერთმანეთში გაღვრილ ლაქებად არსებობდა, მერე კი სახე და მკაფიოება შეეძინა: წალმა მხარედ დაწმენდილიყო.

ვარდები კი სუნთქავდნენ, თრთოდნენ და აქა-იქ წვიმის წვეთებიც უკრიალებდათ. ეს კი მეოთხე ნემსის დამსახურება გახლდათ, რომელსაც ძაფი

კი არ ქტონდა გაყრილი, არამედ... ჩვენი გაცნობის პირველადი ენა მამიდამ მოთხრა: „თმას რომ დაივარცხნი, ჩამოცვენილ ლერებს ნუ გადაყრიო“ და თან მიჩჩია, საერთოდ, კვერცხის გულით დაქებანა თავი. მეც ვაგრძობდი. თმის ლერს მამიდა ვერცხლისწყალში ავლებდა, მარმარილოს თეთრ კოლოფში რომ ინახავდა და მოვერცხლილი თმით იჭარგებოდა წყალი, წვიმის წვეთი, სისველე... მაგრამ რა ძნელი იყო, ღმერთო ჩემო... თმას ვერ განასკვავდი, ნასკვი ხომ ქარგვისას ისედაც არ კეთდება, მაგრამ დროებით მაინც რომ გამენასკვა, რათა ნემსიდან ან ძაფისქვემოდაც არ გამძვარალიყო... არა, ვერ მოახერხებდი და ნემსიდან სხლტებოდა, თითებში მისრიალებდა და მაინც ღირდა ტანჯვა-წყვალებად. მისი წყალობით ისე აკამყამდებოდა ხოლმე წყლის წვეთი ქსოვილზე... და თან: ღამით ნათურას პატარა-პატარა ოქროსფერ-მოყავისფრო, თითქოს შეუხედავი და კიდევ, მათზე უფრო პატარა, ვერცხლისფერი პეპლები დაჟფარფატებდნენ, დილისთვის კი იხოცებოდნენ. მამიდა იმ პეპლებს აგროვებდა და მერე ძაფს ატარებდა იმათ ფრთებზე... „ბრონხისავით რჩებოდა ძაფზე პეპლების მტკვერი და თუ ძაფს ნათურის სიმბურვალეზე გაათბობდი, ის მტკვერი აღარ მოშორდებოდა: არათანაბრად იწყებდა ბზინვას. ოთხივე ძაფი ამგვარად იყო დამტკვრილი. და ამოქარგული ვარდები სუნთქავდნენ, თრთოდნენ და წვიმის წვეთებიც უკრიალებდათ.

ბოლო დროს მამიდა სულ უფრო ხშირ-ხშირად ისვენებდა. იწვა და გვირილის სველ, გრილ საფენებს იფენდა თვალებზე. მარჯვენა ხელის დამდნარ სამ თითსაც ხშირ-ხშირად აწობდა გვირილის ნახარშიში. ასეთ დროს, ხანდახან წყნარი ხმით მიაბზობდა თავისი წარსულის ზოგ ამბავს. იკონებდა დიდი, დიდი ხნის წინ გარდასულ დღეებს: „უკვე ცხრამეტი წლისა ვიყავი. მეორედ რომ ჩამიყვანეს ჩემს

სოფელში, ამჯერად მამაჩემის დაკრძალვაზე... მამაშენს კი ცამეტი უსრულდებოდა, ექვსი წლით იყო ჩემზე უმცროსი... ჩვენი სოფლის სასაფლაოზე მარტო თეთრი ისამინები ხარობდა. რატომღაც სხვა ყვავილს არავინ რგავდა, არ ვიცი, რასთან იყო დაკავშირებული ეს ჩვეულება, საიდან, მოდიოდა... ჩვენს თეთრ, ჩუქურთმებიან ეკლესიას პატარძალს ეძახდა ხალხი. მე და მამაშენმაც თეთრი ისამინი დავურგეთ მამაჩემს, ჩვენი სოფლის უკანასკნელ მღვდელს, როგორც მანამდე ჩემს დას, მამაშენის დედას. და მამაშენმა მითხრა: „მესამედ ალბათ ჩემს დასამარხად ჩამოხვალ და ისამინიც არ დაგავიწყდესო“. დედა არცერთს არა გვეყვდა, მე საერთოდ არ მენახა, რადგან ჩემს მშობიარობას გადაჰყოლოდა — მაშიდა მთვარისას თვალი გაუშტერდა, მწარე და ძნელ ფიქრში წავიდა — მამაშენს კი ისეთი დედა ახსოვდა, რომ რა დაავიწყებდა, თუმცა ათი წლის იყო მაშინ... ჩემმა დამ სიცოცხლე რომ მოისწრაფა... მეც დედას ვეძახდი, ჩემს დას. ყველას სინათლე ჩავვიჭრა, ის რომ წავიდა: ბავშვებს, დიდებს, მოხუცებს. მე და მამაშენი სულ იქ ვისხედით ხოლმე. იმის საფლავთან, სასაფლაოს გარეთ, ძალღუფრემენებში... ისიც შევიტყვე მამიდასაგან, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მამაჩემს მამიდაჩემი მოეტებნა და თვითონაც აქ დასახლებულიყო. მერე დედაჩემი შეერთო ცოლად. და მაშიდას ყოველთვის ხშირად ნახულობდა თურმე. „ლაპარაკი უნდოდა, სჭირდებოდა. და უხაროდა, რომ ვუსმენდიო“. და მე მივხვდი, რომ მაშიდა იყო ის ადამიანი, ვისზედაც მამაჩემმა მითხრა: „არ დაგიყვავებს, არ გაგამხნევებს, ისეთი ჩემია, თოვლივითაა, მაგრამ გისმენს მთელი არსებით, გისმენს და ესმისო“. იმასაც მივხვდი, რომ მამაჩემს ბოლოს უკვე ეშინოდა ამ უსახელო ურთიერთობის, ეშინოდა, რომ ამ ადამიანის მეტი არავინ ჰყავდა, რომ

სხვასთან ველარავისთან ძღვნიდა, ველარავისთან იყო ის, რაც მამაჩემს უნდოდა ყოფნა, რომ ეს შალი უცნაურად, აუხსნელად უყვარდა, და მე მიმიყვანა. მიმიყვანა, რათა იქ დავეტოვებინე. გავერიდებინე ჩვენი სახლის ჯოჯოხეთს და თავისთვის ეს ერთადერთი მისასვლელიც წაერთმია...

მამიდას ხშირად უცნაურად უშტერდებოდა თვალი. საგანს, რომელსაც მისჩერებოდა, თითქოს ვერ ხედავდა, ან უფრო სწორედ, თითქოს ის საგანი გამჭვირვალე იყო და მის მხერგას ატარებდა. ჩემთვისაც ხშირად შემოუხებდავს ამგვარად. ერთხელ კი მითხრა:

„ამ ბოლო წლებში უცნაურობა დამჩემდა, ელე, ყველაფერს ნაქარგად აღვიქვამ, ფერად ნაქარგად... ველარ ვხედავ ხაზს, კონტურს, რითაც ადამიანი სივრცეშია გამოკვეთილი, სივრცისაგან გამოყოფილი. ფერად ნაქარგს ვხედავ მხოლოდ: წვრილი, ცოცხალი ძაფებით ნაქსოვს. დახედე კანს: ისიც ხომ უამრავი, ერთმანეთზე გადაჭვარედიანებული ძაფისგან შედგება: სამკუთხედების, რომბებისა და ხაზებისაგან. ვუყურებ ადამიანს, ცხოველს ან მცენარეს და თითქოს სხივეებით ნაქარგი, ფერადი, მოლივლივე სურათია ჩემს წინ. და ფერადი სხივები იტალღებიან, გამჭვირვალე ქსოვილად თრთიან. ზოგი ძალიან ფერადია, ზოგი უფო მუქი... წერტილოვანი. ბოლო ხანებში განსაკუთრებით გამომლიერდა...“

— ეგებ, ამდენს არ უნდა მუშაობდე, მამიდა. — შიშით მივაჩერდი დახუქულ თვალებზე.

ჩვენი პატარა სახლი ზღვას გადაჰყურებდა. ბილიკზე ჩაირბენდი და უკაცრიელ სანაპიროზე ამოყოფდი თავს. ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობდით. და მე ხშირად ვიჭექი ნაპირზე, მარტო, სულ მარტო და არავინ მყავდა მესაიდუმლე — ყოველთვის სხვადასხვანაირი ზღვის გარდა: „აი, მარტო როცა ხარ. მაშინ ხარ კარგი, წუხელ

რას მეჩურჩულებოდი: მოდი, მოდიო. ან მერე, გათენიისას, რატომ აღმუვლდი. რა ღრიალი იცო, დუღი რომ გადგება პირზე! და მაინც მარტო სიზმარში მეშინია შენი, ცხადში კი არა. სისხლი მეყინება შიშისაგან შენი საშინელი ტალღებისა და წყლის ქარაფების, წყლის უფსკრულების დანახვაზე. რა საშინელი ხარ! რომ მეუბნები: მოდი, მოდი, ჩემი იყავიო, არ გეცოდები? ფსკერზე რომ მაცხოვრო შენს ქალიშვილად, ხავსის ტყეებში, ხავსის ქობებში, კი, კი, როგორ არ მინდა! მაგრამ შენ ხომ დამახრჩობ, მელნისფრად შემღებავ, ყინულის ზოდად მაქცევ, მიმახეთქებ და მომახეთქებ და ნაპირზე გამოშისკრი დასახიჩრებულს. ამისთვის მემახი? გაგიხარდა მაშინ, სიკვდილისთვის რომ მოვრბოდი შენთან? ბნელო, ბოროტო! შენც დაუნდობელი ხარ, როგორც ყველაფერი ირგვლივ. მაგრამ თან როგორი ალერსი იცი! იცი? ვგიჟდები მაგ შენს ალერსზე. როგორ დამარწევ ხოლმე, მატყვტივებ, მარილიანი, სველი ტუჩებით გრილად მეხები, გრილად მეხვევი, ზოგჯერ რა მაცდურად ინაბები... მერე თამაშობ... განა არ გიცნობ. გეხეწები, მიშველე. რა მოხდება, შენი შვილი ვიქნები: თევზად მაქციე... და დამასახლე შენს ჭურღმულეებში. ჯადოჭრობა არ შეგიძლია? ამხელა ხარ, ასეთი ძალის და არ შეგიძლია ერთი გოგო თევზად აქციო? ოჰ! მომშორდი მაშინ! — და ხელს გავკრავდი ხოლმე მიწაზე ამოსრიალებულ თეთრონა ტალღას — თავი დამანებე! მაგრამ მაინც რომ შენ მიყვარხარ ყველაზე მეტად! რა ვქნა, უშენოდ არ შემიძლია, მზეც როცა აქ არის, რა კარგადავართ, არა, მაშინ! ოო, როგორ აკრუტუნდები ხოლმე კეფხვივით. ვეფხვი კრუტუნებს? არ ვიცი. მოვალ. შენთან მოვალ. სიკვდილს რომ დავაპირებ. გპირდები. თუ დამაცალა ჩემმა სიკვდილმა, მოგიტან ჩემს ტანს, ჩემს ხელებს, ჩემს მხრებს და მომხვები, შენ დამიხუტე თვალები, გრილ-მლაშე

გულში ჩამიკარი, ჩამკარგე და ერთს გეხეწები, გემუდარები: „მეც, ჩემსგანაც“. ჩავეხვიოთ ერთმანეთს: მაგარად, საზარლად, სამუდამოდ. კარგი? ვგრძნობ: შემისრულებ. მოდი, სველ, მარილიან თვალებში გაკოცო“. — ვიხრებოდი და ზღვის წყალს ვკოცნიდი. ჩემი ფანჯარა ზღვას გადააყურებდა. და ლამით ხშირად მეძახდნენ ორივენი მთვარე და ზღვა: საშინელი, სამყაროსხელა სევდით მავსებდნენ. განსაკუთრებით მაშინ, თუ შორს, შორს ზღვის შავ სივრცეში უძრავად იძვროდა დიდი, მრგვალფანჯრებანთებული ვეება გემიც. ვინ იყვნენ იქ, მის მუცელში, სად მიდიოდნენ, სად მიცურავდნენ, რა ელოდათ, რას შორდებოდნენ: ერთად, უჩემოდ შეყრილი უცხო მგზავრები. მე რატომ არავის არსად მიეყავდი. არავის არსად. ნუთუ ჰაერის, ზღვისა და ხმელეთის გზებ-ბილიკები სულ სხვებისთვის იყო, მე არცერთი არ მელოდა, არ მეკუთვნოდა. და ნუთუ ვერსად წავიდოდი, შორეულ ქალაქებში, შორეულ ქვეყნებში, საღაჯ, სულ სხვაგან? და მთვარისკენ ვიშვერდი ხელებს, სავსე ვიყავი უცნაური, გაუსაძლისი რაღაც გრძნობებით, შეიძლება ლამისა და ზღვის სილამაზის გამო, რასაც ვერ ვერეოდი, შეიძლება იმის შეგრძნებით, რომ მიუწვდომელი იყო ყველაფერი, ზღვაცა და მთვარეც, და მათი ენა არ ვიცოდი, არ ვიცი, რის გამო, მაგრამ სიკვდილი მიწნდოდა, სიკვდილი მწყურდა ჩემი ფანჯრიდან ზღვის ტენიანი სიბნელისკენ გადაკიდებულს. თუმცა გული მეწურებოდა უცხოობისაგან, მაგრამ გულივე მეუბნებოდა, რომ მათი ვიყავი, ირგვლივ ყველაფრის: ვარსკვლავების, ზღვისა და ლამის. თუმც არ ვიცოდი, რას ითხოვდნენ ჩემგან და რა მმართებდა მათდამი და მათ წინაშე, მაგრამ ვგრძნობდი, მათი მსგავსი და წილი ვიყავი, მათ ეგავდი: ჩემი სისხლით, თვალებით: მეც ვანათებდი, მეც მივიქცევი-მოვიქცეოდი, სულ ვახლდებოდი, რაღაც ნიდავ იწყებოდა და მთავ-

რდებოდა ჩემს სხეულში, ჩემს არსებაში: მთვარესავით, თვესავით, ზღვასავით. მათი ვიყავი. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი: შეეძლოთ წაველიყე, ნაფოტივით ვეტივტივებინე თავიანთი წყლისა თუ შექის ტალღებში: ზღვასა და მთვარეს. თუკი წინ არ ავუღებოდით: ერთხელ, სავსე მთვარეში ზღვის პირას აღმოვაჩინე ჩემი თავი, ტერფზე სველი, გრილი ენის შეხებამ გამომარკვია, გამომხსნა ყვითელი ჭადობადიდან: ღამის პერანგის ამარა, ფეხშიშველი ვიდექი ზღვასთან და არ მახსოვდა გზა ჩემი საწოლიდან პირველ ტალღამდე, მე რომ შემეხო. მაგრამ როცა ვქარავდი, ვშვიდდებოდი, რაღაც ხასიათი, რაღაც კოდნა და ძალა იწვნებოდა ჩემში. სახეს იღებდა. და ამ დროს მზისა ვიყავი ხოლმე.

ჩვენთან იშვიათად თუ შემოვივლიდა ვინმე. მამიდას ნაცნობი ან ახლობელი. ხანდახან უცნობებიც მოგვადგებოდნენ და მამიდას რაიმეს მოქარგვას სთხოვდნენ. მამიდა იშვიათად იღებდა შეკვეთას და მოსული თვლიდა, რომ ბედმა გაუღიმა.

მამიდა მეშვიდე ვარდაც ამთავრებდა. მეც ვეხმარებოდი: მთელს ქსოვილს უკვე შემოვაქსოვე ყაისნალით მოციხფრო ჭობა. ქსოვილს კიდევ სურო უნდა დაჰყოლოდა: გრძელი, დარხეული, ოდნავ მიმოკლავნილი რტო, მის ოთხივე კუთხეს ერთმანეთთან რომ შეაერთებდა. და რაკი ეს ვარდებთან შედარებით იოლი ამოსაქარგი იყო და მამიდაც ძალიან დაილალა, ამ მწვანე რტოს ამოქარგვა მე მანდო.

ერთხელაც ჩვენი სახლის შორიახლო, პატარა ბექობზე ძაფის შესაღებად თავშავეები შევაგროვე და მკლავზე გადაწვინილი ყვავილების ძნით შინ ვბრუნდებოდი. დილიდანვე აწრიალებული ვიყავი და გარეთ დაემშვიდებები მეთქი, ვიფიქრე. მამიდამ კი მითხრა, შოლი, დღეს შინ იყავიო, მაგრამ ვერ გავჩერდი. უცებ, გზისპირზე ნაძვი შეირხა და ჩემი მამინაცვალი გამოვიდა.

ადგილზე გავქევედი. მოტეხილიყო. შუბლზე ცუდად შეხორციულნი წაირევი ემჩნეოდა და თვალეში ენით გამოუთქმელი ჭავრი ედგა. სწორედ, ენით გამოუთქმელი, რადგან ასეთი სევდა ნადირთა თვალეში მინახავს მხოლოდ.

— არ შემედლო, არ მენახე. შენი ნახვის სურვილმა გაძაღებინა. მაპატიე ის დღე. დაივიწყე. სულ სხვა რაღაც იყო. შენ სხვა მოგეჩვენა. დაბრუნდი. დაბრუნდი ჩვენთან. ვერც კი იგრძნობ ჩემს იქ ყოფნას. სიტყვას გაძლევ. ოღონდ იქ იყავი. იქ. გვერდით. ახლოს.

სიტყვებს წვალებით აბამდა ერთმანეთზე. მე ხმა ვერ გავილე და მცირე სიჩუმის შემდეგ თვითონვე განაგრძო

— მე ავად ვარ. რომ არ გბედავდე, არ შემიძლია. ეს ხომ ავადმყოფობაა.

— თვალეში ცრემლი გაუქრთა და გული გამილღვა.

— არ შემიძლია, — ეუთხარი ჩუმად.

— გემუდარები, — ხელი ოდნავ აუქანაქალდა, — მოდი შინ.

— არ შემიძლია, — ამოვიოხრე ძალაგამოცლილმა.

— მაშინ მითხარი, რა ვქნა? — მკითხა უსასოდ და მორჩილად.

— არ შემიძლია.

— ბავშვობიდანვე რაღაც... რაღაც ავადმყოფურად დაიპყარი ჩემი გული, — ფიქრში წასულმა მძიმედ, ხმადამლა წამოიჩყო: — გნახე თუ არა. ჭუჩაში გამაცნო დედაშენმა შენი თავი... აღარ გახსოვს, ერთხელ რომ შემხვდით, ნავსადგურთან? ისეთი ნაღვლიანი, მორჩილი თვალები გჭონდა, ისეთი ნაღვლიანი. ცხრა წლის იყავი. ჩამეჭრა, რაღაც ჩამეჭრა შიგნით. იმ დამით თვალიდან ვერ მოვიშორე: მე და დედაშენი ვლაპარაკობდით, შენ კი ხმამოუღებლად იდექი, იდექი და იცდიდი... მერე პატარა, ჩალის კალათი, სადაც ნაძვის გირჩები გეწყო და ბეწვის ციყვი გეჭდა, ხელიდან გაგივარდა. მე მოგაწოდე და შენ შეგრცხვია, გაწითლდი და დედაშენს ამოეთარე...



და იქ წავიდა ჩემი საქმე. არ ვიცოდი, რა მემართებოდა, რა უბედურება ტრიალებდა ჩემს თავს. გამოჩნდი. ამტკივდი. გამეჭვრი. ერთი ვიცოდი: მინდოდა თვალწინ მყოლოდი, მკოდნოდა: რას ფიქრობდი, რა გაწუხებდა, გამეხარებინე, შენთვის ვყოფილიყავი.

ცრემლი დამიგორდა. საშინელ დალილობას ვგრძნობდი.

— ნუ ტირი. — მოთხრა ჩემად, — დაბრუნდი, ხმასაც არ გაგცემ, თუ ვინდა. ოღონდ იქ იყავი.

— არ შემოძლია, — ვთქვი ისევ ისე. და თან გამოსავალდაკარგულმა გულში ვინატრე, რომ შემძლებოდა.

უცხად ის: ჩემთვის უკვე ნაცნობი რისხვა ამოეფრქვა სახეზე, თვალები გაუფართოვდა და მკვდრისფერი დაეღლო.

— შენი გულისთვის შევირთე დედაშენი, — გამოსცრა დაუნდობლად. — თორემ საყვარლად ისედაც მეყოლებოდა. შენთვის ვაქციე ეზო ბალნარად. შენ გელოდებოდი... სულ ერთია, სულ ერთია... ჩემს გვერდით უნდა იყო და ჩემთან. ჩემს თვალწინ. დამიჯერე. დამიჯერე! — მჭეროდა, რასაც ამბობდა, მართალი იყო. გაუგებარი, ქვასავით მძიმე სინამდვილე მოჰყვებოდა მის სიტყვებს. — დამიჯერე: თუ არ დაბრუნდები, დედაშენს ისე მივახრჩობ, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. — ამ სიტყვებზე ისევ დავინახე: ხელები როგორ ჩაეჭიდა მხრებში ვილაციისთვის და გაცოფებული აჩანჯლარებდა. — და დავუჯერე. — ორ თვეს გაძღვე დამშვიდდი. იფიქრე. მოდი. არ გატყუებ. — და წავიდა.

შინ მივედი თუ არა, სიცხე მომცა. როგორც ჩანს, ჩემმა სხეულმა ეს გამოსავალი იცოდა: როგორც კი ჩემი სასოწარკვეთა ზღვარს მიაღწევდა, მაღალ სიცხეს მძღვედა ხოლმე. ისევ წამილო ბურუსიანმა პაპანაქებამ, თაკარა, აღმურჩიანმა უდაბნომ. თითქოს სულების სკაში ჩავეარდი. წამოიშალნენ, ამოტივტივდნენ მკვდრები და ცოცხლები, ახლობელნი და შო-

რეულნი. ჩემს წინ რიგდებდნენ: მილიონდნენ, მეჩურჩულდებდნენ, მშინკავიროდნენ, მკოცნიდნენ, ხელს მკიდებდნენ... საიდანაც ზემოდან მიახლოვდებოდნენ, ან ქვემოდან — უჩინარი უფესკრულებიდან, სახე მოჰქონდათ ჩემს თვალებთან და ისევ უკან მიცურავდნენ თითქოს ქარმა გახვეტაო. მხოლოდ ერთი ჩვენება მსურს ჩავიწერო: ძველთაძველ, მაღალკოშვებთან, აწ უკვე აღარ არსებულ ქალაქში მივდიოდი. ვილაცას ვეძებდი (არ ვიცოდი ვის), აუცილებლად უნდა მენახა. ამ ქალაქში პირველად ვიყავი „ალარ შემოძლია“, „ალარ შემოძლია“ ვიძახდი ღონეგამოცლილი და მკვდარი ქუჩებში თითქოს გმინვით იმეორებდნენ: „ალარ შემოძლიაა“. „ნუ იტყუები!“ — ზარივით დარეკა უცებ რაღაც ხმამ, კოშკის ვიწრო ფანჯრიდან მკაცრსახინამა, მანტიამოსხმულმა კაცმა ჩამომძახა: „ნუ იტყუები!“ ცრემლები დამდინდა: „განა ვიტყუები?“ „მეც ყოველთვის ტყუილია!“ — თვალი თვალში გამიყარა და მიიმალა და მაშინ მივხვდი, რომ მთელი სახლები ადამიანებით იყო სავსე, მაგრამ რატომღაც გარეთ არ გამოდიოდნენ, და დამაიწყდა, რომ ვილაცას ვეძებდი.

გონს რომ მოვედი და თვალი გავახილე, მამიდა გახარებული დაიხარა ჩემსკენ:

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, ახლა აღარაფერი გიჭირს.

ორი დღის შემდეგ, შებინდებულზე, ბაღში ვისხედით. მზე ჩადიოდა და თეთრი პიონები და პორტენზიები მსუბუქ ნიავზე თავს ხრიდნენ მძიმედ.

— მამიდა, წელან რასა ქარგავდი?

— ერთმა ახალგაზრდა კაცმა თავისი დისთვის შარფის მოქარგვა მთხოვა. შენ რომ ავად იყავი, მაშინ იყო. თვითონ მოიტანა ეს მწვანე მარკიზეთი. მიყვარს მარკიზეთი, ბატისტს მირჩევნიც... სიმპათიური ახალგაზრდაა, მომეწონა და შევპირდი, ორ-სამ კვირაში მზად მექნება მეთქი. ხვალ გამოი-

ვლის, მოვალ, ვნახავ, როგორი გამო-
დისო.

მერე სხვათაშორის იკითხა:

— ნეტავი, შენი მამინაცვალი რო-
გორ არის?

შეკვრითი. შევხედე.

— არ ვიცი...

— შენ საიდან გეცოდინება... დე-
დაშენიც აღარ მოსულა. მე კი მეგო-
ნა, უშენოდ ვერ გასძლებდა... ისე და-
მიხატა შენმა მამობილმა.

— რაა? შენ იცნობ... იმ კაცს?

— ჰო. თვითონ გამეცნო. აქ იყო
ერთხელ, ვიდრე მატარებლიდან ჩამო-
ვარდებოდა, კარგა ხნით აღრე. დედა-
მისი საშინლად განიცდის, ელენე სულ
აქეთ რომ გამოვბის, ხომ იცით, მაგის
მეტო არავინა ჰყავს და ეჭვიანობს, არ
ვუყვარვარო. ჩვენი სიმშვიდისთვის
სჯობია, შინ იყოს, სახლი იქ მგულუ-
ბოდეს, ოჯახს გრძნობდეს, აქ ასე
ხშირად არ დადიოდეს. არაფერს ვა-
კლებთ, თანდათან შემეჩვევა და... საე-
რთოდ ასე სჯობიაო. მეც რა გზა მქო-
ნდა. იმიტომ გთხოვე, ერთი-ორი თვე
დაისვენე მეთქი.

არაფერი შითქვამს.

მამიდასაც სხვა აღარაფერი უკით-
ხავს. მაგრამ მომეჩვენა, რომ დაკვირ-
ვებით მიყურებდა.

— ებოდავდი? — ვიკითხე უცებ
და უნებურად.

— როდის? — გაკვირვებით შემომ-
ხედა მამიდა.

— სიცხე რომ მქონდა...

— არა. წუხდი...

მეორე დღეს მართლაც მოვიდა ის
ახალგაზრდა კაცი. შემოვიდა თუ არა,
ყურადღებით შემომხედა. ცოტა ხნის
შემდეგ კი ახლობელივით მკითხა:

— ახლა ხომ უკეთესადა ხართ? პი-
რველად რომ გესტუმრეთ, ცუდად
იყავით... მაღალი სიცხე გქონდათ.

მაღალი, ქერა კაცი იყო, ოდნავ და-
ბნეული, კეთილშობილი იერი და სე-
ვედიანი თვალები ჰქონდა.

„ობლის თვალები“ — გავიფიქრე
რატომღაც.

მამიდამ შარფი გამოუვარდუნა მწვანე
მარკიზეთზე თეთრი ვარსკვლავის ამო-
ქარგვა დაეწყო. სტუმარმა ნაქარგი
დაბნეულად ათვალიერა წაღმა-უკულ-
მა და ბოლოს განაცხადა: მშვენიერია,
ჩემს დას ძალიან მოეწონებაო. გული
მეტკინა, ამა რომ არა მყავდა. სხვისმა
ამამ კი ცოტა ხნის შემდეგ უხერხუ-
ლად ითხოვა ნებართვა, კიდევ ერთ-
ხელ მოსულიყო და შარფისთვის დაე-
ხედა. მამიდა ცოცხლად შეეგება ამ
სურვილს და სამი დღის შემდეგ, ჩვენს
სტუმარს რომ ვაცილებდით ბაღის ბი-
ლიკზე, მოულოდნელად ჩაიზე მიიწ-
ვია.

იქვე ბაღში ბამბუკის მრგვალ მაგი-
დაზე დავაბრძანეთ ჩვენი სამოვარი.
მაღე აშინდა, მსუბუქი ორთქლიც
ღაირხა საღამოს ჰაერში, ცისკენ წა-
ვიდა, თეთრი პიონები და ჰორტენზი-
ები თავს მიძიმედ იქნევენდნენ ბინდის
ნიავეზე და „ჰო“ — „არა“, „ჰო“ —
„არა“-ო ამბობდნენ. სტუმარმა მოც-
ვის შავი, მბზინავი მურაბა მომაწოდა.

— თქვენ სულ ასეთი სევდიანი
ხართ? თუ ავადმყოფობის ბრალია?

— არა, — გამეცინა. — ავადმყო-
ფობაა სევდის ბრალი. — თან გამიკ-
ვირდა, რადგან იმ საღამოს სწორედაც
რომ არ ვიყავი ნაღვლიან გუნებაზე.
ჩვენი სტუმარი ჩაფიქრდა, მერე სწრა-
ფად შესვა ფინჯანში დარჩენილი ჩაი
და ზღვაზე გასეირნება შემოგვთავაზა,
რახედაც მაშინვე დაეთანხმა მამიდა-
ჩემი, შარფი მომახურა, თავისთვის
მკლავზე გადაიფინა და წავედით. მას
საკუთარი ნავი ჰყოლოდა, რომელიც
ჩვენი სახლიდან მოშორებით ზღვაზე
იჩქვოდა. ზღვაში რომ შეეცურდით,
მთვარეც ამოვიდა, ძლივს დააღწია
რუხ-ლურჯ ღრუბლებს თავი, მხრებში
გაიშალა და ტალღები ყვითელ-შავად
ააღაპლაბა. ნავი ნელა მიცურავდა.
ისინი წყნარად საუბრობდნენ, ზოგჯერ
ჩუმდებოდნენ, და ყველანი ნიჩბების
ხმასა და ტალღების ტყალაშუნს ვუგ-
დებდით ყურს. ზღვის ნიავესა და წყლის
მომლაშო-მკვრივმა ტენიანმა სურნე-

ლმა გამომაცოცხლა. ხელს წყალში ცყოფდი, წყალში ვიხედებოდი; ზღვა ჩემს მუქ, ბუნდოვან ანარეკლს შემამოთებლად აცახცახებდა. თან მათ ხმადაბალ საუბარს ვუგდებდი ყურს: ალექსი, ასე ერქვა ჩვენს სტუმარს. ახლა კი მასპინძელს. ახალი დაბრუნებული აღმოხნდა ოუსეთიდან, სადაც ავიამწებლობის სასწავლებელი დავმთავრებინა. მაგიდამ ასაკი ჰკითხა. ოცდაექვსი წელი მისრულდება ამ თვეშიო. „ჩემზე ათი წლით უფროსია“ — გავიფიქრე რატომღაც.

ამის შემდეგ ორჯერ კიდევ გვეწვია: ყოველ მოსვლაზე სულ უფრო დაბნეული და შეკვეთილი შარფის მიმართ სულ უფრო უყურადღებო. მერე კი ერთი კვირა აღარ გამოჩენილა და აღმოვაჩინე, რომ ყოველ წუთს ველოდებოდი. თვალი სულ გზისკენ გამობოდა. ეზოს ჭიშკართან წავასწრებდი ხოლმე ჩემ თავს: გზას ვაყუარებდი.

ესევე შემოიპყრო მტანჯველმა მოუსვენრობამ. ერთი თვე მიიწურა. რჩებოდა კიდევ ერთი თვე და მერე რაღაც უნდა მომხდარიყო: ან დედასთან უნდა დავბრუნებულიყავი: იმ დამთრგუნველ, შემამინებელ სახლში, ან არადა... არა, არა, ჩემი მამინაცვალი სიტყვებს ტყუილად არ ხარჯავდა. ცუდად მეგროდა ამ კაცის, მეგროდა.

ერთხელ, პური და შაქარი ვიყიდე ჩვენი უბნის პატარა მაღაზიაში და რომ გამოვდიოდი, მოპირდაპირე მხარეს. ევკალიპტის კანაფიქვინელ ტანთან ჩემს მამინაცვალს მოვკარი თვალი. შიშისაგან კინალამ ჩაიკეცე. შაქრის პატარა, ოთხკუთხა კოლოფი ხელიდან გამივარდა და თეთრი ნატეხები მიწაზე მოიფანტა. თავი რომ ავიღე, ევკალიპტის ქვეშ აღარავინ იდგა. თავი დავირწმუნე, მომეჩვენა მეთქი. მაგრამ ველარ დავმშვიდდი. და უცნაური იყო, რომ: თან ხომ ეგრე მზარავდა ეს კაცი, თან თავს როცა საშინელ გაჭირვებაში წარმოვიდგენდი, როცა ძალიან მარტო ვრჩებოდი საფრთხის წინაშე და მართლა

მჭირდებოდა ვიღაც ძლიერის დახმარება და თანადგომა. მამინაცვალს მამინაცვალი მახსენდებოდა და ვეუბნებოდა. გაჭირვების დროს სულ მასთან გავბოდი ფიქრში. მეგროდა, ამ კაცს ყველაფერი შეეძლო. მაგრამ ახლა, სინამდვილეში დრო იწურებოდა და მე არ ვცოდი. რა გზას დავდგომოდი, სად გადავკარგულიყავი, ამა ვინ იყო ისეთი, ვინც ამ კაცისაგან დამიფარავდა, მას შებედავდა? — არავინ.

იმ საღამოს ალექსი მოვიდა: ხელში თეთრი ვარდების უზარმაზარი თიგუელით. მაგრამ ვარდები რატომღაც საკიდარის თავზე შემოლო და დაავიწყდა. ოთახში შემოვიდა თუ არა, სავარძელში ჩაეშვა და მაშინვე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, შემობრუნდა, შუა ოთახში გაჩერდა, ცხვირსაბოცო შებლზე გადაისვა, ჯიბეში ჩაიღო, მერე განწირულად ჩაუშვა ხელები და... არეულ-დარეულად გვამცნო, რომ ხელსა მთხოვდა, რადგან სხვაგვარად არ შეეძლო, ხოლო სხვაგვარად იძიტომ არ შეეძლო, რომ თვითონაც არ იყო და, რატომ და როგორ... მაგრამ ვუყვარდი და... გაჩემდა.

გული კინალამ ამომივარდა. ჩემად ვიყავით.

— თქვენი დის შარფი მზად არის. — ჩაილაპარაკა მაგიდამ და სავარძელში ჩაჯდა.

— დის? ვისი დის? დიახ. დიახ. რა თქმა უნდა! ასე მალე?

— ერთი თვე გავიდა.

— ერთი თვე უკვე... ჰო, მართლა, ვარდები! სად დამჩრა? მე ხომ ვარდები მომჭონდა თქვენთვის! ნამდვილად ხელში მეჭირა, რადგან მახსოვს, რომ ხელს მაგრად ვუჭირდი და ეკლები მჩხვლუტდნენ.

— საკიდარის თავზე, — გაელბა მაგიდას.

ალექსი გაეარდა და ვარდები შემოიტანა.

— მაპატიეთ. რატომღაც დამავიწყდა. მივხვდი, რომ მუქი ფერის ყვავილები არ გიყვართ, ამიტომ თეთრ-

ბი... — ველარ გააგრძელა. ისევ სავარძელში ჩაეშვა და ბავშვივით გამოტყდა:

— რაღაც დაბნეული ვარ. — მე შემომხედა, მაშინვე გაიხედა, — მაპატიეთ. — მე მგონი რაღაც მემართება... — მერე ფანჯარასთან მივიდა და შესძახა. — ნახეთ. ნახეთ ჩანაირი ღრუბელი მოცურავს. ნამდვილი ვეშაპია, თეთრი ვეშაპი... თქვენი ბაღიც როგორ ქათქათებს!

აღუღვებულმა მოგვხედა და ფანჯარასთან მიგვიწვივა.

— მაშიდა, — მოეხეხე, მარტო რომ დავრჩით. — როგორ უნდა ვიყო უშენოდ?

— კარგად, — თავზე გადამისვა ხელი. — შენი სამყარო უნდა გქონდეს და არავის, არავის არ გააქეღინო. ასეთი უფრო დასტირდები ყველას, ვიდრე მხოლოდ სხვისით მცხოვრები და უშენთავისო.

როდესაც აღექსის ვთხოვე, რომ ამ ქალაქიდან წავსულიყავით და რაც შეიძლება ჩქარა, ჩემდა გასაოცრად, სიხარულით დამეთანხმა. მეც სწორედ ემ მინდოდა და თქმას ვერ გიბედავდითო. ისედაც თბილისში ვაპირებდი გადასვლასო.

მისიანს არავის ვიცნობდი, რაც მას სულაც არ ადარდებდა და მგონი, არც აპირებდა ვინმეს გაცნობას. მაგრამ სხვას ვინ ჩიოდა, როცა ერთმანეთსაც არ ვიცნობდით ხეირიანად. სამაგიეროდ, ჩემი დღე-ღამის ყოველი წუთი ახლა ამ აღამიანით იყო დასახლებული. გული მეკუმშებოდა, მიჭროლდებოდა, რამდენჯერაც მისი კეთილშობილი, სევდიანი იერი წარმომიდგებოდა ხოლმე და ბავშვურად უხერხული მოძრაობანი... ვფიქრობდი, ვფიქრობდი სულ მასზე ვფიქრობდი. ფიქრი რომ იმასაც ღლიდეს, ვიხედაც ფიქრობენ, მაშინ ჩემი საქმრო ცოცხალ-მკვდარი უნდა ყოფილიყო. თან, არ ვიცი, ეს ფიქრი იყო თუ, რა იყო. განუწყვეტლივ ეხედავდი. ჩემი თვალები

თითქოს სხვას ველარად ვხედავდნენ მის გარდა. მთელს სამყაროსათვის დაეხურე. თითქოს აღარ ვიყავი. ჩემს ყოფნას მისი არსებობითა ვგრძნობდი. თითქოს მის სარკედ ვიქეცი. თან როცა ვფიქრობდი, რომ დადგებოდა წუთი, როცა ჩვენ მარტო დავრჩებოდით, სრულიად მარტო სადმე ოთახში, ერთმანეთის გვერდით, პირისპირ, და ერთმანეთს შევეხებოდით... ისეთი თავაზარდამცემი განცდა მეუფლებოდა, როგორც თექვსმეტი წლისებს თუ ეუფლებათ ალბათ. სიკვდილივით თავზარდამცემი, მომწუსხველი და წამლევავი რაღაც მოსთლიყო: ჩემში, ჩემს ცხოვრებაში. და მაინც, ხშირად გამიღვებდა ხოლმე თვალწინ ჩემი მაშინაცელის აუხსნელი უბედურებით დალდასმული სახეც... რომელსაც შინაგანად მხოლოდ ახლა და ძლივს გავიქეცი.

საშინლად ვჩქარობდი. სიჩქარისგან მაკანკალებდა. ვითვლიდი დღეებს, საათებს: როცა ამ ქალაქს მოვშორდებოდი.

და ახლა ღამით, როცა ფანჯრიდან ზღვას ვაეცქეროდი, ანდა ნაპირთან ვიჭეკი მარტო, ვემშვიდობებოდი: ჩემს საშინელ, თანდაყოლილ სატრფოს: ხან რომ ბოროტად იფოფრებოდა, სხელს იმსხვრევდა, იღწავდა, იფსკრულებდა და აღმუფლებულს ზეცა სურდა ჩამოექცია. ხან კი დნებოდა ნეტარებისაგან, საწადელშიღწეულივით, შვებანაპოენივით მზეზე ან მთვარეზე იტრუნებოდა, ინაბებოდა, მაცდურად შრიალებდა, მერე სველ ენას ატლავუნებდა და გაიძახოდა: მოდი, მოდი ჩემი გახდიო. დაგარწევ ისე, ჩაგიხუტებ, განაეგებ და ჩაგაარგავ, ჩაგიშლი, ჩაგიგრებ ჩემს სველ სხეულშიო. მერე მსუბუქად გაჯავრდებოდა, იბუტებოდა, თანდათან ისევ გააფთრდებოდა; მთელს თავის რისხვას, თავის ჭინიან სისასტიკეს, დუემორეულ ვნებას დაუნდობლად გადმოანთხევდა... ემშვიდობებოდი: მიწიდიველს, საზარელს. ქსოვილი ამბიონისათვის დაკამთავ-

რეთ, მეორე დღეს ეკლესიის მსახური მოგვადგა ეტლით: ფერმკრთალი, ოცდაათ წელს მიტანებული კაცი. ცალი წარბწამწამის ნახევარი რომ გათეთრებოდა. ზოგჯერ ტუჩები უტოკავდა უხმოდ, უბგეროდ. მამიდამ ნაჭარგი თეთრ ტილოში გადაახვია, და ჩვენც წავიდეთ — მითხრა.

ჩავსხედით. ნახევრად დახურული ეტლი იყო. ახლა უკვე თითო-ორთლა დადიოდა ჩვენს ქალაქში. მივირწყოდით. ჩვენს ძველ სახლს ჩავუარეთ, სადაც ახლა სხვები ცხოვრობდნენ. რკინის ჰიშკარი დაეკრდათ ხის კარის ნაცვლად და ჩვენი ევკალიპტი მოეჭრა. გული მომეწურა. ჩემად მოვიწმინდე ცრემლი.

ვიწრო ჩიხში შეუუხვიეთ, მერე ქვაფენილზე გავედით და ბოლოს ჩემი მამინაცვლის ქუჩაზე აღმოვჩნდით. ცხენები თავს არწევდნენ და ყურებს ათამაშებდნენ. შეეტლეს დუნედ ეპირა სადავებები ჩამოვებულ ხელში, ჩვენი თანამგზავრი, შავკაბიანი კაცი კი ღრმა ფიჭვებში ჩაძირულიყო.

მიუთახლოვდით ჩემი მამინაცვლის სახლს. უნებურად კუთხეში მივიყუნქე. შემეშინდა ჩემი გულის ბაგაბუგი მამიდაჩემს არ გაეგონა. გამოჩნდა ხეთა კენწეროები, მეორე სართულის იივანი, ჰიშკარს გავუსწორდით... უცებ გილო და... ჩემდა განსაცვიფრებლად: ალექსი გამოვიდა. ჩავუარეთ. გაფითრებული და შუბლშეჭმუხნილი წამით შეჩერდა, უახროდ შემოხედა ჩვენს ეტლს და წავიდა. უცებ მამიდამ, იქითა მხარეს რომ იყურებოდა და ეს ჩვენი სახლი არც იცოდა, მომხედა და ჩემად მკითხა:

— როდის მოვა ალექსი?

— ხვალ. ასე თქვა.

მივედით. მამიდამ ეზოშივე გადაიწერა პირჯვარი. — „რა უნდოდა იქ, ვისთან იყო?“ — ეფიქრობდი გაოგნებული.

შევაბიჯეთ თუ არა ეკლესიაში, თავად ეპისკოპოსი შეგვეგება. მამიდა ხელზე ეამბორა, ჩანდა, კარგად იცნო-

ბდნენ ერთმანეთს. მერე შე მომხედა და მასპინძელმა და თავზე დასვა წიქრი. ყოველგვარი სხვა ფიქრი გაქვიაკნა და მთლიანად ამ აღაშიანზე და იქაურობაზე გადავერთეთ.

მამიდამ თეთრი ტილო შემოხსნა ქსოვილს. ჩვენი თანხმლები კაციც მიეხმარა. კიდევ ორი შავკაბიანი ბიჭი მოგვიახლოვდა, და ერთი მოხუცი ქალიც. მანამდე ნაღველფს რომ სწვენდდა სასანთლებიდან. კუთხეებში სათითაოდ ჩასკიდეს ხელი და გაშალეს. გაშალეს და ოხვრა აღმოხდა ყველას. ჩვენი თანამგზავრის გარდა. ის ისევ ისე უშეტიყველოდ და უნუგაშოდ იყურებოდა.

ლიაიისფერ მერინოსს კუთხეებში მზისფერი ჯვრები ჰქონდა ოქრომკედით ამოქარგული. დაბინდულ-მწვანე, მიმოკლავნილი სუროს რტო ჯვრებს ერთმანეთთან აერთებდა, ხოლო შუაგულში შვიდი ვარდი სუნთქავდა წრეში და მათი გვირგვინი თვითულ ჯვართან ბზის გრძელი, მსუბუქი ტოტით იყო დაკავშირებული.

ვარდებს მისჩერებოდა ყველა. შვიდი პირისფერი, დანაწვიმარი ვარდი ბაციისფერ მერინოსზე ისე თრთოდა, რომ კაცს ქსოვილის გატოკება შეეშინდებოდა: წვეთები არ დასცივდებოთ. თვალს ვერ ამორებდნენ გაოგნებულნი. ხახვისფერცლისფერ ვარდებს ცოტადა უკლდათ, რომ მათებური ნეტარებით გადაშლილიყვნენ. ჯერ კი სადაც შუაში შეჩერებულიყვნენ: სრულ გაშლასა და სიკოკრეს შორის. თვითელი ფურცელი ოდნავ გადაზნექილიყო და ნაპირი ნებიერად აეპრიხა. წვიმით ვახარებულ ყვავილებს ღიდრონი წვეთები შერჩენოდა და წვეთის ქვეშ და ირგვლივ ფოთლის ფერი უფრო კრიალებდა და მჭვირვალეებდა.

უსახლერო სიამაყით ამევსო გული მამიდაჩემის გამო და. როგორც ხშირად მემართებოდა მის მიმართ. მოწინებინსაგან დაემუნჯდი და შეხედვას ველარ ეუბედავდი. ხომ ჩემს თვალწინ შეიქმნა ეს უცნაურად ცოცხალი სილამაზე-

ზე, მაგრამ ახლა სხვათა აღფრთოვანებაც რომ დაემატა, უფრო ვიგრძენი ამ ადამიანს ძალა და ფასი.

როცა მიმოვიხედე და გარშემო კედლებზე სარკმლებივით ფართო ოვალებიან წმინდანთა სამოსს დავაკვირდი, ან სხვა ტილოებს და ქსოვილებს ირგვლივ: ამბიონზე, ნიშში, ზატის პირბადეს თუ რაღაც ალამს, გავიფიქრე, რომ ჩვენი ვარდები იქაურობისთვის. ზედმეტად ცოცხალი და მგრძნობიარე ჩანდა. ეს არ გახლდათ მშინავი, დეკორატიული ტილო, სადაც სიმბოლოა მხოლოდ მთავარი: სიმბოლური ფერი, ნიშანი თუ გამოსახულება. ჩვენს ნაქარგზე მთავარი სიცოცხლე იყო: ვარდები სიცოცხლეს აფრქვევდნენ, მზითა და მიწით თრთოდნენ, შემოჰქონდათ დედამიწის ენითუთქმელი სინაზე და სუთქვა. ის თბილი, ახლობელი, მტანჯველი სინატიფე, რთული ფეროვნება, რაც მხოლოდ დედამიწას ხელეწიფება და რომელთან შედარებით ვარსკვლავის სილამაზე გრილი, შორი და ერთფეროვანია. ეს ვარდები მათ შემყურეს გულს ეპარებდნენ, აცახცახებდნენ: მეტისმეტად მკვეთრი სიცოცხლე, მგრძნობელობა ქვითქვდა მათში. ირგვლივ ყველას აფორიაქებდნენ, ყველაფერს აფერმკრთალებდნენ, მთელ ყურადღებას თვითონ იტაცებდნენ და მნახველს სხვა ადარაფრისთვის აღარ სტოვებდნენ.

ერთმა შაკეაბიანმა ბიჭმა ბავშვივით წაიღო საჩვენებელი თითი და ერთერთ ვარდს შეახო ფრთხილად.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, მთვარისავე. ნუშვ მოგაკლდება იმისი მადლი. გული და სული ჩაგიტანებია და ღვთით მომადლებული ნიჭი არ დაგიზოგავს. — ლმობიერი და ძლიერი სახე ჰქონდა ეპისკოპოსს.

— ეს რტოები და მთელი ქობა მღვინეს ხელობაა. მეუფეო.

— რას ამბობ მთვარისავე, ეს ხომ ერთი ხელია! — ქსოვილზე გადაიხარა ეპისკოპოსი. მერე ალერსიანი გაყვრევებით შეომხედა, საფეთქლებზე

მსუბუქად შემახო ხელსაგულები და თავზე შეამბორა.

— გფარავდეს ღმერთი, შეგეწიოს უფალი იესო, ძე ღვთისა, მაცხოვარი ჩვენი, — პირჯვარი გადაიწერა, — მამაშენს ბავშვობიდანვე: ეიცნობდი, ცეთილი, ტანჯული გულის კაცი იყო, გაწვალებული. შეუენდე, ღმერთო, და გაანათლე სული იმისი, — პირჯვარი გადაიწერა.

მოხუცი ქალი მივიდა მამიდაჩემთან და ხელები აღაპყრო. მამიდა დაიხარა და მოხუცმა შუბლზე აყოცა.

— სულ პატარა რომ ჩამოგიყვანა მამიდაშენმა, გახსოვს? როგორ ტირიდი ხოლმე. — ტკბილი ხმა და მეგრული კილო ჰქონდა.

ქსოვილი ჩამოაფარეს, კელაპტრები ანთეს. მათ ციმციმზე უფრო ათრთოდნენ ჩვენი ვარდები. და ქსოვილიც ისე წყალივით იყო ჩაღვრილი ამბიონის თაღში.

წამოსვლა რომ დავაპირეთ, ეპისკოპოსმა მკითხა:

— აქ ხომ არ დაიწერ ქვარს, შეილო?

თუმცა გული მთლიანად გამლღვალნი მქონდა — არა, მეუფეო, მეთქი ვუთხარი ძალიან ჩუმად.

როგორც გულმა გითხრასო, — და პირჯვარი გადაიწერა.

წამოვედით.

— მამიდა, საიდან იცოდა ეპისკოპოსმა რომ ეთხოვდები? — ვკითხე შინ.

— მისგან არაფერი მაქვს დამალული.

სულიერი მამა ყოფილიყო მამიდაჩემის, მის მამას, ესე იგი, მამაჩემის პაპას, მათი სოფლის მღვდელს, გაუზარდა ობოლი ბიჭი და გზაზე დაეყენებინა. ყველას კარგად იცნობდა თურმე იმ ოჯახიდან.

ორი დღის შემდეგ ქალაქი დავტოვეთ. მატარებელი შერახრახდა, დაიძრა, ასწრაფდა და ნელ-ნელა დამატარა ვარდები ჩვენი ორი გამცილებელი: წელში გამართული, მაღალი, თეთრი მამიდაჩემი და გამზდარი, სათვალისანი,

ბუტია და უეშმაკო დეიდა სოფო. და-
პატარაედნენ და გაქრნენ. თვითეულმა
თითო პატარა ჩემოდანი გამომატანა.
მზითვეი. დედაჩემი ქალაქში არ იყო.
სადგურიდან ერთად წავიდოდნენ ალ-
ბათ, ორივენი ჩემზე ჩაფიქრებულნი
და ჩემს გამო ნაღველშეყრილნი, სად-
ღაც, რომელიღაც ქუჩაში ერთმანეთს
დაემშვიდობებოდნენ და გასწევდნენ
თავ-თავიანთ მარტოობაში.

კუბეში საწოლზე ჩამოვკეჭი. გრი-
ლოდა. შუა შემოდგომა იდგა. ჩვენი
ქალაქის უკანასკნელმა სახლებმაც გა-
იზბინეს ფანჯარაში და მერე უკაცრი-
ელი სანაპიროს ვიწრო ზოლი გაწვა.
მოვწყდით ჩვენს ქალაქს, გამოვუსხლ-
ტით, მაგრამ შევებით არ ამომისუნთქაეს.

აღექსიმ თავისი ჩემოდნიდან მამი-
დაჩემის მიერ მოქარგული შარფი
ამოიღო: თეთრენძელებიანი მწვანე მა-
რჯიზეთი და მხრებზე მომახურა:

— რატომ წამოიღე შენი დის შარ-
ფი?

— მე და არა მყავს, ელენე, და ..
საერთოდ, არაეინ არა მყავს...

— ?

— მერე გაიბზობ.

— რა გინდოდა დედაჩემის სახლში?
ვისთან იყავი?

შეწუხებულმა შემომხედა.

— მერე გაიბზობ. — მერე გაიცინა,
— ხელი ხომ უნდა მეთხოვა შენი, რო-
გორც წესი და რიგია?

კუბეში მესამე მგზავრი შემოვიდა.
თბილისში აღექსის ნათესავ კაცთან
მივედი, რომელიც უკვე გველოდა
თურმე. წვიმიანი დღე იდგა. ჩვენი
მასპინძლის ოთახში ორფად გაბმულ
თოქზე უამრავი ცხვირსახოცი ეკიდა
— თითო ორ-ორი, ხის სამაგრიტ და-

მაგრებული. პიემოს ყოველი ჯიბი-
დანაც ცხვირსახოცი ამოსჩარდებოდა
ცისფერთვალემა, ნესტრქუნაქუნაქუნა-
ბულ კაცს. მთელი ცხოვრება ქრონი-
კული სურდო სტანჯავდა თურმე.

ერბოკვერცხით, ლორითა და არყით
გაგვიმასპინძლდა. ჩვენი სადღევრძე-
ლო დალია. მეც ვაპირებ ცოლის მო-
ყვანას, ეგებ დამეხმაროს, და წინას-
წარ შეგულებული ბინა მიგვასწავლა.
იმავე დღესვე ვიქირავეთ მყუდრო,
ერთოთახიანი ბინა.

აღექსიმ სამსახური მალე დაიწყო
და მთელ დღეს მარტო ვატარებდი შინ.
კიდევ კარგი. კიდევ კარგი, რომ იმ
უეცარი და მთლიანი სიახლოვის შემ-
დეგ კვლავ მარტო დავრჩი. ისე ვიყა-
ვი ავსებულნი ახალი ცხოვრებით, ახა-
ლი განცდებით, ახალი აღამიანით, რომ
სული მიგუბდებოდა, დაღლას ვგრძნო-
ბდი და ცოტა გონს მოსვლა მჭირდებ-
ოდა.

გარეთ იშვიათად გავდიოდი. გაუწყ-
ვებოდი ხოლმე ახლო-მახლო ქუჩებს.
ვეცნობოდი ჩემს უბანს, ქალაქს, ადა-
მიანებს. შუა ქალაქში ვცხოვრობდით
და გამოკვეთილად ქართული სახე ბე-
ვრი მხედებოდა. და ნამდვილი, დაწ-
ყობილი ქართულიც ისმოდა. ვერძე-
ნი: თბილისის შემოიყვარდებოდა: რაღაც
ჰქონდა: დასრულებული და მახლო-
ბლური.

უმეტესად კი მაინც შინ ვიყავი და
ჩემს ქმარს ველოდი. და მიყვარდა ეს
მოლოდინი. ძალიან მიყვარდა. მაგრამ
სხვა მოლოდინიც მქონდა, რომელსაც
ვჩქმაღავდი, არ მსურდა მეღიარები-
ნა. რაღაც მძიმეს და საშიშსაც ვუც-
დიდი.

გზა და უგზოობა

კვამლია თუ ქარავანი დღეთა ანუ
ლაშეთა,
მსურდა ისე მეთქვა რაღაც,
არაფერი არ მეთქვა, —
კვამლია თუ ქარავანი
დღეთა ანუ ლაშეთა.
წვიმაა თუ ცივი ცრემლი
თვალთა ანუ ღრუბელთა,
არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ
რაც ისურვა, სულ ეთქვა.
წვიმაა თუ ცივი ცრემლი
თვალთა ანუ ღრუბელთა.
გზა იყო თუ უგზოობა
აზრთა ანუ სურვილთა, —
ეს გზა იმ გზას არ ზედებოდა,
გზა გზას გზას რომ უვლიდა...
გზა იყო თუ უგზოობა
აზრთა ანუ სურვილთა?
იყო, იქნებ არაფერი არ ყოფილა
არასდროს,
ვილაც მანდობს საიდუმლოს
და არასდროს არ მანდობს.
იყო, იქნებ არაფერი არ ყოფილა
არასდროს.

ამ სოფლიდან იმ სოფელში

მე ამოვდივარ დარდის ლავიდან,
მინდა მხურვალე ვნება დავეცხო, —
აღბათ თამაშის წუთი გავიდა,
აღბათ თვითგვემის წუთი დაიწყო.



დგას უკვდავება ჩემს წინ მაცდურად,
ვაი, სიკვდილში ვინ მეცილება, —
ჩემი წამება უკვე დასრულდა,
იწყება ჩემი ცოდვის მზილება.

ცა ჩამოგლიჯეს როგორც ფარდები,
ახლა აღდგომა არის მისწრება, —
ხორცის ზოზინის ქაში მთავრდება,
სულის ზეასვლის ქაში იწყება.

უნდა წავიდე მე ამ სოფლიდან,
იმ სოფლისათვის ვძერწავ დითირამბს, —
ჩემი სიკვდილის ჩიტი მოფრინდა,
ჩემი სიცოცხლის ჩიტი მიფრინავს.

ჰაჰელა

სადღა მივფარფატდე,
„სული ტკბილია!“ —
გული ინფარქტამდე
მიყვანილია.

სევდა ოხერია,
ცდა ადვილია, —
ძილი მოგვერია,
რა დროს ძილია.

თეთრი იდილია,
შავი ლილია, —
სისხლი ცივია და
მიწა თბილია.

ღმერთო, მომკალი

სიცოცხლე მიჰქრის
წმინდა თოვლის მარხილით
მიჰქრის...
და მე ჩემს თავზე
დავიწყე ფიქრი.

ღმერთო, მომკალი! —
მე ჩემს თავზე დავიწყე
ფიქრი.



ვითვლი აბებს და
ვისინჯავ მაჯას,
მთელ ჩემს ჰონორარს
წამლებში ვხარჯავ.

ვსვამ მზის სინათლეს
მენზური კიქით, —
ღმერთო, მომკალი,
დღეს ჩემს თავზე
დავიწყე ფიქრი.

დავდივარ ჩემთვის,
სხვის საშველად
დავრბოდი მუდამ.
ჩემზე ზრუნავენ,
როცა სხვებზე ვზრუნავდე
უნდა, —
სიცოცხლე მიჰქრის,
სირცხვილია,
უაზროდ მიჰქრის...

ღმერთო, მომკალი, —
მე ჩემს თავზე
დავიწყე ფიქრი.

• • •

რატომ იხარბე,
ხომ არ გეგონა,
შენ ერთს გეყუდენის
და სხვას არავის.

რატომ აღზევდი,
ხომ არ გგონია,
შენ ხარ მარტოდენ
და სხვა არავინ.

რატომ ბუზღუნებ,
ხომ არ გგონია,
შენ გწყურია და
სხვას აღარავის.

რატომ იცრუე,
ვის უგალობე
ჰიმნი ჰიმნადვე
გულშემშარავი.

რა გაღრიალებს,
ხომ არ გგონია,
მარტო შენ კვდები
და სხვა არავინ.

**მონიტორში ჩართული ლექსი ანუ
პარდიოლოგიური გალადა**



შეკრული მაქვს ხელები და
შებრული ვარ ფიციო, —
ბორბვა რომ არ შეიძლება, ვიცი,
წუხილი რომ არ იქნება, ვიცი!

ფრთები რაა, ფრთებს ვინ ჩივის,
შხარსაც ველარ ვიცვლი, —
ფრენა რომ არ შეიძლება, ვიცი,
ბრძოლა რომ არ შეიძლება, ვიცი.

მარჯვნივ რომ არ შეიძლება, ვიცი,
მარცხნივ რომ არ შეიძლება, ვიცი,
სარბილი არ შეიძლება, ვიცი,
სიარულიც არ იქნება, ვიცი.

მოდრაობა არ იქნება, ვიცი,
უძრაობაც არ იქნება, ვიცი,
ხმაური რომ შეკრძალება, ვიცი,
ლაპარაკიც ამეკრძალა, ვიცი.

კენესა რომ არ შეიძლება, ვიცი,
კმინვა რომ არ შეიძლება, ვიცი.

ტირილი არ შეიძლება, ვიცი,
სიმღერაც არ შეიძლება, ვიცი.

ჩემს საომარ და საბრძოლო რუკებს
ვხევ ისე, რომ
არ განვიცდი სირცხვილს, —
შმათა ჩემთა შეჭირვება უკვე
ფებზე უნდა დავიციოდო, ვიცი.

ალარც ჩემი მოსაკლავი ხარი,
ალარც ჩემი გასახედნი კვიცი, —
ფიქრი რაა, უნაზესი ძალის
ფიქრიც აღარ შეიძლება, ვიცი.

ხატვა რომ არ შეიძლება, ვიცი,
წერა რომ არ შეიძლება, ვიცი,
კითხვაც რომ არ შეიძლება, ვიცი...
ვიცი,
ვიცი,
ვიცი!

გადასახედი

დადგა, პლანეტა დადგა,
ვხედავ, ვარსკვლავებს ვხედავ, —
შიახლოვდება ცა და
ციდან ეშვება დედა.

ვგრძნობ, სიარული მიჭირს,
წყდება უაზრო ფრენაც, —
ფერფლად ქცეულა იჭვი,
შუქად აღბრულა რწმენა.

დედის გალობა მესმის,
მგონი ტყვილისაც ვიტან, —
ნისლად დაძრულა ლექსი,
წვიმად დაღვრილა სიტყვა.

ჩანგს ვესიშები სიმაღ,
ვწერ ისე, როგორც ვხატავ, —
უკვე არ მახსოვს, ვინ ვარ,
უკვე არ ვიცი, სად ვარ.

• • •

ბევრი ლაპარაკი
არ მინდა,
ასე სთქვიოთ:
მოვიდა და
წავიდა!

ძველებური საათი

მოთხრობა

წიკ-წიკ...

წიკ-წიკ... წიკ-წიკ... წიკ-წიკ...

ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ!

შვიდი საათია, მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო! ჩემი ვალია შვიდგზის მოგახსენოთ, რომ უკვე დილის შვიდი საათი გახლავთ!

თუმცა, რაღა თქმა უნდა, დროის შეხსენება ჯერ არავის სჭირდება: ერთობ აღრეა და ამ სახლის ბინადრებს ტებილად, უზრუნველად სძინავთ. რას იზამ, დასაბამიდან წილად მხვდა მაღალარისტოკრატიულ ოჯახებში სამსახური, მდიდარსა და ფუფუნებას მიჩვეულ ხალხს კი, მოგახსენებათ, დილის შვიდ საათზე ვერ გაადვიებ, ხოლო იმათთან, აღრიანად რომ დგებიან და პლებსი რომ ჰქვიათ, მე არაფერი მესაქმება. თავის მხრივ არც იმათ — ხელკოჭრიან ლატაკებს — ესაქმებათ ჩემთან რაიმე, რადგანაც მე ერთობ ძველებური, უნიკალური და ძალიან, ძალიან ძვირადღირებული ანტიკვარული ბოქს ქრონომეტრი, ანუ, ჩვეულებრივ რომ ვთქვათ, მაგიდის საათი გახლავართ.

ვცხოვრობ ანტიკვარიატით დახუნძლულ ბინაში. გამოგიტყდებით, პირობები აღმაშფოთებელია. თავად განსაჯეთ: ორი საუკუნე (თუ ძნელბედობის რამდენსავე ათწლეულს არ ჩავთვლით)

საოცარი სინატიფითა და გემოვნებით გაწყობილ გარემოში გავატარე — ვაშშეენებდი მარჯობთა! სასადილოებზე კარდინალთა კაბინეტებს, კონტრაღ-მირალთა მისაღებებსა და მილიონერთა საბილიარდოებს. იქ ყველგან ერთიანი სტილითა და საერთო ანსამბლურობით იყო შერჩეული ინტერიერის თითოეული სამშვენისი, ჰარმონია მუდამ სუფევდა ჩემს ირგვლივ. ახლა კი?! თვით ყველაზე უხამსი ჩარჩის სავაჭროშიც კი ვერ იხილავთ სტილების, ეპოქებისა და გემოვნების ამგვარ აღრევას, როგორც ჩემს ამჟამინდელ სამყოფელშია. ნიუანსებზე რომ აღარაფერი ვთქვა, არ მესმის რა ჭკუით შეიძლება ერთ ოთახში მოათავსო საქსონური ფაიფურის სერვისი, არაბული სპილენძის ჭალი, ცენტრალურ აფრიკაში მობინადრე ტომთა საკულტო ნიღბები და IVC-ს ფირმის ვიდეომაგნიტოფონი. მე სწორხაზოვანი გახლავართ, პირდაპირი და ზუსტი, ამიტომ მოურიდებლად ვიტყვი, რომ ჩემი ახლანდელი მფლობელის უგემოვნებობასა და სიტლუეს პრეცედენტი ძნელად თუ მოეპოვება.

ხედავთ, ავლელი კიდევ არაა, დედამიწის ზურგზე ჩემებრ აულელეებულ ქმნილებებს ვერსად ნახავთ. ფიქსირებული და აიზუსტე

დამანათლეს ჩემმა შორეულმა დემიურგოსებმა — უგანათლებულესმა სანკტორიუსმა და დიდმა გალილეო გალილეომ, რომელთა შექმნილი — ბრძენთა-ბრძენი ქანქარა ჩემი უშუალო წინაპარია და მე ვამაყობ ამით.

საამაყო, რაღა დაგიმალთ, ბევრი მაქვს. ფრიად ლამაზი და დახვეწილია ჩემი გარეგნული იერი. დიდოსტატური გზნებით ვარ შემკულ-მოვარაყებელი, ძვირფასი ქვებით მოოქვილი და ვირტუოზულად მომინანქრებული. ბრტყელ, გასლიპინებულ და პრემიტიულად მართკუთხა ვიდეომაგნიტოფონს როდი ვგაყარ, თავი რომ მოაქვს, ყველაზე ძვირფასი და ღირსეული ნივთი მე ვარო. იმას არ უფიქრდება, ტექნიკის უშინაარსო პროდუქტი რომ არის: რასაც ჩაუდებენ თავში, იმას იმეორებს. მე რას მედრება — მე დროს აღწევსავე, დროს — ყოვლის-მომცველსა და დაუსაბამო ქამთა სვლას. შესაბამისად, ყოვლისმცოდნეც ვარ და ყოვლისმზილველიც.

წიკ-წიკ-წიკ...

ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ! ბომ!

რვა საათიც შესრულდა. ჩემი პატრონები მალე გაიღვიძებენ, მანამ კი თუ თავი არ შეგაწყინეთ, კვლავ შინდა ჩემს შესახებ საუბარი განვაგრძო. მე მართლაც უნიკალური ვარ, ერთადერთი. ძვირფასმა მესერე ადოლფო მაროტო სკამბრინელიმ ჩემი თავი მისი უბრწყინველესობა პიეტრო სფორცასათვის პარიზელ ოსტატებს შეუქვეთა. ჩვენ — მაგიდის საათები ანუ ბოქს-ქრონომეტრები მაშინ ტექნიკის უახლესი მიღწევა გახლდით და ჩვენზე ხელი მხოლოდ უწარჩინებულეს დიდებულებს თუ მიუწევდებოდათ. ეს იყო 1770 წელი, ხოლო ჩემი უფროსი ძმა, ქვეყნად პირველი ბოქს-ქრონომეტრი, როგორც მოგახსენებთ, მხოლოდ სამი წლით ადრე შექმნა დიდმა ოსტატმა პიერ ლერუამ. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ააწყო ჩემი მექანიზმი პიეტრ პიერის უსაყვარლეს-

მა მოწაფემ ვალენტინ პიპიუსმა, რომელსაც თვისი ნიჭიერებამ დასწრებულთე თვით ცნობილ პარიზელ მექანიკოსებზე, დიუტერტომზე, არნოლდზე, ბერტზე, იურგენსენსა და ირწოლუზეც კი მალა აყენებდა. მან ისეთი ჭადოსნური ზომიერებით გამოკვალთა ზამბარა, — რომლის დრეკად შლაზეა დამოკიდებული ჩემი სიცოცხლე, — რომ თვით დიდი ლერუაც კი აღფრთოვანებული დარჩა, ხოლო ბალანსი, რომელიც ზამბარის მოძრაობას ნარნარი რხევით არეგულირებს, აბსოლუტური წრის ეტალონადაც კი გამოდგება. ასე რომ, მე მსოფლიოში ერთერთი უძველესი და უზუსტესი აპარატი გახლავართ.

იტალიაში მექანიზმის სახით მოვხვდი. საგულდაგულოდ შეფუთული, იქ კი ვირტუოზმა მესერე სკამბრინელიმ შემასხა ხორცი, ანუ მაქცია ნატიფი ხელოვნების ნიმუშად. ამრიგად, ფრანგის იდეის შესაბამისად გერმანელმა ჩამიდგა გული, გარეგნული სილამაზე კი იტალიელმა მომანიქა, დაწინა და გადაახლართა ერთმანეთს ლითონში გაყოცხლებული ხაზები, მოავვირისტა ცეცხლოვანი ემოციები და საუკუნოდ ამამეტყველა.

ასე დავიბადე.

ახლა აღარ ღირს ჩემი ორასწლოვანი თავგადასავლის გახსენება. არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ ეიცვლიდი ერთიმეორეზე ძღვეამოსილ მფლობელებს იმ ბედუქულმართ იტალიაში, მერე როგორ გადავლაზე მთელი ევროპა, როდესაც უმაქნისმა ფრანგებმა ფანატიკოსი კორსიკელის თაოსნობით მსოფლიოს დაპყრობა განიზრახეს, როგორ მომიპარა და მამოგზაურა ჩრდილოეთს თავზეხელაღებულმა პროვანსელმა გვარდიელმა, უბედურმა, რუსეთში პატარა თავადიშვილების აღმზრდელად რომ იქცა, დღეხანს რომ მინახავდა, მელოლიაებოდა, რადგან მშობლიურ ევროპას ვავიწყებდი, მაგრამ ბოლოს გალოთებულმა მიინც რომ იაფად გამოიდა. იქაც, ცოც

მზის ქვეყანაში არაერთი დიდებული მფლობელი გამოვიცვალე, ვიდრე ერთი გაქნილი ებრაელი ანტიკვარის ხელში მოვხვდებოდი. მან კი საგულდაგულოდ დამშალა და თითქმის სამოცი წელი ელოდა ღირსეულ კლიენტს, ისეთს, ჩემი შესაძენი ფული რომ ჰქონოდა. ბოლოს გამოჩნდა ასეთი მყიდველი და აქ, სამხრეთის ამ თბილ ქვეყანაში ამომავოფინა თავი. კლიენტს სახელად ჯიმშერი ჰქვია.

ასე მოვხვდი თბილისში ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების ამ ეტაპზე. თავს მდგრად ვგრძნობ, რადგან ვიცი: ყველი კიდევ დიდხანს არ გამოვა.

წიკ-წიკ-წიკ-წიკ...

ბომ! — ცხრის ნახევარია. ადგომის დროა.

იღვიძებენ ორპარტულიანი სახლის ბინადრები. პირველად დიასახლისი აწყარუნებს სამზარეულოში ჭურჭელს, საუზმის თადარიგს დაიჭერს და მერე სამ წუთსაც გამოჩნავს ჩემს მახლობლად კმდელზე დაკიდულ ვენეციურ სარკეში ჩასახედად. ოცდათხუთმეტი წლის ჰაეროვანი არსებაა, ლამაზი სახე აქვს, დიდი, ლაზითიანი თვალები და კობტა ცხვირი — პლასტიკური ქირურგიის ტიპიური ნიმუში.

საამო საცქერია ახლადგალიძებულ ლამაზი ქალი სარკის წინ, მაგრამ ვაი, რომ დრო არ ითმენს — ბავშვი სკოლაში, ქმარი სამსახურში ჰყავს გასასტუმრებელი საბრალოს. ერთს ამოიხრავს ღრმად, რითაც იოლად მივხვდებით მის მეოცნებე სულსა და რომანტიულ ნატურას, შემდეგ კი თავისი პირმშოს გასაღვიძებლად მიიჩქარის.

ამქვეყნად ყველაზე მეტად ამ გულქვა ბავშვისა მეშინია. ჯერ მხოლოდ ათიოდე წლისაა, მაგრამ კატასტროფულად დიდი დამანგრეველი ძალის პატრონია. იგი არად დაგიდევთ ნივთის ღირებულებას და როდესაც მახსენდება მისი ანკობის გამო ნამსხვრევებად ქცეული მრავალი უმშვენიერესი ფაიფურისა და ბროლის ნაქეთობა, ზამბარებში ცივი ერეთლა ჩამირ-

ბენს ზოლმე. არადა, შინგაპოკტილის ამ ფაქიზი ნივთებით ჭეჭეჭდნენ — ერთხანში გასართობად ბურთებს — მამსმს — გაუხდია, ღმერთმა დამიფაროს იმ ბურთისა და ყოველივე ბოროტისაგან.

მაღე თვით ოჯახის უფროსიც გამოფრატუნდება პიყამოში გამოწყობილი, მთქნარებითა და თვალების ფშვნიტით. ამ წუთში იგი სრულიადაც არ ჰგავს სოლიდური დაწესებულების ხელმძღვანელს, რაიც ნამდვილად გახლავთ: როდესაც მის შვილს ეკითხებიან, მამაშენი რა პროფესიისააო, მამ დირექტორიაო, პასუხობს ბავშვი. ბატონი ჯიმშერის გარეგნობაში არის რაღაც ზვიადი, რითაც იგი ფლორენციის დიდ ინკვიზიტორს აუგუსტინიო ჯენტილეს მაგონებს, თუმცა, ამავე დროს, გრავე ობოლენსკის დენშჩიკ მიტროფანესაც დიდად ჩამოჰგავს სიუხეშითა და სიტლანქით. ეს გარეგნულად, რაც შეეხება ხასიათსა და მანერებს, მე ის მახსენებს ლომბარდელი პლებეების ბრბოს. ერთხელ, აჯანყებისას კარდინალის სასახლეში რომ შემოიჭრა და მის უწმინდესობას თავი წააცალა. თუმცა რას ვამბობ?! თვით იმ ბრბოშიც კი არ დამინახავს ჩემს ამყამინდელ მფლობელზე უფრო ხემრე და უზრდელი კაცი.

ყოველი დილა მისი გამაყრუებელი ღრიალით იწყება. აი, ახლაც — ჯერ პირი არ დაუბანია და უკვე შეუდგა ცოლის უსაფუძვლო ლანძღვა-გინებას: — დალი! შენი ასე და ისე! ბორჯომი მომიტანე, შე ასეთო და ისეთო!

რას იზამ: მეტად მტანჯველია ვერეთ წოდებული გამოზარბოშების სინდრომი ანუ, აქაურად, „პახმელია“. იგი ადამიანში ალგზნებულობასა და უმიზეზო გაღიზიანებას იწვევს. და აი, იგი ბრაზობს. მას სასწრაფოდ უნდა ბორჯომი. არც ის მოსწონს, ბავშვი რომ სკოლაში ჰყავს წასაყვანი. ყველაზე მეტად ის აცოფებს, ცოლს მკლავზე მოზრდილ ლურჯ ლაქას — მსუბუქი სისხლჩაქცევის კვალს რომ ამჩნევს. თუმცა უდავო ფაქტია, რომ ეს მისი

უხეში ტორების წუხანდელი ნახელავია, მას მინც მძაფრი ეკვიანობის გრძნობა იპყრობს.

— რა ეს?! — ეკითხება ცოლს და ენაიდან ქალმა გულწრფელად არ იცის, რამ დაულურჯა მკლავი, ქმარს კიდევ მეტად ეკიდება მტანჯველი ეჭვის ალი. იგი ამ თემაზე საუბარს აღარ განაგრძობს, სამაგიეროდ ჩხუბის საბაბი ხდება ოდნავ დამწვარი ერბოკვერცხი. გააფთრებული ჯიმშერი საუზმეს ძირს ანარცხებს და უცებ, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, მუქარას უთვლის თავის სამსახურებრივ ხელქვეითებს, რითაც იგი მახსენებს პიზელ მისამართულ ნიკოლოზ ბონივინის, რომელიც, თუ საუზმედ ტაფამწვარს დროულად არ მოართმევდნენ, იმ დღეს ყველა ბრალდებულს განუკითხავად, სიკვდილით სჯიდა.

ერთი სიტყვით, დილა ოჯახში საშინელი ალიაჟოთით იწყება, რასაც ხედ ერთვის ბავშვის მიერ ატეხილი უფთავებელი სტვენა: იგი აუღელვებლად უცქერის მშობლების დავიდარაბას, ბუთხუზა ლოყები უზრუნველად გამოუბერავს და სადღაც აწაპნილ მილიციელის სასტვენს უმოწყალოდ უბერავს, სანამ განრისხებულ მამას ლაზათიან ალიყურს არ გამოჩნება.

აურხაურით გაბეზრებული ქალი თავს სამზარეულოს აფარებს, კაცი და ბავშვი უკვე წასასვლელად მზად არიან, როდესაც წინკარიდან წყრილი ისმის. მართალია, ასე ნაადრევად მხოლოდ შინაური თუ შოადგება ოჯახს, მაგრამ ღრიალცილი მინც უმაღლესად ადრეულ სტუმარს სახელად ლიკა პქვია — დალის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია, უპიკანტურესი არსება გრძელწამწამება და მიმზიდველ-ლიმილიანი. ოჯახის უფროსსა და მის მემკვიდრეს, წასასვლელად გამზადებულებს, წინკარში ხედება, ბიჭს შუბლზე ჰკოცნის, ხოლო ჯიმშერი, მიუხედავად იმისა, რომ საზიზღარ გუნება-

ზეა, ხელებს მინც მხიარულად შლის და გულლიად ეგებება სტუმარს.
— როგორა ხარ, ჩემი ბიჭო?! მტანჯვირიმე არ გათხოვილხარ?! — ამ უკანასკნელ კითხვას იგი არასოდეს ივიწყებს, თუმცა არც პასუხს ელოდება არასდროს.

მათ ერთმანეთში გაიარეს, როგორც ნისლის ორმა უსხეულო ნაფლეთმა.

ისინი არ არსებობენ ერთმანეთისთვის.

წამსვლელები თავის გზით მიდიან, ხოლო ექსტრავაგანტური ლიკა უცერემონიოდ მიემართება სამზარეულოსკენ, სადაც ერთგული მეგობარი დალი ეგულდება.

ეს ლიკა მუდამ მოცუბდა და მოცუბებს თავისი გამოუცნობი აბსურდულობით. ჩემის აზრით, ის ნივთი უფროა, თანაც სრულიად გაუგებარი დანიშნულების. თუმცა რას ვამბობ?! ასეთი ქალების მეტი რა მინახავს პანდოლფო უბალდის ბუდუარში.

სამზარეულოდან მეგობრების შეხმატბილებული მუსიკი გაისმის. მასპინძელი სტუმარს გულახდილად უამბობს დილის პერიპეტეებს, მერე ვილაცას „ოტელოს“ უწოდებენ (მწელი მისახვედრი არ არის, ვისაც) და გულიანად კისკისებენ.

შემდეგ ისინი, რაკილა დილის ყავა უკვე მიირთვეს, აქეთ ინაცვლებენ, ლუდოვიკო XXV-ის დროინდელ დიდ სავარძლებში თითო ღერი არომატული სიგარეტის გასაბოლებლად. საუბარი ამცისადამბრისაზე გრძელდება, მე კი დამაბული წიყვით ველოდები, როდის დასრულდება უმნიშვნელო წერილმანებზე ლაქლაქი და როდის გადავა სტუმარი ძირითად საქმეზე. დიდხანს ლოდინი არ მიწევს, მაგრამ ლიკა ისე შეუმჩნეველად და მოხერხებულად იყენებს მორიგ პაუზას საუბარში თავისი სათხოვარის ჩასართველად, რომ ლამის მეც კი გამაცუროს, მე — დიპლომატებისა და მზაკვარი პოლიტიკოსების მოქნილი დიალოგების დიდი მცოდნე. თუმცა რას გამო-

მაპარებს?! ზუსტად ვაფიქსირებ წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეს, რომელსაც სტუმარი შემდეგი ფრაზით ავსებს:

— ჰო, მართლა, დალიკო, თენგიზს იმის ნახვა უნდა და... მოხერხდება?

ამას ისე ჰაიპარად ამბობს, თითქოსდა სწორედ ამის სათქმელად არ იყოს მოსული.

„დალიკო“ არანაკლებ გულგრილად ეკიდება ამ ამბავს და ანგარიშმოუცემლად უქნევს თავს თანხმობის ნიშნად. ოღონდაც კარგად თუ დაუუკვირდებით, უპიკველად შევამჩნევთ უნებლიედ მოძალბებულ მკრთალ სიწითლეს სახეზე, ყელსა და ყურებზე, რაც მის მღეღვარებას ააშკარავებს.

მოკლედ აგიხსნით, რაშიც არის საქმე: ჩემს დიასახლისს ახალგაზრდობიდან ხრავს კინომსახიობობის კია. რომელიღაც ტუტუტუს ოციოდე წლის წინ ერთ ბრიყვულ ფილმში მისი მთავარ როლზე მიწვევა მოუვიდა აზრად, მას შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა, დალი კი დღემდე ბავშვური გატაცებით ოცნებობს „ვარსკვლავის“ კარიერაზე. საუბარში ნახსენები თენგიზი — ლიკას, ასე ვთქვათ, „ახლო მეგობარი“ — ახალგაზრდა, იმედისმომცემი და პერსპექტიული კინორეჟისორია. მას დღეს, როგორც უკვე ითქვა, ერთი გახმაურებული ფილმის ნახვა სურს ვიდეოზე. უკვე მიხვდებოდით, რომ სწორედ ამ საქმის მოსაგვარებლად გვეწვია გრძელწამწამება ლიკა ეგზომ აღრიანად.

მამ ასე — რაკილა საქმე მოგვარდა, მეგობრებმა მასლაათი განაგრძეს. ამ ფრიალ საინტერესო საუბრის დაწერილებით გადმოცემა აქ საჭიროდ აღარ მიმაჩნია. ოღონდაც არ გეგონოთ, „საინტერესოს“ ირონიით ვუწოდებდნენ ქალების შეხმატებილებულ საუბარს. სწორედაც რომ საინტერესოა ამ კეთილმეგობრული, მხოლოდ ქალთათვის დამახასიათებელი გულახდილობით აღსავსე დიალოგის მიღმა მხოლოდ ქალთათვისავე დამახასიათებელი მოგუდული ქიშპობისა და გესლი-

ანი იმპულსების შემჩნევა, თუ არასიწლის წინ სწორედ ეს სიჩუმე ულიმოდნენ ერთმანეთს ინფანტა ჯოვანა არაგონელი და ანა ბენტივოლი, ამავე ღიმილით ჩაუყარა ლენინში ხუთი წუთის შემდეგ ერთმა მეორეს საწამლავი და ამავე ღიმილით დასტკეპროდა სასიყვდილო კრუნჩხვებით ძირსგართხმულს.

არა, ჩემის ღრმა რწმენით, ქალები საუკუნეთა მანძილზე ოდნავაც არ იცვლებიან!

მცირე ხნის შემდეგ ლიკა ტელეფონზე რეკავს და ერთადერთ სიტყვას ამბობს:

— ჰო!

ამ „ჰო“-ს ნახევარ საათში დიდი მომავლის მქონე კინორეჟისორის სტუმრობა მოსდევს.

თენგიზი გარეგნულად არაუშავსრა — წარმოსადეგი ყმაწვილია, ხელოვანკონფორმისტის მშვენიერი ნიმუში. ჩემი დიასახლისი დიდი მონდომებით ეგებება სტუმარს, სთავაზობს სავარძელს, შამპანურს, ხილს, ყავას, შოკოლადს. მოსული, რომელსაც, რამდენადაც მე ვიცნობ, ანგარება არ აკლია, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე იფერებს ამ პატივისცემას, რაკილა ისე ეპყრობიან, როგორც თაყვანსაცემ შემოქმედს, გულითად მეგობარს და ლამის სისხლით ნათესავს. ეს ასეა, სანამ ლიკა აქ არის, მაგრამ საკმარისია ამ უკანასკნელმა ბოდში მოიხადოს: ერთი საათით მაინც უნდა შევიტრინოს სამსახურში და ფილმის დამთავრებამდე დაგტოვებთო, რომ სურათი რადიკალურად იცვლებდეს: როგორც კი მესამე ზედმეტი ფიგურა ასპარეზიდან ქრება, ჩემს წინაშეა ერთიმეორის მიმართ ნაზი სიმპათიითა და სათუთი გრძნობით გამსკვალული წყვილი, რომლებიც დახვეწილი სტილითა და თავაზიანი გულახდილობით აბამენ ურთიერთშორის მტკიცე ქსელს და იმ ქსელში გაბმის დიდი იმედი ორთავეს უხვად ატყვია. საუბრის მდინარება საცნაურს ხდის, რომ მოკლე ხანში, თუ



მანამ რამე არ გადაიფიქრეს, ჩემს მშვენიერ დიასახლისსა და მისი ერთგული მეგობრის სატრფო-ჩრეისორის მე თუ არა, რომელიმე ადგილობრივი წარმოების მალვიძარა შაინც იხილავს სადმე ბედნიერად ჩანებვიკრებულთ.

მაგრამ ამ პროგრესულად განვითარებად არშეის ლიკას დაბრუნება უღებს ბოლოს პიკონ-ჩრეისორის კანონიერ პატრონესას მოსკლისთანავე ორთქლდება ჩემი დიასახლისის მომხიბლავ თვალთა ათინათები და საპასუხო მაცდური ქათინაურებიც აღარ ისმის. მართალი გითხრათ, სულაც არ მაკვირვებს თენგიზის თავხედობა და უსიციხეობა, სხვის ჭერქვეშ სხვის ცოლებთან მოაშვიკე მამაკაცების მეტი რა მინახავს დასავლეთ ევროპის ღრმად-პატიოსან ოჯახებში.

ჩემი უძვირფასესი მფლობელი ბატონი ჯიშმერი კი ამ დროს რომელიღაც რაიონიდან რეკავს და ედისონის დროინდელი ფაიფურის რეტრო-ტელეფონით ცოლს ატყობინებს, რომ მოულოდნელი გამსვლელი ღონისძიება დაატყდა თავს, რის გამოც ბავშვის სკოლიდან გამოყვანას ვერ მოახერხებს.

ვიდეომაგნიტოფონი კი უმიზნოდ განაგრძობს ძალიან სერიოზულ ფილმს, რომელშიც კაცობრიობის უსერიოზულესი ზნეობრივი პრობლემების გადაჭრას წარმატებით ცდილობენ პოლივუდის საუკეთესო აქტიორები.

ბომ!

უკვე პირველის ნახევარია. დიასახლისი შვილის სკოლიდან გამოსაყვანად მიიჩქარის და შეწუხებული ებოდიშება სტუმრებს, რომ ორიოდ საათით უნდა დატოვოს. რადგან ბავშვი ჯერ სასაუზმოდ ბებიასთან, შემდეგ კურვანზე და ბოლოს განსანათლებლად ინგლისურის მასწავლებელთან უნდა წაიყვანოს. სტუმრები თავის მხრივ თავაზიან უხერხულობას გამოხატავენ, რადგან შინ უმასპინძლოდ დარჩენის ნებას აძლევენ თავს — მათ ხელოვნების სიყვარული ამართლებთ და ისინი თვალს ვერ სწყვეტენ ვიდეოეკ-

რანს, სადაც ძალიან კარგი და სერიოზული ფილმი კულმინაციას უღწევდა.

დიასახლისის წასვლიდან ათი წუთისა და ცხრაამეტი წამის განმავლობაში ისინი ყოველი შემთხვევისთვის შეუნელებელი ინტერესით განაგრძობენ კინოს ყურებას. შემდეგ კი უცებ გაიღიმებენ, ერთმანეთს შეხედავენ, დგებიან, ფილმს აჩერებენ, კასეტას ცვლიან და მომდევნო ხუთიოდ წუთში ეს უპრინციპო აპარატი, ვიდეო-მაგნიტოფონი რომ ჰქვია, უკვე ხუთი მომაკვდინებლად ეროტიული სცენის ჩვენებას ასწრებს.

ო, ღმერთო დიდებულო! რა არ მინახავს ცხოვრების გზაზე: მინახავს როგორ კოცნიდა, როგორ აღრჩობდა ალტაცებულ მკლავთა მორევში ზემოსხენებული სენიორ პანდოლფო უბადლო, მშვენიერ და გაუმძღარ მარკიზა კატერინა რიაროს, მინახავს როგორ მრუშობდა ალვირაბსნილ ორგივებზე კარდინალი პავოლო ფორლო, მინახავს როგორ ღრვობდა ბოშათა ანსამბლის თანხლებით გრაფი პონკრატოვი პეტერბურგის საროსკიპოში, მაგრამ ის, რაც ახლა ჩემს წინაშე ხდება, მე ჯერ არ მინახავს.

...როდესაც დიასახლისი ვაჟითურთ შინ ბრუნდება, ყველაფერი, სულ უმცირესი დეტალიც კი იმავე მდგომარეობაში ხვდება, როგორც დატოვა. სტუმრები ინტერესადქცეულნი მიშტერებიან ეკრანს, რომელზეც ახლა კიდევ ერთი ღრმა და სერიოზული ნაწარმოების პერიპეტეიები ვითარდება; სანამ დიასახლისი ვაჟიშვილს გაკვეთილების მოსამზადებლად ზემო სართულზე, თავის ოთახში გაისტუმრებს, ფილმიც თავდება და აი, სამივენი წყნარად უსხედან ხილით, შოკოლადითა და შამპანურის ნაკლები ბოთლით დამშვენებულ ძველებურ მაგიდას, საუბრობენ დინჯად და მეგობრულად.

სიტუაციის ბატონ-პატრონი თენგიზი გახლავთ: დაღლილი, ვნებებისაგან დაცლილი და ბედნიერი, სკამის საზურგეს

დაუდევრად მიყრდნობილი, მხრჩოლავი სიგარეტით ხელში, იგი თავისი ინტელექტუალურ-დიპლომატიური ნიჭიერების აღლუმს აჩაღებს. კერძოდ, ცდილობს ისე წარმართოს საუბარი, რომ ორივე ქალი — მონადირებელიცა და მონადირებელიც ერთმანეთისგან შეუმჩნევლად სულ უფრო და უფრო მონუსხოს და მოაჯადოვოს. სხვა დროს მუდამ ფიზიკურ ქალურ გუმანს ამ ყოყორი არამზადას ორპირობა შეუმჩნეველი რჩება, რადგან სიამაყით დაბრმავებულებს, ორთავეს თავი გამარჯვებულად მიაჩნიათ.

ვაი, რომ ქვეყნად ყველა ნეტარება წარმავალია — ჩვენი გამარჯვებული დონჟუანის თვითკმაყოფილ პარპაშს ბოლო ეღება: ოჯახის უფროსი ბრუნდება შინ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა (კაცის საკუთარ სახლში შემოსვლას ვგულისხმობ) ზაფრას სცემს სამივე დამხვდურს და მიუხედავად მათი ნაძალადევი მხიარულებისა, ნამდვილად ვიცი, ძარღვებში ცხოველური ელდა აქვთ ჩამდგარი. კიდევ კარგი, ჩემი ძვირფასი ბატონი დაუკვირვებელი კაცია, თანაც, ღმერთმა იცის რატომ, ჩინებულ გუნებაზეა. იგი დიდის ამბით ეგებება, ძამიკოს უწოდებს და მხარზე ღონივრად ხელს უტყაპუნებს დაბნეულ თენგიზს. რომელიც ჯიმშერის გულლია სალამს ლულულდით პასუხობს და წელანდელი მეფური ამპარტავნობა ქურდობაზე წასწრებული ლაქის კრთომად გადატყვევია. მაგრამ, როგორც ვთქვი, გამსვლელი ღონისძიებიდან დაბრუნებული დირექტორ-მასპინძელი ვერაფერს ამჩნევს. იგი აგდებულად მოიხსენიებს მაგიდაზე განლაგებულ შამპანურსა და ტუბილევულს, ცოლს უბრძანებს სასწრაფოდ მოაშოროს აქაურობას ეს სისულელე და სუფრა გააწყოს. ქალები ჩქარი მორჩილებით იწყებენ მისი ბრძანების აღსრულებას და მაგიდაზე ელვის სისწრაფით ჩნდება საცივი და ზუთხი, ხიზილალი და სუჭუცი, ტყემალი და სან-

თლის არაყი და, რაღა თქმა უნდა, ნატურალური, ქარვისფერი კაბუჭი ტყე-
ნი.

იწყება იმპროვიზირებული ქეიფი. სიტუაციას ქეშმარიტი ბატონ-პატრონი გამოუჩნდა და სანამ ქალები უკანასკნელ ცხელ კერძებს შემოუმატებენ სუფრას, თამადა სტუმრის სადღეგრძელოს მიირთმევს. იგი ამბობს, რომ მიუხედავად მცირე ნაცნობობისა, დიდ პატივს სცემს მის ახალგაზრდობას. ნიჭს, შემოქმედებასა და კაცურ-კაცობას, შემდეგ აქეთ-იქით შეთქმულივით იცქირება — ქალებს ზომ არ ესმითო და ხმადაბლა, საიდუმლოდ მიმართავს თენგიზს: ძალიან მახარებს შენი და ლიკას ურთიერთობა, ლიკა ჩემი დაიკოა, მაგას რომ ვინმემ აწყენინოს, საქმე ჩემთან ექნებაო, მაგრამ ეს რა შუაშია, მე შენს კაცობას ვენაცვალე და, აბა, თქვენ იცით, იმრავლეთ და იბედნიერეთ და ქორწილში თამადაც მიგულეთო. მოვლენების ასეთი მოულოდნელი განვითარებით თავბრუდახვეული ახალგაზრდა რეჟისორი სამადლობელს ძლივს აორსიტყვებს და პირთამდე სავსე ჩაის ჰქაის თავგანწირვით იბირტყავებს სტომაქში.

მერე სუფრას მშვენიერი, გრძელწამწამა ლიკა ემატება. მას სახელდახელოდ დამცხვარი ზაჭაპურები შემოაქვს და ცდილობს შეუმჩნევლად თენგიზი ღიმილით გაამხნევოს. მაგრამ კაცები, ერთიცა და მეორეც, ძლიერ დაღლილნი და მოშოებულნი, მადიანად შეექცევიან გემრიელ კერძებს და სხვა არაფერი აღარდებთ. ლიკასაც რაღა დარჩენია, ისიც შეექცევა ცოტაოდენს, რადგან სხვაზე ნაკლები ენერგია დღეს არც მას დაუხარჯავს. იგივე მეორდება, როდესაც დიანახლისს შებრაწული ტაბაკა შემოაქვს სუფრაზე და ჰამაში დანთქმული ტრიოს დამნახავი, გაკვეთილებს მოსწყვეტს შვილს, მოისვამს გვერდით და კარგახანს გრძელდება უაზრო პაუზა, რომელსაც დანახანგლის ჩხაკუნი, ღეჭვა-ყლაპვის მუსიკა და მოკლე რეპლიკები აესებს.



შემდეგ კიდევ ისმება რამდენიმე სა-
დღეგრძელო: მანდილოსნების, ბავშვე-
ბის; მშობლების, დედამამიშვილების,
სამშობლო მიწის და შეუძმნველად სუ-
ფრას კაცებილა შერჩებიან, რადგან
ქალები ყავისა და სიგარეტისთვის სა-
მზარეულოში გადაბარგებულან, ბიჭი
კი ზემო სართულზე თავის საყვარელ
ბურთს კენწლავს.

მე თვალს ვადევნებ ორი კაცის ნა-
დიმს და იოლად ვხვდები, რომ მათ
არავითარი საერთო არ გააჩნიათ: სრუ-
ლიად ორდინარული საუბარი ეხება
ძირითადად ფეხბურთს, პოლიტიკას,
ავტომანქანების ფასებს შავ ბაზარზე
და მისთანებს. ამასობაში ყოფილ დონ
ყუანს სასტიკად ეკიდება ბაზუსი და,
რაცღა სრულიად უინტერესო სიტუა-
ციაში აღმოჩენილა, წასვლას იჩქარებს,
იმიზეზებს გადაუდებელ საქმეებს და
იოლად სძლევს მასპინძლის გულითად
შეპატიჟებას.

კოტა ხნის შემდეგ ოთახში ასეთი
სურათია: ქალები უჩუმრად სხედან
მაგიდასთან და სუფრის ალაგების და-
წყებას აკინაურებენ. ბატონი ჯიმშე-
რი კი გართხმულა სავარძელში, ფეხი
ფეხზე გადაუდევს და დამკინავი ირო-
ნიით იხსენიებს წელანდელ სტუმარს:
მაგის რეჟისორობა რა ვთქვი, ეგ რა
ჩემი ფეხების რეჟისორი მყავს, კაცს
მიინც ვავდესო და სხვა ამგვარი. მარ-
თალი ითქვას, გასაგებია ამ განაწყე-
ნების მიზეზი — ბატონი ჯიმშერი ის-
ის იყო ქეიფის გუნებაზე ღგებოდა,
პარტინორი კი ნაადრევად დაუთვრა
და მუხანათურად დაუსხლტა ხელიდან.

მერე ბატონი ჯიმშერი ჩუმდება და
დაღლილ მზერას ჩემზე აევანებს. ო,
რა სიყვარულით მიცქერის, რა გამოთუ-
თქმელი ვნებით. ზუსტად ასევე მიც-
ქერდა ჩემი პირველი პატრონი, მისი
უბრწყინვალესობა პიეტრო სფორცა
მრავალი დროის განმავლობაში, მია-
ღერსებდა და მეთაყვანებოდა, მერე
კი საქმე-საქმეზე რომ მიდგა, საკუთარ
პოლიტიკურ ინტერესებს მანაცვლა და
ძღვნად მიართვა ჩემი თავი იმხანად

ხელისუფლების სათავეში მთქვეულ
სენიორ ანტონიოს. ჰოდა, მანაც
ეგებ ბატონმა ჯიმშერმაც გამასაჩუქ-
როს, თუკი დაღმა წაუვიდა ცხოვრე-
ბის ჩარხი. მასაც ხომ უხვად ახვევია
თავს ნაირნაირი „სენიორ ანტონიოე-
ბი“.

შექეიფიანებული ოჯახის თავი ერთ-
ხანს კიდევ ნებივრობს სავარძელში,
მერე ღდება, — ბოდიში, მაგრამ თქვე-
ნი დედაც, მე კი წავედი ახლა ჩემს
ბიჭებთანო, — და მიდის თავის ძმა-
კაცებთან, სადაც ნამდვილი ქეიფით
ძლომა და დროსტარებაში ჩაღრჩობა
ელის.

ქალები კიდევ კარგა ხანს სხედან
უკვე მოძალებულ ბინდბუნდში და სი-
გარეტს სიგარეტზე ახრჩოლებენ. მე-
რე ლიკა ედისონისდროინდელი რეტ-
რო ტელეფონით ქალაქის ერთ-ერთ
რესპექტაბელურ ბინაში თავშეფარე-
ბულ თენგიზს პოულობს. „მანდა ხარ?
ჰო. კიდევ ვინ არის? არიან რა. ის
მანდ არის? კი. ისა? ისიც. თვითონ
ისიც ხომ არ არის? კი, ისიც, ხომ არ
მოხვალ? ალბათ, მოვალ“.

„წავიდეთ?“ სთავაზობს ლიკა, „წა-
ვიდეთ, ეთანხმება დალი, ბავშვი ბე-
ბიასთან დავტოვოთ და წავიდეთ“.

ჰოდა, მიდიან.

წასვლისას უცებ ბიჭი გამოუსხლ-
ტება დედას, დასტაცებს ხელს იქვე
წინკარში მიგდებულ ბურთს, ააგდებს
და ყუმბარისებური ძალით დაჰკრავს
ფეხს.

კოპლებიანი ჭურვი მთელი ძალით
ეხეთქება ზედ ჩემს ზემოთ დაკიდულ
ჩინური ფაიფურის თეფშს და ნამსხ-
ვრევებად ფანტავს. ზამბარებსა და გო-
რგოლაჰებში ცოვი ძრეოლა მივლის.
დედა წივილით ტუქსავს ონავარ ბიჭს
და ასე ჩხუბ-ჩხუბით მიდიან შინიდან.
შორს იკარგება მათი ნერვიული,
ჩემთვის აწ მშობლიურად ქცეული
ხმები.

რჩება სახლი ცარიელი, მღუმარე,
ბნელი. ფანჯრიდან ლურჯი, დანისლუ-
ლი საღამო იმზირება და ქუჩის ყრუ

ხმაური ძალიან შორიდან ისმის. აქ კი, მრავლისმნახველი ნატიფი ნივთებით გამოტენილ სახლში გამეფებულ სიჩუმეს ახლა მხოლოდ ჩემი წიკწიკილა არღვევს: წიკ-წიკ-წიკ-წიკ-წიკ-წიკ... ნივთები თვალშეუდგამი წარსულიდან, ნივთები ცხრა მთას იქიდან მშვენიერებისა და ამქვეყნიური სიბრძნის მომცველი შეჭით გამოსჰვივიან სიბნელეში. იქვე უდარდელად გდია მრგვალი კოპლებიანი ბურთი, როგორც მრისხანე მუქარა თუ დაპირება, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა ყველაფერი დამთავრდეს, ყველაფერს წერტილი დაესვას, დაწყდეს ყველა ზამბარა და შეჩერდეს დროთასელის აღმრიცხავი ისრის სრბოლა. ამ თავდაულწევი გრძნობით გარინდული, მაინც ჭიუტად განვაგრძობ წიკწიკს, რადგან ასეთნაირად ვარ მოწყობილი.

ამგვარი სიჩუმე და გარინდება უამრავი ყოფილა ჩემი ცხნულების ზნაზე — იქაც... იქაც... და აქაც... მომავალშიც ბევრი იქნება... ასეთ დროს ყოველთვის ხელახლა მებადება შეკითხვა: რატომ სჩადიან ყოველივე ამას ადამიანები? პასუხიც ერთია მუდამ: იმიტომ, რომ ყოველივე ამის მოწმე მხოლოდ მე ვარ, მე კი უტყვი მოწმე ვარ, მე მხოლოდ წყნარად, აუღელვებლად ვწიკწიკებ და კიდევ ხანდახან, როდესაც სათანადო მომენტი დგება, ზუსტად, მაგრამ უემოციოდ, არც შეშფოთებით, არც აღელვებით, არც მიმნიშნებლად, არც გამაფრთხილებლად, არც არავის გასაგონად, არც რაიმეს შესაცვლელად — ისე, უბრალოდ, დროისა და ეამის სიზუსტისათვის ხმამალლა ვრეკავ:
ბომ-ბომ-ბომ!

ღარაჯან გაბიაშვილი

ხომ შეიძლება

ხომ შეიძლება ასევე ავეკვნესდე,
მაგრამ ერთხელაც არ ვიყო ქნარი,
რამ მოიყვანა ამ დილაბნელზე
ნამი ზეცადან ასეთი მქრქალი,

იქნებ ათრთოლდეს უეცარ ბიძგით
და გულმა სისხლის ცეცხლი გაუაროს,
ხომ შეიძლება მოსული სიმწრით
ეს სტრიქონებიც ვერ გავახარო.

შემომრჩენოდა მთის ლურჯი ფერდი
და ბრუნდებოდა, რაც მიჩნდა მთვარედ

და როგორც ცხადში მე ისე შევკრთი,
ძლივს გამოვედი სიზმრიდან გარეთ.

ფეხდაფეხ მომდევს სუნთქვა ასპიტის,
რალაც საყვედურს ჩურჩულებს ნამჯა,
თითქოსდა ვინმეს რამეს დაუპირდი
და სიზმარივით ბალიშქვეშ დამრჩა.

ახლა რომ წუთთა წვიმით გავებურდე,
მაშინ თავს უფრო აიწყვეტს ქარი,
მე შეიძლება ასევე ავეკვნესდე,
მაგრამ ერთხელაც არ ვიყო ქნარი!

...

რა მიარაჯა იმედების ფოთოლთა
ცვენამ,

რომ ვერც კი ვამჩნევ,
ჩემს მახლობლად თუ ვინმე ცხოვრობს
და არც კი ვიცი ჩემს გარშემო
სხვა ია-ვარდი...

და გაუცხოვდა სურნელება,
ველოდი რასაც,
შემომესია ირგვლივ ხმები,

ფიქრთა წამლეკი,
აქრელებული ფეთქავს დახლი
და მილლის მზერას...

მშობლიურ ფერებს შეხიზვნია
რალაც ავბედი,

გარღვეულია გალავანი სინდისის
ქენჯნის...

წყულულს კი... ყოველთვის შინაური
წამლებით ვირჩენ...

ბ უ რ დ ა

მოთხრობა

მეზობლად ცხოვრობდა — მესამე მოსახლედ. დაბალ ბოკონებზე შემდგარი ორთვალისანი ხის სახლი მწვანე მოლით მოხასხასე ეზოში ბაიყუშვით ჩამდგარიყო. ახლაც თვალწინ მიდგას შერუჭული, დაღვრემილი სახლი. ქარი რომ ამოვარდებოდა, საცოდავად ირყეოდა და გვეგონა, სადაცაა მიწას მოწყვეტს, მაღლა აიტაცებს და თუ ქარიშხალში მოხვედრილი ხროცი ხომალდით არ დაიშალა, ქუჩის გადაღმა მოპირდაპირე მეზობლის ეზოში მაინც გადადგამსო. ეს იყო — რიკულებიანი აივნის ბოძებზე მხვიარა ყურბენა ყვავილის მტკვნეები ცისფერი მძივებივით ეკიდა. შეუღებავი, შეყვითლებული ლამფის ქერისა და ბოძების კუთხეში მერცხლებს ბუდეები ჰქონდათ მიშენებული და გაზაფხულზე და ზაფხულში სახლის დაღვრემილობის გაფანტვას ცდილობდნენ. ის კი იდგა, როგორც კუნძულზე შიშველებული ქოხი — მოლუშული და გულჩახვეული.

ბურდა აწოწილი ბიჭი იყო, 25-26 წლისა. გამხდარი, ოდნავ მოხრილი, სახეშეყვითლებული, ადრისანი შემოდგომის კომშის ფოთლისფერი, ხვალზეგ სუსხი რომ დაკარავს, ქარი დაუბერავს და ხრამში გადასაჩეხად წააფრიალებს. კეხიანი ცხვირი ჰქონდა.

მოშვილდული შავი წარბები და საოცრად შექიანი, სევდაჩამდგარი უძირო თვალები.

ზოგ მეზობელთან დამღურებულივით იყო, ზოგთან იშვიათად დადიოდა: ქირში და ლბინში — არასოდეს. დილიდან საღამომდე აივანზე იჯდა, ან წიგნს კითხულობდა, ან ხელზე ნიკაპდაყრდნობილი გოლიათურ სანთლებით ჩამოქნილ ალვის ხეებს მიშტერებოდა, ნაშუადღევს, ჭრიალა ჭიშკრის ხმაზე წამოხტებოდა და სამუშაოდან შინ დაბრუნებულ დას — თათუშას შეეგებებოდა, თითქოს ათი წლის უნახავი ჰყავდა.

თათუშამ საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე სამკერვალო ფაბრიკას მიაშურა. მცირე ხელფასით ირჩენდნენ თავს. დედ-მამა ადრე გარდაეცვალათ. წესით, ბურდა უნდა გამხდარიყო ოჯახის ბატონ-პატრონი და უმცროსი დის ხელის შემწყობი, მაგრამ არასდროს უმუშავებია... ბურდა ავადმყოფი იყო.

შინდაბრუნებული თათუშა ქურციკით აირბენდა შვიდსაფეხურიანი ხის კიბეს და ძმასთან ერთად საათობით იჯდა აივანზე.

ბურდა კარგა ხანს იქნებოდა ასე გარინდებული. მერე რალაც შინაგანი უსიამოვნო ბიძგი დენდარტყმულივით



წამოახტუნებდა, თათუშას თბილ ხელს მოიშორებდა, გაშეშდებოდა და გაშტერებულს, სადღაც შორს გაეჭყეოდა მზერა. სადღა იყო მისი თვალების შუქი. ჩაღრმავებული ფოსოები გაუჩნდებოდა, საიდანაც ორი მრგვალი უფერული შუშის ბურთულა იჭყიტებოდა. ბურთულები გადმოცვენაზე იყო, მაგრამ ბიისფერი შეშუპებული ქუთუთოები ამაგრებდნენ ბუდეებში. იდგა გაშეშებული, ზეზეულად მკვდარი და სიცოცხლის ნიშანწყალს ოდნავ მითრთოლვარე ქვედა ბაგეზე თუ შეატყობდით ორი-სამი წუთის შემდეგ მოსულიერდებოდა თვალებს მოიფშვწყეტდა და შუშის ბურთულების ნაცვლად ბუდეებში ნელ-ნელა პატარ-პატარა ცისფერი ტბები ჩაუდგებოდა ისევ ბურღა აკანკალებულ და გაოფლიანებულ ხელს ფრთხილად დაადებდა მხარზე თათუშას და ხმაგამყენდილი კვლავ გვერდით მიუჭდებოდა.

თათუშა დაცვარულ შუბლს უშვრალეზბდა და გასამხსნევებელ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა.

იჭდა დილიდან საღამომდე აივანზე და თათუშას ელოდებოდა. ბურღას დამოკიდებულება თათუშასადმი უფრო ავადმყოფი შვილის მზრუნველი და მომვლელი დედისადმი სიყვარულს ჰგავდა. ასეთ შვილებს დედის გარეშე გაძლება და საერთოდ სიცოცხლეს არ შეუძლიათ.

ამბობდნენ, ჩუმ-ჩუმად წერსო, მაგრამ სინამდვილე არავინ იცოდა, არც მისი. ნაწერის წამკითხველი უნახავს ვინმეს; ამბობდნენ, რას არ ამბობდნენ, მაგრამ ბურღას ამის შესახებ სიტყვისაც ვერ დააცდენინებდი.

თათუშა, დაქალბული თათუშა, მკვირცხლი, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი იყო. მეზობლების მოსიყვარულე, ჭირში და ლხინში დამხმარე. შინიდან გასული, ძმას იშვიათად ახსენებდა, არც ბურღას ავადმყოფობაზე წამოცდებოდა საყვედური და არც მის ხასიათსა და ჩვევებზე იტყოდა რაიმეს.

ლამაზ ქალიშვილზე ბევრ ეჭირათვალი. ფაბრიკიდან დასრულებულიდანაც ბევრი ბიჭი ჰყვარებოდა, შეხუმრებია, სიყვარულიც აუხსნიათ, მაგრამ როცა თათუშა ბურღას დაიფიცებდა, თუ ასეთი რამ მეორედ გითქვამთ, ჩემს სიცოცხლეში ხმას არ გაგცემთო, შეშინებული ბიჭები იმავედურება მის სამუდამოდ დაკარგვას მოასწავებდა. ისე კი, იმედი ჰქონდათ, დღეს თუ ხვალ გული მოუბრუნდება და ჩემი გახდებაო. ყველა ასე ფიქრობდა — ლუტუშას გარდა. თათუშამ ბურღაც დაიფიცა იერიშზე გადმოსულ ბიჭთან და ისიც მიახალა — მეზიზღებიო, მაგრამ ლუტუშას უფრო აუვარდა თავში თათუშას სიყვარული და საშინლად დაემუჭრა — შენც მოგკლავ და შენს ბურღასაცო. თათუშას დაშინება იოლი საქმე როდი იყო და სასოწარკვეთილი ბიჭი შინაურებს გაუტყდა, თათუშა მიყვარს, ცოლობაზე უარს მეუბნება და თუ რამეს მიშველით, ხომ კარგი, თორემ თავს არ ვიცოცხლებო. დაფეთებულმა მშობლებმა თათუშას გავლენიანი მეზობლები წინ გაიგდეს და ქალიშვილს ეახლნენ. ბურღა ოთახში ჩაიკეტა. ლუტუშას წარგზავნილები თათუშას შეევედრნენ, ნუ გვილუბავ ანგელოზივით ბიჭს, შენ თუ კარგი გოგო ხარ, არც ჩვენ ვართ ცუდი ხალხიო. თათუშას მოკლედ უთქვამს: მე სხვა მიყვარს, სიტყვა მაქვს მიცემული და მალე ხელსაც მოვაჭერთო.

ერთ დღეს ფაბრიკიდან შინდაბრუნებულ თათუშას ელდა ეცა. აივანზე ბურღა არ ჩანდა. ქუჩაში გამავალი ფანჯრების დარაბები ჩაგმანული იყო. აივანზე გივივით აიჭრა, ბურღას ოთახის კარს ეფგერა და მისმა საშინელმა კვილმა ეა და მიწა შესძრა. წამსვე მეზობლები მოცივიდნენ და ბურღა ყულფიდან ჩამოხსნეს. წუთი-წუთზე მიუტწერეს, საცოდავი ბიჭი მოასულიერეს, მოლღეტილი კისერი შეუხვიეს

და სასწრაფო დახმარებაც გამოიძახეს. ბურდა გადარჩა.

შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა. ზოგი ამბობდა, ავადმყოფობა მოეძალა, ვეღარ გაუძლო და თავის მოკვლაც მიიტომ განიზრახაო. ზოგი ლუტუშას აბრალებდა: თურმე ბურდას შინ მიხტომია, მოკვლით დამუქრებია, რად უშლი თათუშას, ცოლად გამოიმყვესო. იმასაც ამბობდნენ, ლამ-ლამობით რალაცეებს რომ ჭღაბნის, იმან გამოალაყა და თოკში თავი მიტომ გაუყარაო.

არც ერთი სწორი არ იყო.

თათუშამ სამკერვალოდან დაგვიანებით იწყო შინ მოსვლა.

ბურდა დაბინდებამდე თვალგამტერებული იცქირებოდა ჭიშკრისაკენ — აი აგერ შემოალებს თათუშა და აი აგერო. თათუშა იგვიანებდა და ჭრილა ჭიშკარიც დუმდა. შეძულდა ჭიშკარი. იტყვიო, ჭიშკრის შეძულება როგორ შეიძლებაო? შეიძლება! ბურდას მანამდე ჭიშკარი უყვარდა. მისი ჭრიალი უყვარდა, მისკენ გახედვა სიამოვნებდა, მისი გაღება უცნაურ თრთოლვას ჰკვირდა.

ერთხელ თათუშამ ჭიშკრის დაზეთვა მოინდომა, ნამეტანს ჭრილებს, გული გამიწყალაო. ბურდამ არ დაანება... თათუშა მაშინვე მიუხედა ძმას და თვალები დაენამა. ადრე ჭიშკარი უყვარდა. თუ უყვარდა, შეძულებაც არაა გასაკვირველი. ბურდას შეძულდა ჭიშკარი. როცა სავარაუდო ეამს არ გაიღებოდა, არ გაიჭრიალებდა, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა.

წიგნების კითხვასაც უკლო და აივანზე ჭდომასაც. თათუშა ყოველ დაგვიანებაზე რალაცას მოიმიზეზებდა, ბურდას კი არასოდეს არაფერი უკითხავს.

როცა ყულფიდან ჩამოხსნეს და მარტო დარჩნენ, თათუშამ ბურდას თავი მკერდზე მიიკრა და საცოდავად ატირდა. გაუტყდა — ერთი ბიჭი შემიყვარდა და გათხოვებას ვაპირებო. ბურდას ხმა არ ამოუღია. არც თანხმობა განუცხადებია და არც დაუშლია. იწვა გულალმა, კისრის ძარღვები სტყი-

ოდა, თავს ვერ აბრუნებდა, მუხლები ისე დასუსტებოდა, ფეხზე დარჩა უჭირდა. ფიზიკური და სულიერი ტკივილებისაგან დაუძლურებულს სიკვდილი ენატრებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ მიტელ-გაბრიელის ძალად მოხმობა არც ისე იოლი საქმე იყო.

გათხოვდა ლამაზი თათუშა. პატარა ქორწილიც გადიხადეს და ქმარმა თათუშა შინ წაიყვანა. მთელს ჩვენს მეზობლობას დააყვდა მისი ალერსიანი თვალების ფოფინი, კისკისი და შუქიანი ღიმილი. მეზობლებს კი არადა, უსულო საგნებსაც დააყვდა თათუშა. ჭიშკარი ძველებურად აღარ ჭრიალებდა. ალვის ხეების შრიალში უფრო კენესა ისმოდა ვიდრე წყნარი ჩურჩული, კიბის საფეხურები აღარ გრძნობდნენ მისი ფეხისგულების ერთხანტელის მომგვრელ სითბოს, აივანიც უფრო გულჩათხრობილი შეიქნა თითქოს; სახლი კი ჩვეულებრივს კი არა, ჭირიან ბაიყუშს დაემგვანა, ფულუროში თვალეზე ბისტგადაკრულსა და ფრთებმოზღუთულს. ბურდას ამბავს ნულარ იკითხავთ!

ქორწილის მესამე თუ მეოთხე დღეს მათ აივანზე სამი ადამიანი იჯდა: თათუშა, მისი მეუღლე — მხარბუქიანი, კოკობულვაშა ვაჟაკი და ბურდა.

თათუშა მორიდებულად, მაგრამ მაინც ძველებურად ეალერსებოდა თავის უცნაურ და საყვარელ ძმას.

„მე ერთი უბრალო მკვდელი ვარ, — უთქვამს თათუშას ქმარს, — მაგრამ სახლ-კარი დიდი მაქვს. რაც მთავარია, ბედნიერი კაცი ვარ — თათუშა მიყვარს და იმიტომ; თათუშა ჩემი ცოლია და იმიტომ, მასაც ვუყვარვარ და იმიტომ. შინ თათუშას გარდა არავინ მყავს. მოხუცი დედა ზემო რაჭაში ცხოვრობს სოფელ გლოლაში, მხოლოდ ზამთრობით ჩამომყავს თაისში. თათუშას შენს გარდა არავინ ჰყავს, ბურდა. ჩემი თათუშას, ჩემი მეუღლის ძმა, ჩემი ძმაა დღეიდან“.

ბურდას ხმა არ ამოუღია. ავადმყოფ-

ფობას წამოუვლია და როცა გონს მოსულა, თანხმობა განუცხადებია.

ბურდა საცხოვრებლად სიძესთან გადავიდა. სულ დაყრუვდა და დაიჩუტა მწვანე ეზოში ბაიყუშვით ჩამჭდარი ძველი სახლი. იმ გაზაფხულზე მოფრენილმა მერცხლებმა უკაცო სახლი იუცხოვეს და სიმწრით აშენებულ ძველ ბუდეებს აღარ დაუბრუნდნენ. მარტოდენ ქარი სისინებდა მისი კედლების ღრიტოებში და სითბოსა და სინათლეს მოკლებულ ჭერს ეხლებოდა. ამ დროს სახლი ციებინავით ძიგძიგებდა, ირყეოდა და მეგონა, სადაცაა ფეხს აიდგამდა და იჭაურობას გაცეცლებოდა.

აღარ ჩანდნენ თათუშა და ბურდა — მოლაღურებივით შეხმატკბილებული და-ძმა.

ყველაფერი ეს ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მოხდა. მაშინ მოსწავლე ვიყავი, თერთმეტი წლის ბიჭი და მათ ოჯახში რაც ამბები დატრიალდა, უფროსების საუბრიდან კანტიკუნტად გაგონილს თუ აღვადგენ. ესეცაა, ბავშვის ხალას გონებაში მწარე ამბები უფრო ღრმად აღიბეჭდება, ვიდრე სასიხარულო და გახსენების დროს მხოლოდ სულის შებერვაა საქმარისი, რომ ნაცარწყარილმა ლადარმა მწველად გამოანათოს, ასეთ დროს ლადარში გაყურულ ნაკვერჩხლებში ხელს რომ ჩაყოფ, თითებს დაგითუთქავს, მხურვალება ძარღვებს გაჰყვება და გულში მწარე ტკივილად აკუნესდება. ამგვარი ტკივილი მახსოვრობის ბურუსიდან ამოთხრილ კივილსა ჰგავს და თუ ვინმეს არ გაანდებ და გაუზიარე, შეიძლება გული გასკდეს და ყველაფერი სიმუდამოდ გაცამტყვრდეს.

მჭედელი, ომის დაწყების პირველივე დღეს ფრონტზე წავიდა... ერთხანს დაღუპულიც ეგონათ, მერე წერილები მიუღიათ და ომის დამთავრებამდე ორიოდ კვირით ადრე შინ დაბრუნებულა. მახსოვს, მკერდი ორდენებითა და მედლებით ჰქონდა გადაჯეჯილე-

ბული, — ძველებურადვე განიერი და ამობურცული მკერდი ^{წინა-საბჭოთავ}ლივით აუღ-ჩაუდიოდა... სამწუხაროდ, ყავარჩნებით ჩამოვიდა, მარცხენა ფეხი მუხლს ზემოთ ჰქონდა წაკვეთილი, ქვედა ყბა — მონგრეული და თმა, წარბ-წამწამი — შეტრუსული. წვერულვაში უხვად მოეშვა, მაგრამ დასახიჩრებულ სახის ნაკვეთებს მაინც ვერ უფარავდა. ომის ხანძარსა და ქუხილს ბოზოქარი მრისხანებით გადაეჭედა მისი სხეული და სახე. რომ იტყვიან, სული ჩამოჰყვა და კიდევ ხავერდოვანი რბილი გამოხედვა, რაც ნალმებისა და ტყვიების ჯოჯოხეთურ გნიასს ვერ შეეცვალა.

მისი დაბრუნებიდან ორიოდ თვის შემდეგ თათუშა ტრაგიკულად დაიღუპა.

ბურდა ძველ სახლს დაუბრუნდა — უფრო დაბერებულსა და მოღუშულს, კიბეზე ხავსმოდებულსა და აივანჩამომპალს, ბურდას საღ შეეძლო, მეზობლებმა ძლივს გააღეს საკეტჩაყანგული, საღებავაქერცილილი სახლის კარი.

იჭდა ნიკრისის ქარებისგან მოხუცი ქალივით მოღრეცილ აივანზე მარტოდ დარჩენილი ბურდა და არამძკვეყნიური ჩამქრალი მზერა უაზროდ მიეპყრო ლობესთან ჩამწყრივებული ალვის ხეებისთვის. მისი საცოდაობით მიწა იწვოდა. მანამდე დღეში ერთხელ თუ გამოუქროლებდა ავადმყოფობა, დაბრუნების შემდეგ ყოველ ორ-სამ საათში ხედავდნენ აივანზე ყუყვივით ასვეტილს. მეზობლებს ახლოს არ იკარებდა. თუ ვინმე ჭიშკარს შეაღებდა, შორიდან ხელებს აიჭნევდა, ისე, როგორც ქათამს აუქმევენ, და ზურგს შეაქცევდა. კვირაში ორჯერ კეთილი სიძე მოაკითხავდა, მშრალი ლარიბული სასმელ-საჭმელი მოჰქონდა, აივანზე ორიოდ წუთს დაჰყოფდა და მერე ყავარჩნების ბაკუნით შინისკენ წაჩლახუნდებოდა. ეტყობოდა, გვერდით მის ყოფნასაც ვერ იტანდა ბურდა. მართობა და სიმყუდროვე ერჩია ყველაფერს.

ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ბურდამ თოკში მეროდ რომ გაუყარა თავი. შუალამე იყო. არავის დაუნახავს, როგორ ჩამოჰკიდა ყულფი ელექტრონის ზონარის მოსადებ ლითონის კაკვზე, არავის გაუგონია ტაბურეტის იატაკზე ბრაგვანი. მასხოვს აივანზე დადგმულ ხის ტაბტზე დასვენებული ბურდა. თეთრი ზეწარი გადაეფარებოდა და მარტოდენ ბლაგვკვინტიანი ფეხსაცმელები უჩანდა. გაშეშებულ ფეხსაცმელებს ისე ჰქონდა ლანჩა გავარდნილი, დაკვირვებული თვალი შავი წინდების ძირს შეამჩნევდა.

მკედელმა პატივით გაასვენა ცოლისძმა. წარბშეკრულმა და ცრემლგამშრალმა თათუშას გვერდით დაასაფლავა. როცა ბურდას სამარეს მიწის ბოლო ბელტი მიაყარეს, ველარ გაუძლო მკერდში ჩახშობილ დარდასა და ოხვრას, თათუშას საფლავს გადაემხო და დაჭრილი დათვივით აღრიალდა სვეგამწარებული ნაომარი კაცი. წამოაყენეს და მერე ბურდას სამარესთან ჩაიჩოქა ცალფეხა ნასალდათარმა. გარშემო ყველა ზღუქუნებდა და ცრემლად იღვრებოდა. მე ვარდაკაჯაკას ბუჩქს ვიყავი ამოფარებული, გაფართოებული თვალებით მთავარ ჭირისუფალს შევეყურებდი. ზმუოდა, ბლაოდა, ღრიალებდა, თავში ხელებს იშენდა და საოცარი ის იყო, ცრემლის ერთი კურცხალიც კი არ გადმოვარდნია ამღვრეული და დაფეთებული თვალებიდან. მაშინ ვირწმუნე სადღაც ამოკითხული — „დიდმა დარდმა და ღრმა მწუხარებამ ცრემლი არ იცისო“.

მკედელმა ბურდას ქრისტიანული ორმოცი გადაუხადა. მერე მათი ძველი სახლი ჩალის ფასად მიაყიდა.

ბურდასა და თათუშას ძველ შეზობლებს რომ გამოემშვიდობა, ცალკე გამიხმო:

— შვილო, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, საშუალო სკოლას ამთავრებ და ჰკუა მოგეკითხება. ისიც ვიცი, გვირიან ლექსებსაც სწერ. მე, მიუხედავად იმის წლების დიდი გამოცდილ-

ბისა, მაინც გაუნათლებელი დავტრი. წაიღე ეს, გადაიკითხე და დაგეგმული და გონივრული ნაწერია, როცა სახელიანი კაცი ვახდები, უპატრონე. ვინ იცის, რა ნიჭი იმალეობდა იმ უსიტყვო და ავადმყოფ ბიჭში. — მითხრა მკედელმა და აბრეშუმის ნაზი ზონრით შეკრული ორი საერთო რვეული გამომიწოდა. — ვერაფერს მივეხედი და მხრები ავიჩჩე. — წაიღე! ვერ მიხვდი? ბურდას ნაწერებია. არც გამიხსნია.

კინალამ ხელიდან გამოვსტაცე რვეულები, მაგრამ ვიყოჩაღე და თავი შევიკავე, თრთოლვაშეპარული ხელით ჩამოვართვი. გული მიგრძნობდა, ბურდას ნაწერების გაცნობა ფარდას ახდიდა მის საიდუმლოებით მოცულ ცხოვრებასა და ტრაგიკულ სიკვდილს. რვეულები მკერდზე მივიკარი. ერთი სული მქონდა, როდის შემოვავწყვეტი აბრეშუმის ზონარს.

— ასე ჩემო ძამიკუნა, თათუშასა და ბურდას საფლავებს მოვაწყობ, — ნათელი დაადგეთ, — წლისთავს ორივეს ერთად გადავუხედი, მერე საკუთარ სახლსაც გავყიდი და სოფელში გადავსახლდები. ლამაზი სოფელია ჩემი გლოლა. თუ გამიხსენებ და ოდესმე ჩემი ნახვა მოისურვო, ამოდი რაჭაში.

ბურდას რვეულები შინ შევარბენინე და სულმოუთქმელად შევეუდექი კითხვას. პირველი რვეული შავყლიანი იყო. ომისდროინდელი უხარისხო, უხეში და უფერული ფურცლები ისე გამოიყურებოდა, ერთი საუკუნისწინანდელი გეგონებოდათ. ეს რვეული ერთ ან ორგვერდიანი ბოდვისმსგავსი მონოლოგებითა და ჰიმნებით იყო სავსე. მსგავსი რალაკეები სადღაც და სადღაც ადრეც მქონდა წიგნებში წაკითხული, მაგრამ ბევრს ვერაფერს ვგებულობდი და გულსაც ვერ ვუძებდი. ვერც ბურდას ნაწერების აზრს ჩაეწვდი და რვეული გვერდზე გადავდე. ვიფიქრე, გაშეშების დროს რასაც განიცდის, ალბათ იმის ქალღღღზე გადატახა თუ დააპირა-მეთქი. მერე რვეული

ლექსებით იყო აჭრელებული. ლექსებს იცოცხლე-თქვა იოლად გავუგე. პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით დიდად არ ბრწყინავდა ლექსები, მაგრამ მათში თავლის სანთლის ნალღვენთებივით ჩაღვრილმა სიფაქიზემ და გულწრფელობამ მომხიბლა. ლექსების რვეული ბოლომდე არ იყო შევსებული. ცარიელი გვერდები მაინც გადავფურცლე. გარეკანსა და ბოლო ფურცელს შორის ჩადებულ მოსწავლის თორმეტგვერდიან რვეულს წავაწვდი. გავშალე, აქაც ლექსები იქნება-მეთქი, მაგრამ აჩქარებით ნაწერი პროზა აღმოჩნდა. ვიფიქრე, პირველი რვეულის ნაწილია და ისევ მისტიკური ბოდვები იქნება-მეთქი, მაგრამ შევცდი. „თოქში პირველად რომ გავყავი თავი...“ იწყებოდა პირველი გვერდი და გულში ბავაბუგი დამიწყო. მაშინვე ჩამითრია კითხვამ და რომ ჩავამთავრე თავზარი დამეცა. გაოგნებული მაგიდაზე დავემხე; ის ბოლო რვეული ისე მქონდა ჩაბლუჯული, თითები მტკიოდა...

თვალწინ დამიდგა აივანზე მჭდარი ბურღა; თათუშას თვალეზმაც გაიელვა წამიერად. მერე კი, ორთავე საცოდავი როსტომის სახემ დაფარა. როსტომის ხატებას ვეღარ გავუძელ და გიჟვით წამოვვარდი სკამიდან.

მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ბერჯერ დავაპირე, ავიღებ ბურღას ლექსებს, მცირე წინათქმას გავუკეთებ და პრესაში გამოვაქვეყნებ-მეთქი. მაგრამ, როგორც კი ის საშინელი თორმეტგვერდიანი რვეული გამახსენდებოდა, რომელშიც მას შემდეგ ერთხელაც არ ჩამიხედავს, გამოუცნობი შიში შემიპყრობდა, განზრახვას გადავიფიქრებდი.

ამ ცოტა ხნის წინათ, თაისში, ბურღას ნაწერში მოთხრობილი ამბის მსგავსი რამ მოხდა. რა თქმა უნდა, ამ ავადგასახსენებელ შემთხვევას, მსხვერპლი არ მოჰყოლია. ისე, იყო ექსცენსები, „გამიშვი და გაგიშობ!“ მითქმა-

მოთქმა, მაგრამ ყველაფერი თანამედროვე სტილში ჩატარდა, ცენტრალური ერთმანეთს დაშორდა. სასამართლომაც მშვიდად დაუჭირა მხარი მათ განქორწინებას. მესამე მოქმედი გმირიც თავის ცხვირჩამოშვებულ ცოლშვილს დაუბრუნდა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, ამბობენ. გაყრილი ცოლქმარი, შვილიცოს ხათრითა და სიყვარულით, შერიგებასაც კი აპირებენო.

ბურღას ნაწერში დასახელებული ადამიანები კარგა ხანია არცერთი ცოცხალი აღარ არიან, ცოტას თუ ახსოვს ისინი. თანაც წლები თავისას აკეთებს. იმ თორმეტგვერდიანი რვეულისადმი შიშმა გამიარა და გადავწყვიტე მასში მოთხრობილი ბურღას ამბავი ყველასთვის გამეცნო. აქვე, წინასწარ ვაცხადებ, ბურღას ნაწერში ერთი სიტყვაც არ შემიცვლია. ესაა, ალაგ-ალაგ სასვენი ნიშნები დავსვი, შინაარსის უკეთ გაგებისათვის.

* * *

„თოქში რომ პირველად გავყავი თავი, ვიჭრებნი, სადაც იყო გაშეშება მომივლიდა. ტაბურეტი სწრაფად მოვიცილე... ფეხით... თოქმა საშინლად მომიჭირა ყელზე... ვიხრჩობოდი... ყულღთან ხელები ვიტაცე... ამოდ. ვიგუდებოდი და ვშეშდებოდი... გონება დავკარგე... თვალი რომ გავახილე, თმა-გაწეწილი, სახეშეშლილი თათუშა მადგა თავზე... „თათუშა!... თათუშა!“ „ბურღა!.. ბურღა!“ ტირის და ყელს მიხვევს... ორიოდ ცხელი კურცხალი ნიკაპზე დამეცა... გაშეშება მომენატრა... გონების დაკარგვა მომენატრა... გაშეშება, ჩემი გაშეშება... არ მოდიოდა... აღარ მეკარებოდა...

რაც თათუშა იმქვეყნად გავამგზავრეთ, ჩემს ძველ სახლს დავუბრუნდი. ორი თვეა და სადღაც ვადაიკარგა ჩემი ძველი მეგობარი — გაშეშება... აღარ ვშეშდები... გონება აღარ მებინდებია... მგონი, სენისგან განვიკურნე. მერე რა... უფრო ცუდად ვარ... გაშეშება მენატრება... გაშეშება... გაშეშება... უგოხო გარინდება მენატრება. ის კი არ მო-

დის... სადღაც გადაიკარგა... ეტყობა ალარც ის მოვა... მისი ნება ყოფილა... ერთ დროს თავს მამბებდა... ახლა მე რომ მსურს, აღარ მოდის ხომ?... არ მოვა და მოვიყვან, ძალად მოვიყვან... უკვე ვიცი ეს ხერხი... თოჯი... ტაბურეტი... ყელში მოჭერა... სუნთქვის შეკვრა... თვალთ დაბნელება და გაშვებაც მოსულია. ასე მოხდება... ჩემი ნება... ვიცი, როგორ კეთდება... მაგრამ ისე მოუფიქრებლად და სულელურად აღარ მოვიქცევი, როგორც მაშინ, პირველად — დღისით, მზისით. ახლა — ღამით, შუაღამით. ვერც ვერაფერს დანიხავ და ვერც ვერავინ წამოგესწრება გადასარჩენად...

გაშეშება მენატრება... გაშეშება მსურს... არ მოდის... ძალად მოვიყვან...

მთის მდინარე ლოდებზე მოშხუის... წყლის ხმაური სმენას მიხშობს... ასე მგონია, მდინარის ერთი ნაკადი ყურებში ჩადის ჩბრიალით და შხუის, შხუის დამაყრუებლად... ნეტავ მართლაც დავყრუვდებოდე... დავბრმავდებოდე... ვერაფერს გავიგონებ... ველარც შევხედავ... ლოდები ბევრია — დიდი და პატარა. ზოგი წყალსა ჰყავს ჩაყალაული, მაგრამ გამკვირვალე ტალღებში მაინც ჩანს მდინარეში ჩაწოლილი თეთრი კამეჩივით. ზოგი ლოდი აქლემის კუზივითაა ამოშვერილი წყლიდან და შხეფებით სველდება... სველდება, მაგრამ მცხუნვარე მზე მაშინვე აშრობს...

მდინარეზე ჩავედით. შუა ზაფხულია და მდინარე კალაპოტის შუაში მიშხუის. წყლამდე კარგა მანძილია... გზად უპარავი ლოდია, დიდი და პატარა. ლოდებს შორის ქვიშაა ჩაწოლილი. თათუშამ ფეხსაცმელები გაიძრო და მშრალი ლოდიდან ლოდზე გადახტა. ტანი გაიწონასწორა და ხელი დამიქნია... მეც მივეყევი... მესამე ლოდზე ჩამოვჯექით... მალეღიდან რაჟის მთები დაგვეყურებს... მთის მდინარე შხუილით მოედინება... მე იმ ლოდივით მუხჯი და ცივი ვარ, რომელზედაც ვსხედვართ... თათუშამ მოიწყინა... შინდა

მოვეფერო, მოწყენილობა გავუფანტო... მაგრამ ხელები მარცხენა მხარეზე, გული ჩამკვდარა. მკვლელობა, როგორც ის ლოდი, რომელზეც ვსხედვართ... ლოდებს რომ ვუყურებ, საფლავების ქვები მგონია, გოლიათების მკერდზე დაყრილი და ჩალუსკუმებული... თვალი წყლისკენ გამიბრბის... მდინარის მეშინია, მისი შხუილისგან ტანში მჭერკოლებს, მაგრამ მაინც მიზიდავს...

რაც სიძის სახლში გადავედი საცხოვრებლად, თათუშამ სამკერვლო ფაბრიკას თავი მიანება... უფრო დამშენდა და გალამაზდა. გათხოვებაც მოუხდა და მძიმე შრომაზე ხელის აღებაც... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ცაში ვფერენდი, მიწაზე ფეხს არ ვაკარებდი... საქმელზეც მიმდიოდა გული, თათუშას საკუთარი ხელით გადმოჰქონდა ჩემს თევზზე ყველაფერი... ჩემსავით უხაროდა, რომ ერთად ვიყავით... დილიდან საღამომდე... საღამოს კი როსტომი ბრუნდებოდა სამუშაოდან... კეთილი, საყვარელი, უბრალო კაცი, როსტომი... შემოვიდოდა აისბერგით და მთელ სახლს გაავსებდა... ჩემთვის თითქმის აღარ ჩნებოდა ადგილი... სადღაც კუთხეში მივიკუნებოდით და მკერდზე ტალღებივით მებლებოდა მისი ძლიერი სუნთქვა... როსტომი, კეთილი, ღონიერი როსტომი. რომ ეგონა, მძულდა და სინამდვილეში მიყვარდა; მშასავით, უფროს მშასავით მიყვარდა...

ჩემი ავადმყოფობის მოახლოებას რომ იგრძნობდა, მე და თათუშას მარტო ვეტოვებდა... მაშინ შემოვიდოდა, როცა გაშეშება გამოვილიდა... როსტომი გვიყურებდა თავისი კეთილი, თვინიერი, ბრიალა თვალებით და ალერსიანად ილიმებოდა... ასეთ დროს მისი დიდი გულის ბაგუნიც მესმოდა...

თათუშა წამოდგა... ხელი გამოძიწოდა... მე წელი ავითრიე. მისი პატა-

რა ხელი ცივი იყო, ცივი, როგორც ის ლოდი, რომელზეც ჩვენ ვიდექით... ჩემი გამოლაყებული, დაჩლუნგებული თავი ხელბში მოიმწყვდია... ხელები ისე მომიჭირა, საფეთქლებთან სისხლის დენა შემიჩერდა... სული შემიგებდა, თვალები დამენისლა... მერე ცოტა ამიშვა, სისხლიც ამოძრავდა და აფორი-აქებული მზერით თვალბში ჩაბედვა მომინდომა... თავი გვერდზე მივაბრუნე. თათუშამ თავი ნერვიულად, მაგრამ ღონივრად გამისწორა და ახლა კი ჩაბედეთ ერთმანეთს თვალბში... არ ვიცო, რა ამოიკითხა შიგ... ღამაში თვალბი შიშისგან გაუფართოვდა და ხელები გველნაკბენივით გამიშვა... მე თავი ისევ შევაბრუნე და უკვე ახლო მოთქრიალე მდინარის ჩქერები გავხედე... ჩქერები სრიალით გადადიოდნენ გლუვ ლოდებზე, კისრისტეხით გარბოდნენ ქვევით... თითქოს ვიღაცას მისდევდნენ... ქოჩორზე თეთრი ქაფი მოსდებოდათ და ურა კვიციბივით ყალუზე დგებოდნენ...

ახლა ერთი ლოდით მე გადავინაცვლე მდინარისაკენ... თათუშა ხმის ამოუღებლად მომყვა... არ გადმომხტარა, ლოდის მოშვებულად ჩალასლანდა, ხვინჯკაგარეული სილა ტაატივთ გადმოიარა და მე რომ ვიდექი, იმ ლოდზე დაოთხილი ამოფოფხდა... ხელი არ გამიწოდებია... ქვევიდან ხბოს თვალბით ამომხედა და ამოვიდა...

მოშხუის მთის მდინარე, აქაფებულ ტალღებს მოარწყევს და უხილავი ძაფებით თავისკენ მიზიდავს... რატომ? რისთვის? ვერ გამიგია! საერთოდ წყლისა მეშინია. ცურვა მე არ ვიცი... სახალისოდ შიშველი ფეხიც კი არ ჩამიყვია მდინარეში... ახლა კი საშინლად მიზიდავს, მხიბლავს, მიხმობს, შეძახის... მოჭადლოებულოვით მისკენ მივიწევ... „მოვდივარ! მოვდივარ! — ვამბობ გულში. მდინარეს თითქოს ჩემი ესმის და გახარებული შხუის, ლოდებზე ტალღებს ატლამუნებს და ისევ მიხმობს...

თითქოს ბედნიერი ვარ... ბედნიერება დაამინც ვერ ვერკვევი ამაში... საოჯახო საქმეებში ვეხმარები, როგორც შემიძლია. ყოველგვარ ამისთანებში მოუქნელი და უგერგილო ვარ, მაგრამ ვცდილობ... თათუშა არაფერს იმჩნევს, კმაყოფილია, თითქოს მე რომ არ ვიყო, ოჯახში საქმეს ვერ აუვიდოდა. ბაზარშიც დავეყვები და მალაზიებშიც... დავყვები მოსამსახურე ბიჭივით... არც მწვანის არჩევა ვიცი და არც ყველის ცნობა. მალაზიაში ბატივით ვიბნევი. ყველაფერს თათუშა ყიდულობს და ჩანთაში მიწყობს...

როსტომი სალამოს მოდის შინ. დალილი, ზოგჯერ ოდნავ გადაკრულშია. კეთილი, საყვარელი როსტომი... იცინის, სახეგაბადრული და სახეგაბრწყინებული. იცინის, როცა თათუშა საქმელს მაძალებს.

ახლა სხვა ლოდზე ვზივართ მე და თათუშა... ფეხსაცმელები და წინდები წინა ლოდზე დავტოვე... მზე აცხუნებს, მაგრამ ლოდი მაინც გრილია... „ჩემი ყურება არ გარგია! — ამბობს თათუშა და თან მხარზე მკლავი ჩამომადო, — ფეხსაცმელებს მოგიტან, არ გამიცვიდე“. უარს ვუთხნები... გული შემღვრევა... მკლავს არ ვიცილებ, მაგრამ თავს გვერდზე ვაბრუნებ... თოხისტარებს ვაკვირდები, ქვიდან ქვაზე რომ დახტიან ბოლოების ქანქალით...

თათუშა: სიკვდილზე გიფიქრია, ბურდა?

მე: სიკვდილს ყოველდღე ვხედავ, თათუშა.

თათუშა: ჰო!

მე: ვხედავ და მისი აღარ მეშინია. თათუშა: მე რომ მოვკვდე, შენ რა გეშველება, ბურდა?

მე: მეც მოვკვდები, თათუშა!

თათუშა: საიქიოს არსებობა მაინც გეწამდეს. იქ დედ-მამასთან მოვიყრიდით თავს.

მე: მე მწამს.

თათუშა: ვიცი, მაგრამ თავის მოტყუებაა.

მე: სხვათა მოტყუებას, საკუთარი თავის მოტყუება სჯობს.

თათუშა: (შემკრთალი) ამ ბოლო დროს ძლიერ გამოიცვალე, ბურდა. გულჩათხრობილი და მიზეზიანი გახდი.

მე: ყოველთვის ასეთი არ ვიყავი?

თათუშა: სხვების მიმართ კი, მაგრამ თათუშამ რა დაგიშავა?

გაშეშებამ მომიარა. დენდარტყმულივით წამოვიკერი და გავშეშდი... თვალზე ბინდი გადამეფარა... მზე დაბნელდა... მდინარის შხუილიც მიწყდა... ფრთები გამომესხა... შავ უფსკრულში გადავეშვი... ჩემს გარშემო ღამურები დაფრენენ. ყვაეები დარი-ალებენ, მაგრამ მათი ყრანტალის ხმა არ ისმის... მარტოდენ საკუთარი გულის ხმით ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ... მეერ გულიც გაჩერდა და თვალ-შეუდგამ სიბნელეში ჩავიძირე...

გონს რომ მოვედი, წელზე სალტედ შემოკერილი თათუშას მკლავი ვიგრძინი. არაქათგამოცლილი დავეშვი ლოდზე... თათუშამ ისევ ჩამომადო მკლავი მხარზე და შიშველი ფეხის თითებით კოჭზე მომილაურსა...

მზე ისევ კაშკაშებდა ცაში... მთის მდინარე ისევ მოშუხოდა და თავისკენ მიხმობდა.

თათუშას და როსტომის დაქორწინებიდან ერთი თვე, მხოლოდ ერთი თვე გავიდა... ომი დაიწყო... ყველაფერი აირია... როსტომი მეორე დღესვე ფრონტზე წავიდა... სამეზობლო ყველა ოჯახს თითო-ოროლა კაცი მოაკლდა... ჩემს ტოლ ბიჭებს ვეღარსად ვხედავდი... მე პირველივე საექიმო შემოწმებაზე დამიწუნეს... როსტომმა ფრონტზე გამგზავრების წინ მე და თათუშა იქით-აქეთ ამოგვიყენა, დათვის ტორე-ბივით ხელები წელზე მოგვხვია, მალა ავკოტაცა ბავშვებივით... ხან ერთს გვკოცნიდა, ხან მეორეს... „აბა თქვენ იცით...—ბურდლუნებდა როსტომი, —

აბა თქვენ იცით! ერთმანეთს მოტყუ-რეთ... უჩემობა არ შეტყუა! კეთი-ლი, საყვარელი, დიდი გულის კაცი როსტომი... თათუშა მეგრდში ჩაეკონა ქმარს. სახე გულისპირში ჩაუღო და ცრემლებით ამოუვსო... წავიდა როსტომი და თათუშა ერთ კვირაში სამეკრვალო ფაბრიკას დაუბრუნდა...

ერთ დღეს წინ როსტომი ამესვეტა. როსტომი: ხომ არ დამივიწყეთ, ბიჭო?

მე: არა როსტომ... აქ რა გინდა, ფრონტზე მეგონე?!

როსტომი: მე ფრონტის წინა ხაზზე ვიბრძვი, ეს ჩემი სული გელაპარაკება.

მე: როსტომ, შენს სულსაც ვენაცვალე და გულსაც.

როსტომი: ასე, ჩემო ბურდა!

მე: შენ ჩემი ძმა ხარ, როსტომ!

როსტომი: შენ ჩემი ძმა ხარ, ბურდა!

მე: ყოჩაღად იყავ, ძმაო, თავს გაუფრთხილდი!

როსტომი: ყოჩაღადაც ვიქნები და გერმანელებს მუსრს გავაელებ.

მე: მალე დაგვიბრუნდი, ძმაო... თათუშას თავს ვერავინ წაგართმევს.

როსტომი: შენი იმედი მაქვს, ბიჭო!

მე: არ იღარდო, თათუშას თვალის-ჩინივით მოუველი!

თათუშამ უზარმაზარი ლოდისკენ გაიშვირა ხელი... ლოდის იქითა მხარე ნახევრად წყალშია შეჩრილი. ჩვენსკენ მოშვერილი გვერდი მშრალია და წვრილი ქვებითაა შემოჭარული. ლოდი იმოდენაა, ათ კაცს დაიტევს... აბა, ამ ბოლო ლოდსაც მივალწივით და ზურგზე მოვექეცით... ლოდის იქითა ნახევარს წყალი გადასდის, თხლად, მაგრამ მაინც გადასდის... ტალღა რომ მოასკდება, წყალი გვეწვდება და შიშველ ფეხებს გვისველებს... თითქოს ავადმოყოფობამ მომიარაო, გაშეშებული ვდგავარ და აქაფებულ ტალღებს თვალს ვადევნებ. ტალღები კისრისტეხით გარბიან და, ორიოდ ნაბიჯის მოშორე-

ბით, ღრმულში ზათითა და გუგუნით იჩეხებიან... იქ წყალბორბალა გუგუნებს... ღრმულიდან ამოყრილი შეხეფები ჩვენამდე აღწევს და თქორივით გვეფრქვევა სახეზე... თათუშაც წყალბორბალას ჩაჰყურებს...

როსტომი პირველი ორი თვის განმავლობაში ხშირად გვიგზავნიდა ბარათებს. მერე მთელი წელი გავიდა და მისი ამბავი აღარ მოგვევლია... მე და თათუშა ძველებურად ვეფერებოდით ერთმანეთს... ბოლო ხანებში, თათუშა გამოიცვალა... მის მოფერებას სიცივე შეეპარა... თითქოს მორცხვობდა კიდეც... თითქოს მობეზრდა... ფაბრიკიდან დალილ-დაქანცული რომ მოვიდოდა, თითქოს ველარ ახერხებდა ძველებურ აღერსსა და ღიმილს... სევდაჩამდგარ თვალებს ხშირად მარიღებდა... ორთავეს როსტომზე ფიქრი გვაწუხებდა, მისი ღუმილი გვადარდებდა... მით უმეტეს თათუშას, და ამით ეხსნიდი მისი ხასიათისა და საქციელის გამოცვლას.

სალამო... ყველაზე ძნელი სალამო... იმაზე უარესი, ძველ სახლში რომ დადგა ერთხელ... სალამო... ძნელად გასაძლები სალამო... თათუშა არ ჩანდა...

ღამე... ბნელი ღამე... უბნელესი, ყურში... ღამე საზიზღარი და აუტანელი... სიკვდილი რომ ვინატრე... თათუშა შინ არ მოსულა... მეორე დღეს — გვიან დამთავრდაო... რა? არ ვიცი! ამხანაგთან გავათიე ღამეო. ვისთან? რომელთან? არ ვიცი! რატომ? რისთვის? არ ვიცი!... საერთოდ აღარაფერი ვიცი... და კიდევაც ვიცი. ვიცი, რომ როსტომი ფრონტზეა... იბრძვის... სამშობლოს იცავს... კარგა ხანია ბარათებს არ ვღებულობთ, მაგრამ მწამს და შჭერა, რომ ცოცხალია... ვიცი, რომ თათუშა ხშირად აგვიანებს შინ მოსვლას... ან არ მოდის... ვიცი, რომ ავადმყოფობამ დამჯანა... გაშეშება უკვე დღეში ორჯერ... ვიცი, რომ მალე მოე-

კედები. მალე, მაგრამ როდის? როდის? ეს კი აღარ ვიცი... უნდა გავიჭე... ძველ მშობლიურ ძველ სახლში...

„თათუშა? — ვეკითხები ჩემს თავს, — გაძლებს უჩემოდ?“ „გაძლებს!“ — მკასუხობს ვიღაც

მე: ვერ გაძლებს!

ვიღაც: გაძლებს!

მე: — ვერ გაძლებს! ვერ გაძლებს!

ვიღაც: გაძლებს!

მე: არ იცი შენი — ვუყვირი.

ვიღაც: აბა ღამეებს სხვაგან რად ათვეს.

მე: ერთი-ორჯერ მოხდა ეს.

ვიღაც: ვისთან იყო?

მე: არ ვიცი?

ვიღაც: რატომ და რისთვის?

მე: არ ვიცი?

ვიღაც: შენ არ იცი, მე ვიცი!

მე: რა იცი შენ.

ვიღაც: ის ვიცი, რომ... გაძლებს უშენოდ!

მე: კიდევ რალაცის თქმას აპირებდი.

ვიღაც: კი, მაგრამ მთავარი ესაა, გაძლებს უშენოდ!

მე: ვერ გაძლებს!

ვიღაც: გაძლებს!

მე: მე?

ვიღაც: შენც გაძლებ!

მე: ვერ გავძლებ! ვერ გავძლებ!

ვიღაც: ჰო, შენ ვერ გაძლებ!

მე: როგორ მიხვდი?

ვიღაც: უკვე დაბერდი და იმიტომ.

მე: ჰო, დაბერდი... დაბერდი...

ორი წელი გავიდა... როსტომი მენატრება — კეთილი, ღონიერი, ღამაზი როსტომი... ჩემი ძმა როსტომი... წერილები ისევ მოდის... ხშირად მახსენებს... ძმას მეძახის... ხან ბურღუნია... ხან ბურღუნას... დაჭრილია... ჰოსპიტალში წევს... არ მიღარდოთ, მალე ჩამოვალ... გერმანელებს მალე მოეგრიბებათო კისერი... ომიც მალე დამთავრდებაო... მიხარია... როსტომი ძალე ჩამოვა... თათუშა ხშირად მოწყე-

ნილია... სულო ცოდვილო, მგონი, არც უხარია ომის დამთავრება... ძნელია ამის თქმა... აზრადაც არ უნდა გაიფლოს ასეთი რამ კაცმა... მაგრამ უბედურადაა მოწყობილი ჩემი ვინაობა... რა-ღაცას ვგრძნობ, ცუდსა და საშინელს... მოდის და ახლოვდება, შეჩერება არ შემოძლია, თავიდან ვერ ავიცილებ, გვერდს ვერ ავუვლი... არადა, ხვალ იქნება თუ ზეგ, დამეძგერება, გამიტანს, დამჩეჩქავებს და სულის ამოხლომამდე დამპარხავს... ამიტომ სიკვდილი მენატრება... სიკვდილი... მანამდე ეს უბედურება მოხდებოდა... თათუშა ხშირად გვიან მოდის... ამას ვინლა დაეძებს... ზოგჯერ გათენებამდე არ მოდის... მეორე ცვლა... მესამე... ხან მართლაც ასე... ზოგჯერ ცრუობს... თვალს მიხვევს... მაღულად დავაზუსტებ, რომელ კვირაში რომელ ცვლაშია... შევამოწმებ... თავზარი დამეცა... მატყუებს... გზას მიბნევს... ავადმყოფი კი ვარ, მაგრამ სულელიც ხომ არ ვგონივარ... გაქრა, ნაცარტუტასავით წაიღო ქარმა ძველი თათუშა... ჩემი ლამაზი დაიკო აღარა მყავს... დარჩა ქალი, რომელსაც ჩემი სისხლი უღელს... ჩემი, მაგრამ ამღვრეული, გაუგებარი...

ომი დამთავრებული არ იყო, როსტომი ჩამოვიდა... კეთილი, ძვირფასი, ჩემი საყვარელი ძმა როსტომი... ჩამოვიდა ცალფეხა... რკინის ყავარჯნებს დაყრდნობილი... ყბამოჭყეული... წარბებშეტრუსული... სადღა იყო ძველი როსტომი... თავჩალუნული დადგა ჩვენს წინაშე... დადგა დამნაშავესავით... თითქოს რცხვენოდა, ვერ შეგინახეთ თქვენი ძველი როსტომი, ვერ მოვუარე, ომის ჭოჯოხეთსა და ქარცეცხლში უმტყვენეულოდ ვერ გამოვატარე და მაპატიეთ... მიმიღეთ და შემეფარეთ, მომიარეთ და მომეფერეთ, ალერსს ვარ დანატრებული და ხელს ნუ მკრავთ... სადღა იყო ომამდელი როსტომი, მაგრამ თვალეები ძველებურად უბრწყინავდა, ჩვენი სიყვარულითა და საკუთარ ჭერქვეშ დაბრუნების სიხარულით...

დაბრუნებიდან ერთი კვირის შემდეგ როსტომი ჰოსპიტალში დაწვა... ყბა უნდა გაუსწორონ... მეორე ოპერაცია აქვს გასაკეთებელი... რთული, მტყვენეული. ყბის ძვლებში მავთულები უნდა გაუყარონ... საბრალო, საყვარელი, კეთილი როსტომი...

მეათე დღეა როსტომი ჰოსპიტალში წევს... ხშირად, ლამ-ლამობით თათუშა შინ არაა... ხან მესამე ცვლაშია, ხან — როსტომთან დავრჩები... შემოწმებას არ ვკადრულობ... როსტომს ხომ არ ვკითხავ... არადა გულს ეჭვის ჭია მიღრღნის... რაღაც საშინელის მოახლოებას ვგრძნობ... დღისით დავბორილობ, ლამით ვბორგავ და ძილი არ მეკარება... ერთ დღეს შუბლის ძარღვი გავიწყვიტე და უღირსად რომ მიმანდა, ის ვიკადრე. ახალი დალაშქრული იყო, გიყვივით გავვარდი სახლიდან... სამკერვალო ფაბრიკაში მიტხრეს, დღეს თათუშა დილის ცვლაში მუშაობდა... აქედან ჰოსპიტლისაკენ გაქვანდი. გზაზე გულის დამშვიდებას ვცდილობ: „როსტომთან იქნება!.. როსტომთან იქნება!.. ახლა იქ დამხედებოდეს და ფეხის თითებს დავუკოცნი ჩემს გაწამებულ დაიას!“ გავრბივარ... ჰოსპიტლისკენ გავრბივარ... თანში ომამდეც იყო ჰოსპიტალი... რიონის პირას... ცაცხვებითა და ჭადრებით დაჩრდილული ორსართულიანი შენობა... გასასვლელში შევევედრე და გამიშვეს... შემდეგ ჭურღულად მივეპარე შენობას... როსტომის პალატა ჭვედა სართულზე იყო... მისი პალატის ფანჯრის ახლოს ჩავსაფრდი... ფარდასა და ფარდას შორის დარჩენილ ღრიჭოში შევიჭვრიტე... პალატაში სიწყნარე იყო... ზოგი გაზეთს კითხულობდა, ზოგი ფეხით სიარულს ეჩვეოდა, ვის ეძინა... თავ-ყბა შებანდული როსტომი გულაღმა იწვა და ხელები საბანზე დაელაგებინა... ორი საათი ვუდარაჯე... თათუშა პალატაში არ გამოჩენილა... კიდევ ერთი საათი ვიდექი ფეხმოუცვლელად... ამოდ ვინუგეშებდი თავს... გული გასკდომაზე მქონდა... ჰოსპიტ-

ლის ეზოდან მთვარეულივით გადმოვედი... იქვე, ქუჩას რომ გადაჭრი, ვიწრო ჩიხში ჩახვალ და რიონის პირას აღმოჩნდები... რიონი მოქშუის და თავისკენ მიძახის... სიკვდილი მინდა, გაჭრობა მინდა... კაციშვილის დანახვა აღარ მსურს... ეზოდან გადმოვედი და იქვე ორი კაცი გადმოწყვა. „ბურდა!“ — დამიძახა ერთმა. ჩემი სკოლის ამხანაგი აღმოჩნდა — ალექო... რამდენი წელია ერთმანეთი არ გვენახა... ფრონტზე იყო... დაჭრილი ჩამოსულა... ერთი თვეა აქ ვწევარო... ავადმყოფის ხალათი არ ეცვა... ჭარისკაცისა... ჯოხზე იყო დაყრდნობილი, მის ამხანაგს ცალი ხელი მკერდთან ჰქონდა დაკიდებული... გადავებვიეთ ერთმანეთს... ჯაჭვის ხიდთან ბიძაჩემი ნოე მუშაობს ბუფეტში... თითო ჭიქა დავლიოთ, გავიმასპინძლდებო... რესტორანში ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ... არც ღვინოსა ვსვამ. იმდენად არეული და გონებაგაფანტული ვიყავი, წავეყვი. სკოლის ამხანაგი... ნომარი ჭარისკაცები...

ნახევრად ბნელი რესტორნის კუბე... ორი ჭარისკაცი და მე... ღვინო და დასაყოლებელი... გვერდითი კუბედან ფირფიცრის ტიხარი გვეოფს... ტიხარს იქიდან ქალის დაგუდული კისკისი მომესმა... მერე კაცი ახითხითდა... ჩემმა ამხანაგებმა თითო ჭიქა დალიეს... მე — ლიმონათი... ტიხართან ვზივარ და მეორე ჭიქა რომ შესვეს, გარკვევით გავიგონე ქალის და კაცის ლაპარაკი... სად მიდიხარო, ბიჭებმა... ახლავე-მეთქი!.. კუბედან აკანკალებული გამოვედი, მუხლები მეკეცებოდ... სული მეხუთებოდა... მეზობელი კუბეს კარს მივადექი... მჭიდროდ იყო მოხურული... აღბათ ჩაკეტილი... ისევ გაისმა ჩემი კისკისი... კარის შეღებვას ვაპირებ... ერთ ადგილას პატარა ჭუჭრუტანა შევაპჩნიე... ჩაბნელებულ დერეფანში სინათლის სხივი გამოკრთოდა იმ ნაჩვრეტოდან... ისე ჩანდა, როგორც მოღრუბლულ ცაზე მბეუტავი კენტი ვარსკვლავი... უცებ ცალი თვალთ ავე-

კარი ნაჩვრეტს... თვალს არ დავუგვრე... საკინძეჩახსნილ გვერდით... ძლივს ვიციხი... ჩვენი ძველი უბნის რწმუნებული... ომის სიმულიანტი ლტუშმა... წვივში ცხენის ძეა რომ გაიყარა...

გონს რომ მოვედი, რესტორნის ეზოში აღმოვჩნდი... ხეზე ზურგით მიყრდნობილი მიწაზე ვიჭექი. თავზე ორი ჭარისკაცი მადგა... ერთი მათგანი პილოტურათი შუბლს მიმშრალედა... მეორე წყალს მაწოდებდა. ცას ავხედე... მოღრუბლულ ცაზე კენტად ბეუტავდა შორეული ვარსკვლავი... მერე ნელ-ნელა ჩაინავლა და კუბრში ჩაგდებულ მოოქროვილ ღილივით ჩაიძირა...

ერთი კვირაა ლოგინად ვარ ჩავარდნილი... ებორგავ... ვაბოდებ... ოფლში ვიღვრები... ვკანკალებ... ჭერს რომ ვუყურებ, მოღრუბლული ცა მგონია... მბეუტავ კენტ ვარსკვლავსაც ვხედავ, კუბრში ჩაგდებულ მოოქროვილ ღილივით რომ იძირება... მერვე დღეს ძლივს წამოვდექი ფეხზე... ახლადფეხადგმულივით ებარბაცებ... საწოლის საზურგეს ხელით ვეჭიდები, მერე კედელ-კედელ გარშემო ვუკლი ოთახს... კედლის გარდა სხვა საგანს ვერ ვაპჩნიე... სიცარიელეა გარშემო... ოთახში... სიცარიელეა გულშიც... საშინელი სიცარიელე... სამაგიეროდ თავი მაქვს გამოტენილი... ადუღებული ტყვიით... ტვინი ტყვიასი ლღვება და აზრებს თავს ვერ ვუყრი... პირველყოფილი ჭაოსი ბუყბუყებს თავში... როსტომმა ალექოს პირით შემომითვალა, გამაგრდი, ავადმყოფობას თავს ნუ დაუდებ, მალე გამოვალ და ყველაფერი კარგად იქნებაო...

მუხლები მომეკეცა, როსტომის პალატაში რომ შევედი... კარის სახელურს ჩავეჭიდე, თავი შევიმარე... გავშეშდი... სახე მომედრია... როსტომს სასთუმალთან თათუშა უჭდა და შერუჯულ თმაზე ხელს უსვამდა... თათუშამ სწრაფად შემომხედა და სუსტი კივილი აღმოხდა... რა იყო ეს?.. ლოგინი-

დან რატომ ადევნო? აქ რად მოხვედლიო? არა! მან ჩემს თვალეზში რაღაც საშინელი რამ ამოიკითხა... გველბაჯბენივით წამობტა... ჩემთან მოიჭრა და იმ ხელის მაჯაზე, რომლითაც კარის სახელური მქონდა ჩაბლუჭული, სალტებევიტ მომიჭირა ციცი თითები... სიკვდილი ვინატრე... ეს მერამდენეჭერ... ათასი რამ გავიფიქრე... ისიც... ჰო, ისიც, ნეტავ როსტომი, ჩემი საყვარელი ძმა, კეთილი, დიდი გულის როსტომი ომიდან შინ არ...

„ახლო მოდი, შორიდან რად გვათვალეგრებ? ოპერაციამ კარგად ჩაიარა... ხვალ-ზეგ თაბაშირსაც შემომხსნიან... — როსტომს კბილი კბილზე ჰქონდა დაჭერილი... ტუჩების ფათურიითა და შრიალით ლაპარაკობდა... — თუ შეიძლო, ზეგ, კვირას, სოფელში გაპყევი თათუშას... დედაჩემი ჩამომიყვანეთ... იცის, რომ ჩამოვედი და ალბათ ვერ ისვენებს, რად არ მნახულობსო. ჩამოიყვანეთ, გაიხარებს, თანაც თავზე დამადგება... თათუშა გადაიღალა. დილიდან სალამომდე, ხან სალამოდან დილამდე ფაბრიკაშია. ცოდო! რამდენს უნდა გაუძლოს ქალმა“. თათუშა უცებ მომცილდა, როსტომის საწოლის წინ მუხლებზე დაეცა, თავი ხელეზში ჩარგო და ხმაშალა აქვითინდა...

როსტომის დედა... მოხუცი, ჯანგატეხილი სოფელი დედაყავი... სიხარულით მიწას ფეხს არ აკარებს... იქით-აქით აწყდება... ბუხარში ცეცხლს აჩაღებს... კეცებს დგამს გასახურებლად... ხან კარს გამოაღებს და მეზობლებს გასძახის... დღეს სალამოს ქალაქისკენ აეტობუსი აღარ წავა... ხვალ დილაადრიან გავუყვეთო გზას... ჩვენც ვეთანხმებით... თათუშა ცდილობს საქმეში ხელი წაუკრას.

როსტომის დედა: ნუ შეწუხდები, ქვე შენი ჰირომე. შენ ის მითხარი, როგორაა ჩემი როსტომი?

თათუშა: ფეხი, ცალი ფეხი...

როსტომის დედა: დედა ენაცვალოს, მადლობა ღმერთს, იმეტიხვანდან სული რომ ჩამოჰყვამებ...

თათუშა: ყბა... ყბა...

როსტომის დედა: ყბას ექიმები მიხედავენ...

თათუშა: თმა... წარბები...

როსტომის დედა: ჩემი ბიჭის თმასა და თვალ-წარბს ყველა შენატროდა. ათას კაცში გამოირჩეოდა. შოვის ტყესავით ხშირი და დაბურული ჰქონდა. შენც კარგად იცი...

თათუშა: ვიცი, როგორ არ ვიცი!

როსტომის დედა: აბა თმას დარდობ, შეილო?! მისმა ბედმა და იღბალმა გასჭრა, ჩემმა ლოცვამ უშველა. ცოცხალი დაგვიბრუნდა. ბედნიერები ვართ, შავები რომ არ ჩაგვაცვა.

ნაშუადღევს სოფლის მთის მდინარეზე ჩავედით მე და თათუშა.

მოშხუის მდინარე... გეძახის, გვიხმობს, გვიტყუებს, თავისკენ გვეზიდება.

როსტომმა აქ გაატარა თავის ბავშვობა... ლალი, უღარდელი, ბედნიერი... მერე ამ მდინარემ დაუბრუნებლად წაიღო, წაიღო და ზღვას მიიბარა სამუდამოდ... მდინარემ პირი აღმა რომ იბრუნოს და მშობლიურ მთებს მიაშუროს, მაინც ვერ გამოიხმობს ზღვაში ჩაიბრულ როსტომის უღრუბლო ბავშვობას... დავაყავა; ქალაქს მიაშურა, იშრომა, იწვალა, იმარჯვა, დასახლდა, დაკარდა, სიყვარულიც იგემა და სიხარულიც... მერე იომა, განახევრებული ჩამოვიდა... ახლა ჰოსპიტალში წევს, იქნებ სძინავს და მშობლიური მდინარე, თეთრი ლოდები და მაღლიდან გადმოყუდებული ლურჯი მთები ესიზმრება...

ბოლო დიდ ლოდზე ვდგევართ... ქვევით აქოთქოთებულ წყალბორბალას ჩავეყურებთ... თავბრუ მესხმის... ველარ გავუძელ... თავი ავწიე, გაღმა გავიხე-

დე და ელდა მეცა... წყალგაღმა ლუტუშა დგას.. ხელს გვიქნევს... რალაცას ყვირის... მერე მუშტებით გვეშუქრება... უცებ მდინარეში შემოდგაფუნდა... მთავარ ჩქერს რომ მიუახლოვდა, მდინარიდან სხარტად ამობტა... წყლის ზედაპირზე ჩადოქარივით დადგა... თითქოს ბონდის ხიდი ყოფილიყო გადებული, ტანის რწევით ჩვეწკენ წამოვიდა... მოგვიახლოვდა... კარგად გავარჩიე... ცხვირში ცხენის ძუა აქვს გაყრილი... ძუა იქით-აქეთ უღვაშივით აქვს გაბზევილი... ლოდზე ქამბაზივით შემოხტა... თვალები გადმოკარკლა და თათუშა მოურიდებლად ჩაბლუქა... ქალის უბეს ურცხვად წაეპოტინა... თათუშას აქეთ მე ჩავავლე ხელი...

„ჩემია!“ — ყვირის ლუტუშა.

„ჩემია!“ — ვბლავი მე.

„ჩემია!“ — ლმუის ლუტუშა და თათუშას წყლისკენ ექაჩება.

„ჩემია!“ — არ ვთმობ მე.

„ჩემია!“ — იღრინება ლუტუშა.

„როსტომისაა!“ — დავკვივლე მე და ცხენის ძუაში ვწვდი, ცხვირში რომ ჰქონდა გაყრილი.

„ჩემია!“ — ცხრა მთას იქიდან ისმის როსტომის ხმა.

„ჩემია!“ — არავის ყურს არ უგდებს ლუტუშა... ისე ღონივრად ექაჩება თათუშას, მკლავში ძალა მელევა, ვატყობ, გადამძალავს.

„ვისი ხარ?!“ — დავუყვირე თათუშას.

იგი ხმას არ იღებდა.

„ვისი ხარ?!“ — ღრიალებდა ლუტუშა.

თათუშას პირში წყალი ჩაეგუბებია.

„ვისი ხარ!“ — ცხრა მთას იქიდან იძახდა როსტომი.

თათუშამდე მისი ხმა არ აღწევდა. უცებ თათუშა დაბარბაცდა... არა!.. არა.. არა!.. ლუტუშამ!.. ლუტუშამ!.. ხელიდან გამოშლიქა... თვითონ ტალღის ქოჩორს თავზე მოექცა ჯადოქარივით და გულის გამყინავად ახარხარდა...

ქალი დაბარბაცდა და მოჭრილ ხესავით გადაწვა მდინარის ჩანჩქერზე.

„ლუტუშა დაგაბრჩობ!“ — ეღრიალებ მე. გავიხედე და ლუტუშა გამქრალიყო, ჩემს ფერხით ცხენის ძუა ძლოკვივით იკლავებოდა.

ქვევით, უფსკრულივით ჩაწოლილ ღრმულში წყალბორბალა გვირილასავით ატრიალებდა ქალის სხეულს“...

აქ წყდებოდა ჩანაწერები.

როსტომის სურვილი — თუ გამიხსენებ და ოდესმე ჩემი ნახვა მოისურვო, რაჭაში ამოდი, ლამაზი სოფელია ჩემი გლოლაო, მაშინ შევასრულე, როცა იგი დედის მკლავზე გარდაიცვალა... ომის კრილობებმა უწია...

გლოლაში ჩავედი. დასაფლავებას დავესწარი. მერე გულმა არ მომიტმინა, გავიკითხ-გამოვიკითხე და ის ადგილი მიჩვენეს, სადაც თათუშა...

წყალბორბალასთან კარგა ხანს ვიდექი თავჩაქინდრული. მერე გაღმა გავიხედე და ლუტუშა დავინახე. ნაპირს მოდგომოდა და მუშტებს მიღერებდა. მისი ჩახლეჩილი ხმაც გავიგონე.

„ჩემია! წაეთრიე, საიდანაც მოსულხარ! თათუშა ჩემია!“...

შევკრთი. შიშმა ამიტანა. ლუტუშას აქ რა უნდოდა — იგი თათუშას დაღუპვის შემდეგ მანქანამ გაიტანა და საფლავში მისი ძელებიდა თუ იქნებოდა დარჩენილი.

სოსო გარიძა

კახორა

დგას კორტოხზე ფაცხა ისლის,
 კახამბალი სამურაბე,
 თავშეველას სტვენა ისმის,
 ვაყურადებ...

ცა დამყურებს ანწლისფერი...
 ჰყვავის ვაზი,
 თხილნარია,
 შეშას აპობს მასპინძელი,
 შინ არიან...

დგას კორტოხზე ფაცხა ისლის,
 ჩილკა-ჯოხს თლის ჩემი სეხნა.
 კახორამ ველარ მიცნო,
 შემოიყვია...

გაგია

ცა დაკრილულ სხვენში ლურჯად
 მოეონავს
 და კერიას ნათელ სვეტად დაპნათის.
 დაარწყულებს თვალჭრელას და
 ბოჩოლას,
 გზას გაჰყურებს და არ უღებს დანა
 პირს...

თითისტარმა მატყლი მოაგვირისტა,
 მოლოდინში წათვლემს ფიჭვი ნათელი.
 ...მოერღვია ღობე ვიღაც ვირისთავს,
 წაექცია სარი ქოთნის ნატეხით.

• • •

ნეტავ ჩემ თავს არა ვგავდე (ჩემი არაფერი მინდა)
არც ღრუბელს არ შევნატროდე, არც მინდოდეს სხივი ციდან...
ნეტავი შენ იას ჰგავდე, არა ჰგავდე ადამიანს,
იასავით არ იცოდე, რომ ხარ, და ხარ როგორც ია,
გიყვარდე და არ იცოდე, სიყვარული რასა ჰქვია:
მე შენს თმაში თითებს ვხვევდე სხივებივით

ცხელს და მზიანს,
შენს სულს ვზრდიდე როგორც მზის სხივს
გაზაფხული გაუზრდია,
მოგპარბდე და მოკვდავივით არ ინატრო წვიმა ციდან,
მოგაკლდე და მოკვდავივით არ იტირო: „მზესთან მინდა...“
გარედან არ მოიშოსო ძაძა არცა ბნელი რიდე.
ფერად თალხი მოყონავდეს შენი ლურჯი თვალებიდან,
შენი ზმიდან მოყონავდეს, მზრებიდან და ხელებიდან,
ენამკვევრმა რაყიფებმა, ქებით სულს რომ გზდიან ეხლა,
მიწისგან ვერ გაგარჩიონ, ჩაგვიარონ გვერდზე მშვიდად,
შენი ძაძის გახდა ჰგავდეს წამოდგომას სამარიდან —
ერთმანეთი მოგვწყურდეს და მე აქედან, შენ იქიდან
ლეთის წყალი ყლუპად შევსვით, გზა გამოჩნდეს

სულეთიდან,
არც ცოლივით მომეგებო, რომ ინახავს ნამუსს წმინდად,
არც ისე ვით საყვარელი, უნახავი დიდი ხნიდან,
არც ღიმილი მომაგებო, არც კრემლები თვალებიდან,
არ მიამბო, რა გადაგზდა ამა წლამდე, იმა წლიდან,
შევხვდეთ, თითქოს გამოვედით ერთმანეთის სიზმრებიდან,
სიზმარ-ცხადი არ ვიკოდეთ, ცხადს ვყვებოდეთ სიზმარში და
ჩვენს მზრებზე გზა გადიოდეს, სამზეოში სულეთიდან.

— • —

გიორგი კაპუაშვილი

ორი მოთხრობა

ორი ძვა

უცნაური გრძნობაა, კუბოს რომ მიჰყვები და იმ კუბოში კი ასოც წელს გადაცილებული კაცი წევს. შენ ჯერ ორმოციოდე წლისა ხარ და ის განცდა აღარ გეუფლება, ოცდაათი წლის ვაჟკაცის დაკრძალვაზე რომ დაგეუფლა. მაშინ შენ დარცხენილი იყავი, გულდაწყვეტილი და თავჩალუნული. გეგონა, რალაცაში შენ იყავი დამნაშავე, შენზე ახალგაზრდა კაცს რომ მიწას აბარებდი. თავს იმითლა ინუგეშებდი, განსვენებული რომ ნორმალური სიკვდილის მსხვერპლი (ნორმალური სიკვდილი აღარ გამოიგონია) არ იყო და თითქმის ძალით მოიკლა თავი. ძალით თავის მოკვლა იყო, აბა, რა, დღლით რომ სამი ჭიქა არაყი გადაკრა და მუხრუჭდაწყვეტილი მოტოციკლით თავქვე დაეშვა. სოფლის ბოლოზე, მთავარ გზატკეცილზე მიმავალ „ტრაილერს“ დაეჭახა და ის იმოდენა ვაგონისოდენა მანქანა კინალამ შუაზე გაწყვიტა. ასეთი რისკის ფასად ვინც დაიღუპება, სიკვდილთან საჩივლელი არაფერი აქვს. ასე რომ არ მომხდარიყო და სხვაგვარად დაღუპულიყო, ალბათ სიცოცხლე გაგინახვერდებოდა, როგორც იმ ბიჭის გარდაცვალებაზე დაგემართა, ჯარიდან ახალდამრუნებულს სარკომა რომ აღმოაჩნდა და ოცდაორი წლის ლომივით ვაჟკაცი სამ

თვეში გაათავა. მის მშობლებს ვაჟიშვილი აღარ დარჩათ და თითქმის გამოიჭარა მათი სახლ-კარი.

• აქ კი, ასოცი წლის მოზუცის კუბოს რომ მიჰყვები, უფრო თავისუფლად ხარ. მის ასოც წელთან შენი ორმოცი წელი გეპატარავება და, თუ აღრე მხცოვნად მიგანჩნდა თავი, ახლა უკვე კაბუჯი გგონია. ეგ კი არა, შენს გვერდით რომ სამოცი წლის მხცოვანი კაცია, ისიც კი ორჯერ უმცროსია ამ დალოცვილისშვილზე. ამ კაი კაცმა მხოლოდ თავისთვის კი არ იცოცხლა ასოცი წელი, შენთვისაც, მისთვისაც, სხვისთვისაც. რა აკეთათ ამ ასოცა წლის მანძილზე, თუ იკითხავთ, ცბოერობდა სოფელში. სხლავდა და ხნავდა. ბოლოს, ას წელს რომ მიუახლოვდა, სოფლის მეველეობა დაიწყო და საღამოობით კი შვილიშვილთა შვილიშვილებში ჰყვებოდა ზღაპრებსა თუ თავისი ბავშვობის საფათერაყო თავგადასავლებს. დიახ, ყველას და ყველაფერს მოესწრო და, აი, ასოცი წლის ნაამაგარი, დაღლილი კაცი მარადიული აგარაკის გზით მიემგზავრება დასასვენებლად. დიახ, დასასვენებლად მიბრძანდება და არა კია-ლუათა ულუფად. ძვალზე ჩიჩქნა ხორკი აღარ აკრავს და კია-ლუა რას გამოჩნება?! სულიდა იყო სიკვდილის წინ და ისიც ზეცაში ამა-



ლდა ვარსკვლავებთან. ვარსკვლავებში გაიბნევა და ვარსკვლავებში იციმციმებს სანიაღვრეამოდ.

ღმერთმა აცხონოს მაგისი სული ზორის დიდხანს სიცოცხლისათვის! შენც გაგაბიჭა და ის სამოცი წლის კაციც გააახალგაზრდავა. ეგ კი არა, ოთხმოცი წლის პაპაშენიც ჭეილებში ჩათვალა და ასი წლის მოხუცსაც იმედი მიესცა. ეს ცხოვრება ხომ მხოლოდ იმედია და სხვა არაფერი.

მიპყეები კუბოს და იმედიანი ჩურჩული გესმის:

— ნუთუ მართლა ასოცი წლისაა?

— მეტისააო.

— ეგრეა, შვილო — ეთანხმებათ ოთხმოცს კაი ხნის წინათ გადაცილებული ბერიკაცი და არ უხარია, წლოვანება რომ დააკლონ განსვენებულს. — მე რო ბალღი ვიყავი, ეგ უკვე თმაგათეთრებული კაცი იყო. არადა, შვილი ხო ჰყავს ჩემზე სამი წლით უფროსი.

— პირველი შვილი აკლიაო, — იხსენებს მეორე.

— ღმერთმა ხელი მოგცეს! — უხარია ბერიკაცს, წყალს რომ მის წისქვილზე ასხამენ, — ჭერ ერთი, აკლია და მეორეც ის არი, თავის ცოლზე ოცი წლით უფროსი ყოფილა ეგა. ოცდათექვსმეტი წლის ბიჭსა თექვსმეტი წლის გოგო მოუტაცია და, აბა, იანგარიშეთ, პირველ შვილზე რამდენი წლით უფროსი უნდა ყოფილიყო?

— მეტრიკულ ამონაწერში ეწერება.

— რალა დროს მაგისი მეტრიკული ამონაწერია. მგონი, წერა-კითხვაც არ იცოდნენ მაშინ.

— მეტრიკულში ზოგჯერ ტყუილებიც წერია.

ასეთი საუბრის მოსმენა ერთგვარად გამხნევენს და გაინტერესებს. გამხნევენს, მაგრამ თან რალაც გაბოღმებს. ის ხომ არ გედარდება, ორმოცი წლისა რომ ხარ და ჭერ ცოლ-შვილს არ მოკიდებულხარ?! შენი თანაკლასელი კი ორმოცდაორი წლისაა და შვილიშვილი მოესწრო. იქნებ შენც ორმოცდაორი

წლისა ხარ და თავს იპატარავებ? აკი თქვეს, მეტრიკულში ზოგჯერ ტყუილებიც წერიაო?

აი, მოგიახლოვდა ის სამოცი წლის კაცი, შენს იქით რომ მოდიოდა და ხელი ჩამოგართვა. მაგ კაცს კარგად ახსოვს შენი ბავშვობა და, დიდი ხანია, აღარ უნახავხარ.

— როგორ ბრძანდებით? — დაასწართ თავაზიანი მოკითხვა.

— კარგად, — გულწრფელად გაუხარდა შენთან შეხვედრა, — შენ როგორა ხარ, ცოლ-შვილი როგორა გყავს? — თუმცა ყოყმანით, მაინც ცოლ-შვილი მოგიკითხა, რაკილა ვერ წარმოედგინა, თუ ისეც უცოლ-შვილო იქნებოდი.

— გმადლობთ! — თავი დაუქნიე, თვალები აარიდე და უკან ჩამორჩენა დააპირე.

— როგორ? — მიგიხვდა ის კაცი და ერთბაშად გაიფიქრა, უშვილო ცოლი ხომ არ გამოადგაო, — შვილი რამდენი გყავს?

— ოთხი, — სწრაფად უპასუხე და ჩამოცილება დააპირე, თან გაიფიქრე, რა უშავს, ვიცრუებ, შეიძლება, სიკვდილამდე ველარ შევხვდეთო ერთმანეთს.

— ოთხი? ყოჩაღ!.. გოგოები თუ ბიჭები? — ირწმუნა იმ კაცმა, რაკილა თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამს და ვერც წარმოუდგენია, ვაჟკაცი თუ იცრუებს.

— ორი გოგო და ორი ბიჭი, — სწრაფად უპასუხე, რაკილა ბავშვობიდან ასე ოცნებობდი. მამაშენი ომში დაიღუპა, დედაშენს მუცელში დარჩი და და-მამა არ გყოლია. როცა წამოიზარდე, შენი მეზობლის და-მეები შეგეხარბა და დედაშენს შეეხვეწე, და-მამა მიყიდეთ. დედაშენმა ძლივს დაგარწმუნა, რომ ყიდვა არ შეეძლო, რაკილა მამაშენი ომში დაიღუპა და საკმარისი ფული ვერ დაგიტოვათ. მერე სულ იმაზე ოცნებობდი, გავიზრდები, ფულს ვიშოვნე და და-მამას ვიყიდო. მერე, როცა გაიგე, რომ ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა, და-მამისა და შვი-

ლების გარდა, გადასწყვიტე, რომ შენს მეუღლეს ოთხ შვილს გააჩენინებდი: ორს ლომის ბოკვერივით ბიჭსა და ორს კი, რა თქმა უნდა, მზეთუნახავ, დალაღკავეებიან გოგონას.

— მოიცა, მოიცა! — დაეჭვდა ის კაცი. — შენ... ხომ არ მატყუებ? — თვალეში შემოგხედა და უმაღლ მიგიხვდა თაღლითურ პასუხს.

— ჭერ არ დაენიშნულვარ, — უპასუხებ და გერჩია, მიწა გაგხეთქოდა. ის უპატიოსნესი კაცი რომ მოატყუე. არა, შენ კი არ გაგხეთქოდა მიწა, მას უნდა გახეთქოდა, რომ აღარასოდეს დაგენახა. ფუი, მაგისტანა შეხვედრასა და მაგისტანა კეთილმოსურნეს! რა დროს ახლა ეგ კითხვა იყო? ეკითხა, საღ მუშაობო, გამორჩენა რამდენი გაქვსო, მშაბიჭებში როგორი სახელი გაქვსო და კიდევ რაც უნდა ძნელი შეკითხვები მოეცა, სიამოვნებით უპასუხებდი. მაგ შეკითხვაზე კი... ო, როგორ წაგოხდინა გუნება-განწყობა მაგ ერთმა შეკითხვამ!

მანც არ დაკარგე წონასწორობა, გული გაიმაგრე, თავი რაღაცით ინუგეშე და შეეკითხე:

— თქვენ როგორა გყავთ შვილები? მგონი, ორი გყავდათ?

— კი, ორი მყავდა, თქვენ როცა აქედან წახვედით. მათ უკვე შვილები ჰყავთ. ორიც კიდევ გასათხოვარ-დასაინიშნი მყავს.

— ოთხი გყავთ?

— დიახ. ორი ბიჭი და ორი გოგო.

ვის უნდოდა ოთხი შვილი და ვის ჰყოლია. თუმცა გვიანი არაფერია. ეს კაცი, რომლის კუბოსაც ახლა მიჰყვებით ოცდათექვსმეტი წლისა ყოფილა, როცა საცოლვე მოუტაცია და მრავალი ნაყარი ჰყავს. ორმოცი არც ისე განსხვავდება ოცდათექვსმეტისგან.

თუმცა საუბარი გამოგვიდა, მანც მოსაბეზრებელი გახდა იმ კაცთან სიარული. ავი სწორედ ამ დროს რაყიანზე რომ ვადადიოდით, კენჭიც ჩავივარდა ფეხსაცმელში. იმ კაცს კი არა, კინალამ მთელ პროცესიასაც ჩამოსცი-

ლდი. მერე უკანიდან კენტად აედევნე და მიცვალებულზე გაწაგრესი ტოჭრი.

მართლა ასოცი წლისა ვრდინლა, ეგ კაი კაცი. კი ღირს ოჯახის მოცილება, თუ ამდენს იცოცხლებ, მაგრამ რა იცი, იცოცხლებ? რომ ვერ იცოცხლო? ცოლი რომ შეირთო და მეორე დღეს თავი გადაჰკრა ცოლშვილიანსა და უცოლშვილოს სიკვდილი მაინც არ განასხვავებს და ვითომ რა აზრი აქვს?! მხოლოდ წვალემა? დიახ, წვალემა და ლამეების ტეხა. იქნებ სჯობია, კაცმა დრო ატაროს (როგორც შენ ატარებ), ყველაფერს გემო გაუსინჯოს, ყველაფერი ისიამოვნოს ამ ცხოვრებისგან და... მიწის მალლა არც უშვილძირის დასტოვებენ. თქვენს მეზობლად უშვილძირო სევრო რომ იყო... თავის დროზე საბჭოს თავმჯდომარედაც უმუშავია... კარგა ხანს იცოცხლა. სოფელმა მშვენიერად დამარხა და ნეკროლოგიც კი გამოაქვეყნეს რაიონულ გაზეთში. გამოსათხოვარი სიტყვაც კი თქვა ვილაც ჩამოსულმა კაცმა. თუმცა რა აზრი აქვს ან სიტყვასა და ან გამოთხოვებას?!

პატარა, ლამაზი მთა არის სასაფლაო. თავი ისეთი აქვს, ზედ კალო გაიღეწება. ეგების კალოსაც ლეწავდნენ ჩვენი წინაპრები ამ მშვენიერი მთის წვერზე. ნიავე არ მოვიდოდა თუ ბორცვი და კოლბოხი წამოედებოდა ნიჩაბს?! მეჩედა რა კარგად მოჩანს აქედან მთელი სოფელი!

სასაფლაოს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კალთა მარმარილოს ძეგლებით არის დაფარული, დასავლეთისა და სამხრეთის ფერდობი კი ჭერ ისევ დაუსახლებელია და ჭაგნარიანი. პროცესიამ სწორედ ჭაგნარისკენ აიღო გეზი.

განმარტობით ყოფნა გინდოდა და არავისთან შეხვედრა აღარ გეწადა, მაგრამ ძველმა ნაცნობებმა მანც შეგნიშნეს და გვერდით ამოვიდგენენ.

პროცესია საფლავის თბრილთან მივიდა. შენ ზემოდან მოუარე, რათა უფრო კარგად დაგენახა, რასაც ჰირისუ-

ფლები მოიმოქმედებდნენ! შეიძლება ეგვი არ გაინტერესებდა, მაგრამ მაინც გიხარია, ყველას რომ ზემოდან დასცქერი; თუმცა სიმაღლე არ გაცლია, კარცხლებზე დგომა მაინც კარგია.

— ღმმა, სიბერის მიუხედავად ცრემლით ჩააცილეს ის სულეურთხეული შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთა შვილიშვილებმა.

მართალია, შვილებზე ლაპარაკი აღარ გაინტერესებს, მაგრამ უნებურად თავში ეგ აზრი გიტრიალებს.

— წამობრძანდით, სასაფლაო დაგათვალიერებინოთ! — შემოგთავაზათ იმ სამოციოდე წლის კაცმა, წელან რომ ძლივს დაუსხლტი. არ გესიამოვნა, მაგრამ მაინც გააყვი, რაკილა სასაფლაოს დათვალიერება შენც გაინტერესებდა.

გორაკი გადაგატარა. ერთი-ორი შენი ამხანაგის სურათიც დაინახე, რამაც გული ერთგვარად შეგიკრთო, მაგრამ გულწვილობას მოერიე და დიდხანს არ შეჩერებულხარ მათ საფლავებთან.

— აი, ამ ორ ქვას ხომ ზედაე?! — გეითხა იმ კაცმა, როცა სასაფლაოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობზე ჩაგიყვანა და ბრტყელ ქვასთან გაგაჩერა.

— ვხედავ, — დაუქნიე თავი.

— ეს ორი ქვა ერთ კაცს ადევს. წაიკითხე, თუ არა გჭერა!

მართალია, ეამთა სელოსა და ქარწვიმისგან ბრტყელ ლოდზე მთლიანად გადარეცხილიყო წარწერის საღებავი, მაგრამ ჭრილი ეტყობოდა და ნათლად გაარჩიე:

„ქ. ამა საფლავსა შინა მდებარე მიხა იაგორას ძე ძერაშვილი გარდაეცვალე 1859 წელსა, შობითგან 61 წლისა. დამრჩა მხოლოდ ნაშვილობი ნიკო დურიშვილი. ვინც წაიკითხოთ, შემიწყალებთ“.

მეორე ქვაზეც იგივე წარწერა იყო. ნახევარი მეტრის მოშორებით ელაგა ერთიმეორისგან და ერთ კაცს კი ემსახურებოდა.

„რამდენი უკვალ საფლავია ამ გორაკზე“ ასე გაიფიქრე და იმ წუთში მიხვდი, რომ ის ჯაგნარეული და მკვლე აუთვისებელი კი არა, ყველაზე ადრე ათვისებული სასაფლაოა, სადაც აღმათ ქვებიც კი ვერ დაადეს ჭირისუფლებმა. ეგ მხოლოდ წამიერად გაიფიქრე და იმ უშვილო კაცზე ფიქრი გაგიცხოველდა, რომელსაც ორი ქვა ედო. რატომ უნდა სდებოდა ორი ქვა ან რად სჭირდებოდა?

— მაინც რატომ უნდა ედოს ორი ქვა? — ევლარ მოთოყე ცნობისმოყვარეობა.

— ჩემი ვარაუდით, ეს ერთი ქვა, — მიგითთა ბრტყელ ქვაზე, — ამისშვილებისგან არის დადებული. აი, მათ მამასაც ასეთივე ქვა ადევს. მასალაც ერთია და ოსტატიც ერთია. როგორი ქვაც თავიანთი მამისთვის დაუდიათ, ზიდაც არ დაეწყებიათ, რაკი უშვილო ყოფილა. ეს მეორე ქვა კი შვილობილისგან უნდა იყოს დადებული, — მოგითთა მაღალ მჭადა ქვაზე, — აქაოდა ხალხმა არ იფიქროს, ნაშვილობია და მამობილს პატივი არ სცაო.

— შეიძლება, ჯერ შვილობილმა დაადო და მერე — ამისშვილებმა? — გამოსთქვი ვარაუდი და ისიც მაშინვე დაგეთანხმა:

— შეიძლება. შეიძლება, დაიწუნეს კიდევ ეს ქვა და იმიტომ დაადეს.

შენი ვარაუდი მოგეწონა და პასუხით დაკმაყოფილებული გამობრუნდი. ამასობაში ის ბერიკაცი დაესაფლავებინათ და შესანდობრის სათქმელად ემზადებოდნენ.

— აქაც ეტყობა, ვილაც მარხია! — შენიშნე ახალაბორცვილი საფლავის იქით.

— მაგისი მამაა.

— ვისი?

— აი, ვინც დავმარხეთ, — გიჩურჩულა, სხვებს რომ არ გაეგონათ.

— მაგის მამას ხომ ათი შვილი ჰყოლია? — ევლარ დაფარე გაკვირვება.

— კი. მაგისი ჩამომავალი ხალხით ერთი სოფელი დასახლდება.

- მაშ, რატომ ქვა არა აქვს?
 — როგორ არა აქვს. ვენახში გდია.
 — ვენახში რა უნდა? — ისე გაიკვირვე, კინალამ წამოიძახე კიდევ.
 — სანამ მოკვდებოდა, თვითონვე გაუთლია. როცა მოკვდები, შვილებს წვალება არ დასჭირდეთო, მაგრამ დღემდე არავის დაუღია.

შენ გაგიკვირდა, გინდოდა, გეყვირა, ეს რა უსინდისობაა, ასმა და ორასმა ნაშიერმა ერთი პატარა ქვა როგორ ვერ დაადესო, მაგრამ, შესანდობარი მიირთვიო, ჭიჭა მოგაწოდეს და შენც

ხიზო

ხიზო ხეპარეს ნიშნავს, გამოუსვლელს, უციცს, უცოდინარს, წყალწაღებულს. ლენჩისაც ხომ არ ნიშნავს? არა. გაგრიას? ცოტათი. არც შტერია ხიზო, არც — გამოთაყვანებული. უხეში, მოუქნელი, უნახავი კაცია ხიზო. უგერგილო სხვა არის, უნიათოც. ხიზო კი ყველაზე უფრო დაუმუშავებელი, გაუთლელი, გაუკოპიტებელი, გაურანდავი კაცია, თუმცა შეიძლება საუკეთესო მასალაც იყოს მუხის გულივით. ერთი სიტყვით ხიზო ხიზოა და ტყუილად შევეცდებით სხვა სიტყვით შევცვალოთ. ხიზოში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვის ზოგიერთი ნიშანია, მაგრამ მთლიანი მნიშვნელობა არც ერთი სიტყვისა არ არის. ხიზო ამ სიტყვათა უმეტესობის შინაარსს მოიცავს და ამიტომ არის ტევადი სიტყვა, რომელსაც სხვა ვერაფერი შესცვლის. იტყვი, ხიზოო, და ყველაფერი დღესავით ნათელია: ამ კაცის ბუნებას ისე დაინახავთ, როგორც სუფთა წყალში მოლივლივე თევზებს.

ის კაცი კი, ვისაც ხიზოს ეძახდნენ, ჩემი აზრით ხიზო არ იყო. გარეგნობით რომ წარმოსადგე და სასიამოვნო ვაუკაცს ხედავდით, ეს სხვა საქმეა, მაგრამ საქციელითაც და მიხრა-მოხ-

მაშინვე ნაბიჯი გადასდგი მიწაერილისკენ.

და მერე, როცა შესანდობარი მიირთვი და გულისწყრომამაც გადაგიარა, ხელახლა მოათვალიერე იმ კაცის ნაშიერები, რომლებიც მართლა ერთ სოფელს დაასახლებდნენ და კინალამ გაგელიმა: რა აზრი აქვს ქვას? იმ კაცს ორი ქვა ადევს და ამ კაცს არცერთი. სამაგიეროდ ამ კაცის სისხლი ამ დევით ვაუკაცებში ჩქეფს და მისი სისხლი კი საბოლოოდ დაიწრიტა, დამრა და გაქვავდა. ის მოკვდა და ეს კი მხოლოდ გარდაიცვალა.

რითაც ხიზოდ ვერ ჩათვლიდით. ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ხიზო იყო და ეგ არის მთელი უბედურება.

მაღალო ღმერთო, ისეთი მოთხრობა დამაწერინე, ხიზოს რომ ეკადრება და ამ წელიწადში აღარაფერს გთხოვთ! იმ ხიზოზე კი არა გთხოვთ, რომელიც მართლა ხიზოა და სხვა არაფერი, იმ ხიზოზე გვედრებოთ, რომელსაც მიზო ერქვა და ვილაცამ შეცდომით თუ ხუმრობით ხიზოდ შონათლა. შეიძლება, ვილაცას შემთხვევითაც წამოსცდა ეს სიტყვა, მერე სხვამ გაიმეორა, მერე — სხვამა და ბოლოს ნამდვილი სახელი გადაივიწყეს.

ხიზო რქიანს ნიშნავს, ოღონდ რქებდადგმულის კი არა, საზოგადოებაში გამოუსვლულობის გაგებით; ჭიხვს ნიშნავს, ხარს ნიშნავს და სწორედ ხარიდან მოდის ეს სიტყვა „ხი ჰო“ ანუ „ხი ხო“. ასე მიმართავენ იმ ხარს, რომელიც ჭიჭურ მიიწევს საყვერისაკენ და უნდათ, როგორმე დაახვიენონ. ასე გამოიყურება სოფლელი ხიზო განათლებული ქალაქის საზოგადოებაში. მეცნიერებასა და მწერლობაშიც ასე გამოიყურება ნიაღვარივით მოვარდნილი კაცი, ასე ახვიენებენ უკან და სხვებს ამსგავსებენ.

ხარის ქედნიანი იყო მიზო, ხარივით გამწვევი და ღონიერი, ხარივით ჭიშიანი. თუ ამ თვალსაზრისით შეარქვეს ხიზო, ზედგამოჭრილია. ასეა თუ ისე, მიზოს ხიზო ერქვა და ხარივით ლამაზი იყო. დიდი, ღონიერი, გამწვევი და ჭიშიანი. ჰყავდა ულამაზესი და უნაზესი მეუღლე და თავისავით შავტუხა, ჭიშიანი შვილები.

ომში წასვლის უწყება როცა მოუტანეს, შორეული მთის ძირიდან ხორბალს ეზიდებოდნენ ურმებით ისა და მისი თანასოფლელები. მთის ძირი ისე იქით იყო და მათი სოფელი კი ისე აქეთ, რომ მთელი ერთი დღე-ღამე სჭირდებოდა მისვლა-მოსვლას. ხელში საბრეს დაიჭერდა, კისერზე შოლტს გადაიკვებდა, ურმის კოფოზე ჩამოჭდებოდა და მოდიოდა მთელ ღამეს ურემი. როცა გათენდებოდა და მზე მოფიცებდებოდა, გრილოში ასვენებდა: „ხი ხო!“ გააჩერებდა და გამოუშვებდა. თვითონაც მცირე ხანს წაუძინებდა ან სულაც თვალს მოატყუებდა და ისევ შეაბამდა.

„ჰამ ჰო!“

„აღზევანს წავალ მარილზე,

მარილს მოვიტან ბროლსაო.

ჭერ დედას გადავებვევი.

მერე შეილსა და ცოლსაო“.

მღეროდა ხიზო და სიმღერის ჰანგზე ფეხშეწყობით მოდიოდნენ ხარები. ზოგჯერ აღმართებში შოლტს უტყლაშუნებდა საყვერო მოზერებს, თავკვეში აშურებისთვის კი „ხი ხოს“ ეძახდა და ნაბიჯს უღინჯებდა.

არც აღმართებში და არც თავკვეთებში ხარები მოზერებს არ უყურებდნენ. იმ ქალაქუწყალო გზაზე დინჯად ეწეოდნენ და ათასში ერთხელ თვითონვე შეისვენებდნენ ხოლმე სწორედ იმ ადგილებში, სადაც წინაღლეებში შეისვენეს. მიზო ამ დროს ხორბლის ტომრებზე გადაწვებოდა და ისევ თვალს ატყუებდა. მხოლოდ ეს იყო მისი დამიზნება.

ავიდოდა შინ, ცოლ-შვილს მოინახულებდა, ბაღჩას დაათვალიერებდა, სა-

კალოე მსხალსა და ხომარდულს დაკრეფდა, ორიოდე შოთ ჰქრქო გამტყუანვდა ხელსახოცში და ჭალნსა რაგობნად ვერ გადაჰკოცნიდა, ისე გარბოდა თავისი ურმისკენ.

— მაშ, როგორ გინდა, მოსაივალს მინდორში ხომ არ დავალპობთ?! — პასუხობდა ცოლის საყვედურიან თვალებს. დღეში თითო გზა ხორბალი მაინც რომ არ ამოეტანათ მიზოსა და მის მეურმეებს, ვინ იცის, როდის ამოზიდავდნენ იმ ფრთამოჭყეულ ზვინებს გველიწყაროდან და კოვზიხვევიდან.

ომში გაწვევის უწყება თელიან ხეზე ჩაუტანეს მიზოს. მისთვის ვერ მოეწროთ და უკანმოდევნებულ მეურმისთვის გაეტანებინათ. იმ ღამეს ერთი ხეხერა თოხლი გამოართვეს აზერბაიჯანელ მეღააჩოხეებს, სოფლიდან ღვინო ჩაიტანეს და გაუთავებელი მგზავრობით დაღლილებმა წინაპრებისა და მეურმეების სადღეგარძელო დალიეს. კაცის მარჯვენა, ხარის ქედი, დედამიწის ღალა და ცის ნამი დალოცეს, ბნელ ღამესა და დელგამაში მოყოლილი მწყემსიც შეიბრალებს და ხმალგატეხილი მეომარიც. მეორე დილას კი ომში წასვლის უწყებები ჩაუტანა მათმა მეურმემ.

მიზო სახტად დარჩა. პირი დაალო და ვერ მოეხერხებინა სწყენოდა თუ გახარებოდა. ომი ხომ ჭერ მხოლოდ ორიოდე ვეირის დაწყებული იყო და მისი სუსხი არავინ იცოდა. ეგებ სასიხარულო იყო ომში წასვლა და ეგებ სატირალი. ეგ კი არის, რომ ღამაში ცოლ-შვილის მიტოვება არავის გაუხარდება. მით უფრო საწყენია, როცა შინ მცირეწლოვან ბალებს დატოვებ და შემწე არავინ ეყოლებათ. ბიჭი მაინც მოზრდილი ჰყოლოდა, ჭერ მხოლოდ ოთხი წლისაა. გოგოებს რა უკირთ: ერთს რვა წელი შეუხრულდა და უფროსმა კი ათ წელს მიაღწია. ბიჭი რომ ყოფილიყო, ის გაუძღვებოდა ოჯახს, ახლა კი...

მიზოს ღიმილი პირზე შეეყინა და თანდათან გამტყნარდა. ხარები მორე-

კა. დატვირთულ ურემში შეება და მეკალოე ბიჭებს დაემშვიდობა.

— ჰამო! — ამოთქვა გულის სიღრმიდან და ხარებს შოლტი ისე გაუტყლაშუნა, თითქოს ჰიტლერს გადაუჭირაო. უნდოდა აეშურებინა, მაგრამ ხარი რის ხარია, თუ კაცის ნებაზე აჩქარდება. თუნდაც ერთ წუთში არ გაწყენინოს და ნაბიჯს მოუმატოს, მეორე წუთში ისევ დაწყენარდება და ისევ იმ ჩვეული, დინჯი, ხარული ნაბიჯით გაუდგება გზას. თითქოს საფიქრალი მასაც გააჩნდეს, მიდის და ფიქრობს დაუსრულებელ გზაზე დაუსრულებლად. ცხენი დალოცოს ღმერთმა: პატრონი თუ შეშფოთდება, თვითონაც შფოთავს, დაწყენარდება და თვითონაც მშვიდდება. პატრონის გულისცემაზე მოძრაობს ცხენი და მათი ცხოვრება თითქმის საერთოა. ხარსა და კამეჩს კი თავიანთი საფიქრალი გააჩნიათ და შენი სადარდელი ზედმეტად ტვირთავთ.

„აღზევანს წავალ მარილზე...“ წამოიწყო მიხომ მკირე მანძილი რომ გამოიარა, მაგრამ მარილზე კი არა, გერმანიის ფრონტზე ეძახიან, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა. ნეტავი ახლაც მთელი სიმძიმე და სიმწელე აღზევანს წასვლა იყოს და არავინ იღარდებდა. აღზევანი აქვე, ჩვენს მეზობელ სასომხეთში ყოფილა. რაღა გარეჯელა და რაღა აღზევანი. დაუღებდა მარილს და გაუყვებოდა საკახეთო გზას დინჯი სიმღერით.

თერთმეტი წელია, რაც ცოლი შეერთო მიხომ. მაშინ ჯერ ოცი წლისაც არ იყო. რა უეცრად გავიდა ეს თერთმეტი წელიწადი. ამდენი ჯახიერი, წვალება, ვაივაგლახი, კაპანწყვეტა და მაინც მალე გავიდა. კოლმეურნეობის ყველაზე ახალგაზრდა წევრები იყვნენ ისა და მისი მეუღლე და ყველანი აქებდნენ. თუმცა მასაც მოსწონდა ზოგიერთთა საქმიანობა. ჰეი, დედასა, ბიჭებო, ეს რა გააკეთეს იმ ობრიშვილებმა! რა დროს ომი იყო და ომში გაწვევა. კოლმეურნეობა ძლივს ფეხზე დააყენეს და ისევ წამოჩქებას უბი-

რებენ. დაე, დაუსრულებლად გაგრძელებულიყო მშობლიურად მხარეების გზა შეჩვეულ ხარებთან ერთად, კეკელაფერს მოითმენდა, რაკილა შინ ცოლშვილი ელოდა. ომში წასვლა კი...

„ომში წასვლა მას უხარდეს, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“.

ღვთის მადლით ცხენიც კარგი ჰყავს მიხოს და ცოლიც დალოცვილი ძუძუთი ნაწოვია, მაგრამ ცხენს აღარაფრად ავლებენ; ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევს ისვრიანო. წუხელ ბერიკაცმა გატეხილხშილიანი მეომარი რომ ადღეგრძელა, უფრო ჯეილებს სიცილიად არ ეყოთ: ხმალი ვის რაში სჭირდება, ციდან ტონიან ყუმბარებს ჰყრიან და მიწა ისე იბზარება, მოხვნა აღარ შეიძლებაო. მიწას რაღას ერჩიან ეგ ოხრისშვილები?! დაეყარნენ თავიანთ ადგილზე და იმუშაონ, თუ გული ერჩით! თვითონ არ ისვენებენ ეგ მამაძაღლები და არც სხვას აძლევენ მოსვენებულ ცხოვრების ნებას. ჰოი, რა ბედნიერი იქნებოდა, ეს ომი რომ არ წამოეწყოთ! კოლექტივიც ფეხზე დააყენეს, ოჯახებშიც ფიტი მოიკრეს და ახლა მოუნდათ ყველაფერი. სახლი ააშენა, ბავშვები მოაჩიტა... კიდევ ათიოდე წელიც რომ დაეცადებიანთ... მაგრამ არა, მაშინ უკვე შვილებს წაიყვანდნენ და ისევ ესე სჯობია. ნეტავ შეჩერდება ეს ცხოვრება თუ უნდა დაინგრეს? ღმერთო, შენ უშველე, ღმერთო, გადაურჩინე ცოლ-შვილიცა და ქვეყანაც! მაგრამ თუ მართლა ყუმბარებს ისვრიან და მიწას ბზარავენ, რაღა აზრი ექნება ცხოვრებას?! ის მიწა ხორბალს ველარ აღმოაცენებს და ხალხს რა ეშველება?! მიწა!.. მიწაა მთავარი, თორემ ყველაფერს ეშველება. მიწა თუ არ ივარგებს, ხალხი გაწყდება.

თერთმეტი წელიწადი გასულა, რაც ცოლი შეერთო. ეს უკვე სათქმელია. სხვამ რა უნდა თქვას, ერთი და ორი წლის მოყვანილი რომ ჰყავს. ზოგიერთი კი რაღაცნაირ დღის დანიშნული



წაიყვანეს. მათი წასვლა უფრო ძნელი იქნება. თუმცა არა... შვილის ფასი რომ ჯერ არ იციან და ცოლიც ისერი-გად არ შეხყვარებიან, მათი გამოჩენა უფრო ადვილი უნდა იყოს. უბედურება ის არის, ისინი რომ დაიბოცნენ, ფუძის გამგრძელებელი აღარ ეყოლებათ. ამას კი შვილებიც დარჩება და გვარის გამგრძელებელიც. მაგრამ... შინ რომ ხორბალი არ ეგულება, რა უნდა დაფქვან და რა უნდა შექამონ? აგვისტოს ბოლოს სულადის განაწილებას ელოდნენ. იფიქრა, ხორბალს ბელელში დავაბინავებ და ომში ისე წავალო, მაგრამ ივლისის ბოლომდეც აღარ აცდიან და აგვისტოს ვინ ჩივის. ეგ კი არა, ვიღაც ყიამყარალმა ისიც კი წამოროხა, კოლმეურნეობა მარცვლელულს აღარ განაწილებსო, სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთო. მართლა ასე რომ მოხდეს, რა ეშველება? სამთხოვროდ ხომ არ უნდა წავიდეს მისი ცოლ-შვილი?

ხარებმა რამდენჯერმე შეისვენეს, მაგრამ მიხოს არც ერთხელ აღარ წაუთვლემია.

უბნიდან ყველანი მიდიან. მისი უფროსი ძმის შვილებიც გაიწვიეს. ზოგი კადრში იყო და ზოგი ახლა წაიყვანეს. ძმებსაც წაიყვანენ. ამაზე უფროსები არიან, მაგრამ მაგათაც წაიყვანა მოუწევთ, თუ ომი გაგრძელდა. მხოლოდ გოგო-ბიჭებისა და მოხუცების იმედადღა დარჩება ეს ამოდენა მინდვრები. ღმერთო, შენ გადმოხედე დედამიწას! აღამიანებს შეაგნებინე, რომ ერთმანეთს ნუ ეომებიან, ნუ ჩხუბობენ და ნუ იღრინებიან ავი ძაღლებივით. ნუ იკბინებიან და ნუ სკამენ ერთმანეთს! ღმერთო, შენ უშველე დედამიწას, ღმერთო, დაგვიფარე!

კაცი მხოლოდ მაშინ ახსენებს ღმერთს, როცა თავის უძლურებას გრძნობს. როცა თავი ქუდში აქვს და არაფერი აწუხებს, ღმერთი კი არა, მახლობელი ნათესავიც არ აგონდება. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევის გიჩვენებო. გაგჭირდება და ღმერთს შეკ-

ლაღაღებ, დაგეღინება და ყველაფერი გავიწყდება: ღმერთიც და ზაღიც, მტერიც და მოყვარეც. თავი უკვე უძლეველი გგონია და ფიქრობ, რომ ვერავე დაგამარცხებს. მაინც რა სჯობია: გაჭირვება თუ დაღბინება? ღმერთო, ლხინი იყოს და, დაე, ნურავის გავახსენდება. ოღონდაც ზარბაზანი არ გავარდებოდეს, ოღონდაც ზეცა არ შემანზარდებოდეს, ოღონდაც მიწა არ დაიბზარებოდეს და ყველაფერს აიტანს ყაცი. მუცელზე ქამარს შემოიჭერს და ყველაფერს აიტანს.

მეზობლის ჩხუბი კიდევ გასაგებია: შენი ქათამი შედის მის ეზოში და ამაზე გეჩხუბება. მიჯნას ეწევი და მარგილი აქეთ ჩაგვიდიაო, ამაზე გეჩხუბება. ქვეყანა კი... ალბათ ქვეყნებაც ამას ედავებიან ერთმანეთს. მათაც ხომ გააჩნიათ თავიანთი ღობე და მარგილი. მათ გააჩნიათ თუ გააჩნიათ, თორემ შენ რა გააჩნია? ამბობენ, ძველი ქართული მიწები ამჟამად თურქეთშიაო. მიჯნა გადმოუწევიათ და მარგილი აქეთ ჩაუგდიათ. ალბათ ასეთ მიჯნებზე ომობენ ქვეყნები. ვისას რას გაიგებ. შენ გარეჯელას არ გასცდენიხარ და იქაურ ამბებს როგორ შეიტყობ?

ასეა თუ ისე, ხვალ ომში მიდის და სულერთია, რაზეც უნდა ომობდნენ. ომი ომია — ხალხის ხოცვა-ყლეტაა და მეტი არაფერი. და მარტო ფრონტზეა ყლეტა? შინ რომ ცოლ-შვილი უმწეოდ დარჩება და შეშის დამჭრელიც არავე დარჩებათ? ვინ რას შეეწევა და ვინ რას უშველის? ყველას თავისი თავი გასჭირვებია და სხვისთვის ვინ რას იფიქრებს? კაცი გველის ფხაში გამჭრება, საქმე რომ გაჭირდეს და ცოლ-შვილს მაინც არ მოამშვეს. უილაჯო დედაკაცმა კი რა უნდა გააწყოს? კაცი კაცია და ქალი ქალია. კაცი ისევე ძლიერია დედაკაცზე, როგორც ხარია ძლიერი ფურზე. აბა, ხარი და ფური ერთად დაინახეთ, რა დიდი განსხვავებაა! ირმებსა და ჯიხვებში უფრო მეტად მოჩანს ეს განსხვავება, ცხვრებში და ქათმებშიც. ყოჩი

და ნერბი ისე დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა პირუტყვი გეგონებათ და არა ერთი სახე. ქალს ის არ უნდა მოვთხოვოთ, რაც არ ეკადრება და კაცს კი ის არ შეეფერება. უკაცო ქალი საცოდავია და უქალო კაცი — სასაცილო.

გვიანლამით ავიდა მიხო კოლმეურნეობაში. იქ მხოლოდ მოხუცი ყარაული და საწყობის გამგე გიორგი დახვდა.

— უწყება ჩამოგიტანეს? — ჰკითხა საწყობის გამგემ მოქნარებით.

— ჩამოგიტანეს, დილაზე მივიღე ვარ.

— მეც მალე წამოვალ. მეორე გაწვევაზე მიიწვეს.

მიხომ ტომრების შეზიდვა დაიწყო. გიორგიც მიეშველა. თუმცა სხვა დროს არ მიშველებია და მარტო სასწოროს უყურებდა ხოლმე, ახლა მიეშველა.

— წაყვანისა არ მეშინია, მაგრამ შინ არაფერი მრჩება და ეგ მალონებს, — იოშალა წელში, როცა უკანასკნელი ტომრის გადმოსაღებად შემობრუნდა მიხო, — კვირამდე რომ დავრჩენილიყავი, რალაცას გავყიდიდი და რალაცას ვიყიდიდი. ეხლა კი ესე ჰაიპარად რა უნდა გავაწყო?! სახლი მაინც რომ არ ამეშენებინა...

მიხომ უკანასკნელი ტომარა გადმოიტანა ურმის ყელიდან, ურმის ბოლოზე გააგარდებარდმოვა და როცა წელზე უნდა შემოედო, ცრემლნარევი ხმით ამოილაპარაკა:

— ბალები მშვირები მრჩებიან...

— მოიცადე! — შეაჩერა გიორგიმ.

— რა არის? — თვალეზე ხელისხურავი მოისვა მიხომ და ნერწყვი ჩაყლაპა.

— ეგ ტომარა შინ წაიღე!

— როგორ? — გაკვირვებითა და წყრომით შემოხედა მიხომ საწყობის გამგეს, — მოვიპარო?

— ეგ მოპარვა არ იქნება, მე გამიღებ.

— მერედა, შენ ვინ რა უნდა გეგონებას? ყველამ რომ თითო ტომარა წაიღოს, საწყობში რაღა დარჩება?

— როცა ხორბალი განაწილდება, მაშინ დაგიკავენ, თუ აქა ვარ. თუ წამიყვანეს და მე ვაგებ პასუხს გადაწონის დროს. ქურდობა მე დამბრალდება.

მიხო შეყოყმანდა. არ ეწადა ტომრის წამოყიდება, როგორღაც გული ეთანაღრებოდა, მაგრამ მაინც აიკიდა. კი არ აიკიდა, ტომარა მხარზე გაიღო და სანამ სახლისკენ გააბიჯებდა, თავისთვის ამოღერდა:

— თუ დამიჭირეს, ჩემი ცოდვა შენზე იქნება და თუ შენ დაგიჭირეს, შენი ცოდვა იქნება ჩემზე.

— ბალები რომ შიმშილს გადაგირჩებიან, ეგეც კარგია, — ნათლად გაიგონა საწყობის გამგემ მისი ლულულე, — ნუ გეშინია!

— მიხო გახსოვს, ხიხოს რომ ეძახდნენ? — ჰკითხა ამას წინათ ლევანა ძიამ, შინმოუსვლელთა სადღეგრძელოს როცა ვამბობდით.

— როგორ არ მახსოვს?

— რა უბრალოდ დაიღუპა საწყალი. არ ერჩია, ისიც შინმოუსვლელი ყოფილიყო...

— როგორ?

— ერთი ტომარა ხორბალი წამოეღო კოლმეურნეობიდან. დაიჭირეს და სანამ გაასამართლებდნენ, გული გაუსკდა.

— ეგ რა მითხარი?! მე შეგონა, ომში დაიღუპა-მეთქი.

— ესე კი იყო და...

მას შემდეგ მოსვენება აღარა მაქვს და ხშირად მესიზმრება ეს აღალმართალი ადამიანი. ღმერთმა შეუწდოს ეს პატარა დანაშაული.

იონან პოლუზანას გოთი

ფ ა უ ს ტ ი

ტყე და გამოქვაბული

ფ ა უ ს ტ ი
(მარტო)

დიადო სულო, ყოველივე, რაც კი რამ გთხოვე,
სრულად მომეცი, და ოდესღაც ცეცხლოვან სახით
შენ ამოად არ მომვლენიხარ. შენ მე საუფლოდ
მომეც ბუნება, მომეც მისით დატკობის ძალა,
და არა როგორც იქ შემთხვევით მოხვედრილ გამვლელს,
ჯერაც რომ ცივი გაოცება არ გაჰფანტვია,
არამედ მომეც უფლება, რომ მე მისი გულის
ყოვლად იდუმალ კუნძულებშიც კი ჩამეხედა,
როგორც ყველაზე მახლობელი მეგობრის მკერდში.
შენ ჩემს წინაშე წარმოაჩენ ცოცხალ არსებებს,
და თან მასწავლი ამოვიცნო ჩემი მოძმენი
ხეთა ჭირკვებში, წყნარ ბუჩქებში, ჰაერში, წყალში.
ხოლო როცა ტყეს ქარიშხალი ატყდება თავზე
და ძირს ანარცხებს გოლიათურ ფიჭვებს ზრიალით,
როცა ქაზანით იმსხვერვიან მეზობლად მდგარი
ხეთა ტოტები და შორით კი კლდენი და ღრენი
ყრუდ გამოსცემენ მეხისებრი გრიალის ექოს,
მე შენ მიგყავარ საიმედო გამოქვაბულში
და ჩემს საკუთარ არსებაში მახედებ წყნარად,
სადაც ჩემს თვალწინ იშლებიან სასწაულები,
ჩემსავე სულში საიდუმლოდ, ღრმად დაფარულნი.
კრიალა მთვარე იბადრება ცაზე და უხვად
აფრქვევს ზევდიან შუქს ამოს და მშვიდობისმომგვრელს.
ნაბრალებიდან და დაქუფრულ ბუჩქებიდან კი
ჩემსკენ ნელიად მოიწევენ გარდასულ დროთა
ვერცხლის უებრო ხატებანი, რომელნიც მყისვე
აშოშმინებენ მჭვრეტელობით გამოწვეული
სიამოვნების წყურვილს ესდენ დაუოკებელს.



ახლანა ვხედავ, თუ რაოდენ მოკლებულია
ქვეყნად ყოველგვარ სრულქმნილებას ადამიანი,
რადგან იმ დიდი ნეტარების გრძნობასთან ერთად
უფრო და უფრო დიდ ღმერთებთან რომ მიახლოვებს,
მე შენ მომეცი თანამგზავრი, ურომლისოდაც
თითქმის რომ აღარ შემიძლია იოლას გასვლა,
თუმცა ესოდენ თავხედი და ესოდენ ცივი
მევე მამცირებს საყუთარი თავის წინაშე
და გამყინავი სიტყვის ძალით არარაობად,
არარაობად აქცევს მთელ შენს ძვირფას ნაბოძვარს.
იგი აღვივებს ამ ჩემს მკერდში ველურ ცეცხლის აღს,
რომელიც ასე უხეშად და შეუკავებლად
მიმეზიდება იმ მშვენიერ არსებებსავე...
ასე ვისწრაფვი, რომ დაეცბრო ტუბობაში ვნება,
და, ვნებით დამტყბარს, კვლავ ნაღველით მევესება სული.

შეშოდის მეფისტოფელი.

მეფისტოფელი

ასეთ ცხოვრებას აღარ უნდა მოეღოს ბოლო?
ნუთუ მას უნდა შეალიო სიცოცხლე შენი?
ჰა, ერთხელ კიდევ მესმის სცადო, და ისიც მხოლოდ
ერთხელ, მერე კი სჯობს სხვა საქმეს მოჰკიდო ხელი.

ფაუსტი

შენც, კარგი იყო, სხვა რამ საქმეს მოჰკიდებოდი,
იმის ნაცვლად, რომ სატანჯველად დღეს აქ მხლებოდი.

მეფისტოფელი

მოდრი და ახლა გაუკეთე შენ ამას რამე!
ერთი მითხარი, ვიზე ვზრუნავ მე დღე და ღამე?
ისეთ სულელს და შლეგს, როგორც შენა ბრძანდები,
არკათუ ძალიან ადვილია — მოუგო გული!
მე ზომ სრულიად არაფერზე არა გზარდები
და ყურადღებით ვეკიდები ყოველ შენს სურვილს,
და მაინც, რაც გსურს ან არა გსურს, ძალზე ძნელია
მიგიხვდე, რადგან შენ ეს შუბლზე არ გაწერია.

ფაუსტი

აბა რა უნდა გიპასუხო ასეთ რამეზე?
იქნებ მაღლობაც მოგახსენო, რომ თავს მამზებრებ!

მეფისტოფელი

ერთი მითხარი, საცოდავო, შეგეძლო კია
დედამიწაზე შენ უჩემოდ თავის გატანა.
მე არ მოგწყვიტე წარმოსახვის საშინელ წყვდიადს,
ლამის სული რომ შეგიზუთა და გაგათავა!
ჰო, მე რომ არა, დედამიწის სფეროსა ზედა
შენი კვალიც არ დარჩებოდა, როგორცა ვხედავ.
მიკოტივით რას ჩამძვრალხარ ამ კლდეებს შორის,
კვლავ მოგენატრა შენ ეს მყრალი ზინზლი და შმორი.
ამ დამპალ ხავსში და სიბ ქვებში გინდა იქექო,



რომ ვით გომბეშო მათი ტურტლით გამოიყვებო.
 დიდებულთა გატაცება ამგვარი მიზნით!
 სჩანს, რომ ძველ-რბილში შენ ჭერ კიდევ დოქტორი გიზის.

ფ ა უ ს ტ ი

ო, რა სიამით ვეწაფები, შენ რომ იცოდე,
 მე ამ უდაბურ ადგილებში ახალ სიცოცხლეს!
 მაგრამ თუ იცი, სულ არ მიკვირს, როგორა ცდილობ,
 რომ ეს სიამე მომიშხამო, ქვესკნელის შვილო.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მართლაცდა დიდი ნეტარება არ არის განა
 ნისლით ვალუმბულ მთის კალთებზე გულადმა წოლა;
 ცისა და მიწის ალტაცებით წვედომა და თანაც
 საკუთარ თავის წარმოდგენა ღმერთების ტოლად;
 შიგ მიწის გულში ძროშიალი, რაღაცის ჩიჩქნა;
 იმ ეჭვისევე დღის სრული განცდა, როს ყოვლიმც იქმნა,
 ამპარტავნული ტბობა ათას ბრიყვეული რამით,
 რის გარკვევაში ეშმაკიც კი უძლური არის;
 მერე ამაყად უკუგდება მიწის შვილობის
 და ამ ყველაფრის დამთავრება...

(აკეთებს უბამს ფესტს)

რა ვქნა, ზრდილობის

გამოისობით ვერც კი მითქვამს, სახელდობრ რითა.

ფ ა უ ს ტ ი

ფუ, შენი!..

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მაშ არ მოგეწონა?! არც მიკვირს დიდად.

ფარისევლურად შეგიძლია მითხრა: „ფუ, შენი!“,
 მაგრამ განა შენ ამით საქმეს რამეს უშველი!
 რისი მოსმენაც აღაშფოთებთ უბიწო ყურებს,
 ის ტბილ ოცნებად ესახებათ უბიწო გულებს.
 საკუთარ თავის მოტყუების სიამოვნებას
 რამდენსაც გინდა დაგანებებ; ნუ გეგონება,
 რომ შენთვის ამას დავიშურებ, მაგრამ, იცოდე,
 ჩემო ძვირფასო, ამას დიდხანს ვერ მოგიწონებ.
 სანამ ჭერ კიდევ დროა, გირჩევ, ჰკუთხე მოხვიდე,
 რადგან შენ უკვე საკმარისად წაიფორხილე.
 ხოლო ეს ასე თუ გაგრძელდა, ძველ შიშთან ერთად,
 ისევე შეგიპყრობს უწინდელი ჰმუნვა და სევდა.
 მაგრამ გვეუფო! — შენი ტურფა ზის ახლა მარტო,
 არც არაფერი სიამოვნებს, არც რამე ართობს.
 შენს მოლოდინში იყურება სარკმლიდან გარეთ,
 შენზე ამოსდის საწყალ გოგოს მზეცა და მთვარეც.
 როგორც ნაკადულს, დამდნარ თოვლით უეცრად შობილს,
 მაგ შენს სიყვარულს მისი გული ჭერ ვერც იტევდა.
 მაგრამ როგორც კი მკერდში ცეცხლი დაუნთე ტრფობის,

* ბიბლიოტეკის თქმულების თანახმად ღმერთმა ეჭვს დღეში შექმნა სამ-
 ყარო.



ნაკადიც შეწყდა, და საცაა დაიშრიტება.
 და იმის ნაცვლად, რომ ტყის მეფედ დასახო თავი,
 ის გირჩევნია, შეიბრალო ყმაწვილი ქალი,
 და ვნებიანი მაიმუნი შენდამი ამგვარ
 სიყვარულისთვის საკადრისად დაასაჩუქრო.
 ის მოწყენილი დგას სარკმელთან, მაგრამ რაც უფრო
 მეტს ფიქრობს შენზე, სიმშვიდესაც მით უფრო ჰკარგავს.
 გაპყურებს ღრუბლებს, მოზოზინეს ქალაქის თავზე,
 და ნაღვლიანად ჩურჩულებს ასე:
 „აჰ, მე რომ ჩიტი ვყოფილიყავი!..“
 და ასე, ვიდრე გვიან ღამემდე
 სევდიან ჩივილს თავს არ ანებებს
 და არ ელევა მას საფიქრალი.
 დროდადრო თითქოს წამოუვლის მხიარულება,
 მაგრამ მაშინვე შეეცვლება ხოლმე გუნება:
 წამოიტირებს, მერე თითქოს ისევ წყნარდება,
 ტრფობის სახმილი კი არა და არ უქარვდება.

ფ ა უ ს ტ ი

შე გველო, შენა!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(ხმადაბლა)

ქარგად კი შემოგეხვევოდი, მომეცა ლბენა!

ფ ა უ ს ტ ი

მომწყდო თავიდან, შე წყეულო, და თავის დღეში
 აღარ ახსენო ჩემს წინაშე მისი სახელი.
 ამ ჩემს ისედაც შეშლილ გრძნობებს რისთვის ახელებ,
 და ან ხორციელ ვნების სურვილს რად აღძრავ ჩემში!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მას კი ჰგონია: შენ ის უკვე აღარც კი გახსოვს,
 და მეც ვფიქრობ, რომ სანახევროდ ეს ასეც არის.

ფ ა უ ს ტ ი

ო, არა მასთან მე ჭერ კიდევ ვარ ძალზე ახლოს,
 და რომ არც ვიყო, დავიწყებას არ მივცემ მაინც.
 ისიც კი მავსებს შურითა და სევდა-ნალწულით,
 როს უფლის სხეულს ეხება ის თავის ბაგენით.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რას იზამ, შურით მეც კი ვიწვი და ვიბრუკები,
 როს თქვენ ვარდებში დაბალახობთ, როგორც ტყუპები.*

ფ ა უ ს ტ ი

შორს, შორს, წყეულო მაჭანკალო!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ნუ გეწყინება,

თუ მე სიცილით ვუპასუხებ მაგ შენს გინებას.
 ბიჭი და გოგო როცა შექმნა უფალმა ღმერთმა,

* მეფისტოფელი სარგებლობს სიტყვებით „ქებათა ქებიდან“, 4, 5:
 „ძეძენი შენნი ტყუპნი თიქანი არიან ქურციკისანი, შროშანთა შო-
 რის მიბალახენი“.

არ დააყოვნა, ისიც რომ ეთქვა,
 რა არის მათი უმაღლესი დანიშნულება.
 ახლა კი — წამო! მაგრამ მაინც ძალზე მოცუბს,
 ასე საშინლად მოშხამული რომ გაქვს გუნება.
 რა ვქნა, სატრფოსთან მიდიხარ თუ სასაქლაოზე!

ფ ა უ ს ტ ი

იმაზე დიდი ნეტარება არ მეგულება,
 ვიდრე ის, რასაც მომცემს მისი სხეულის სითბო.
 მაგრამ მის გვერდით მე ზომ უკვე წინასწარ ვიგრძნობ
 ჩემს მწარე ზვედრს და მის მომავალ უბედურებას!
 მე, გარეწარი, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე,
 იმ ჩანჩქერს ვგავარ, კლდიდან კლდეზე ზათქით — ზრიალით
 რომ ეხეთქება და უფსკრულში ინთქმება ღვარად.
 მაშინ როდესაც იქვე ქოხში ბავშვურ ზმანებით
 აღსავეს სულით და ოჯახურ საზრუნავებით,
 მშვიდ ალპურ ველზე ცხოვრობს იგი თავისთვის წყნარად.
 და მე, ღვთის მიერ დაწყევლილი, იმიტაც აღარ
 ვკმაყოფილდები, გზადშეხვედრილ კლდეებს ვეებას
 რომ ვაძრობ რისხვით აღგილიდან და, ნამსხვრევებად
 ქცეულთ, საზარელ და უძირო უფსკრულში ვმარხავ.
 არა, მე უნდა დავანგრეო მისი სამყაროც.
 შენ, ჭოჭობეთო, ითხოვ ჩემგან ამ მსხვერპლს საშინელს.
 ამიტომ სულის მღელვარება ვინძლო მაკმარო,
 რაკი, სატანავ, ჩემს სვეს იგი დაუკავშირე.
 დე მოსახდენი ბარემ მოხდეს და ბედი მისი
 თავს დამექცეს და ჩემთან ერთად დაინთქას ისიც.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ო, როგორ ისევ ჭირვეულობს და როგორ ღელავს!
 წადი და იგი დაამშვიდე, შე ბრიყვო, შენა!
 ვინც გამოსავალს ვერ პოულობს, ისე ირჩება,
 თითქოს არაფრის შველა უკვე არ შეიძლება.
 მაშ გაუმარჯოს სიმამაცეს! თუ გსურს სიმართლე,
 შენ შესამჩნევად გაეშმაკდი, ზოლო იმაზე
 საშინელება ქვეყანაზე რა უნდა იყოს,
 როდესაც ეშმაკს უსასობა და ეჭვი იპყრობს.

გ რ ა თ ა ე ნ ის ო თ ა ნ ი

გ რ ე თ ჰ ე ნ ი

(სართავ დაზვასთან, მარტო)

აღარ მაქვს სიმშვიდე,
 არც რამე მახარებს.
 ველარსად ვიპოვი
 მე სატრფოს საყვარელს.

უმისოდ ჭვეყანა
 მთლად უკუნს მოუცავს,
 და ირგვლივ მიდამო
 შხამ-ნაღველს მოურწყავს.

აღარა მესმის რა
 საბრალო თავისა;
 გულს ყველა იმედი
 ჩასწყდა და დაიმსხვრა.

აღარ მაქვს სიმშვიდე,
 არც რაშე მახარებს.
 ველარსად ვიპოვი
 მე სატრფოს საყვარელს.

სულ სარკმელს გავცქერი
 ნაღვლიან სახით და
 მის საპოვნელად თუ
 გავდივარ სახლიდან.

ვერც ამაყ სიარულს,
 ვერც სიტყვას რიხიანს,
 მე ველარ მოვისმენ
 და ველარ ვიხილავ.

სად გაჰქრა ის წრფელი
 და უმზურვალესი
 ხელის ჩამორთმევა
 და კოცნა-ალერსი?!

აღარ მაქვს სიმშვიდე,
 არც რაშე მახარებს.
 ველარსად ვიპოვი
 მე სატრფოს საყვარელს.

ტანჯვას და მოლოდინს
 კი ბოლო არ უჩანს...
 აჰ, რომ მაპოვნინა,
 და არსად გავუშვა.

სულ ვკოცნო და კოცნით
 ის გულს ჩავიკონო,
 თუნდაც ამ კოცნაში
 სიკვდილიმც ვიპოვო!



მართას ბალი

მარგარიტა, ფაუსტი.

მარგარიტა

ჩემო ჰაინრიხ, გთხოვ აღმითქვა!

ფაუსტი

რაც ძალი შემწევს.

მარგარიტა

მითხარი, როგორ ეკიდები სარწმუნოებას?
მე კარგის მეტი ქვეყანაზე რა შეთქმის შენზე,
მაგრამ რწმენა კი, მგონი, რომ არ მოგეპოვება.

ფაუსტი

მოვეშვით ამას, ჩემო ბავშვო! შენ ხომ ირწმუნე:
ვინც მიყვარს, მისთვის სისხლსა და ხორცს არ დავიშვრებ,
და არც არავის ვართმევ რწმენას და ეკლესიას.

მარგარიტა

საჭიროა, რომ თავად გწამდეს, როგორც წესია!

ფაუსტი

საჭირო კია?

მარგარიტა

აჰ, მე ცოტა გავლენა მაინც
რომ მქონდეს შენზე! ზიარებაც, ხომ ვიცი, არ გწამს.

ფაუსტი

მწამს!

მარგარიტა

უსულგულოდ კი ეპყრობი. რა ხანი არის
საალსარებოდ არ სწვევიხარ შენ უფლის ტაძარს.
ლმერთი თუ გწამს შენ?

ფაუსტი

ო, ძვირფასო, მითხარი ერთი,
ვინ გაბედავს, რომ სთქვას ამქვეყნად: მე მწამსო ლმერთი!
ამის გაგებას ხუცესისგან ან ბრძენაკაცისგან
თუ მოისურვებ, მათ პასუხში უმაღლ დაცინვას
იგრძნობ საკუთარ თავის მიმართ.

მარგარიტა

მაშ არა გწამს, არა?

ფაუსტი

ჩემო სიციცხლეც, გთხოვ, ყალბად ნუ გამიგებ ამას.
ვის შეუძლია გამოხატოს იგი სახელით
და სთქვას თამამად: მე ლმერთი მწამსო!
ან ვინ იქნება უგრძობელი,

ვინც ხელალებით

იტყვის საქვეყნოდ: მე არა მწამსო!

ყოვლისმომცველი,

ყოვლისმპყრობელი!

განა ეს იგი არ შოიციავს ყოველ ქმნილებას:

შენც, მეც და თავად საკუთარ თავსაც?

განა ზეგარდმო ცა ლავეარდად არ გვეფინება

და ან აქ, ფერბთქვეშ, დედამიწის არა ვგრძნობთ მყარსა?
 ან მარადიულ შუქით სავსე ვარსკვლავთ ციალი ვარსკვლავი
 არ გვევლინება, ვით საღამო ალერსიანი? ზნეზღინით
 განა მეც ამავე სასწაულოთ არ ვიმსჭვალები,
 როდესაც კრძალვით ვიხედები მაგ შენს თვალებში,
 და ყოველივე ეს არ ცდილობს შეჭრას შენს შიგნით:
 შენს გონებაში ან შენს გულში ანთუ შენს ირგვლივ
 არ დანანაობს ხილული თუ უხილავ რიდით,
 გარემოცული მარადიულ იღუმალებით?
 ალივსე ამით გული შენი, რაოდენ დიდიც
 უნდა იყოს ის, და შემდეგ კი ამ მაღალ გრძნობას
 უწოდებ ღმერთი! მეგობრობა! და, გინდა, ტრფობა!
 მისი სახელი, რა ვქნა, მე სხვა არა მაქვს, არა!
 გრძნობაა ქვეყნად ყველაფერი, ხოლო სახელი
 არის მარტოდენ ფუჭი ჟღერის გამომსახველი,
 კვამლი, რომელიც ზეციურ ალს ახლავს თან მარად.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

შესანიშნავი არის მართლაც ეს ყველაფერი!
 ჩვენი ხუცესიც თითქმის მუდამ ამასვე ამბობს,
 ოღონდ ამისთვის იგი ცოტა სხვა სიტყვებს ხმარობს.

ფ ა უ ს ტ ი

დიახ, ამასვე იმეორებს ამქვეყნად ყველა,
 ლაევარდოვანი ზეცის შუქი სადაც კი ელავს;
 ყველა სულდგმული გამოხატავს მას თავის ენით,
 და რატომ არ მაქვს მეც უფლება, ვსთქვა სიტყვა ჩემი!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როდესაც ასეთ სიტყვებს ისმენ, იმასაც ფიქრობ,
 რომ ამ სიტყვებში უნდა რაღაც სიმართლაც იყოს.
 თუმცე სიმართლესთან ერთად მათში სიყალბეც კია,
 და ქრისტიანის არაფერი შენ არა გცხია.

ფ ა უ ს ტ ი

ჩემო სიცოცხლე!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რომ იცოდე, როგორი სევდა
 მიღრღნის ხოლმე გულს, როდესაც მას შენს გვერდით ვხედავ.

ფ ა უ ს ტ ი

ვის?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ვის და იმას, ვინც სულ უკან დაგყვება, და ვინც
 მთელი არსებით შემაძულა მე უკვე თავი.

განცდა იმაზე მტკიცეული და საშინელი
 არ მახსოვს, ვიდრე მგერის მე მისი სახე ცბიერი.

ფ ა უ ს ტ ი

ჩემო გოგონი, ნუ გექნება შენ მისი შიში.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მის დანახვაზე მეყინება ძარღვებში სისხლი.
 თუმცე ყველას მიმართ მამოძრავებს კეთილი ზრახვა,
 მე მის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ამას,



რადგან, რაც უფრო მიხარია მე შენი ნახვა,
იმდენად უფრო მათრთხობს იგი და შიშით მზარავს.
ამასთან ერთად ის თავზედიც კი არის ცოტა.
ღმერთო, შემინდე, თუ მის მიმართ რაიმეს ვცოდავ.

ფ ა უ ს ტ ი

ქვეყნად ასეთი ყმაწვილებიც რაღაცად ღირან!
მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე მაგისტანებს ვერასოდეს შევეთვისები!
როგორც კი კარში გამოჩნდება, რაღაც ისეთი
ღამცინავი და ბრაზნარევი სახე აქვს მუდამ,
ქვეყნად ყველაფერს ის აბუჩად იგდებდეს უნდა.
შუბლზე აშკარად აწერია, რომ სხვების მიმართ
ჯერ მას მცირედი სიყვარულიც კი არ უგრძნია
და არც არავის თანადგომა არ შეუძლია.
თუ შენს მკლავებში თავს ყოველთვის ვგრძნობ ასე ლაღად,
მუდამ საშინლად მიყუშმავს გულს მე მისი ნახვა.

ფ ა უ ს ტ ი

ანგელოზური გუმანით თუ ხედები შენ მაგას.
მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ეს ჩემზე ისე მოქმედებს, რომ, როგორც კი იგი
გვიახლოვდება, იღუშალ შიშს ვგრძნობ გულის შიგნით.
ზოგჯერ ისიც კი მეჩვენება, რომ თითქოს უკვე
ალარ მიყვარხარ და ერთმანეთს ვერაფერს ვუგებთ.
მის თანდასწრებით, როგორ გითხრა, ლოცვაც კი მიჭირს,
და ყოველივე ეს გულს მიღრღნის და მტანჯავს იქვით.
ჩემო ჰაინრიხ, შენც ასევე ფიქრობ, ცხადია.

ფ ა უ ს ტ ი

შენ იმისადმი გაქვს უბრალოდ ანტიპათია.
მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ღროა, წავიდე.

ფ ა უ ს ტ ი

დადგება კი ისეთი წამი,
შენს უტყბეს მკერდზე მოსვენებას რომ მივცე თავი.
მცირე ხნით მაინც ნეტარება რომ ვიგრძნო სრული,
და მთლად შეერწყას გული გულსა და სულს კი — სული?!

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მარტო რომ ვიწვე, ამაღამვე სიამოვნებით
კარს გაგიღებდი და გულნაკლულს არ დაგტოვებდი,
მაგრამ ისეთი ფრთხილი ძილი აქვს ხოლმე დედას,
იქვე მოვკვდები, ლოგინში რომ წაგვასწროს ერთად.

ფ ა უ ს ტ ი

ამის გულისთვის უნდა მოკვდე, ძვირფასო, განა?
ამისათვის ხომ ეს პატარა ბოთლიც კი კმარა.
სულ სამი წვეთი გაურჩე სასმელში ჩუმად;
და მის ბუნებას მკედრული ძილი მოიცავს უმალ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რადას არ ვიზამ შენთვის, მაგრამ ხომ არას ავნებს?



ქართული
ენების ინსტიტუტი

ფ ა უ ს ტ ი

განა გირჩევდი, ჩემო კარგო, შენ ასეთ რამეს?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მართალი გითხრა, საყვარელო, ხანდახან მე თვით
ვერ გამოვიგია, რად დავყვები მუდამ შენს ნებას.

იმდენი რამე გაეაკეთე და დავთმე შენთვის,
რომ დასათმობი არაფერი აღარა მრჩება.

(გადის).

შეზღვის მ გ ფ ის ტ ო ფ ე ლ ი.

მ ე ფ ის ტ ო ფ ე ლ ი

წავიდა შენი მაიმუნი?

ფ ა უ ს ტ ი

კვლავ ჯაშუშობდი?

მ ე ფ ის ტ ო ფ ე ლ ი

უნდა გითხრა, რომ ყურადღებით სანიმუშოთი

მოვისმინე მე ყველაფერი... აქ ბატონ დოქტორს

კატეხიზმოში* ეს-ეს არის პატარა გოგომ

გაკვეთილიც კი ჩაუტარა და ავარჯიშა,

რაც, თუ არ ვცდები, დოქტორისთვის ბევრ რამეს ნიშნავს.

ქალიშვილები ხომ სულ იმას ცდილობენ, რათა

მათი სატრფონი მიჰყვებოდნენ ძველ რჯულს და ადათს,

რადგან იციან, ეს თუ შესძლეს, უკვე იმდენად

მათი ბოლომდე დაპყრობაც არ გაუჭირდებათ.

ფ ა უ ს ტ ი

ო, შე ურჩხულო, განა ძალგიძს იმის გაგება,

რომ ალაღმართალ რწმენით სავსე უმწიკვლო სული,

რწმენით, რომელიც საკმარისი არის ამქვეყნად,

რომ მოუტანოს ნეტარება მას ყოვლად სრული,

უწმინდეს ტანჯვით იტანჯება იმაზე ფიქრით,

რომ, ვინც მას უყვარს, ვერ ასცდება დაღუპვას იგი.

მ ე ფ ის ტ ო ფ ე ლ ი

შენ კი, ო, ყოვლად მგრძნობიარე, და მაინც მხოლოდ

წუწკო მუსუსო, მაინც კიდევ ვერ ხვდები, როგორ

საკუთარ ჭკუაზე გათამაშებს უკვე ეგ გოგო!

ფ ა უ ს ტ ი

ტალახისა და ცეცხლისაგან შექმნილო მძორო!

მ ე ფ ის ტ ო ფ ე ლ ი

სახეებში კი რა ბრწყინვალედ ერკვევა, არა?!

ფიზიონომისტს მაგისტანას სად ნახავ განა!

ჩემს დანახვაზე იზნევა და თვითონაც კარგად

ვერ გაუგია, რად განიცდის სატანჯველს ამგვარს.

ჩემი ნიღბის ჭვეშ ვარაუდობს დიდ ფარულ უნარს,

და გრძნობს, რომ იქნებ გენიოსიც კი ვარ ან სულაც

თავად ეშმაიც, ჰო!.. მაშ, აბა, დღევანდელ ღამეს?..

* კატეხიზმო (გერ.-ნ.). — (რჩევა-დარიგება, შემეცნება) ქრისტიანული
დასწავლის კომპლექტური აღმოცენა კოთხეაპასუხის სახით.



მერეღა შენ რა?
ფაუსტი

მეფისტოფელი

მეც მოვნახავ გასართობს რამეს.

ჭასთან

გრეთქენი და ლიზქენი თუნგებოთ.

ლიზქენი

ბერბელქენზე თუ გაიგე რამე?

გრეთქენი

არა. თითქმის არ გამოვდივარ სახლიდან გარეთ.

ლიზქენი

სიბილამ მითხრა, რომ ის თურმე გაბმულა მაინც.

რა ამაყად კი ეჭირა თავი!

გრეთქენი

რა დაემართა?

ლიზქენი

არ სდის ამას მთლად კარგი სუნი:

ჭამის და სმის დროს უნდა კვებოს მან ორი სული.

გრეთქენი

აჰ!

ლიზქენი

ძაან კარგიც მოუვიდა! ისედაც დიდხანს

ეთრია ის იმ ვაუბატონთან, მე თუკი მკითხავ.

არ მახსოვს სადმე უიმისოდ მოსვლა ეკადრა,

სულ მასთან ერთად სეირნობდა, მასთან ცეკვავდა.

ყველგან თვით სურდა პირველობა და უსირცხვილოდ

აჩენდა თავის სილამაზეს ის კახა, ისა.

შეექცეოდა მის მიართმეულ ნამცხვრებს და ღვინოს

და საჩუქრებსაც იღებდა მისგან.

მოიხელთებდნენ დროს თუ არა, მყის ხვევნა-კონცა,

ამასობაში კი ყვავილიც ღეროდან მოსწყდა.

გრეთქენი

საწყალი გოგო!

ლიზქენი

გებრალეზა?! არ გახსოვს, როცა

ჩვენი დედები სალამო ხანს სართავთან გვხამდნენ

და გარეთ გასვლის ნებას არ გვრთავდნენ,

ის სწორედ მაშინ იმ ყმაწვილთან დროს ატარებდა —

ან იქვე სკამზე იჯდა მასთან სახლის კარებთან

ან ჩაბნელებულ ხეივანებში დასეირნობდა,

და ჩვენსავით გულს არ უღევდა მოწყენილობა.

აი ახლა კი, კვართით მდგომმა ეკლესიაში,

მოინანიოს თავის ცოდვა ხალხის წინაშე.

გრეთქენი

აღბათ ის ბიჭი მას ცოლადაც შეირთავს ახლა!

ლიზქენი

შენც ამბობ რაღა!.. არც ისეთი სულელი გახლავს
გამოჭეტილი ყმაწვილია, ის უკვე სხვაგან
ირთობს თავს ალბათ, იმავე დღეს უკვალოდ გაქრა.

გრეთქენი

ეს ცუდი არის!

ლიზქენი

გინდაც ცოლად შეირთოს, მაინც
ალარაფერი ეშველება ამ საქმეს ამით.

ყმაწვილიაკები საქორწინო გვირგვინს დაშლიან,
გოგოები კი კარის ზღურბლთან ნამჯას დაყრიან.

(გადის).

გრეთქენი

(სახლისაგან მიშავალი)

რა სასტიკი და უღმობელი ვიყავი წინათ,
მე ამგვარ დღეში ჩავარდნილი ქალების მიმართ.
სად ვბოულობდი მაინც ამდენ საღანძღავ სიტყვას,
სხვათა ცოდვების დასაგმობად და გასაკიცხად.
რაც უფრო მეტად ვძრახავდი მათ, მით უფრო დიდად
მიშფოთებდა გულს მათი ცოდვა და რისხვას მგერიდა.
რა შედიდურად მეჭირა თან ყოველთვის თავი.
დღეს კი მეც ამგვარ ცოდვაშივე მიმიძღვის ბრალი.
მაგრამ რამაც მე დამლუბა და გამიკრთო ძილი,
ღმერთო, რაოდენ მიმზიდველი იყო და ტყბილი.

გერმანულიდან თარგმნა ბიორკი ჯორჯანაშვილი



შალვა აფხაიძე

დაბადების 90 წლისთავის ბაგამ

შალვა აფხაიძე, ჩემთვის, პირველ რიგში, ცოცხალი ხატი იყო იმ ლიტერატურული ჯგუფისა, რომელმაც ქართულ პოეზიაში მშვენიერი სიტყვის საუფლო დამკვიდრა. შეიძლება, ენაბრგენილმა კაცმა მნიშვნელოვანი აზრი ვინაჟი, კოჭლი სიტყვით გამოხატოს და მაინც ფასი მიეცეს მის ნათქვამს, მაგრამ პოეტისთვის ღირებულება მხოლოდ ის აზრი, რომელიც შესაბამის სიტყვიერ სხეულში დევს ტენიებით, ხოლო ეს სხეული უნაყოლო მშვენიერი უნდა იყოს ზორციოთა და ფერიათა. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირციაძე, შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, არ იქნებოდა ქართული ლიტერატურის ის ფეროვან-მკვდერი, ნატიფი, „ციხფერი სამშობლოსკენ“ გაფრინილი პერიოდი, რომელიც ისე მძლავრად და ანგარიშ-მიუცემლად მიეყვარება მთელი სიცოცხლე, როგორც, მაგალითად, პაოლო იაშვილის ასეთი სტროფი:

გაახელ თვალებს, მორცხვად იტყვი: —
 ახ უკაცრავად!
 ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და
 დერიდაბოლებს
 და თუ დაკოცნი იმის თითებს დაუკაწრავად,
 ათ კოცნას თვალი ათ მარჯალიტს
 გადააფოცებს.

ბატონი შალვას თქმისა არ იყოს, არც მე ვიცი, რას ნიშნავს სიტყვა „დერიდაბოლები“, მაგრამ ამ ლექსს ის აუხსნელი ზიბო აქვს ჩემთვის, რომელიც რაც უფრო აუხსნელი და ულოგოკოა, მით უფრო მომნუსხველია.

ეს ზიბო ახლავს შალვა აფხაიძის ლექსებს და წერილებს პაოლო იაშვილზე, ტიციან ტაბიძეზე, სანდრო ცირციაძეზე, აღორძინებულ ქართულ სიტყვაზე, ოდითგანვე დარბაასლურსა და ამღერებულზე („ბუღბუღისა ენა მე“),

მაგრამ ძალიან თუ ზაიძირა ყოფაში, უველა მისი თანზოვანი ერთად მოიყრის თავს და თავის ეკლებზე ზორცს დაგატოვებინებს; მართალია, ეს ზორცი მეგრ ვარდებოდ იქცევა, რადგან ზედ სისხლიცა აქვს მოკურნებული, მაგრამ ვარდისა და ქაყვის მორიგება, ტიციანის მშვენიერით განულება ცოტას თუ შეუძლია ამ პოეტებმა შეძლეს, სიტყვას დაკარგული ღირსება აღუდგინეს და ისე გამოანათა მასში ურიცხვმა ფერმა და მუსიკამ, როგორც თავლის ერთ წვეთში ცაბების ტყე ილანდება.

ამ პოეზიას მეგრ რასმე საყვედურობდნენ. ერთი შთაფარი საყვედური მის ვეროპეიზმს შეგებოდა. ქართველი კაცის წინააღმდეგობრივი ბუნება თან პურიზმისკენ ისწრაფვის, თან სიტყვებს „უცხო“ და „საუცხო“ კარგის უღარეს ხარისხად ხმარობს, თუმცა „ციხფერაწყლები“ მართლაც ღრმად ეროვნული პოეტები იყვნენ. მათ თვალსაწიერში ვეროპეი ეტეოდა და აზიაც, მაგრამ ისინი საკუთარი სისხლითა და ოფლით გამოხიერებულ მიწაზე აშენებდნენ სპილოს ძელის კოშკს, რომლის ირგვლივ წალკატი იგულისხმებოდა ვარდბუღბუღიანი...

მათიზის ვარდი მე პრუდომის ჩაედვ
 ვაზში,
 ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბორც
 ყვავილებს...
 (ტ. ტაბიძე).

იმასაც ამბობდნენ, რომ, როცა ვეროპას აბასიათებო კამლეტის მოწყვეტილობა და ფუსტის ლტოლვა, საქართველოში არიან მიწის შეილი ვაჟა-ფშაველა და მისი კონგენიალური ფიროსმანი. ესენი ღმერთები იყვნენ „ციხფერი ორდენის“ წევრებისათვის. კიდევ ერთი შეუღლება მათში უციოდერესი თვისებებისა: დევითი ღონიერი და ქრელი მიწის-

შეიღობა და დაბეწვილა, რაფინირებული, ინტელიგენტური ბუნება.

ბატონი შალვა ნამდვილი ინტელიგენტი იყო, ყოველგვარი შეღავათის გარეშე, რომელსაც ჩვენ ზმირად ვუწვევთ ზოლმე ადამიანს, მის ელტუროსნობაზე საუბრისას. კი, ნიჭიერი, კვიანია, განათლებული, ქალაქელიცაა, რა-ზედაც ან ბოლო დროს განსაკუთრებულ პროფესიულ-აზრობრივ მახვილს უსვამენ, ამა სხვა რაღა ელტურა?

აღბათ, შინაგანი სინათლე, რომელიც ვარდნად ანთებული, ანთებს, მაგრამ ვერ ათბობს, ტალღისა არ იყო, უამრავი რამ მოგვონს ან არ მოგვონს, გეგმა კიდევ, ყოველდღიურად და შეგველად, როგორც პაცი ან წყალი, მაგრამ ატმის ბუსუსი რომ შეგეგება კანზე შემზარავად, ან ძალის ენა — შემძვრელი სიყვარული, ასეთი შეძვრა ტალღატი.

ასეთი შეძვრა იყო ვალაკტონინი, რომელმაც ამ პოეტების ფერადი ხილვებიდან, ზოგჯერ ზედმეტად გართულებულ-დაგრეხილებიდან (ლალის მანდილში დაგრეხილი თეთრი პენორა* (ვ. გაფრინდამიელი) გამოიტანა თავისი საკუთარი დაბინდული ქლიავის ფერი ზიფტი, თუკი შეიძლება ილიას და ვეას მერე საქართველოში საკუთარი შთები ჰქონდა ვისზე.

ბატონი შალვა ზმირად მელაპარაკებოდა ვალაკტონინზე, რომელსაც ყველაფერი საკუთარი ჰქონდა: „არტისტული ყვაილები“, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა „ბოროტების ყვაილები“, გრძნობის მტრთა და რითმებით დაწერილი ლექსებიდან ამოტივტივებული რითმა — მოვლენა „სილაქვარდ — სილაში ვარდი“, ლტრჯ ბალდახინებზე წაშოს-კუბებული თეთიფურებიდან, საჩუკების მის-ტეკიდან და ყვითელი სამინელებიდან, რომელთაც ევროპის სუნი დაპირავდათ, მისი უსაკუთრესი „უცხო სუნელის ფერი მზის ჩაგორება“, „ისიფერი თივლის ქალწულებივით ხილდნ ფენა“ გამოსხეულდა.

მე ანდამატივით მიზიდავდა ბატონ შალვასთან საუბარი ამ თემაზე, მისი ლექსები, სადაც ქართულს, წარმართულს, ვანსადს — თებროულს, ბროლის წყალს, ვერცხლის არმაზებს, შეველად კვეთდა გოთიკის წამახული სწრაფვა ცისკენ თუ ცისფერი ტარისკენ* („ჩვენ ვასწავლით გზაარულ ხალხს გზას პოეზიის ცისფერი ტარისკენ“, ბალო იმავილი).

თვალმობნილი ვლგავარ შენს წინ

Santa Maria

მხარებს ტანჯვა, ღვთიურ სახეს რომ გილაზნებს, მე შენზე ლოცვა ვამოხინე ვერცხლის არმაზებს და სხვა ოთახში ფშენობით ყრუ სამარევა (შალვა აფხაიძე).

ამ ლექსებში მასწავლეს, რომ საცმარისია სიტყვის იდეალ, უმრავლესწილად — მარტულ თვისებებს — ფერმა და მარტულად მდებო, რომ კერკეტი კაკალივით გატყდება ჩენ-ჩო და კიალა გული გამოანათებს. პოეტური ენა უნდა დაისვას ისევ თავის ტაბრზე — წერდა შალვა აფხაიძე და სიყვლილმდე პატრონად არსულზედა ამ მოვალეობას თავისი ღმერთის — ლოგოსის წინაშე. ასეთივე პატრონა იყო იგი ადამიანებთან ურთიერთობაში. მისი ტაქტი და რბილი, მოსიყვარულე ბუნება ყველზე მყოფოდ მეგობარ პოეტებზე დაწერილ წერილებში იგრძნობა, მაგრამ კეთილი ბუნება, იდეალიზმი, როგორც ბანს, არც მტრის სიყვარულს გამოიციხავს და არც უცხო ადამიანისას, რომელსაც პოეზიაში კი ქვია მოყვასი, მაგრამ სინამდვილეში შორეულია, უცხო, ცხრა უცხო. ამაში დაერწმუნდი მშინ, როცა უნივერსიტეტის პირველურსელს ვანსულ ჩარკვიანმა ქურნალ „ცისკარი“ რამდენიმე ლექსი დამხებვდა. ერთ-ერთ ლექსში ასეთი სტროფი იყო:

მერე მე ვიტყვი, აღბათ, სიამაყით, რომ ჩვენ დავიბადეთ რუსთაველის

ნენიდან,

და სხვა ყველაფერი ფეხებზე კილა

რასაც ელვისებური რეაქცია მოყვა. დაიბეჭდა რამდენიმე გამანადგურებელი წერილი, სადაც არაფერს ამბობდნენ ლექსის სპეციფიკურ ღირსება-ნაკლოვანებაზე, მაგრამ ეს სტროფი მოყვანილი იყო, როგორც თვალსაჩინო ნიმუში ქართული ქალის, რბილად რომ ეთქვამთ ზნეობრივი ტრანსფორმაციისა. ერთი წერილი შალვა აფხაიძისა გახლდათ. თითოთროლა სხდომა-თითბარზეც ვაისმა ჩემი გვარი. მე ვერ მომეწონა ეს სკანდალური პოპულარობა. აღბათ, ყველა ახალგაზრდის ცხოვრებაში, მითუმეტეს, თუ მის ლექსი ამ მუსიკა უტრიალებს თავში, არის პერიოდი, როცა მისი თვითდამკვიდრების გარეგნული ფორმა მიიღებს სკანდალური იდეალისკენ: გენიალური რებო — „უბრდელი ბავშვი“, იმპრესიონისტების ფეთქებელი გამოფენა „შემოდგომის საღონში“, ვალაკტონის ზარბოთი დე მობარბაცე ყოფა, შიაკოვსკის ვეითელი კოფთა და მისი ომი, აშკარად ზელიგნური, ამღერებულ-ფაიფურულ „ბალმონტსა და სხვა „მგონებთან“, მაგრამ შეგნება იმისა, რომ ყველა მათგანში თავმოდრეკილი კაცი ზის, რომელსთვისაც ვაკილებით მთავარია თვითგვემის ტყვიანი, ვიდრე თვითდამკვიდრების ზარზვიმ, მოგვიანებით მოდის და იმ შწარე წერილში, რომლის შემწეობითაც გაეციხა შალვა აფხაიძე, კეთილი დააქარა ჩემი მტკივნეული მომწიფება (ომისდროინდელ ბავშვებს დავემგვანე, რომელთა დუფერებლად დაბრძენებულ, მგრძნობიარე თავებს ფიზიკუ-

რად ტპლური და განუვიზიარებელი ტან-ფეხი ვებათ). ტციოლის ხელოვნების შესწავლა ან აბრძენებს აღამიანს, ან კლავს. ტციოლი კი ძალიან შალე ვიგარძენი, იმ ფუყე სიხარულის მერე, რომელიც მომიტანა სახელის გახმად-რებამ ჩემს თაბამაში. შეიძლება, იგი პირველად მშობლების თვალბში გამოკრთა, რომ-ლესაც გაზეთის გადაშლისა ეწინოდათ ჩემს გამო და სახადივით ვადმომედო მათი ტცი-ვილი. ასე ჟყო თუ ისე, შე და შალვა აფხაიძე მტრებოვით შევხვდით ერთმანეთს (მისმა შეი-ლიშვილმა, მერე ჩემმა მეგობარმა მედლა ჭეფ-ხოქემ შეგვახვედრა) და მეგობრებად დაეკო-ლდით, რადგან მისი კრიტიკა გამოწვეული იყო არა პირადი მტრობით, ან ჩემი ლექსის ფორმისა და მსოფლშეგარძენების შეუთავსებ-ლობით მის პოეტურ საწყაროსთან, რაც გა-ცოდებით უფრო ხშირია ახლა, არამედ მისი შეუწყნარებლობით ჩემი ახალგაზრდულა ბრავადის, მაქსიმალისტური ეველუცობის, სე-კულარი ხასიათიდან ამობტომის მიმართ, რაც უფრო სტრიქონების მიღმა იკითხებოდა, ვიდ-რე ლექსში და რაც იმ კრიტიკოსებმა ვერ დაინახეს, ვისაც თვალს დაუბრმაჟა ისეთმა „ველგარულმა“ გამოთქმამ, როგორიცაა რაიმეს ფეხებზე დაკიდება.

მერე გაირკვა, რომ ბატონმა შალვამ ჩემი ასაკიც არ იცოდა. ჩამოყალიბებული, ასაკო-ვანი პოეტი ვეგონე, რადგან მის ხასიათში თუკი მოიძებნებოდა სასტიკი სიმკაცრე, მხო-ლოდ უგვანობისა და სიმდარის მისამართით და არავითარ შემთხვევაში ახალგაზრდული შე-ცდომების წინააღმდეგ მიმართული.

ამ დღიდან მოკიდებული, ბოლომდე, შალ-

ვა აფხაიძე თავგამოდებული კომპატი იყო ჩემი თავისუფალი ლექსებისა, რომლებიც მას უფ-ვარდა, მიუხედავად იმისა, რომ უფროს კლასიკური, დახვეწილი, მუსიკალურად სრულყოფილი სონეტიდან მოდიოდა. იგი მუხმარებო-და ლექსების დახვეწებაში, აძებლებდა თავისი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს მეომარი ბოღმა მოენელებიან ახალი, უცხო ფორმის მი-სამართით, რომელიც არც ახალი იყო და არც უცხო, უბრალოდ უფრო შესატყვისი ვალიბი გამოდგა ჩვენი თაობის არითიული ფიქრები-სა და გრძნობებუნთთვის. მოციმიციმე არით-მის ნორმალურ მაჯაში ვერ ჩაატყვე.

შალვა აფხაიძეს არ გაუჭირდებოდა ამის გა-გება, რადგან იგი ქართულ პოეზიაში პაოლო იაშვილითან, ტციან ტაბაძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილიან ერთად განუსაზღვრელი თავისუფლების შემოშანი იყო, ხოლო ლექ-სის რომელ ფორმაში განხორციელდებოდა ეს თავისუფლება, მკაცრად დახვეწილ სონეტში, თუ რითმისა და მეტრის ჩარჩოებიდან ამო-ვარდნილ თავისუფალ ლექსში, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, უკიდურესნი ყველაფერში. — არტისტებში, სითამამეში, სიკეთეში, სი-ტყვიტ მოვლენილ ტანჯვასა და სინათლე-ში, რომელთა უბნელესი წილიდან დღადი „De profundis“ ნატიფ და მწკნინი ლექ-სში სახიერდებოდა მაინც, შეიძლება არც დაწერილიყო ეს სტრიქონები: „მაქვს მერდს მიღებული ქნარი როგორც შინდა, ჩემთვის დიდებული სხივი გამოზრწყინდა“, რომლებ-შიც პატარა ხნით ჩათვლემილმა დიდმა ქარ-თულმა პოეტიამ გამოიხედა.

გურამ ბარნოვი

ურემი გადაგრუნდა, გზა მაინც არ ჩანს

გასულ წელს გამოქვეყნდა „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი. V-XIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა ტომში წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრე ბარამიძის წერილით, რომლის დიდი ნაწილი, ბუნებრივია, შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანს ეძღვნება. ვეფხისტყაოსანი კი, როგორც ვიცით, ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიშანსვეტია, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ საერთოდ ქართული კულტურის შესახებ.

„მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“ შეითხველთა უზომოდ დიდი აუდიტორიისათვისაა ანუ არაუდვი და ამის გამოა, რომ ყოველი სტატიის შეფასების კრიტერიუმი საქმიან მაღალია. ასეთი ტიპის გამოცემებში თვით უმნიშვნელო ხარვეზიც კი თვალშისაცემი და გულდასაწყვეტი ხდება ხოლმე. ჩვენმა საზოგადოებამ საქმიან მტკიცეულად მიიღო სხეინებელი წერილი და, ბუნებრივია, რომ პრესაში უარყოფითი რეცენზიები გამოქვეყნდა. ამჯერად არ ვაპირებ არც ამ წერილის და არც რეცენზიების შესახებ რამდენადმე დაწვრილებით საუბარს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ უარყოფითი რეცენზიების ავტორთა მიერ გამოთქმული ზოგიერთი საკამათო დებულების მიუხედავად, მათი პოზიციის სამართლიანი უნდა იყოს — ძველი ქართული მწერლობაც და რუსთაველიც ობიექტურად სავსებით იმსახურებდნენ უკეთეს ზედრს „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ ფურცლებზე.

გასაგება უნდა იყოს ისიც, რომ ბრალდების მთელი სიმძიმე წერილის ავტორზეა გადატანილი. ერთი რეცენზენტის თქმით, აღნიშნულ წერილში: „ყოველივე უკუპროპორციულია ამ

დონისა, რომელზეც დღესდღეობით დგას რუსთველოლოგია საქართველოში“. მე მაინც მგონია, რომ აქ რაიმე დისპროპორციაზე ლაპარაკი, სამწუხაროდ, ძალიან გაჭირდება, რადგან, თუკი ყველაფერს მხოლოდ ავტორის მეცნიერული უნიათობით ავხსნით, ფაქტურად ეს ნიშნავს მიზეზთა ძიებაზე ხელის აღებას, რაც თავისთავად გამორიცხავს თუნდაც მომავალში სასიკეთო ძვრების შესაძლებლობას. საქართველოში არც ერთი პოეტის შესახებ არ დაწერილა და არ იწერება იმდენი, რამდენიც შოთა რუსთაველზე (ამას სიამაყით აღნიშნავენ რუსთველოლოგებიც). იწერება, ცხადია, მეტ-ნაკლები ღირსების წერილები თუ გამოკვლევები. ზოგიერთ მათგანში ვხვდებით ცალკეულ ამაყარად საინტერესო დავიარებებსა და მიგნებებს ვეფხისტყაოსნის მხატვრული თავისებურებების შესახებ. ვეფხისტყაოსანზე არსებული დიდძალი ლიტერატურა, თითქოს უნდა იძლეოდეს თანამედროვე რუსთველოლოგიის საერთო დონის ამაღლების გარანტიას, მაგრამ თუ ყველაფერი კარგი და საინტერესო, რაც ამ გამოკვლევებში შეიძლება შეამჩნიოს პოეზიის დამფასებელმა თვალმა, არ თავსდება ხოლმე თანამედროვე რუსთველოლოგიის ყალიბში, როგორც „უცხო სხეულად“ ჩნება და აგერ უკვე რამდენიმე ათწლეული წელია, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს დარგის შემდგომ განვითარებაზე. იქნებ მიზეზთა მიზეზი სათავეში იყოს საქმეობრივ?

როგორც ცნობილია, თანამედროვე რუსთველოლოგიის ფუძემდებლად აქადემიკოსი ნიკო მარია აღიარებული — მარმა ჩაუყარა საფუძველი რუსთველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“).

როცა თანამედროვე რუსთველოლოგიაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს სწორედ ის დარგი მეცნიერებისა, რომელსაც ნ. მარმა

ჩაუყარა საფუძველი, ხოლო თანამედროვე რუსთველოლოგებში ვგულისხმობ მხოლოდ მათ, ვინც პრინციპულად იზიარებს ვეფხისტყაოსნის კლავის მარისხულ მოდელს (სულ ერთია ხამამლა აღიარებს ამას, თუ თავს იკავებს). არსებობს უმარავე რუსთველოლოგიური ლიტერატურა, მაგრამ რუსთველოლოგია ერთი, ერთად ის, რომელიც ფაქტურად ქმნის ამინდს ლიტერატურათმცოდნეობის ამ უბანზე (რა თქმა უნდა, არა თავისი ავტორიტეტით) და რომელსაც ოფიციალურად წარმოგვიჩენს ხოლმე არაქართული ფართო მკითხველის წინაშე.

თანამედროვე რუსთველოლოგიის რაობა (მისი მიღწევებიც და ხარვეზებიც) როგორც სარკვეში, ისეა არეკლილი აქად. აღ. ზარამიძის მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი“, რომელიც ავტორის სიტყვით, წარმოადგენს „მრავალრიცხოვანი რუსთველოლოგიური ლიტერატურის განაზოგადებელ-შემაჯავებელი“ ხასიათის ნაშრომს. ამ სახით მონოგრაფიის პირველი გამოცემა განაორციელდა 1966, ხოლო მეორე — 1975 წელს. მონოგრაფიის ძირითად მიზართულებას და ძირითად დებულებებს რამე სერიოზული აზრთა სხვაობა არ გამოუწვევია სპეციალისტ-რუსთველოლოგთა მხრივ და არსებითად ვაზიარებულ იქნა მათ მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მონოგრაფიის პირველი გამოცემიდან 19 წელი გაიდა (ხოლო მეორე გამოცემიდან — 10), იგი მოქმედებულად ვერ ჩაითვლება, არა იმდენად თავისი ღირსებების, არამედ იმის გამო, რომ ამ ხნის მანძილზე თვითონ თანამედროვე რუსთველოლოგიაში რამე შნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა, რომელთა ასახვის აუცილებლობაც არსებობდეს. ასე რომ, თუკი მონოგრაფიის ახალი გამოცემის საჭიროებას საკითხი დადგება, შესავსები გახდება მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ცნობები, როგორც ეს გაკეთდა მეორე გამოცემაში.

მეცნიერების ნებისმიერი დარგის დონე და განვითარების პერსპექტივები დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ხალად და ობიექტურად იქნება შეფასებული ფუძემდებლური იდეები, რამდენად გულწრფელად და ბოლომდე მოხერხდება ხარვეზების დაძლევა. რუსთველოლოგიამ თითქოს გააყრიტკა კიდევ ნ. მარის, მიგვითითა მისი თეორიული ნაშრომების ჩრდილოვან მხარეებზე, ერთი სიტყვით, „ჭირკული განაგდო“, მაგრამ ამავე დროს თავისებურად „შეაღამაზა“ და შექმნა „საკუთარი მარის“, რომელიც, მართალია აშკარად ჩამორჩება „წინამორბედს“ როგორც მეცნიერს, სამაგიეროდ ერთი დიდი უპირატესობა აქვს: უფრო კეთილსამედოდ ასრულებს თანამედროვე რუსთველოლოგიის ფუძემდებლის ფუნქციებს.

თავისთავად ცხადია, პირველ რიგში უნდა

ვილაპარაკოთ რეალურად არსებული ნ. მარის შესახებ, მის თეორიულ შეხედულებებზე, მის ძირითად მეცნიერულ პოზიციებზე. რაც შეეხება თვით რუსთველოლოგიის მიერ შექმნილ „ახალ მარს“, მის „მეცნიერულ პორტრეტს“, იგი გზავნავს თავისთავად გამოიკვეთება.

იყო პერიოდი, როცა თითქმის ხელაღებით უარყოფდნენ ნ. მარის როგორც ძველი ქართული მწერლობისა და რუსთაველის მკვლევარს, მაგრამ ამავე დროს (იქვე და პარალელურად) იმასაც აღნიშნავდნენ, რომ „თავის რიგ ნაშრომში, განსაკუთრებით ეტრულში «Культ женщины и рыцарство в поэме «Витязь в барсовой коже» (1910) ნაწილობრივ აგრეთვე მონოგრაფიაში «Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» и новая культурно-историческая проблема» (1917) მარის საბუთიანად ამბობდა, რომ ვეფხისტყაოსნის ნაციონალური ხასიათის ნაწარმოებია, რომ ვეფხისტყაოსანში ასახულია ისეთი წმინდა ქართული, ხალხური ნაციონალური მოვლენები, როგორცაა მაგალითად ძმდნაფიცობა და მანდილოსნის პატივსაცემა“ (აღ. ზარამიძე, „ნ. მარის შუქლომების შესახებ ქართული ლიტ. ისტ. საკითხების გაშუქებაში“, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VIII, 1953, გვ. 44).

გაღიდა წლები და სულ უფრო კატეგორიული ხდებოდა რუსთველოლოგიის „საშუაშო“ დებულებების ტონი. ახლა უკვე ყოველგვარი „ნაწილობრივი“ ვარსებაც აცხადებენ: „თავის მონოგრაფიულ ნაშრომებში ნ. მარის მეცნიერული ობიექტურობით ასახულებს ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის სრულ ორიგინალობას, ნათელყოფს მის ქართულ-ნაციონალურსა და ხალხურ ხასიათს, მაგრამ სიუჟეტის სპარსულიდან წარმოშობილობის აკვიტებული მოსახატებისაგან უკან არ დაუბრუნია“.

კატეგორიული ტონი იმისდამიხედვით მძაფრდება, რაც უფრო მეტი დროით ვცლდებით ნ. მარის ფუძემდებლური ნაშრომების გამოკვეთვების თაბილებს. საქმე ის არის, რომ ეს ნაშრომები დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ხოლო მათი ქართულად თარგმნა (ორივე ნაშრომზე სულ 146 გვერდი) და თარგმნა „რატომღაც“ ვერ მოახერხებს რუსთველოლოგებმა, რათა ქართული მკითხველი უშუალოდ გასცნობოდა მათ. როგორც ჩანს, რუსთველოლოგიას ხელს აძლევს ასეთი ვითარება, რადგან უსაზღვრო საშუალება არსებობს ყოველგვარი მეცნიერული ინსტიტუტებისათვის.

დღეს არამარტო რიგითი მკითხველი, არამედ სპეციალისტ-რუსთველოლოგთა უმრავლესობაც მარის ნაშრომების შესახებ აღ. ზარამიძისეული ინტერპრეტაციის მიხედვით მსჯელობს, და არა მთავარია, ექვეყნით არ უპარებათ მის სისწორეში. გულწრფელად სჭერათ, მაგალითად, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის

სპარსულიდან წარმომავლობის „აქვიატებელი მოსაზრება“ რომ არა, ნ. მარის პოზიცია ვეფხისტყაოსნის მიმართ ძირითადად სავსებით სწორი და ვასაზარებელია, ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ აშკარად შედარ თეორიულ შეხედულებას, იგი თვითონვე ასწორებდა მათ გზადგება და ალაგალაგ თანამედროვე რუსთველოლოგია რაღაც საოცარი ენიანობით ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს ნ. მარმა თავის ფუძემდებლურ ნაშრომებში მძინაფიცობა, რაინდობა და ქალის კულტი „წმინდა ქართულ“ წინადაგზე აღმოცენებულ მოვლენებად აღიარა, ხოლო ამის საფუძველზე თვით ვეფხისტყაოსანი ნაციონალურ მხატვრულ ძეგლად განაცხადა. ამასთან ცდილობენ, შექმნილი იქნება, თითქოს სწორედ ამიტომ „აიარაღის“ ნ. მარის თვისი დარგის „ფუძემდებელი“. მაგრამ ხმას არ იღებენ უმთავრესზე (ეტიკობა იმის იმედით, რომ არაფერ მიაქცევს ამას ყურადღებებს), ერთდრო, ვეფხისტყაოსნის კვლევის მარახეულ მოდელზე, რომლის მიმართაც შესაძლებელია ერთგულდების აქვიატებენ და რომლის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს „სოფლიო ლიტერატურის ისტორიაში“ გამოქვეყნებული წერილიც.

სანამ ამ მოდელის შესახებ ვიტყვოდეთ რაიმეს, იქნებ ღირდეს, მოკლედ მიანიც შევხატოთ ნ. მარის თარი ფუძემდებლური ნაშრომის ძირითად მომენტებზე.

„ქალის კულტი“ ნ. მარის აღნიშნავდა, რომ ვეფხისტყაოსნის საკითხი ძალიან რთული საკითხია და რაც ქართველები დიდი ხნიდან შეჰყურებენ მას, როგორც „ნაციონალურ სიაყვას“, „საკულტურის ისტორიის წმინდა რელიგიას“, ამიტომ ბუნებრივია, როცა თანამედროვე საქართველოში «к вопросу охотнее подходят с национальной точки зрения. От этого не выигрывает дело исторического понимания вопроса» (стр. I—II).

არსად სოფლიოში არც ერთი კემმარტიად ეროვნული მხატვრული ძეგლისადმი ნაციონალური პოზიციებიდან მიდგომას ჯერ ხელი არ შეუშლია „საკითხის ისტორიული გაგებისათვის“ და რაღაც ვეფხისტყაოსანი აღმოჩნდა ამ მხრივ გამოწვევის? მიზეზი ერთადერთია — ნ. მარის თვლიდა ვეფხისტყაოსანს ეროვნულ მხატვრულ მოვლენად.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი იდეალი გვიჩნდა შევხატონთ ნ. მარის მეორე ფუძემდებლური ნაშრომიდან „ახალი კულტი — ისტ. პრობლემა“. ავტორი ეხება ქართულ პრესაში ატვირთ კამათს ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმომავლობის ჰაბოთების თაობაზე და ამბობს:

В ней больше материала для характеристики умственного отчуждения грузинского общества от подлинного культурно-

го Востока, чем приемлимым пищи для русостелиста (стр. 430). და იქვე გულისტყვილით აღნიშნავდა, რომ „ქმინატიზმი... ქვესიისისპოვნიერობა“ ან თვითონვე წყვეტებს ან და იმ სპეციალისტთა ხელშია, რომელიც შეთვისებელი აქვთ «кавказские традиционные предрассудки» (стр. 437). ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას გულისხმობდა „აქვიატორ ტრადიციულ ცრუწარმოდგენებში“.

თანამედროვე რუსთველოლოგის მიერ პირველ რიგში რეკომენდირებულ ქალის კულტში“ ავტორი წერს, რომ სპარსული ლიტერატურისათვის სრულიად არ არის უცხო სიყვარულის იდეალიზაცია (გვ. XXXIX), რომ არაბეთის ძირეული ტრადიციებიც არ გამოირიცხავენო ქალის კულტი (გვ. XLIV). შემდეგ ნ. მარის იმოწმებს უცხოელი ავტორის სიტყვებს იმის შესახებ, რომ არაბეთში ქალს საკმარის მალაო მდგომარეობა ექირაო, მათი გავლენა დიდი იყო საზოგადოებაში, ისინი თავისუფლად ირჩევდნენ ქმრებს... ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ აძლევდნენ წინადადებებს მამაკაცებს და გაყრის უფლებაც ჰქონდათ. ქალებს უყურებდნენ არა როგორც მონებს და უსულს სავანს, არამედ როგორც თანასწორსა და ამხანაგს. ქალი იყო პოეტისა თუ მეომრის შთავიანების წყარო. და ვინ იცის, იქნებ, შუასაუკუნეების ევროპული რაინდობაც წარმართული არაბეთიდან იღებდესო სათავეს (გვ. XLIV).

ნ. მარის არც მძინაფიცობა და რაინდობა მიაჩნდა „წმინდა ქართულ“ მოვლენებად. მართალია, იგი ლაპარაკობს საქართველოში შემორჩენილ მძინაფიცვის ისეთ თავისებურ წესზე, როგორც არის „ფიც-ვერცხლის“ მიღება, მაგრამ ენობილია, რომ ეს წესი არ ასახულა ვეფხისტყაოსანში.

თუმცა ნაშრომში ვხვდებით სანტიკრესო ლინგვისტურ დაკვირვებებს „მოყვრე“ და „შაბუჯე“ (მარის ამ დაკვირვებას მალაო შეფასებას აძლევდა ბატონი ივანე ჭავჭავაძე), მაგრამ მათ მიხედვით ავტორი სულაც არ აკეთებს თანამედროვე რუსთველოლოგისათვის რაიმე სანუკვარ და შირსიმძინაველ დასკვნებს. მიგალითად „მოყვრე“ შესახებ წერს:

«Здесь («в древнегрузинский изящной литературе» — Г. Б.) его приходится понимать чаще всего в смысле витьязя, я решаюсь даже сказать, в смысле рыцаря. Хочу надеяться, что из-за этого в Грузии не станут а-приори предполагать полноту европейского рыцарства со всеми его атрибутами...» (стр. XIII).

ნ. მარის ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ თუკი საქართველოში საერთოდ არსებობდა რაინდობა და ქალის კულტი, არსებობდა მხოლოდ



გარკვეულ ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრე-ში:

«Дело будущих поставленных изысканий» выяснит, какие элементы вносил Шота в свое творение из подлинно народной сокровищницы. Но написанные его кистью образы — «мокме» и «чабука» — не народные, а современные герой лишь светски образованного общества. Культ женщины, идеализированная любовь с преклонением перед нею — детище его, этого изысканно образованного грузинского общества эпохи Тамары, а не народных маѳс... Вопрос опять-таки будущего, возни- ли культ женщины на готовой восприимчивой грузинской почве самородком... или он появился целиком как экзотический цветок под исключительным персидским влиянием» (стр. XXXVIII, XLVI).

მოტივები ამონაწერებიდან კარგად ჩანს, რომ ნ. მარს აზრადაც არ მოსვლია ქალის კულტურა, რაინდობა და მქანდაციობა «წმინდა ქართულ, ხალხურ-ნაციონალურ მოვლენებში» გამოცხადებინა და ამის საფუძველზე ემტკიცებინა ვეფხისტყაოსნის «იდეური შინაარსის სრული ორიგინალობა», ნათელყფო მისი «ქართულ-ნაციონალური და ხალხური ხასიათი» (ბროგორც გვარწმუნებენ თანამედროვე რუს-თველოლოგები).

და მინც, საეკვო რომ არაფერი იყოს, ვნახოთ რაგორ აფასებდა ავტორი ამ ნაშრომს («ქალის კულტურა» თავის მეორე გამოკვლევაში «ახალი კულტურა — ისტ. პრობლემა» (იმედიო, რუსთველოლოგებში დაგვემოწმებინა, რომ ნ. მარს არ იყო «ერთი უბიბი ვინმე», რომელმაც კარგად არც კი იცოდა, რას წერდა):

დამანებელი ავგუსტინე მიმართავს ღმერთს: „რა შეიძლებოდა დაფარულიყო ჩემში შენს წინაშე უფალი, კიდევ რომ არ მომესურვა აღსარება შეიშვა შენთვის, რომლის თვალბი-სათვის გამოიშვლებულია უფსკრული ადამიანის სინდისისა?“ (შდრ. პავლე: ებრ. 4, 13; „და არაბა არს დაბადებული დაფარულ წინაშე მისა, არამედ ყოველივე შემწევი და ქედღადრევილ არს წინაშე თვალთა მისთა, რომლისათჳს არს სიტყუაჲ ესე ჩუენი“. შდრ. აბ. ქართ.: „და არ არის არსება მისგან დაფარული, არამედ ყოველივე გამოიშვლებულია დღია მის თვალთა წინაშე, ვისაც ებარებთ ანგარიშს“).

„უხალმუნთა განმარტებებში“ (41, 8) ავგუსტინე პირდაპირ კითხულობს: „განა ადამიანის გული უფსკრული არაა?“

ზემოთ მოტანილი განმარტებანი და პარალელური აქვს მხედველობაში კარლ იასპერსს, რომელიც მისი წიგნიდან ჩვენს მიერ ციტირებულ ფრაზას აგრძელებს ავგუსტინედან მომდინარე სიტყვებითვე:

„უხასრული უფსკრული არის ადამიანი (grande profundum est ipse homo; Исповед., IV, 13, 22; «Богосл. труды», Сб. 19). „მთი ღმერთო! შენ დათვალე თანა მისნი, მაგრამ, კეშმარტად, ავღილა დათვალე თმანი მისნი, ვიდრე ვრძნობანი და მიდრეკილებანი მისი გულსა“.

მაგრამ, აი, უდიდესი ფსიქოლოგის ავგუსტინეს გენეალური კუთა იძულებულია აღიაროს, რომ ეს ადამიანი-უფსკრული — გამოუღწეობია. „უხალმუნთა განმარტებებში“ აღნიშნულია (მოკვავებს მისი რუსული თარგმანი სტილური სრულყოფილობის გამო):

«Что это за бездна, которая призывает бездну? Если бездна есть нечто глубокое, то разве сердце человеческое не бездна? Что глубже этой бездны? Люди могут говорить; можно видеть их действия, слышать их слова; в чьи мысли можно проникнуть, что человек скрывает внутри, на что он способен внутри, что он внутри предпринимает, какие у него внутри планы, чего он внутри хочет, чего внутри не хочет? Правильно, думаю, принимать под бездной человека. Бездна призывает безд-

ну, человек человека. Бездну призывает святые проповедники слова, потому что сами они разве не бездна? Бездна призывает слабости таинств в Петре! Он и не подозревал, что происходит в нем, когда обещал умереть с Господом и за Господа. Какая была бездна! Бездна эта была, однако, обнажена перед очами Божиими. Итак, всякий человек, пусть святой, пусть праведный, пусть преуспевающий в добром, есть бездна! И он призывает бездну, когда, имея в виду жизнь вечную, проповедует человеку о вере и об истине. И тогда только бездна полезна бездне, которую призвала, когда говорит она голосом вождов Твоих («На псалмы», 41, 8, § 13)»¹⁵.

„უხალმუნთა განმარტებანი“ იწერებოდა ჰიპონში, 392/420 წლებში, ე. ი. მთელი 28 წლის მანძილზე. და „უფსკრულის“ მოტივი მასში ისევე ძლიერად ედგის, როგორც „აღსარებებში“ (დასრ. 401 წ.). ზემოთ მოტანილ ადგილს ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიო ლიტერატურაში. ამავე დროს: მსოფლიო ლიტერატურის მთავარი მიზანი (რომლისთვისაც მას არ მოუღწევია და მგონი ვერასოდეს მოაღწევს) ხომ ადამიანის, როგორც უფსკრულის, სრული მოცულობით ჩვენებაა?

ავგუსტინემ შექმნა განუმეორებელი კონტრაპუნქტი და ავი საუკუნეებში ხაპურობს. ეს კარგად ჩანს კ. იასპერსის მოხდენილი მახათებშიდანაც.

ავგუსტინეს „აღსარებათა“ ზოგიერთი მოტივების მიმოხილვის შემდეგ ისევ უნდა დავებრუნდეთ დ. გურამიშვილის პოეზიას, რომელშიაც ჰიპონის მწვემსმოავართან შემხვედარი მომენტები ეგზომ თვალსაჩინოა. უწინარეს უფლისა, თვალში საცემია უფლისაგან ეგზალტური და თავდაიწყებული სიყვარული ორი პოეტის მხრივ, მაგრამ ის, ვისაც ავგუსტინემ უღრმესი სულიერი კრიზისებისა და სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებში გონებრივი ზეტილის შემდეგ მიაგნო თავისთავში (თუმცა მაკობერის ფენომენი იმთავითვე ყოფილა დაბუდებული ოდესღაც წარმართი და შემდეგ მანიქეიზმითა და ელინური ფილოსოფიით გატაცებული ჰაბეუს არსებაში) — მფარველად და მსასობელად გვევლინება ჩვენი პოეტის მთელი ცხოვრების მანძილზე. დ. გურამიშვილი თავის თავს თვლის „გლახა მწირად“, რომელიც მოკლებულია იმ ზვიადობას, ამპარტავობასა და თავის თავისადმი სიყვარულს, რომელთაც დიდხანს და ტრაგიკული შემოგრობით ემართდა სენეკას, ციპერონისა და სალუსტი კრისპის პროზაზე აღზრდილი, წარმოშობით რომელიც და მილან-



რომის პროფესორი და ვისაც ისტორიამ შემდეგ კაცობრიობის ერთ-ერთი თანამგზავრის საბელი მიაკუთვნა.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ დ. გურამიშვილი თვითონა თეოლოგი-პოეტი, როცა იგი ქრისტოლოგიის (მაგ. ტრინიტარული მარტინუსის) ზოგიერთ საკითხს ეჭვგაშთქმნის, ამავეს ამავეს გადმოცემისას:

„მამას და ძესა და სულსა//სიტყვით აქვს განყოფილება// მგებამ ერთ ღმერთად ითქვიანს//ამას არ უნდა ცოლება//მამა უწინადად მალა ჯდა//ქვე ძეს ზედა მოცაყვიდინება//სულს რაღა შეეხებოდა//თვალთაგან არ იხილება“.

ეს სიტყვები ადვილად ჩაისმება ავგუსტინეს მთელ რიგ ტრინიტარისტულ ტრაქტატებში, ვითარცა ელემენტარული ფორმულები.

ქართულ საერო ლიტერულ პოეზიაში ჩვენ

ღოდება შენდა, დიდება, სახით მზეთა-მზეო//მიუწვდომელო ნათელი, გრძელი, ძველი, დღეო//უფალი უფლებათა, მყოფო, შეურვეო// შენ გაქვებ და გვაქვებ, მყოფო, შეურვეო, — //მომხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო//დავით მე გთხოვ, კემშარიტი შენ გზა მიუწყეო.

ან კიდევ ლექსში „არია, რომელ არს გოდება“. ქრისტეს წამებზე აღწერის შემდეგ

მზე, წარუვლი ნათელი//დამიშრტი, ვითა სანთელი//დღე დამიღამდი მზიანი//მით მომივიდა ზიანი.

მზე, შენის პირის სახენი — და ა. შ. პირდაპირ მზეს შესთხოვს პოეტი:

„შენ დამიშვიდე მე გულო//ღრმევი, ფიცხელი და მწყრალი (სობოლინი)“

ან: „დამიხსენ ბნელით, ტანჯვითა ძნელით, ტბილო იესო, მხამს განვიღესო//წამლად სასმელად, წყლურზედ სასმელად//შე სიხელი შენი (სრულული სიმღერის სმე)“.

გურამიშვილი საერთოდ მოაწყენე ადამიანია რუსთაველის დარად, მას სწამს სამება-ერთარბების დოგმატი, რომ „ღვთის სიტყვი ძედ მოვლინდა“, ხოლო სულიწმინდა „მამით გამოსულია“ (იხ. „ნმ, სიმღერა“), ქრისტე კი მიაჩნია „ღვთის ღმრთის ხატვად“, ხოლო „ქვე დავითის (წინასწარმეტყველი, ა. გ.) ძედ“ (იქვე. შდრ. მათე) — და ა. შ.

„დავითიანი“ ერთ-ერთი ძეგლია ქართულ პოეზიაში, სადაც „დაბადების“, (ძველი და ახალი აღთქმის წიგნების) მთელი რიგი პასაჟები პოეტურად მოთბობილი (მაგ. „წარღვის ამბავი“, „ნოეს კიდობანად შესვლა“; „ენის შერევისა და გოდლის ამბავი“, „ადამის საჩივარი“, ჭვარციმის დრამა და ა. შ.). ბიბლიურია

არ გაქვს არც ერთი შემთხვევა, როცა მხატვრული თვალსაზრისით ისეთი სიტყვიერი დიდება აღუვლინათ ჭვარციმისადმი, როგორც გაქვს, მაგალითად, დ. გურამიშვილის ლექსში „მზეთა-მზის შესხმა“:

პოეტი მიმართავს უფალს:

მისი ესპატალოგიაც, მაგ., საიქიოში გადასასვლელი ზიდი ასეა დახატული:

„გრძლად ძეს ბეწვის ზიდი//ზედ მსვლელს გახდის თაში რებად“

მთელი კრებული „დავითიანი“ თავდება ისევ ესპატალოგიური ჩვენებით, ესაა ქართული Inferno-ის ფრაგმენტები:

აქ ნათმდინარე ცეცხლ-მონაკადი//ზედ გასასვლელი წვრილ საბლის ზიდი//განისწავლენით, ქამბაზებრწრომ არ ჩასცივდეთ, დაიწყეთ მწარედი!

ამრიგად, საიქიოში „ცოდელი“ ადამიანს წილად ზედომია ქამბაზის როლის შესრულება!

„კაცის დავა ამ საწუთროსთან“ ერთ-ერთი ძირითადი მოტივია „დავითიანისა“. უწინარეს ყოვლისა, დ. გურამიშვილმა კარგად იცის საწუთროს მუხანათობის ამბავი. ვფიქრობთ, წუთისოფლის ნაცვლად საწუთრო სიტყვის სისტემატური ზმარება მისთან უნდა მომდინარეობდეს ვეფხისტყაოსნიდან, თუმცა იგი გაცილებით ადრე გვხვდება ძველ-ქართულში. ჩვენი აზრით, დ. გურამიშვილის პოეტურ სმენაში მუდმივად ეღერდა რუსთაველის ბრძნული სტროფი:

თუ საწუთრომან დამამზოს — და ა. შ.

შენიშვნები:

1. დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრულ კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი დაურთო სარგის ციციშვილმა, თბ., 1980, გვ.

123. რედაქტორი მართებულად წერს: „გურამიშვილის პოეზია რთული და ჭერ კიდევ ამოუცნობი სიღრმისეული პლასტების შემცველია.“



აღბათ, ამ მიმართულებითაც ჭერ კიდევ ბევრი რამ ამოსაცნობი და ამოსაშფოთია“ (იქვე, გვ. 23).

2. Н. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря. Под ред. И. В. Мегрелидзе. М., Л.-д. 1940, с. 63.

3. შალვა ამირანაშვილი. ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის. ტ. „ქართული შუერლობა“, 1927, № 6-7, გვ. 176-177. ბერთუნის სატრაპეზოს ფრესკებზე ლეთისშობლის ფიგურის აღწერას ეხება იგივე ავტორი წერილში: „ბერთუნის სატრაპეზოს ფრესკები“ (ტ. „ილიონი“, 1922, სექტ. გვ. 26). სპეციალურად იხ. აგრეთვე მის ვრცელ შრომაში „ქართული ხელოვნების ისტორია“, თბ., 1961, გვ. 197-202; განხილულია „ატენის მხატვრობა ლეთისშობლის აპოკრიფული ციკლით“ (შესართლებულია 904-906 წ. წ.).

4. იხ. გ. ჩუბინაშვილის ორტომიანი მონოგრაფია ქართული ოქრომწვედური ხელოვნების შესახებ, აგრეთვე მისი ვეება აღბომი „ქართული ოქრომწვედლობა“ (თბ., 1975). სავანგებოდ იხ. აგრეთვე შ. ამირანაშვილის „ქართ. ხელ. ისტორია“, გვ. 272-274: „გელათის მოზაიკა, როგორც ქედლის მხატვრობის მოწინავე ძეგლი“. იქვეა დასახელებული ლიტრა.

5. იქვე.

6. Karl Jaspers. Die grossen Philosophen (Erster Band... II. Plato Augustin. Kant). München-Zurich, 1981, S. 327-328. (თარგმანი შ. პაპუაშვილისა).

7. თარგმანი ლათინურიდან ხაჩან ბრეგვაძისა.

8. პირველი ორი ტაეპი აქ მოტანილი ტ. ს. ვლიოტის პოემის სტროფისა, აგრეთვე მოაქვს ავგუსტინეს ერთ-ერთ ბიოგრაფს რ. ბატენაუსს (იხ. Roy W. Battenhouse. The Life of St. Augustine (In: Roy W. Battenhouse. A Companion to the Study of St. Augustine. Oxford University Press, London, 1955, p. 22).

9. Richard Ellman. James Joyce. N.-Y., 1959, p. 14.

შენიშვნაში მოითხოვებულია, რომ ფრანგულში ავგუსტინეს ნაწარმოებებში „Contra epistolam Parmeniani“ (ავგუსტინეს ამ ტრაქტატის დაწერის თარიღია 400 წ. კარლ ანდრესენით, ჰ. მარუს მიხედვით კი — 404 წ.).

10. პოლ ვალერი. რწველი პროზა ფრანგულიდან თარგმნა ხაჩან ბრეგვაძემ. თბ., 1938, გვ. 80.

11. B. Legewie. Körperliche Konstitution und die Krankheiten Augustin's. „Miscelanea Augustiniana“. Roma, 1931, S. 25.

(დ-რ ბ. ლეგევი. ავგუსტინეს სხეულის ავებულებანი და ავადმყოფობანი... თარგმანი გურამ კობონიძისა). ავგუსტინეს ყველა ავადმყოფობა ჩვეულებრივი იყო: გაიყვებანი, რევმატიზმი, სასუნთქი ორგანოების სისტემა, ბრონქიტი და მისთ.

12. Платон. Сочинения в трех томах. М., 1968, т. I, стр. 319.

ავგუსტინეს „აღსარებათა“ უახლესი რუსული თარგმანი შენიშვნებში იგივე სტრიქონები ასეა თარგმნილი:

Кто знает: наша жизнь не есть ли это смерть,

А смерть не есть ли жизнь? (frg. 638). («Богословские труды», М., 1977, т. 19, стр. 229. აქვე, კომენტარებში, პლატონის „გორგია“-ს სახელწოდება შეცდომით გაღმობებულია «Горгий»-ად. უ. ი. «Горгий» («გორგია»).

13. Луций Анней Сенека. Нравственные письма к Луцилию. Изд. «Наука». М., 1977, стр. 5.

14. «Богословские труды». М., 1978, С6. 19, с. 261—262.

15. ბუნების ოთხი ელემენტის გამო ქართულ ჰიმნოგრაფიაში, მაგალითად, ასეთი გამოთქმებია: „ოთხთაგან ავებულებითა||ნივთიერთა მათ ბუნებათა...“ („ნევემირებული ძლისპირნი“. გამოსცა, გამოკვლევა და საბეჭდო დაურთო გულნარა კიკაძემ. თბ., 1982, გვ. 355). ან კიდევ: „ოთხთა მათგან ავებულებთა|| ნივთიერთა ჭეცვათაგან ბუნებითა“ (იქვე, 832).



ფარულქრისტიანთა საკითხისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიაში

1461 წელს მეშვიდე II რომ ტრაპიზონი (ლაზურად — ტაშტრა) აიღო და ოსმალებმა იქ ფეხი მოიკიდეს, მათი ძალაუფლება დანარჩენ ლაზეთზე თითქმის არ გავრცელებულა და ლაზი ზელისუფლები, თუმცა ოსმალთა ვასალებად ითვლებოდნენ კიდევ დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში ცვალობდნენ ეწარმოებინათ და მოყოლიდნენ საგარეო პოლიტიკა.

ესქანდერ მუნშის თავისი თხზულებას — „შამ ახას დედის ისტორიის“ ბოლოს, როცა აღნიშნავს შამ ახას I სიყვდილს (1629 წ. 19 ანვარს), მოკლედ ეხება მის პიროვნებას, მისი დროის ცნობილ ამბებს, თუ რა ფართო მასშტაბი ჰქონდა მის საერთაშორისო კონტაქტებს, რომ მასთან მიმოდიოდნენ ელჩები სხვადასხვა ქვეყნების მმართველებიდან. „ამ მმართველებს შორის იყვნენ ქრისტიანი მმართველები: ლაზეთისა, გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, პოლანდიისა, პორტუგალიისა და ესპანეთისა, ისევე როგორც კაპი, რომელიც წარმოადგენს უკველაზე დიდ ქრისტიან მმართველს — ქრისტიანების ხალხებს და არის მაგალითის მიმცემა უკველა ქრისტიანული სექტისათვის. შამის კარი იშვიათად იყო უცხოური ელჩების გარეშე“.1 ესქანდერ მუნშის წიგნის ინგლისურ ენაზე შთარგმნილი რეჟერ მ. სეივორი ამ ადგილს უცნობებს შემდეგ კომენტარს: „ლაზები არის ხალხი სამხრეთ კავკასიაში ტომისა, რომელიც ცხოვრობს შავ ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მიმდინარე რეგიონში, უძველეს კოლხიდაში. აქაური მიმართება ელჩების ვაგზავნასთან სფერონებთან წარმოადგენს მნიშვნელოვან საბუთს მათთვის მიმართულთა ვირტუალური ავტორიზაციის XVII საუკუნეში“2

ესქანდერ მუნშის ამ ცნობაში ჩვენთვის ამჟამად სინტერესოა არა იმდენად ის, რომ

ლაზი ზელისუფლანი აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და თანაც იმდენად დამოუკიდებელს, რომ ამყარებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობას ოსმალეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან, რამდენადაც ფაქტი ლაზეთის მოხსენიებისა ქრისტიანულ ქვეყნად ამდროინდელი ევროპის ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის. თვით ოსმალური ტენდენციური წყაროებიდანაც ჩანს, რომ ტრაპიზონის ვილაიეთში XVI საუკუნეში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქრისტიანები შეადგენდნენ, მაგალითად: „სურმენის ნამიეში 2514 კომლიდან მუსულმანურია მხოლოდ 124, რიზეს კაზაში — 2225-დან 162, ათინას კაზაში — 888-დან 684“3 და ა. შ.

რადგან XVII საუკუნის მუსულმანი ისტორიკოსი სპარსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის მქონე ქრისტიანული ქვეყნების ჩამოთვლას ლაზეთით იწყებს, უნდა ვივლით ხშირ, რომ შემდეგში ლაზეთის ტერიტორიაზე მუსულმანობის გავრცელებას დიდი სიჩქარეები უნდა შეხვედროდა.

ტრაპიზონის ვილაიეთის ტერიტორიაზე ანუ შავ ზღვასა და პონტოს (იგივე ლაზისტანის) ქედს შორის მდებარე მიწის ვიწრო ზოლზე ეთნოგენეტიური პროცესები, ანატოლიის სხვაოქმებთან განსხვავებით, ძალიან წელი ტემპით მიმდინარეობდა და ავტოქტონურ მოსახლეობას ხალხთა ადრევის პროცესმა თითქმის გვერდი აუარა. სამაგიეროდ, გააშქვრები როლი აქ ითამაშა ეთნორელიგიურმა ფაქტორებმა, რამაც აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის მოქცევაში სიჭრელე გამოიწვია.

ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაში რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ არც ძველ და არც მოგვიანო ხანის ავტორები არაფერს იწყებენ. თუ-



მცა, როგორც ცნობილია, შავი ზღვის საზღვრით-აღმოსავლეთ სანაპიროებზე ჩვენს წელთაღრიცხვაში IX-V საუკუნეებში ჩნდება ცალკეული ბერძნული ქალაქ-კოლონიები, რომლებიც უცხოელებზე უპრობას ეწევიან ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის შედეგადაც ეგეოსისა და შველთაშუაზღვის ეკონომიკურ ბაზარში ჩაერთო ავტოქტონური ეთნიკური ელემენტი, ამან კი ხელი შეუწყო მომდევნო საუკუნეებში ბერძნულ-რომულ კულტურულ საზღვარსთან კონტაქტს.

ბერძნული ეთნიკური ელემენტი ქვეყნის სიღრმეში არ შექარაღა: „... როგორც ჩვენ ვცადეთ დავგვემტაცებინა, — აღნიშნავს ბ. დ. ლორთქიფანიძე, — არ აღმოცენებულან ბერძნული პოლიტები საწინამოქმედო ეკონომიკით. ვ. ი. ქალაქები სიღრმისეული სტრატეგიითა და ტერიტორიით. მართლაც, არქეოლოგიური გაშრკვლევები კლავთის ზღვაპასირა ზოლში ...მოწმობენ, რომ როგორც შავი-ზღვისპირა ბერძნული კოლონიზაციის დასაწყისსავე, ასევე მის პერიოდში, შიშლი ეს ტერიტორია მუარად იყო დაკავებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომლის საწარმოო საქმიანობაც, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობასთან (კერამიკული, ტყინის დამამუშავებელი, საფეიქრო) ერთად, დაკავშირებული იყო ზღვასამაც (თევზჭერა და მარალიის რეწვა). უკვლავებს ეს, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ბერძნების აგრარული კოლონიების განვითარებას“.¹

დ. ე. ერემიევი, თურქთა ეთნოგენეზისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომის ავტორი, აღნიშნავს, რომ „სპარსული, შემდეგ მაკედონულია ბატონობა ნაკლებად შეეხო ამ მხარეს, რომელიც გამოყოფილია მკაცრ აზიის დანარჩენი ნაწილებისაგან პონტოს მთებით. მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ აქ წარმოიქმნენ დამოუკიდებელი მონათმფლობელური სახელმწიფოები — დახავთიათ — პათლაგონია, აღმოსავლეთით — ბერძნულ-ლაზური პონტოს სამეფო. IV საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძნული კოლონიზაცია გაძლიერდა, რამაც გამოიწვია, განსაკუთრებით დასავლეთ რაიონებში, ელინური კულტურის გავრცელება. მაგრამ ლაზიაში რიცხობრივი შეფარდებით ლაზები სპარსობდნენ ბერძენ კოლონისტებს. ჩვენი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებში ლაზებმა გადაადგდნ რომაელთა ბატონობის უღელი, შექმნეს ეგრიის სამეფო, რომელიც გაშლილი იყო მდინარე ეშილი-რამაქიდან რიონის დაბლობამდე. VI ს. იგი დაპყრობილ იქნა ბიზანტიელების მიერ. ...XIII ს. დასაწყისში ლაზიაში, საქართველოს მხარდაჭერით, შეიქმნა ბერძნულ-ლაზური სახელმწიფო — ტრაპიზონის იმპერია, კართველია დედოფლის ნაესკავების — ალექსი და დავით

კონუნოსების (ლაზურად — კომანარა, წ. ა.) ძალაუფლების ქვეშ“.⁵

თითქმის ორასწლეულია მის შესწავლას უფრო ხშირად კი ბერძენთა უშუალო ბატონობას, არ შეიძლება იკალი არ დაემჩნია აქური ქართული ტომების მდგომარეობაზე.

ლაზთა ელინიზაცია საუკუნოვან საუკუნეებში დაიწყო და, ხოლო ქრისტიანობის წარმოშობასთან ერთად, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში „ილია განსაკუთრებით ნუოფიერია ნიდაგი სწორედ პონტოს პროვინციებში“⁶ ადგილობრივი მოსახლეობის ანიმიზაცია გაძლიერდა, რამაც, ცხადია, ხელს უწყობდა ის, რომ სახელმწიფო და საეკლესიო ინა იყო ბერძნული.

ტრაპიზონის ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ლაზეთის ქალაქური მოსახლეობის ბერძნულ ელემენტს შეადგენდა, გასახლებულ იქნა კონსტანტინოპოლსა და ბალკანეთში, ბევრი გარბოდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსაკენ, ხოლო აქ რასახლებებს თურქულ-ენოვანი ტომისა და ალბანელების გარკვეული რაოდენობა“.⁷ ადგილობრივი, ძირითადად სოფლის, ლაზური მოსახლეობის ისლამიზაცია კი საქმიად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ამას მრავალი ფაქტორი უწყობდა ხელს, მაგრამ მათგან უმთავრესი იყო მუსულმანიზაციის საგადსახადო უღლის შენსუბუქება და გაბატონებული ტომის უფლებათა მიღება, რადგან მხოლოდ მუსულმანს ჰქონდა „იარაღის ტარების უფლება და უნდა ჰქონოდა მდგომ ქრისტიანს შეხედრისას გზა უნდა დაეთმო ყველაზე დაბლა მდგომი მუსულმანიზაციის“.⁸

ისლამის რქულზე გადასვლა ზოგჯერ მხოლოდ მოჩვენებითი იყო და ისლამზე გადასული ქრისტიანები საუკუნეების განმავლობაში „უარულად მისდევდნენ ძველ მართლმადიდებლურ ადო-წესებს“.⁹ ქრისტიანები კი, როგორც ვიცით, ოსმალთა იმპერიის ბოლო დრომდე, რომ არაფერი ვთქვათ მისი ძლიერებასა და აუკავებს პერიოდზე, აბსოლუტურად უფლები იყვნენ, ამიტომ ახალმოქცეული მუსულმანი ერთგულად იბრძოდა თავის გარემოცვაში ისლამის დამკვიდრებისათვის. ჩვეულებრივ და, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სოფოადოების შეძლებული ფენა, რომელიც ცდილობდა არ დაეკარგა თავისი მამულები და შეეცა სარგებელი მიეღო სასულიერო პირთა და მოქალაქეთა ნაწილი ხშირად იცვლადნენ თავიანთი რელიგიის დოგმებს და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად იღებდნენ გრიგორიანობას, კათოლიკობას, უფრო ხშირად კი ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს და მათივე მუსულმანი თანატომების თვალში

ხედიოდნენ შესაბამისად: სომხებად, ფრანგებად და ბერძნებად. ქართველები კი „სწორედ ამის გამო მუსულმან ქართველს უწოდებდნენ თათარს ან თურქს (მისი მიხედვით თუ ისლამის რომელ მიმდინარეობას აღიარებდნენ — მიიწმის თუ სენიწმის). ქართველს, რომელსაც გრაგორიანობა ჰქონდა მიღებული — სომეხს, ქართველ კათოლიკეს — ფრანგს, იუდაიზმზე გადასულს კი — ებრაელს“.¹⁰ ამის შესახებ ჭერ კიდევ XIX საუკუნეში ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ეთრნალისტი ნ. შეხში გულისტკივილით წერდა: „იდიო ხანია მას აქვთ, რაც ჰქონდა უკველი კავშირი გავწყვიტეთ ისმალის საქართველოსთან, ახალს ქართულ ლიტერატურაში ორა სიტყვაც არ თქმულა მათზე“.

ისინი ჰყენდნენ მძებრთა ვითვლიან და ჰყენდნენ კი იმით ოსმალურებათ ვრაცაყვამ“.¹¹ ასე რომ, მუსულმანობის შემოკრახვისთან ერთად, ისედაც რთული ეთნორელიგიური შემადგენლობა ადგილობრივი მოსახლეობისა საბოლოოდ აირია. ელნიწიარებული ავტოქტონების ნაწილმა სიხარულით ვასცვალა „საზოღარო“ დამპყრობელი ბერძნების ენა და რელიგია თურქულ ენაზე და მუსულმანობაზე, ნაწილმა კი კიდევ უფრო განაზრცივა თავისი „ბერძნული“ თვითშეგნება. თუმც ერანიც და მეორენიც დღემდე ინარჩუნებენ ლაზურ ანთროპოლოგიურ ტიპოურობას, უოფანა და უწოდებენ თავიანთ თავს ლაზებს, თავის ქვეყანას კი ლაზისტანს.

XIX საუკუნეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მოსახლეობის მიწვეწელოვან ნაწილი ჭერ კიდევ ინარჩუნებდა ქრისტიანობას და სხვებისგან იწოდებოდა „ბერძნებად“, თუმცა როგორც აღნიშნავდა ნ. შარა: „არაან აგრეთვე ბერძნები, კავასიელი ბერძნები, რომელთა ეროვნების ვამოცნობა უკველითვის როდო ბერძნებთა ენის და კიდევ უფრო ნაქლებად რელიგიის მიხედვით“.¹²

ჭ. პალგრევი თავის ანგარიშებში ანატოლიის პროვინციების შესახებ, წერს, რომ „მოსახლეობის მიწვეწელოვანი ნაწილი ახლაც ჭერ კიდევ შედგება ე. წ. „ბერძნებისაგან“... და ბოლოს, ვინა-დან მოუღებელი აღმოსავლეთით, ტრანიონიამდე ვკვებება უფრო წარმოსადეგი და ლაზია ტაი, რომელიც ლაზებს ანუ კოლხებს მოგვაგონებს“.¹³ თუმცაღა 1887-1888 წწ. ანგარიშებში თვითვე ამბობს, რომ „ორივე სქესის მოსახლეობის საერთო ჩაოდენობა ადგილობრივი ლიბინისტრაციის ოფიციალური მონაცემების მიხედვით 850 000-მდე აღწევს. მათ შორის 58 000. ქრისტიანია, ამ უკანასკნელთა შორის ორი მესამედი თავს ბერძნებს უწოდებს, დანარჩენი სომეხია. მუსულმანური მოსახლეობა ძირითადად ლაზებისაგან წარმოსდგება: ეს მშვენიერი რასაა, ისინი კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეწელო-

ურები არიან“.¹⁴ ცოტა ქვემოთ კი, როცა ეხება იქაურ ბერძნებს, ეწერება: „სწორედ და აღნიშნოს, რომ აქვეწელოვანი ბერძნები სინამდვილეში სხვა არაიანა თუ არა ლაზები, რომლებმაც ბიწანტაის პერიოდში მიიღეს ქრისტიანობა და მას შემდეგ თავისებურად ინარჩუნებენ მას“.¹⁵

მუსულმანთა და ქრისტიანთა გვერდით XIX საუკუნეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ხანტერესო ეთნორელიგიურ მოვლენას წარმოადგენდნენ ე. წ. კრომლები. სხეციალურ ლიტერატურაში მათ აგრეთვე სტავროტებს, კომატქრისტიანებს, კარაშალიებს, შელო-შელოებს და უბრალოდ ლაზებს უწოდებენ: „ტრანიონიდან მოუღებელი აღმოსავლეთით, ლაზეთის ქედის ჩრდილოეთით, ნაწილობრივ კი სამხრეთით ფერდობებზე კარბობს ბერძნული (ქრისტიანული, ე. წ.) ტომი, რომელიც აქარად მისდევს ბერძნულ სარწმუნოებას, არა აქვს საუთარი ცალსიები და ეფარება თურქთა (მუსულმანთა, ე. წ.) წესჩვეულებათა აქარა შესრულებას. სწორედ ამ განდგომილებს უწოდებენ თურქები ლაზებს, რომლებსაც არ მიაუთვნებენ არც ურბუმებს (ბერძნებს) და არც გურქებს (ქართველებს) და არაუთარ შეთხვევაში ოსმალ-თურქებს. თურქები ირწმუნებან, რომ ლაზებს აქვთ რაღაც საუთარი სარწმუნოება. რომელიც არ გავს არც ბერძნულს, არც ქართულს, არც თათრულს, არამედ წარმოადგენს ყველა ამ სარწმუნოებათა ნარევს“.¹⁶ ცოტა ზევით იგივე ავტორი წერს, რომ „ჩრდილოეთის ფერდობის ტოლი სანაპირო სივრცე, ტრანიონიდან მუყოლებული აღმოსავლეთით შავ ზღვასთან ღეღე შენის შესართავამდე, ძირითადად დასახლებულია ხალხით, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს ლაზებს, რომელთა წარმოშობის უწყველობით გარკვევა ძეღლი: დასაშვებია ვეგარადოთ, რომ ისინი წარმოშობილი არიან თავის ენა და სარწმუნოებადაქარგულ ქართველთაგან, თუმცაღა ბერძნები და თურქებიც კი მარწმუნებდნენ, რომ ეს ხალხი (თუმცა არა მთელი მასა, არამედ ნაწილი) ფარულად აღიარებს რაღაც სხვა სარწმუნოებას, ხოლო სახელდობს რომელს, ამის გავება შეუღებელი აღმოჩნდა“.¹⁷

ამ მხარეში რამიე განსაკუთრებული რელიგიის არსებობის შესახებ ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აქ, უპირველეს ყოვლისა, აღნათ, ქრისტიანობისა და ისლამის თანდათანობითი შერწყმა იგულისხმება და, აგრეთვე, ქრისტიანობამდელი წესჩვეულებებისა, რომლებიც ამ მხარის ავტოქტონებს ჭერ კიდევ შეშორებათ. თუმცა არა ამის გამოცხადებელი, რომ აქ ე. წ. სტავროტები (კომატქრისტიანების — კრომლების) შესახებ იუოს ლაპარაკი.

პ. ედვინი თავის წიგნი „თურქეთი და მისი ხალხი“, ამ პირობების მთელ თავს უძღვნის და წერს: „სტავროპოლის უმრავლესობა ლაზისტიანიდან არის გამოსული. ბევრი მათგანი მადანიშობილებელია.“

ლაზთა უმრავლესობა ფანატოკის მუსულმანია, მაგრამ მათ შორის შეიძლება ლაზ ქრისტიანებსაც შეხვდეთ.

ისინი, ისევე როგორც ბევრი სტავროპოლი, დიდ მანძილს ფარავენ სამადნოებზე სამუშაოს ძებნაში. ვფიქრობ, რომ მათი პოვნა უფრო მრავლად შეიძლება აქად-მადნის სამადნოებზე, რომლებიც ანკარის ცილიაიშია. მათ შუაშა თვისია ბისმუტის, ცხდაი, მართლმადიდებელი, ის იმყოფება გიფუშისანში (ვერტლას საწყობი). მას შორის უხდება მოგზაურობა თავისი „სამწყობის“ უზრადლების მიხაქცვად ბევრი მათგანი იმყოფება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, არიან სხვებაც; ისინი მუშაობენ სამადნოებზე, რომლებიც მდებარეობს ერცელის მახლობლად, კონიას იქით. და აგრეთვე ტავროსში“.¹⁸

ამგვარად, კრიპტოქრისტიანების ძირითად მასას, უოველ შემთხვევაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მიანიც, ლაზები შეადგენენ. იგივე ავტორი სტავროპოლისადმი მიძღვილ თქვენი წერს: „უბეჭდულია, რომ მცირე აზიაში ცხოვრობენ კრიპტოქრისტიანები, რომლებსაც მამადაინებად თვლიან. 1914 წელს მართლმადიდებელ პატარაქს ჰქონდა საქმე, რომლის დიდი უზრადლება მიიყვია სტავროპოლის ქალაქში, ქრისტეს მიმდევრების სახელით რომ არის ცნობილი და ბათუმსა და ტრაპიზონს შორის რომ მოსახლეობს. მართლმადიდებელი მღვდელი ციხეში ჩასვენ ამ სექტის ერთ-ერთი წევრის დავრამდებისას ქრისტიანული წების შესრულების გამო, მიცვალებული ბედისუფლების მტყიცებით მუსულმანი იყო.“

მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც ისლამსაც უზღვდნენ მარცხ, იმდენად მრავალ რაიპოვანნი იყვნენ, რომ პატარაქს ეზინოდა აჩაწებისა თუ მოძღვარს არ გაათავისუფლებდნენ. მთელი მსოფლიო შეიტყობდა ამ სჯანდალსა და ამის შესახებ თუ როგორ უშლიდნენ ხელს აღმანიებებს მოგზადათ თავისი ქრისტიანული ვადა. პარტამ (ოსმალეთის შთავრობამ, წ. ბ.) დათმო“.¹⁹

იგივე ავტორი წერს, რომ ლაზისტიანი „ამყოფება დაახლოებით 80 ათასი სტავროპოლი. ისინი ამგვარად აღიარებენ მუსულმანობას, თუმცა ფარულად ქრისტიანულ წესებს ასრულებენ. ისინი დასაშვებად არ თვლიან მრავალცილიანობას. ქორწინების ცერემონიალი ქრისტიანულია, მას ატარებენ ჰეის სახლში ან ხარადუში. შემდეგ, მუსულმანობისადმი კუთვნილებისადმი მოჩვენებითი შთაბეჭდილების შესაქმნელად, აგრძელებენ ცერემონიალს მამადიანური წესების დაცვით. ერთმა ნდობის

ღირსმა ბერძენმა მიაშობ ისტორია, იმის შესახებ თუ როგორ ეწვია შინ *ქრისტიანული* საც უოველთვის მუსულმანურად *ქრისტიანული* სურთა იყო გაწუმილი, რომლის ერთ მხარეს ელავა სამარხო საკმელი, მეორე მხარეს კი — ხორცი. ის გააკვირვა მათმა მახვდელიობამ, რომ მისთვის სამარხო საკმელი მოეზადებინათ, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ისინი თვითონვე იყვენ დიდმარხვას (ქრისტიანულს, წ. ბ.), ხოლო, რაც შეეხება ხორცს, ის სტუდისთვის არის მომზადებული. ცოტა ხანში სახლი მოლა შემოვიდა, რომელმაც სტუდართა გასაოცრად ქრისტიან მღვდლად აჩვენა თავი“.²⁰

რაც შეეხება მათ ზეუღლებებს, „როდესაც სექტის წევრი კვდება, ქრისტიანული ცერემონიალის გვარდით სრულდება მუსულმანური. ამ თემის მოხუცებმა გვიხიბრეს, რომ 50 წლის წინ მათი საიდუმლო ცერემონიალები დიდი სიფრთხილით უნდა უტარებულყოფიყო, მაგრამ ახლა, იმის გამო, რომ მამაკაციც ტარ კიდევ ითვლებიან მუსულმანებად და ამდენად სამხედრო ვალდებულნი არიან (ოსმალეთის იმპერიის ტარში იწვევდნენ მხოლოდ მუსულმანებს, წ. ბ.), არაფერ იწუხებს თავს იმის გასარკვევად, მართლაც ქრისტიანები არიან ისინი თუ მუსულმანები“.²¹

ერთ-ერთი უდიდესი პუნქტი, სადაც კრიპტოქრისტიანები ცხოვრობდნენ კრომის სახედროდებით, ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთის უველა ფარულ ქრისტიანს კრომილი უწოდებს. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, კრიპტოქრისტიანები ანუ კრომილები წარმოშობით ძირითადად ლაზები არიან, თუმცა ზოგიერთი ავტორია, მათ შორის ა. შაენიკოვი, საქმეში ჩაუხედავად, უველა ფარულ ქრისტიანს ბერძენად მიიჩნევენ. კერძოდ, ის წერს: „კარამანლება (კრომილება, ან სტავროპოლის) — გათურქებული ბერძენები (ალბათ ავტორის იმის თქმა უნდოდა — გამამადიანებულნი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, წ. ბ.)... რელიგიის მიხედვით ოფიციალურად მუსულმანებად ითვლებიან, მაგრამ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტყიცებს, ფარულად აღიარებენ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას (რისთვისაც მათ აგრეთვე კრიპტოქრისტიანებს უწოდებენ“.²²

უნდა აღინიშნოს, რომ კრომილების სარწმუნოებას წარმართულ კულტებთანაც ბევრია საერთო აქვს.

წარმართობისა და ქრისტიანობის გადმონათობი დღემდე შემორჩა ლაზთა უოფაში, ძირითადად ქალთა შორის; ისინი, მამაკაცთაგან განსხვავებით, ენისა და ტრადიციების ჰეშმარიტი დამკვლავები არიან: „პარულთა და ლაზური მოსახლეობის მამაკაცური ნაწილი სხვლოდ მოხვდა თურქთა (მუსულმანობის,

წ. ბ.) გავლენაში, მაგრამ ქალები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ნახევრად წარმართულ. ნახევრად ქრისტიანულ ზოგიერთ იდეას, რომლებიც ძლიერ ახლოს არიან გურიაში არსებულ ასეთივე იდეებთან. დღევანდლაშივე აპარატებს შემორჩილ პატრიარქთან ქრისტიანული ძველებშიადაში, რომლებიც მრავლად არის შეგები. მათ მიმართაც ქალები ძვირფასი არსების ავადმყოფობის შემთხვევაში, ლოცვით გამოსთხოვენ წმინდანებს განკურნებას, სწორადვე მსხვერპლს, ნანგრევთა კედლებზე აწებებენ თაფლის სანთლებს, ბუჩქების ტოტებსზე ახავენ თავისი კაბის ნაჭერებს, რათა მათთან ერთად, ლოცვის შემდეგ, დატოვონ თავიანთი სწეულებანი, წმინდა ადგილებს ეწვევიან ზოლმე მუსულმანები ამა თუ იმ ქრისტიანული წმინდანების დღეობაზე. გაუცხოებულად და ნახევრად გაუცხოებულად, რასაც ისინი იმით ხსნიან, რომ ახე იქცეოდნენ მათი წინაპრები".²⁵

აქედანვე ა. ჩიქოვანა განუთრის ტექსტების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ლაზეთში „ქრისტიანობის ადათ-წესები, მოსახლეობას კარგა ხანს ახსოვდა. ზოგჯერ მას იცავდნენ არა როგორც ვარკვეული სარწმუნოებისთვის ნიშნად, არამედ, როგორც მამაპაპათაგან ნაადრევად ჩვეულებას, რომელიც უპირისპირდებოდა ახალს, უცხოურს, მუსულმანურს, როგორც ძველი, მშობლიური, საყურადღებო ჩვეულება".²⁶

ს. მესხი თავის წერილში „სომხლოს საქართველო“ წერს, რომ აქართო ქართველები „თუშთა დღეი ხანა გახამადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარბიან თურმე იქაურს ქართულ ცალსიების ნანგრევებში და შესაწირავი შიკვეთ. იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამომენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია, ერთს ბედდა და უბედურობის ქვეშ ვუყოფილვართ, ერთი მუცებით გვიოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება.

ეს უკვდა იმათ ახსოვთ, იმათ იციან, მაგრამ ჩვენ?

ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე, მთებს გადაღმა ორას ათასმდე ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილინი, ძმები ვართ, რომ ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფო ექვემდებარებთან? ან თუ ახსოვს ვინმეს, ვინ ცდილობს, რომ ჩვენს შორის ისტორიულ ვითარებათა წყალმობი განწყობილი კავშირი და იმათი მდგომარეობა გაეცნო, და აგრეთვე ჩვენი თავიც ვაეცნო ჩვენი მომხვედრისათვის".²⁵

როგორც ნ. შარი და ბ. ა. კულტანი აღნიშნავენ, ლაზთა შორის აქამდე შემორჩა მითრას კულტი და მასთან დაკავშირებული რიტუალები:

ბი: „ძველი იბერიის სახელმწიფოში ძლიერ გაცვიოთ დაწვლიად სწორედ ქვეყანაში დარტულ ფაშაში არსებული უფლებები ქრისტიანობის (ძველი სპარსული მითრას, ფალაური მითრას) პატრიარქთან აქამდე კიდევ ლაზთაში შემარჩუნებულია, ზაფხულის მზებულობის პერიოდშივე, ხოლო ზოგიერთი ცნობის მიხედვით, წარმოადგენს 14 აგვისტოს (ძველი სტილით) სახალხო დღესასწაული, რომელიც ცნობილია მითრასის (მითრობას ნაცვლიად) ან ლიტრობის სახელწოდებით, ზღვაში რიტუალური განხანვითი".²⁶

ბ. ედუარდი კი აღნიშნავს: „გულდასმითი კვლევა დაადგინს, რომ სანტერესო რელიგიური რიტუალი ღვინის მიღებისა, კრიპტოქრისტიანთა ზოგიერთ სექტაში შეტად დაფასებულია, სინამდვილეში მითრასის თუ ქრისტიანული ზარების გადმონათობა".²⁷

ამასთან ერთად, XIX ს. დასასრულსაც კი იყვნენ „მთელს ზღვისპირა მთიან ქვეყანაში „ფანატულნი ბერძნული (ქრისტიანული, წ. ბ.) დასახლებანი. ზოგიერთი მათგანი შორეულ გვერდითა ხეობებში მდებარე, აშკარად აღიარებენ მართლმადიდებლურ რელიგიას და იყენებენ ბერძნულ ენას. თავის წევრთა შორის თვლიან მემდგარ მღვდლებს და მთელს სამონასტრო სამსახურს, რომლებიც ცხოვრობენ განმარტებულ მონასტრებში. სხვებმა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლეს რა გამარჯვებულ ფანატორსთა მოქოლას, ისლამი მიიღეს, ლაპარაკობენ თურქულად, ატარებენ თურქულ სახელებს, საქართო ლოცულობენ მეჩეთში, მაგრამ ფარულად, ბერძნებისათვის დამახასიათებელი სიჭოტით, ვერ ეღვიან მშობლიურ წესებს და რელიგიას, ინარჩუნებენ ბერძნულ სახელებს, იცრიბობან მთის გამოკვებულებში და იქ ფანატორი მორწმუნეობით ემსახურებიან თავის წინანდელ ლერტოს".²⁸

აქ არ იქნება უადგილო გავიხსენოთ მ. აქარიანის სიტყვები, რომ „ტრაპიზონში, გათმუშხანში, კლატანასა და სხვა ადგილებში მცხოვრები ქრისტიანი ლაზები ექვემდებარებიან კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ლაპარაკობენ ბერძნულად. რიზეს, იოზურას, ოღის, სურმენის და სხვა რაიონებში მცხოვრები მუსულმანი ლაზები კი ლაპარაკობენ თურქულად".²⁹

რომ აქ ნამდვილად ლაზებზეა ლაპარაკი და არა ბერძნებზე, მშვენივრად ჩანს მისიონერული ვრანდის ცნობიდანაც. 1815 წელს იგი წერდა: „დაბა რიზე მდებარეობს ლაზების ქვეყანაში, რომელიც ვანერკობილია ტრაპიზონიდან საქართველომდის. მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც უფრო ახლოსა ტრაპიზონთან, ლაპარაკობენ ბერძნულად. იმაში კი, რომელიც უფრო ახლოსა საქართველოსთან, ლაპარაკობენ, სავითოდ, სამეგრელოს ენაზე... ამ მითრასიდან ნაწილს, რომელიც დარჩა წინანდელ მცხოვრე-



ბოგან (ქრისტიანებად), შერჩენილი აქვთ მხოლოდ ქრისტიანული სახელი და ნათლის დება, რომელიც მათზე იყო უკვე შეხარულებული.³⁰

ამას ვარდა, თვით „ლანთა, რომლებიც ხშირად აღვიწვენ თავს მართლმორწმუნე მუსულმანებად, მაშინდინურ რელიგიაშიც შემონახულია ბევრი ქრისტიანული ჩვეულება.“³¹

ცნობილი რუსი მეცნიერი და მოგზაური პ. ა. ჩიხაროვი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა იმხალეთში, ამ სინტერესოვ ეთნოგრაფიკური მოვლენის შესახებ წერს: „მოსახლეობა თვით პრაქტიკულ სოფლებშიც კი — გირსუნსა და თირებოლუს შორის — ისევ-როგორც თირებოლუსა და ვიუშუმხანეს შორის, წარმოადგენს საინტერესო მოვლენას რევინგსა (რელიგიური კუთვნილება, წ. ბ.) მოსახლეობის უმრავლესობისა შერეულია, ისინი აშკარად აღიარებენ ისლამს და საზოგადოებრივ ადგილებში ლაპარაკობენ თურქულად, მაგრამ ფარულად ასრულებენ აღმოსავლურ ბერძნულ ეკლესიის წესებს, შინ ლაპარაკობენ ბერძნულად და თითოეული მათგანი რ სხეულ ატარებს, ასე, მაგალითად, რომელიც მათგანი დილას გამოჩნდება თვით ან მწვანე ჩაღმაში („ნად მართლმორწმუნეთა“ ფერები) და ეძახიან ახმედს ან ხედომს, საღამოთი კოხში ან ფარულ მღვიმეში ის უფროდებდა თავის ერთმორწმუნეთ ქრისტიანულად რელიგიის წესს საიდუმლოდ შესასრულებლად პაპს-ის (მღვდელის) ხელმძღვანელობით, რომელიც რამდენიმე საათის წინ მერეთში მოლას როლს ასრულებდა. აქ ხალხი ლაპარაკობს ბერძენთათვის დამახასიათებელი სწრაფმეტყველებით, და ატარებენ უკვე სხვა სახელებს — გიორგი, ხომონი ან პეტრე.“

ქრისტიან-მუსულმანთა უმრავლესობა წარმოშობით საქაოდ დიდი სოფლიდან — კრომი-დანაა, რომელიც მდებარეობს ვიუშუმხანედან ჩრდილოეთით — ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 80 კილომეტრზე. აქედან ისინი განსხვავდნენ მიდის რაიონში ტრანიზონის, ვიუშუმხანესა და თირებოლუს შორის და ატარებენ სანაპიროს ზოგიერთ ადგილას. მათი რაოდენობა, სულ მცირე, 50 000 აღწევს.³²

ეს ციფრი გადაჭარბებული არ უნდა იყოს. მაგალითად, ა. ა. სოკოლოვი წერს, რომ მხოლოდ „ტრანიზონში და მის შემოგარენში 1880 წ. აშკარად განიცხადა თავი ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლად 20 ათასამდე მცხოვრებმა, რომლებიც ძველთაგანვე იპყნენ ქრისტიანები და ფარულად, ღამით ასრულებდნენ ქრისტიანობის უკვლა მოთხოვნას, მაგრამ მუსულმანებისადმი შეშის გამო და თავისი მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესამსუბუქებლად თავს მუსულმანებად ასაღებდნენ.“³³

ვიურ შემადგენლობაზე ლაპარაკისას, მ. ა. უბინინი აღნიშნავს: „არაინა კიდევ დასწები, შავი ზღვის ნაპირის ვასწვრობა ტრანიზონის აღმოსავლეთით, რომლებიც, დრეწების შესავსად, ერთნაირად აღიარებენ ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ისლამიზმს. ისინი აღიარებენ 20 000 მდ.“³⁴

აქ, ორივე შემთხვევაში, ლაპარაკია კომპლექსის შესახებ, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სარგებლობდნენ რა რუსი და ევროპელი კონსულების მხარდაჭერითა და მფარველობით ოსმალეთის ამ ნაწილში, დაიწყეს ქრისტიანობაზე აშკარა გადასვლა. ამიტომ მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა: „ვიუშუმხანეში, კრომილებს მართლმადიდებლობასთან შერწყმის დროიდან, მოსახლეობის დღემა ნაწილმა სხვადასხვა ბერხით შეძლო რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება, უპირველეს უოვლესა, იმისათვის, რომ არ უოფლიყვენ დრენილი სარწმუნოების აშკარა აღმსარებლობისთვის.“³⁵

აქ არ იქნება ურიგო შევნიშნოთ, რომ ისტორიულ ლიტერატურაში დაშვედრებული თვალსაზრისი, თითქოს არამუსულმანები ოსმალეთის იმპერიაში განიცდიდნენ უმოწყალო დისკრიმინაციას, დაზუსტებას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ მუსულმანური იდეოლოგიის გატარების პირობებში ოსმალეთის იმპერია ვა მოიჩივლა შედარებითი რაქულმეწყურებლობით. მოსახლეობის ძალდატანებითა გამუსულმანების პირობებს მისობრივი ხასიათი არ მიუღია, ეს არც შეესაბამებოდა იმპერიის სოციალ-ეკონომიკურ ინტერესებს, ჩვეულებრივ მუსულმანობას მოსახლეობა აღებდა საკუთარი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობების გააუმჯობესებლად.

მუსულმანობა, რომელმაც ჯერ კიდევ „იდეოლოგიის“ დროიდან დაიწყო შემოქმარა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, იმათივე ეტყუმოდა ადგილობრივ ქრისტიანულ ტრადიციებს.

ვ. გ. გორდლევისკო იბნ ბავუტაზე დაურდნობის წერდა, რომ „ჩრდილოეთში, შავ ზღვა-სთან არა მხოლოდ მოსახლეობა, არამედ უადიც კი, ისლამის ოფიციალური წარმომადგენელი, არღვევდნენ სუნას.“³⁶ თუმცა ლაზეთში გაშუსლმანების პირობები საქაოდ სწრაფად მიდიოდა, აქ „ქრისტიანებს და მუსულმანებს ახლოვებდნენ, ეხადია, ხშირი ურთიერთქორწინებანი, შესუსტებული რელიგიური და პირისპირება ქვედა ფენებში რბილდებოდა; ბიზანტიის იმპერიის განაპირა მხარეებში ორთოდოქსული ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) სუსტდებოდა, მაგალითად, საქართველოში ვრცელდებოდა ერთი მხრივ, მანქველობა, მეორე მხრივ, კი სუფისტური მოძვერება“.³⁷

ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობის რელი-

სულთან კეთილშინის მიერ გატარებული სოციალური რეფორმის პრინციპი, რომლის მიხედვითაც „უცხეობა და მონება, რომლებიც მუსლიმანურ მცირე აზიის ლატიფუნდებში, მან გამოაცხადა თავისუფლებად და მათ მასობრივად დაიწვეს ისლამის მიღება“³⁸ სახელმძღვანელოდ ჰქონდათ, როგორც ხელაფებს, ასევე ოსმალებს.

ამას გარდა, „ბერძნული (ქრისტიანული, წ. ბ.) მოსახლეობა მცირე აზიის, მიტოვებული კონსტანტინოპოლის მიერ, დაიბნა. ისინი ფიქრობდნენ ხელაფადებზე, შეშფეც კი კვლავ იმედგაცრუებულნი, ჩემზემად კაბადოციას თუ შვეიცარიისა მთებში მღვდლებს შეფარებულნი, ოცნებობდნენ წარსულ ძალა-ფულებაზე. ასე წარმოიქმნა მცირე აზიაში ფარული ქრისტიანები — ქრისტიანები, რომლებმაც მხოლოდ გარეგნულად მიიღეს მუსულმანური სახე, რადგან ისლამზე გადასვლისას ისინი უნებლიედ ინარჩუნებდნენ ქრისტიანობის ელემენტებს, შეიძლება არა იმდენად იდენტურს, რამდენადაც უსოფოს“³⁹.

ამასთანავე, საინტერესოა ის, რომ ზოგიერთი წყარო მიგვანიშნებს ფარულ ქრისტიანთა არსებობაზე თანამედროვე თურქეთში. უცხოური წყაროების მიხედვით, რომლებიც ცნობებს ეპოქულობს მუსულმანურ ქვეყნებში და

კერძოდ თურქეთში მცხოვრები ქრისტიანების შესახებ, თვით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — მეზო — მეზო (კრიატოქრისტიანული) ქრისტიანების მიხედვით დაახლოებით 50 000-მდე⁴⁰ ამას გარდა, მუსულმანი ბერძენი XX ს. დასაწყისში იყო „დაახლოებით 15 000 ადამიანი“⁴¹ თუმცა, თუ წყაროებს ვენდობით, ერთიხა და მეორეხავე: „არაან ლაზი, რომლებმაც ფარულად შეინარჩუნეს თავისი ბერძნული რელიგია“⁴².

ამის თაობაზე XX ს. დასაწყისში იბრაჰიმოვი წერდა: „მრავალი ლაზი დღემდე უფრო ქრისტიანია, ვიდრე მუსულმანი“⁴³ განა ეს არ არის სავარაირი საბუთი ქართული (ლაზური) ეთნოსის სოცოცხლის უნარანობისა?

ჩვენ, ვცადეთ აგვიჩვენებინა, რომ დღემდე არსებობს ფარულ-ქრისტიანთა ინსტიტუტი ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში და, მიუხედავად ამისა, რომ თანამედროვე თურქეთში ცვალობენ ამოიპყრონ ეთნონიმი ლაზი და შეცვალონ იგი ტერმინით „ქარადენიზლი“, ე. ი. შვეიცარიისპირელი, მაინც „კონტოს (ლაზისტიანის ქედის) ჩრდილოეთი ფერდობი შეადგინეს ლაზთა ქვეყანას“⁴⁴ ადგილობრივი ავტოქტონური მოსახლეობა კი თავს თვლის ლაზებად და ამით უპირისპირდება თურქებს და, როგორც უ. ქიოფრულუ აღნიშნავს, „ეს მავნე ტრადიცია გრძელდება დღემდე“⁴⁵.

შენიშვნები:

1 ისკანდერ ბეი მუნში თორქმანი, ქვეყნის განმანათლებელი აბასის ისტორია, ტ. 2, თეირანი, 1350 წ. (პიჩით), გვ. 1080. (სპარსულ ენაზე) იხ. აგრეთვე: შამ აბას დიდის ისტორია (ქვეყნის განმანათლებელი აბასის ისტორია) ისკანდერ ბეი მუნშისა, ტ.—2, თარგმნილი როჭარ შ. სეიფორის მიერ, ვესტვაიფის გამომცემლობა ბოლდერი, კოლორიადო, 1978, გვ. 1305. (ინგლისურ ენაზე).

2 სეიფორი შ. რ. ციტირ. ნაშრ., გვ. 1305, შენიშვნა № 8.

3 გიოქბილიჯინ შ. თ., XVI ს. დასაწყისში ტრამიზონის ლევა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მხარე. თურქეთის საისტორიო საზოგადოება, ბულეტენი, ტ.—XXVI, 1962, გვ. 319, 321, 324. (თურქულ ენაზე).

4 ლორდჰიანიძე, ო. დ., Античный мир и восточное причерноморье (Колхида, Иберия), Кавказ и Средиземноморье, Тбилиси, 1980, с. 6—7.

5 Еремеев, Д. Е., Этногенез турок, М., 1971, с. 50—51.

6 Свенцикая И. С., Запрещенные евангелия, М., 1965, с. 82.

7 ინალიქიქ ჰ., დაპყრობის ოსმალური მეთოდი, „სტრუდია ისლამიკა“, 1954, № 2, გვ. 123-

124 (ინგლისურ ენაზე). იბილეთ აგრეთვე: Чермерзи, А., Турция, ее могущество и распадение, т. 1, Спб., 1878, с. 131, 138.

8. К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XI, с. 374.

9. Гроте Г., По Азиатской и Европейской Турции, М., 1904, с. 71.

10 Брегадзе Н. А., К вопросу об этническом составе населения Грузии в XVII в., Кавказский этнографический сборник, № VI, М., 1976, с. 248.

11 მუსხი, ს., ოსმალის საქართველო, „დროება“, 1875, VII, 6, № 76, გვ. 1.

12 Марр Н. Я., Батум, Ардаган, Карс исторический узел межнациональных отношений Кавказа, Петроград, 1922, с. 11.

13 Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области, приложения к VII тому ИКОИРГО, Тифлис, 1882, с. 29—30.

14 იქვე, გვ. 17.

15 იქვე, გვ. 60.

16 Проскуряков Я. С., Заметки о Турции, ЗКОИРГО, книга XXV, выпуск I, Тифлис, 1905, с. 112.

17 იქვე, გვ. 41.

18 პერს ედვინ, თურქეთი და მისი ხალხი, ლონდონი, 1911, გვ. 267. (ინგლისურ ენაზე).

19 იქვე, გვ. 266.

20 იქვე, გვ. 266.

21 იქვე, გვ. 267.

22 შპაჟნიკოვ გ. ა., Религии стран Западной Азии, М., 1976, с. 267.

23 Медицинский сборник, № 63, Тифлис, 1901, с. 83.

24 უფშიძე ი., ჰანური ტექსტები, ტფილისი, 1939, გვ. XXXIX, ა. ჩიქობავას წინასიტყვაობა, ი. უფშიძე და ჰანურის შეცნობილი შესწავლა.

25 მესხი ს., ციტირ. ნაშრ., გვ. 1.

26 Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, № 2, Тбилиси, 1950, с. 206; აგრეთვე იხილეთ: «Март Н. Я., Из поездки в Турецкий Лазистан, Известия, АН, 1919, с. 620.

27 პერს ედვინ, ციტირ. ნაშრ., გვ. 268.

28 Гроте Г., ციტირ. ნაშრ., გვ. 71.

29 აჰარიანი მ. პ., ეტიუდები ლაზური ენის შესახებ, პარიზი, 1899, გვ. 1. (ფრანგულ ენაზე).

30 უფშიძე ი., ციტირ. ნაშრ., გვ. XXXVI, წიგნიდან: «Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, т. 44, часть 3, с. 37.

31 Кавказский календарь на 1867 год (22 год издания), Тифлис, 1866, с. 404.

32 Чихачев П. А., «Письма о Турции», М., 1960, с. 23.

33 Соколов И. И., Константинопольская церковь в XIX веке, Слб., 1904, т. II, с. 341—342.

34 Убичини М. А., Изображение современного состояния Турции, Слб., 1854, с. 14.

35 АВПР, ф. Посольство в Константинополе, 1866, л. 2606, л. 8.

36 Гордлевский В., Государство Сельджуков Малой Азии, М.-Л., 1941, с. 166.

37 იქვე, გვ. 177-178.

38 იქვე, გვ. 93.

39 იქვე, გვ. 177.

40 მასიგონი ლ., მუსულმანური სამყაროს წელიწადი, პარიზი, 1955, გვ. 175-178.

41 Аверьянов П. И., Этнографический и военно-политический обзор азиатских владений Оттоманской империи, Слб., 1912, с. 16.

42 მასლუჯ ე. ვ., ფარული ქრისტიანები ტრაპიზონში, ელინისტური ძიებათა ჟურნალი, № 41 1921, გვ. 199-202. (ინგლისურ ენაზე).

43 იბრაჰიმოვი, თურქეთის ლაზისტანში, მუსულმანური სამყაროს ჟურნალი, 1910 (1911), გვ. 451-457; იხილეთ აგრეთვე: მასლუჯ ე. ვ., გვ. 189-193. (ინგლისურ ენაზე).

44 Овсяный Н. Р., Современная Турция, Слб., 1877, с. XVIII.

45 ჭიოჭრულუ ფ., ოსმალეთის იმპერიის ეთნიკური წარმოშობის საკითხები, თურქეთის საისტორიო საზოგადოება, ბიულეტენი, № 28, გვ. 216. (თურქულ ენაზე).

ცხოვრების აზრისა და დანიშნულების ძიების გზაზე

შობლიურ ენაზე გამოვიდა ჩვენი საბავუო ფილოსოფოსისა და ბრძენი მოძღვარის, თანამედროვე ქართული ჰუმანიტარული კულტურის მწვენიების ზურაბ კაკაბაძის მონოგრაფიული ნაშრომი — „ექსისტენციალური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1988 წ. წიგნს ერთვებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ზურაბ კაკაბაძის კონტრეხისა და ფაბლოვის მეგობრების ნიკო ჭავჭავაძისა და თამაზ ზუაჩაძის დრმა გულისტკივილით გამსჭვალული შესავალი წერილი ავტორის უდროოდ გარდაცვალების გამო).

სარეცენზიო წიგნსა და მთელ თავის შრავალმხრავ შემოკმედებაში ზურაბ კაკაბაძის ძირითადი მიზანი და მოწოდება იყო ადამიანის ცხოვრების საზრისისა და დანიშნულების ნათელყოფა. დაფუძნება თანამედროვე ტექნიკურ-ინდუსტრიულ ეპოქაში, წნეობისა და ყველა მადლად ღირებულებათა დაცვა ნიჰილიზმის მოძალადების ხანაში და, უპირატევეს უოვლისა, თავად ადამიანის, როგორც უმადლესი ღირებულების, დაცვა-დაფუძნება.

ცხოვრების აზრისა და დანიშნულების ძიების ძნელ გზაზე შემდგარმა თანამედროვე მოაზროვნემ ტრეშარიტად სცოლასა და ქარიზმად შორის უნდა გაიაროს, საშკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა აწარმოოს ადამიანის, პირველების თავისუფლებისა და შემოკმედებითი ცხოვრების უაზრავ ზილულ თუ უხილავ მტერთან, თავად ადამიანის მიერვე შექმნილ ყალბ თეორიებსა და თვალსაზრისებთან და, უპირველეს ყოვლისა, თრ უშუაღრეს „ოშითან“ — „ობიექტივიზმთან“ და „სუბიექტივიზმთან“ შათს უსასრულოდ შრავალგვარ ფორშებსა და სახე-სხვაობებსში. ერთიად და შეორავ, „ობიექტივი-

ზმიცა“ და „სუბიექტივიზმიც“ ვერ უზრუნველყოფს ადამიანისა და საშუაროს, პიროვნებისა და საზოგადოების ერთმანეთთან შარშონიულ კავშირს, აღქმებს ადამიანის, ინდივიდის თავისუფლებას. „ობიექტივიზმი“ ამას აკეთებს იშით, რომ ადამიანს, ინდივიდს გარედან განპირობებულად წარმოგვიადგვს, აქნება ეს გარე-განმპირობებელი ღმერთი თუ იდეალური საწყისი საზოგადოდ, შატერიალური საშუარო თუ საშუაროსიული კანონზომიერება საერთოდ, თუ თავად სოციალური გარემო, სახელმწიფო, საზოგადოება. კაცობრიობის ამგვარი გარედან განმპირობებელი შეიძლება აღმოჩნდეს თავად ადამიანური გონის პროდუქტი — მეცნიერება, ტექნიკური ინდუსტრიალიზაცია, თავის მხრავ „სუბიექტივიზმი“, არ ცნობს არ არაფერს ადამიანის გარე, პიროვნების შილმა, რადიკალური სკეპსისის, პესიმიზმისა და ნიჰილიზმის წუარო ზღვება, ანდა, საშუაროვე შატონობის პრეტენზიისა და აგრესიული ინდივიდუალიზმის ვარიატებსში, ზილათს უქმნის თავად კაცობრიობის არსებობას.

ამ ძნელი ამოცანის გადასაჭრელად, როგორც სარეცენზიო წიგნის შესავალი წერილის ავტორები აღნიშნავენ, არ კმარა ცოვი გონება, რავინდ შილცე არ უნდა იყოს იგი. საშუაროში, როგორც მთელში, ადამიანის ადვილისა და დანიშნულების, შისი ცხოვრების საზრისის, შისი უჩაკლობისა და ამადლეთულობის ნათელსაყოფად, ისე, რომ აშავე დროს ჩვენს „ფხავებს“, საშუაროს, „დედაზუნუნებს“ არ მოვწადეთ და ჩვენს სუბიექტურობაში არ ჩავიკეტოთ, ყოვლისა მწვდომოდ ფილოსოფიურ-შემეცნიერებულ გონთან ერთად საჭიროა შუარი წნეობრივი პოლიცია ადამიანის სიყვარულსა და შისი ზედსამი შასუბისმეგობლობაზე დაფუძნებული და კიდევ ერთი ნივი, შემოკმედებითი უნარი — ადამიან-



ნურსი სამყაროსა და ბუნების, გარესამყაროს
 ესთეტიკური კვრერტობა. ზურაბ კახაბის პირო-
 ვნებაში ფარმონიულად იყო შეტყუებული ეს
 თვისებები, თელოსოფიური გონის სიხშირე-
 სა და ბუნებით მომადლებულ სამყაროს ესთე-
 ტიკური კვრერტის უნარს მძლეობი წინაბრძოლი
 მუხტი წარმართავდა და მის უკველ ნაშრომსა
 თუ მხატვრულ ნაწარმოებს, ლექციასა თუ მო-
 ხსენებას, მთელ მის შემოქმედებასა და ცხოვ-
 რებას სიპარტლის, მწვენიერებისა და სიკეთის
 კვალი სდევდა.

დღემუნდ ჰუნერლის ფილოსოფიისა და საერ-
 თოდ ფილოსოფიისისტორიული კვლევა ზურაბ
 კახაბისათვის არახოდეს უფილია თვითმონა,.
 ჰუნერლის ფილოსოფიას იგი თანამედროვე და-
 სავლეთში არსებული „ეპისტემოლოგიის კრი-
 ზისის“ ანალიზისა და მისი დაძლევისათვის მი-
 მარათავს. სწორედ ამაზე მივითითებს წიგნის
 სათაური და ასეთია შრომის არქიტექტონიკაც.

„ეპისტემოლოგია კრიზისი“ ადამიანური
 არსებობის, ადამიანური ყოფიერების კრიზისს
 ნიშნავს. როგორც ავტორი მიუთითებს, თანამე-
 დროვე დასავლეთის მოაზროვნეები და ბილო-
 ვნების წარმომადგენლები ერთსულვანნი არიან
 და არა მარტო ეპოქის კრიზისის აღიარებაში,
 არამედ ამ კრიზისის კონკრეტული წინაარსის
 გაგებაში. თანამედროვე ეპოქის კრიზისი იხი-
 ნ „ტექნიკურ გაუსტობაში“ ხელავენ.

„გაუსტობა“ საზოგადოდ ნიშნავს ადამიანის
 ისეთ მდგომარეობას, როცა მისი საკუთარი მო-
 ქმედება მის წინააღმდეგაა მიმართული, როცა
 ადამიანის შრომის პროდუქტები გადაიქცევიან
 მის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ ძალებად.
 ავტორი ნიშნავს ანასთანებდა გაუსტობებს ფეოდა-
 ლურ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კ. მარქსი
 და მას აქ მხედველობაში მჭონდა მუშის თვით-
 გაუსტობა ეგრძო საკუთრებაზე დაშურებული
 კაპიტალისტური წყობის პირობებში. თანამე-
 დროვე ეპოქაში, როცა ბურჟუაზიული საზოგა-
 დოების წინააღმდეგობები უკიდურესობაზედა
 მიხლდა, ადამიანის თვითგაუსტობებამ ტრაგედუ-
 რი მასშტაბი შეიჭრა: ადამიანური გონის,
 ადამიანის შრომის პროდუქტი, ატომური ბომბი
 მთელ კაცობრიობას ეშუქრება განადგურე-
 ბით.

ატომურ ბომბს ავტორი „ტექნიკური გაუ-
 ცხოვრებდან“ გამოშინაარს საშორობებს ევლდა-
 ზე მოსულაარულ, მაგრამ ანასთანავე რამდენა-
 დზე ზედამიარულ მავალითად მიიჩნევს. იგი
 ზედამიარული მავალითია იმიტომ, რომ მასში
 სრულად არაა გამოვლენილი „ტექნიკური გაუ-
 ცხოვრების“ არსა და მასხადამე, იერპობირთვე-
 ლი კატატორიის შესხადლო თავედან აცლდება
 არ ნიშნავს ავტორი გაუსტობებსა და მისგან
 გამოშინაარს მთელი საშორობების დაძლევის.
 „ტექნიკური გაუსტობა“ ესაა ადამიანის თვით-
 გაუსტობება, რომელიც წარმოიშობა მის გამო,
 რომ კაცობრიობა თავის ძირითად საქმიანობად

ტექნიკურ საქმიანობას მიიჩნევს. „ტექნიკური
 გაუსტობა“ ნიშნავს ადამიანის მოქმედების
 ტექნიკის კულტობას და უტყუარად უტყუარად
 ძველზე. მაგრამ როგორ უტყუარად საფრობებს ტექ-
 ნიკური საქმიანობა ადამიანს, კაცობრიობას?

ავტორის აზრით ადამიანის სიცოცხლის არსი
 მდგომარეობის თავისუფალ მოქმედებაში. აქტი-
 ურობაში. ადამიანი როგორც ინდივიდი, პირო-
 ვნება უნდა მოქმედებდეს საკუთარი არჩევანისა
 და გადაწყვეტილებების შესხატუბად ინდივი-
 დის, პიროვნების გარედან უპირობო განაზღვ-
 რა მოახწავებს მისი თავისუფლების, შემოქმე-
 დებით მოქმედების გაუქმებას და ფაქტორიად
 ადამიანის „განაგრებას“. ინდივიდი, პიროვნება
 თავის თავისუფალ მოქმედებასა და აქ-
 ტიუობაში, თავის შემოქმედებით საქმი-
 ანობაში კავშირსა და თანხმობაში უნ-
 და იყოს სხვა ინდივიდებთან, პიროვნე-
 ბებთან და, ამ გზით, საზოგადოებასთან, კაცო-
 ბრიობასთან. საზოგადოების, კაცობრიობის არ-
 სებობა და განვითარება თავის მხრავ წარმოუ-
 დგენელია სამყაროსთან. „უდღაბუნებასთან“ კავ-
 შირისა და თანხმობის გარეშე და, მასხადამე,
 საბოლოოდ, ადამიანის სიცოცხლის არსი წარ-
 მოვლდება როგორც პიროვნების, საზოგადო-
 ებისა და სამყაროს („უდღაბუნების“) ერთი.
 ერთმთაუწყვეტელი კავშირი და თანხმობა. ამ
 უფროსა და თანხმობიდან გამოშინაარსობს
 ადამიანის აქტიური სიცოცხლისა და თავად
 „უკვდავების“ პერსპექტივა. „ტექნიკური გაუ-
 ცხოვრება“ იმით უქმის ხელახს კაცობრიობას
 რომ ტექნიკური საქმიანობა, რომელიც თანამე-
 დროვე საზოგადოებაში ვითარდება, როგორც
 ძირითადი საქმიანობა, ბოგავს ადამიანის თავი-
 სუფლებებისა და აქტიუობის შესხადლებლობებს.

ტექნიკის კულტობა, ტექნიკის აბსოლუტიზაციის
 საფუძველად უტყვს ნატურალისტურ-პოზიტივი-
 ვისტური მსოფლმხედველობა — სამყაროსთან
 გარკვეულ შემეცნებითი მიდგომა და ამ მიდ-
 გომის შესხამისი წარმოდგენს სამყაროზე. „გარ-
 რის ზედვის“ პოზიციოდან ამოსულ ნატურა-
 ლისტურ-პოზიტივისტურ თვალსაზრისს მიიჩნია,
 რომ სამყაროს შემეცნება უნდა შემო-
 იტარგლოს გარე-გრძნობილ ცდომ; უნდა
 აღწეროთ გარე-გრძნობილ ცდომში მოცე-
 მული; სავნების ურთიერთობანი და ამ
 დროს ანგარეობ არ უნდა გავუწიოთ მათ
 მიმართებას ზვენს მისწრაფებებთან, განც-
 დებთან და ინტერესებთან. განვენება უნდა
 მოვხდინოთ სამყაროსადმი ზვენი მიმართებ-
 ბისაგან, ზვენი პრეტენზიებისა და ინტერესე-
 ბისაგან და ვიცლიოთ სამყარო იხე, როგორც
 ვეფრდება იგი გარეგან-გრძნობად აღქმაში. ამ-
 ვჯარ პოზიციოში ზვენი აღმოვანეთ, ერთი მხრივ,
 ცვალებად მიმართებებს, მეორე მხრივ კი
 ზოგიერთ მყარ, უცვლელ, განშორებად მიმა-
 რთებებს ნავთებსა და მათ ელემენტებს შორის.
 რადგან ზვენი დონტერესებული ვართ მომავა-



ტყავს მოკლებული, დეზორიენტირებული ნება ერთმანეთისაგან ვერ განსხვავებს სიკეთესა და ბოროტებას. ფილოსოფია უნდა დაიწყოს ადამიანის, კონკრეტული პიროვნების პრობლემათ, მაგრამ ისე, რომ პერსპექტივაში მუდამ მხედველობაში ჰქაუდეს სხვა ადამიანები, „ადამიანი საერთოდ“, საზოგადოება, კაცობრიობა და ამავე დროს კავშირი არ ვაწყვიტოს სამყაროსთან, „დედაბუნებასთან“. სწორედ ამ ამოცანის, ამ მოთხოვნის თვალსაზრისითაა განუხილელი მუსხრელის ფილოსოფია სარტრეზეო წიგნის მეორე თავში: „მუსხრელის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, როგორც თანამედროვე ევროპული კაცობრიობის კრტიკული სიტუაციის დაქვეყვის ცდა“.

როგორც წ. კავახაძე მათეოთებს მუსხრელი თანამედროვე „ევროპული კაცობრიობის კრიზისს“ გადმოხივრებაშივე თავისი ზანგრძლივა და შინადასაფიურიაანი ფილოსოფიური ევოლუციის ბოლო ეტაპზე მივარა, თავდაპირველად იგი შეცნეირებათა დაფუძნების საკითხებს შეისწავლიდა და თანამედროვე კაცობრიობის კრტიკული სიტუაციისა და ადამიანური უფიერების პრობლემათა არც კი შედიოდა მისი ინტერესების სფეროში. ფილოსოფიური მოკვანეობის ბოლო სტადიამდე მუსხრელს „ადალემიურა ფილოსოფიის“ ტიპურ წარმომადგენლად რჩებოდა. იგი ერთმანეთისაგან მკაცრად მივანავდა „მეცნიერულ“ და „მსოფლმხედველობრივ“ ფილოსოფიას და საკუთარ თავს პირველის წარმომადგენლად თვლიდა. მეცნიერება, მუსხრელის მხედვიკა, უპირივნი და შედარულია, მსოფლმხედველობა კი, როგორც ადამიანური ცხოვრების საზრისზე მოძღვრება, პირივნილია და დროით განსაზღვრულია. ამის გამო მუსხრელი უპირატესობას „მეცნიერულ ფილოსოფიას“ აძლევდა. მაგრამ ადამიანური არსებობის კრიზისს ვაწყვავებამ, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გამოხედვამ და შედგომამ, მის სამშობლოში ფაშისშის მომძლარებათ, რასაც მეორე მსოფლიო ომისაკენ მივყავით, აძულდა მუსხრელი სულ უფრო მეტი უურადდება დაეთმო ეპოქის კრტიკის პრობლემათისადმი და, შესახამისად, ადამიანის ცხოვრების ახალი ორიენტაციისადვის.

ამგვარად, ზოვად ზანგებში, მუსხრელის ფილოსოფიური ევოლუცია წარმოართა ობიექტიდან სუბიექტისაკენ (ადამიანისაკენ) ფილოსოფიური შერის შეშობრუნების მიმართულებით. „ობიექტივიზმის“ დაქვეყვის მიმართულებით, მაგრამ შერის ეს შეშობრუნება განხორციელდა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, გარკვეული ზიგნაკებით. თავდაპირველად ეს იყო შერის შეშობრუნება ფიციური, რეალურ-ფაქტობრივა ობიექტივიზმად სუბიექტიურ-ფიციურა პროცესებისაკენ, თუშვალა ეს პროცესებთა ფიცილოგისტურად იყო გავებული — მუსხ-

რლი თავდაპირველად ფიცილოგისტრი იყო. ფიცილოგიაში არის ისეთი რეალური უფიერა მიმდინარება, რომელიც შეშობრუნებისა და, საზოგადოდ, კეშობრიტებას შორის რეალურ სუბიექტის ფიცილოფიციური წყობით განსაზღვრულად მიიჩნევის. ამ თვალსაზრისის მიხედვით უცდელი შეცნიერება წარმოადგენს გარკვეული ფიცილოფიციური ორგანიზაციის შქონე სუბიექტის, სახედლობარ, ჩვენი — ხომთის არსივნიების პრობლემა. როგორცაა ჩვენი ფიცილოფიციური ორგანიზაცია, ისეთივეა ჩვენი შეცნიერებაც, ასეთივეა ლევიკაც — შეცნიერება სწორა არსივნიების კანონების შესახებ. ადამიანი სამყაროს ცენტრია, უველია ხანის ზომთა შთის არსებობასა და არ არსებობაში — როგორც ამის ქერ კიდევ ანტიკური ეპოქის მოზარცენ პროტაგორა აუხალებდა. მაგრამ სამყაროს ცენტრში დაუენებული ამგვარი ადამიანი ფაქტიურ-შეშობრუნიითა და არა აუცალბედილი (თავისუფლებათა ადარაა ლამარკი). ამგვარი ადამიანი თავისი გარკვეული ფიცილოფიციური წყობით ერთ-ერთი ხანანია სხვა ხანანთა შორის აგი, ისევე როგორც უველია სხვა ნათი, უველია სხვა ხანანი, შეიძლება იყოს და არც იყოს, შეიძლება იყოს ასეთივე და სხვაგვარც. თანამედგურულად განიერთებულა ფიცილოგიაში გარდევალად მიღის რელატივიზმამდე და რადიკალურ სექტიცივიზმამდე.

მაგრამ მუსხრელი აქამდე არ მისულა. მან გაეღა ალიარა თავისი შეცდომა და შკვევრად დაეშინა თავის უწინდელ თვალსაზრისს. ამ შეშობრუვის გამო მუსხრელი გოთის სიტყვებს იხსენებს: „არაფერს არ ექცევა ისე შაკურად, როგორც საკუთარ შეცდომასი“. მუსხრელმა შეცნიერებათა დაფუძნების გზაზე აუცალბედილ საფეხურად მიიჩნია ფიცილოგიაშის დაქვეყვა და თავის თეორიას, ფენომენოლოგიას გარკვეული შესვალად წარუშდგარა ფიცილოგიაშის, როგორც „ნატურალისტური ობიექტივიზმის“, გამანადგურებელი კრტიკა. მან ერთბაშეთისაგან შაკურად განახსვავა მხედლობა, როგორც ფიციური აქტი და მხედლობის შინაარსი, როგორც რადიკა „დედელური“ ვითარების გამოიქშმა. მხედლობის ფიციური აქტიით გამოიქშმება ისეთი რამ, რაც თავად არაა ფიციური აქტი და არაა დამოკიდებული ჩვენს ფიციურაზე. მხედლობის რეალური ფიციური აქტიით გამოიქშმება არარეალური, „დედელური“ შინაარსი, „დედელური ობიექტივის“ მიმართება. მხედლობა მხედლობა, როგორც ფიციური აქტი, გარკვეული ფაქტია, რომელიც გარკვეულ რეალურ ხივრცესა და დროში არსებული გარკვეული ფიცილოფიციური წყობის სუბიექტის მიერ გამოიქშმება, მაგრამ ამ მხედლობის შინაარსი არაა დამოკიდებული ამ სუბიექტსა და მის ფიცილოფიციურ წყობა-



ზე. მათემატიკისა და ლოგიკის დებულებებს „იდეალური“ ანუ „ზედარითი“, მარადიული მნიშვნელობა აქვთ. რადგან ისინი გამოთქვამენ არა რაიმე ფაქტიურ-შეზღუდვით ვითარებას, არამედ „იდეალურ ვითარებას“, „თავისთავად კეშმარტებას“. „თავისთავადი კეშმარტებისა“ და „იდეალური უოფერებისა“ დაშვების გამო თავის დროზე ზუსტერის პლატონურ „ობიექტივიზმი“ დასდეს ბრალი და, ზურაბ კაკაბაძის აზრით, სავსებით სამართლიანადაც: თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის ამ ეტაპზე რელიგიოზისტური სუბიექტივიზმის კრიტიკით გატყუებული მუსერლი მართლაც აზროვნებდა ობიექტივისტურ-იდეალისტური ტრადიციის თანხმად.

როგორც ზ. კაკაბაძე აღნიშნავს, ობიექტივიდან სუბიექტივისკენ მუერის შემობრუნებას ვაზე ჰუსერლი აუთობს კიდევ ერთ რადიკალურ გადახვევას, უარყოფს „იდეალურ უოფერებისა“ და „თავისთავადი კეშმარტებისა“ და წამოაყენებს ლოზუნგს „უკან, თვით სავსებისაკენ“, რაც ხანგრძლივი და უძრავი ფილოსოფიური ძიების შედეგად საბოლოოდ იდეალური აღმოჩნდა ლოზუნგისა „უკან, თავად შემშვენიერება ცნობიერებისაკენ“. სუბიექტივისკენ, აღამაინისკენ, როგორც სამყაროელი ნიუთონისთვის საზრისისა და მნიშვნელობების მიმნიჭებელი ინსტანციისკენ, როგორც სამყაროს „შეკანსტიტორებელი“ საწყისისკენ.

ჰუსერლი იწყებს იმით, რომ უკუაგდებს ბუნებრივ-ნატურალურ განწყობას, „გარეთ ხედვის“ პოზიციას. ამგვარი ხედვისას ჩვენ უკრიტიკოდ, დოგმატურად, არათემატიზირებულ წინამძღვრის სახით ვუშვებთ უოფერების რაღაც საზრისებსა და მნიშვნელობებს და აღამაინს მათგან განსაზღვრულად წარმოვიდგინოთ ტრადიციულ „ონტოლოგიას“ უოფერების ამგვარი საზრისებისა და მნიშვნელობების სახით მხედველობაში ჰქონდა „პირველი-მიზნებო“, როგორც „სამყაროს საწყისები“, უცვლელ-მუოფი „სუბსტანცია“ (ღმერთი, აბსოლუტი, იდეალური საწყისი საზოგადოდ). ტრადიციული „ონტოლოგია“, ჰედლი შეტაფილია იდგა რა „გარეთ ხედვის“ პოზიციაზე, ამოდიოდა მზა, „კონსტიტორებელი“ სამყაროს გაგებოდან. მაგრამ რამდენადაც შეტაფილიურში მონაგონებმა პირველმიზნების შესახებ ვერ მოკვებ გარე-გრძნობად ცდაში პარდაპირი და არა-ორაზროვანი დადასტურენა, ისინი შემდეგში სექციონი გახდენ და პოზიტივიზმმა უკუაგდო. ამით „ობიექტივისტურმა“ ფილოსოფიამ თავის უმაღლეს სტადიას მიაღწია. პოზიტივიზმი „ობიექტივიზმის“ უკანასკნელი სტუკვაა. პოზიტივისტური რეკონსტრუქციის იძლევა ჩვენთვის მითითებულად ცდაში გამომდევნებული მყარია, განმეორებადი ურთიერთობები და უვლან ნივთის მნიშვნელობები განსაზღვროთ ამ აღ-

ნუსხული ურთიერთობების მიხედვით, ინტუიციურ-დედუქციურ შეთოლფერებებში მხოლოდ ვისტო გადაქცევის უნიკალურად სწავლებულად და მას უკვე მდებარებს გარესამყაროსთან ერთად აღამაინური ცხოვრების, „ცნობიერების ცხოვრების“ მოვლენების შესწავლას. მაგრამ ცხოვრების მოვლენები, როგორც ცვალებად-განმეორებადი, არ ექვემდებარებიან ამ „ობიექტივიზმის“ წესით გამოკვლევას და ამიტომ შეუშვენიერადი ცხოვრებისეული მოვლენები, ცხოვრებისეული „ინტენციები“ გადაიქცევიან აუთონებელ, ბრმა ძალებად. პოზიტივისტური ფილოსოფიით ორიენტირებული კაცობრიობა კრიტიკულ სიტუაციაში ექცევა და სწორედ ეს აძლევს ბიძგს პოზიტივისტურია და საერთოდ „ობიექტივისტური“ თვალსაზრისის რადიკალურ კრიტიკას.

უარყოფს რა „ობიექტივიზმს“, ჰუსერლი თავის ფილოსოფიის — ფენომენოლოგიის ამოცანად სხავს უოფერების საზრისის — „ობიექტივიზმის“ ამ ანონიმური წინამძღვრის — თემატიზირებას, მის გამომდევნებასა და შემოწმებას. ფილოსოფიის მოწოდება უოველთვის იყო უოფერების საზრისის თემატიზირება, გამომდევნება: სწორედ ამით შესაძლებელი ფილოსოფია ცეცხერების დაფუძნებასა და აღამაინური ცხოვრების სწორ ორიენტირებას, მაგრამ ტრადიციული „ონტოლოგია“ ამას ვერ ახერხებდა, რადგან ერთმანეთში ურქედა საზრისისეულ ფაქტორებსა და მიზნებს.

უოფერების საზრისზე კითხვის დასმა მოახწავებს ბუნებრივ-„ნივთი“ განწყობის დამღვას და თავის შეკავებას უოფერებისა და მისი გარკვეული გაგების, გარკვეული მნიშვნელობების უოველგვარი დოგმატური დაშვება-მტკიცებისაგან. სამყაროს უოფერების მტკიცებისაგან თავის შეკავება (მას ჰუსერლის ენაზე ფენომენოლოგიური „ეპოქე“ ჰქვია) არ ნიშნავს არც სამყაროს უოფერების უარყოფას და არც მასში დავიკვების. ერთსაც და მეორესაც თავის არათემატიზირებულ და გამოუმდევნებელ წინამძღვრად აქვს უოფერების საზრისისა და მნიშვნელობის გარკვეული გაგება.

სამყაროს უოფერების მტკიცებაზე თავის შეკავების შედეგად სამყარო ჩვეულებრივი არსებულისაგან არსებობაზე პრეტენზიის ჰქონდ გადაიქცევა. ჩვენი ამოცანა ამ უოფერებზე პრეტენზიის გამოკვლევა, მისი ანალიზი. უნდა გავერკვიოთ რას ნიშნავს უოფერია, არსებობა, როგორია უოფერების „ნიშნები“, მარტენებლები, უოფერების უპირველესი პირობა და უპირველესი მარტენებელია მხედველობაში ჰქონდა: თუ შე რაიმეს ვერ ვხედავ და არცა მაქვს მხედველობაში, მაშინ შე არ შემიძლია მისი უოფერების მტკიცება, შე საზოგადოდ მასზე ლაპარაკიც არ შემიძ-



ლია. ნამდვილი ყოფიერების სწორი მარჯვენა-
ბელია სიცხადის განცდა. რადიკალური რეფორ-
მისიის პირობებში.

მაგრამ სიცხადე შეიძლება იყოს გრძობადი
და არაგრძობადი (ინტუიტური), არააპოდიქ-
ტურული და აპოდიქტურული. აპოდიქტურული
სიცხადე ხასიათდება იმით, რომ იგი განსაზღ-
ვრავს საგნის ყოფიერებას მის არ ყოფნის
შეუძლებლობასთან ერთად. არააპოდიქტურული
სიცხადე კი ხასიათდება იმით, რომ საგნის ყო-
ფიერების დაშვება არ გამორიცხავს მის არ
ყოფნას. სწორედ ამგვარი არააპოდიქტურული
სიცხადე ახასიათებს ტრეკულ-მატერიალური ნი-
ვთების სამყაროს, მატერიალური ნივთის ყო-
ფიერებას ვერასოდეს ვერ დავინახავთ ისე,
რომ მასთან ერთად დავადგინოთ მისი არყო-
ფნის შეუძლებლობა. ყოველი ფაქტი და თა-
ვად სამყაროდ, როგორც ფაქტი, შემთხვევი-
თია. იგი შეიძლება სხვაგვარიც ყოფილიყო
ანდა სულაც არ ყოფილიყო. აპოდიქტურული
სიცხადედი ხასიათდება რეფლექსიად, ჩვენი განც-
დის აქტი. როდესაც მე შეიძველობაში მაქვს
ამ მაგიდის ყოფიერება, შეიძლება შევცდეთ და
დავუვკვდეთ იმაში, რომ ეს მაგიდა ნამდვილად
არსებობს. მაგრამ ის, რომ მე ჩემი განცდის
აქტი შეიძველობაში მაქვს ეს მაგიდა, ამაში
შეუძლებელია შევცდეთ. ცნობიერებას შერჩავს
განცდა ვმლეთა აპოდიქტურული აუცილებლო-
ბით. აპოდიქტურული სიცხადით, ე. ი. მისი არ-
ყოფნის შეუძლებლობის გათვალისწინებით და
ამით მისი ყოფიერება თავს ამფლავებს რო-
გორც აბსოლუტური ყოფიერება.

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ ყოფიერების
ფუნდამენტური მარჯვენაბელია ჩემი განცდა,
სამყაროში მხოლოდ მას აღმოჩნდა აპოდიქ-
ტურული სიცხადე, აპოდიქტურული აუცილებ-
ლობა. სამყაროს ყოფიერების მტკიცებისაგან
თავის შეცავებაში რადიც რჩება ისეთი, რაც
არ ექვემდებარება თავის ასეთ შეცავებას. ასე-
თია სწორედ სამყაროს ყოფიერების ჩემი გან-
ცდა. ასეთი ვარ მე, როგორც სამყაროს ყო-
ფიერების განმცდელი. თუჩის სამყაროზე,
რომელიც „შემთხვევითია“, უპირისპირდება
თუჩის ჩემს მეზე, ჩემი მეს ცხოვრებაზე,
რომელიც „აუცილებელია“ და სრულიად უ-
კველი. მე შეიძლება დარწმუნებული არ ვი-
ყო სამყაროს ყოფიერების ნამდვილობაში,
მაგრამ არ შემიძლია დარწმუნებული არ ვყო
ჩემი საკუთარი მეს, როგორც, თუნდაც, სამ-
ყაროს ყოფიერებაში დარწმუნებლისა და
შესაბამისი მტკიცებისაგან თავის შეშვებლის
ყოფიერებაში. ეს განცდა ვლინდება არა გა-
რღვან აქტში, არამედ შინაგან აქტში, რე-
ფლექსიულად.

მაგრამ ჩემი განცდა, ჩემი მე, ჩემი ცნობი-
ერება არა მარტო მარჯვენაბელია სამყაროს
ყოფიერებისა, არამედ ფა, მუსერლის მიხედ-

ვით, აგრეთვე სამყაროსთვის საზრისა/ და
მნიშვნელობების მიმნიჭებელია [მნიშვნელობის] მარ-
კონსტიტუირებელია“. სუბიექტური შემსწავლ
ყოფიერების არა მხოლოდ აღმოჩენია, არამედ
მისი საუფველმდებელიცაა. თავის თავში დაუ-
ფუნდება, შემთხვევითი ნივთები, ჩემთან,
როგორც აუცილებელი, თვითდაფუნდებულ ინ-
სტანციასთან მიმართებაში იმდენ საზრისსა და
მნიშვნელობებს და ჩემგან იქნის საზრისს მთე-
ლი სამყარო. ჩემი ცნობიერების ამ მასაზრი-
სებელი, მნიშვნელობათა და ღირებულებათა
მიმნიჭებელი მოღვაწეობის გარეშე სამყარო
ნივთთა გრვთა, ქაობა და არა კომპოზი, არამ
მოწინააღმდეგელები მთელი. ნავთთა სამყაროში
ჩვენ ვერ ვპოვით ვერაფერს თავისთავში და-
ფუნდებულს, ვერაფერს ისეთს, რაც თავის
თავს თავისი თავით ამფლავებს და წარმოქმ-
ნის და, მასთანავე, რაც სამყაროს ყოფიერ-
ბის ფუნდამენტურია „მარკონსტიტუირებელი“
ფაქტორი იქნებოდა. შეიძლება არა ერთმანეთ-
თან მიმართებაში, ნივთები, საბოლოო ანგა-
რიში, შემოღობიანი მიმართებაში ჩემთან და ჩე-
მში ნახულობენ სამყაროს მიმართებათა იმ
„ცენტრს“ რომელთანაც დამოკიდებულებებით
იმდენ ისინი გარკვეულ მნიშვნელობებს, გა-
რკვეულ საგნს, იქნება ეს ღირებულებათი
(„ლაშაში“, „ულამაზო“), სტერეო.დროითი
(„აქ“, „იქ“, „შორს“, „ახლოს“), „წინ“, „უკან“,
„ახლა“, „შინაში“) თუ ნებისმიერი სხვა მნიშ-
ნელობები.

ასე გარდაიქმნა დოზუნტი „უკან — თვით სა-
ტნებისაკენ“ მოწოდება — „უკან — თავად
შემსწავნებელი სუბიექტისაკენ“ და ადამიანი,
სუბიექტი კვლავ ბდება სამყაროს „ცენტრში“,
ყველა ნივთის ზომა მათს ყოფიერებასა და
არაყოფიერებაში. ამ ახალი სუბიექტის, რო-
გორც სამყაროს „ცენტრის“, განსხვავება ფსი-
ქოლოგიკური სუბიექტისაგან იმაში მდგომარ-
ეობს, რომ იგი უკვე აღარაა ფაქტურ-შემ-
თხვევითი. მუსერლის ფენომენოლოგიის სუბ-
ექტი, ტრანსცენდენტალური, ანუ არა გარეც-
დისეული ცნობიერება, „წმინდა“ მე თავად
ქმნის თავისთავს ისეთს, როგორც არის, იგი
თავისუფალია და ამიტომ და ამ აზრით იგი
აუცილებელი, აბსოლუტური ყოფიერებაა (ასე
დაუთავსირდა ერთმანეთს თავისუფლება და
აუცილებლობა და ორივე ერთად დუპარის-
იბრდა შემთხვევითობას. მუსერლთან გამოდის,
რომ ბეშმარტ აუცილებლობის ფლობს ის,
რაც თავისუფალია, რაც თვითონ ქმნის საკუ-
თარ თავს. აუცილებლობა ნიშნავს უპირობო-
ბას, სხვისგან განუსაზღვრელობას; ასეთი არ-
სება სამყაროში მხოლოდ ადამიანია და იგია
სამყაროს „ცენტრში“. ფსიქოლოგიკების სუ-
ბიექტი, ადამიანი შინაგანად, უკვე „მონტი-
ტუირებული“ არისა და ამის გამო იგი არა-
ფრთხი არ განსხვავდება ნივთებისაგან. იგი არ-

სებითად გარკვეული ნივთია ნივთია შორის. ჰუსერლის ფენომენოლოგიის სუბიექტი კი თავად ქმნის თავისთავს, იგი მარადიულ, უსასრულო ქმნადობის პროცესში იპოვება და ამ ქმნადობის პროცესში საზრისსა და მნიშვნელობებს აძლევს სამყაროს, სამყაროულ ნივთებს.

ზემოთქმულიდან ვახავებთა შეცნობებთან დაფუძნების პრობლემის ჰუსერლისეული გადაჭრა. მეცნიერებები ამოდიან უკვე „კონსტიტუირებულის“, საზრისისა და მნიშვნელობების შქონე საგანთა სამყაროდან. და რამდენადაც ეს სამყარო, სამყარო როგორც მოწესრიგებული მთელი, კოსმოსი, ჩვენი ცნობიერების, „წმინდა“ მის შექმნილია, ამდენად ვახავებთ უნდა იყოს, რომ ჩვენი შე, ტრანსცენდენტალური ცნობიერება უკვე შეცნობების საფუძველი. მაგრამ ჩვენი შე, ცნობიერება მარადიული ქმნადობის პროცესშია. სწორედ ამაში გამოიხატება ფენომენოლოგიის განსაკუთრებული სიახლოვე „სიცოცხლის ფილოსოფიასთან“ და ამ აზრით ამბობდა ჰუსერლი „ნამდვილი თანმიმდევრული ბერგსონელები ჩვენა ვართო“. და რადგან ჩვენი შე, ტრანსცენდენტალური ცნობიერება განუწყვეტელ ქმნადობაშია, რადგან განუწყვეტელად ცვლის „ინტენციებს“ ანუ სასიცოცხლო ინტენციებს, „მჩვენებს, მისწრაფებებს, ამდენად სამყაროს „კონსტიტუირება“ ერთხელადი აქტი ვერ იქნება. შეაკრად რომ ვთქვათ, ადამიანის თავისუფლება სწორედ მის მარადიულ ქმნადობაში მდგომარეობს, და, მაშასადამე, ამ დაუსრულებელი ქმნადობის პროცესში ადამიანი სამყაროს სულ ახალ და ახალ საზრისებსა და მნიშვნელობებს აძლევს. ადამიანის მიერ სამყაროს „კონსტიტუირების“ მტველობა დაუსრულებელი პროცესია.

მაგრამ ნატურალისტურ-პოზიტივისტური მსოფლმხედველობით ორიენტირებული თანამედროვე მეცნიერება ამოდის ერთხელ და სამუდამოდ „კონსტიტუირებული“, მყარ-უცვლელი, შუა სამყაროს ვაგებიდან და მთელი სამყარო დაუკვს სივრცელოითი განფენლობის მნიშვნელობაზე. თანამედროვე მეცნიერება არსებითად მათემატიკური საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა, იგი ახდენს ბუნებისა და, საბოლოო ანგარიშით, მთელი სამყაროს მათემატიზირებას. სუბიექტი კი თავისი ინტენციური სიცოცხლით ამ პოზიტივიზმში დაუწყებს არის მიცემული. მაგრამ მივიწყებული სასიცოცხლო „ინტენციებში“ შერის იძებენ ამის გამო. ისინი ზოგჯერ გამოხეივანებენ გარეთ, მოქმედებენ გაუცნობიერებლად და სტიქიურად და იწყებენ დამანგრეველ შედეგებს.

ნატურალისტურ-პოზიტივისტური მსოფლმხედველობის დაძლევა და აქედან გამომდინარე მიფათის აცდლება ევალება ფილოსოფიას, ჰუმანიტარული ფილოსოფიას. მან უნდა აკისროს სრული პასუხისმგებლობა სამყაროსა და ადამიანის

მიანის ბედისადმი. ფილოსოფიის ცხოვრების ფორმა — ეს არის „შეხვედრის რეკონსტიტუირება სრულ და მუდმივ თვითაქტუალურ ქმნადობაში“. ხშირად ჩვენ სიძნელეება ვაძლიან და ეს დააღლილობა ჩვენში ბადებს ვაადვილებისა და მოხერხებულობის ტენდენციას, რის ძალითაც ჩვენ შევმარათავთ თავის შობულებას: ურთულესიოდ და ვაუთალიზებლად, მაშასადამე, ნამდვილი ყოფიერების მარკენების ვაყოველთადად, ინერტულად მივუვებით ცრუ მარკენებებს, ორატორიან-ანონიურ განცდებს და გულუბნებებს. მაგრამ ვაადვილების ეს გზა შეცდომისა და, საბოლოო ანგარიშით, კატასტროფის გზაა. ევროპისათვის, აღნიშნავს ჰუსერლი, უკვლავ დიდი საშიშროება დაღლილობაა. მაშ, როგორც „ეთილი ევროპელები“, შევებრძოლოთ ამ უკვლა ხიფათთა ხიფათსო.

სუბიექტი, ადამიანი არ უნდა შეიზღუდოს სამყაროს რაიმე შუა „კონსტიტუირებულ“ ხებითა და წესრიგით; თუ შე აბსოლუტურად შეზღუდული ვარ ყოფიერების რაიმე სახის ჩარეობით, მაშინ აღარ წარმოვადგენ სამყაროს „მაკონსტიტუირებულ“, წარმოქმნილ-გარდაქმნილ ფაქტორს და ჰუსერლი ვთავაზობს თავის ფენომენოლოგიურ მეთოდს სწორედ როგორც ყოფიერების „კონსტიტუირებულ“, შუა სახეების დეაბსოლუტიზაციის, დეფიციზიზაციის მეთოდს, ადამიანის მიერ თავის თავის, როგორც პრინციპულად შეუზღუდავი, თავისუფალი „მაკონსტიტუირებელი“ აქციონა და შესაბამისი შესაძლებლობების გამოვლენის მეთოდს.

სათანადოდ აფასებს რა „ევროპული კაცობრიობის კრიზისის“ დაძლევის საქმეში ჰუსერლის დამახაზრებას, ზ. კაპაბადე სამართლიანად მიუთითებს ამ მოძღვრების იმ პრინციპულ ხასიათის ნაკლავანებებზეც, რომელთაც შემდგომში ჰუსერლის ფენომენოლოგიის სოფთველიწილ წარმოშობილ „ექსისტენციალურ-ფილოსოფიულ“ იჩინეს თავი. სახელდობრ, ავტორის მიხედვით, ჰუსერლის ფილოსოფიაში თავს იჩენს, ერთი მხრივ, ძველი „ობიექტივიზმის“ ნაშთი, მეორე მხრივ კი სუბიექტურია დეფიციზის აღორძინების საფრთხე. „ობიექტივიზმი“ ნაშთია ჰუსერლიან იმან იჩინა თავი, რომ მან მთლიანად თანმიმდევრულად ვერ გააატარა, ვერ დაიკვდა და დააფუძნა სუბიექტურობის „იდეა“. ჰუსერლი შეეცადა დედგანა სუბიექტური ყოფიერების სპეციფიკური განსხვავება „ობიექტურისაგან“, მაგრამ ვატყობული იყო რა ცოდნის ინვარიანტულობა-აპოდექტიურობის ანტიკურ-ევროპული იდეალით, იგი ფაქტურად უწყებდა სუბიექტის უმართებულ „გასაგნებასა“ და „ობიექტივიზმს“. სუბიექტი ობიექტისაგან განსხვავდება იმით, რომ მიმართულია ურთიერთობათა განსხვავებებისაკენ, კვლილებებისაკენ, ინდივიდუაციისაკენ, განუშერებლობისაკენ, ობიექ-



ქტი კი ერთნაირად და განურჩევლად იმეორებს სხვა შესაძლო ობიექტთა თვისებებს. სუბიექტურობის „იდეა“ განუხორციელებელი რჩება, თუკი ფაქტიურა სუბიექტი იმეორებს სხვა სუბიექტებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს. სწორედ ასეთი ობიექტურა იდეალშიც უაღრეს „იდეალური“, კონკრეტულ სიტუაციებზე ამბობს, ცვალებად-განსხვავებულ სიტუაციებში უცვლელ-განურჩევლად მყოფი, მოკლედ. ობიექტისმავარი, სანისმავარი აღმოჩნდა ჰუსერლის ტრანსცენდენტურად (ანუ არადისხეული, „წმინდა“) სუბიექტი.

მეორე მხრე, შილიანად და მარტოოდენ ადამიანისადმი, სუბიექტისადმი მხერის მიმართულების გამო, საშუაროს, „დებუნების“ უფლებებეულოფისა და მისგან ადამიანის მოწვევების გამო ჰუსერლიან თავს აჩენს „სუბიექტივიზმის“ საფრთხე. ავტორის აზრით, ადამიანურა ტენდენციები, ტენდენციები, რომლებიც ადამიანურ საშუაროში მოქმედებენ, უნდა გავიფიქროვოთ საშუაროს ზოგადი ტენდენციის უმაღლესი საფეხურა, ტენდენციისა, რომელიც საშუაროში მოქმედებს აგრეთვე ჩვენამდე და უჩვენოდ. სწორედ ამიტომ უფლება არა გვაქვს რაიმე ფაქტორა, რომელიც ადამიანურა ცნობიერების სახით მოქმედებს, მივიჩნიოთ უოფიერების პირველწაროდ, პირველად — „მკონსტრუირებელ“ ფაქტორად, როგორც ამას ჰუსერლი აკეთებს. ჩვენგან და მოუადგილად არსებულ საშუაროში ზოგადი ტენდენციის, გარკვეული მიმართულების აღიარებისა და მასთან სუბიექტის დეკლარირების გარეშე. ავტორის აზრით, ადამიანი უსასრულობის, მარადიულობის პერსპექტივას კარგავს. სწორედ ასეთია საქმის ვითარება ჰუსერლის ფენომენოლოგიაში და ექსისტენციალისტურ

ფილოსოფიაში (მაიდეგერთან სწავლისშედეგად) მიანურა უოფიერების ბოლოფაქტორად. სარცენზიო წიგნი უკვე [სწავლისშედეგად] მოკვთილი თვალსაზრისი და აქ მონიშნული ბევრა იდეა წ. კვაბაძემ განავითარა და მრავალი ასპექტით დამუშავა თავის შედეგად შრომებში, რომელთაგანაც საგანგებოდ უნდა ვახსენოთ „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ და „ხელოვნების ფენომენი“. ამ წიგნებში ავტორის სიცოცხლეშივე მოაპოვეს მსოფლიო აღიარება და შორს გაიტანეს თანამედროვე ქართული ფილოსოფიურა სკოლის სახელი.

ზურაბ კვაბაძე ცხოვრების აზრისა და დანიშნულების ძიების საქუთარა გზით მიდიოდა, მაგრამ ტემპირატად უსაზღვრო მიზიდულობის ველი ახლდა ამ მხედულობის და თავის ორიბიტაში აქცევდა ჩვენი ფილოსოფიისა და თანამედროვე ქართული ჰუმანიტარული კულტურის უკველივე ქანსად და ღირებულ იდეასა თუ წამოწევებს. შეიძლება პირდაპირ ითქვას: — არ დარჩენილა არავინ, ვისაც კი ქართული ფილოსოფიურა სკოლის დღევანდელი სახის გამოკეთა-ჩამოვალიბებაში რაიმე წვლილი მიუძღვის, ზურაბ კვაბაძის შემოქმედების კეთილწყოფიერა გავლენა და პარონული მასტიმულირებელი შემოქმედება რომ არ განეცადოს.

ნაადრევედ შეწვდა ზურაბ კვაბაძის შემოქმედებისა და ძიების გზა, მაგრამ უსასრულობისა და მარადიულობის პერსპექტივაზე ორიენტირებულმა მოძღვარმა ცხოვრების აზრისა და დანიშნულების ძიების გზაზე ისე იარა რომ შეძლო თავისი წარუშლელი კვალის დატოვება. სარცენზიო წიგნი ამ ძიების ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია.



ილიას მიწვევა

იმ დარსდულ ადამიანთა შორის, რომელთაც თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ჩვენს ერის სამაჟო შეილის ილია ჭავჭავაძის ახლოს გაუტარებიათ, სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიება გულმართალი რუსი მეფუტყარი დანიელ გაბრიელის ძე მასლოვი.

დანიელ მასლოვი დაიბადა ტულის გუბერნიასა, ბელევესკის მაზრის სოფელ კონდრატოვსაში. მისი მშობლები გლეხები იყვნენ და ძალიან უჭირდათ ცხოვრება. მათ თავიანთ შეილებში განსაკუთრებით აწუხებდათ დანიელის მომავალი, რადგან ბავშვს დაბადებიდანვე ფიზიკურად ნაკლი ჰქონდა, კოჭლი იყო, უჭირდა არ შეეძლო სიარული. გონიერმა მშობლებმა, სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, იგი სკოლაში მოაწვევეს. სოფლის დაწვებითი სკოლისა და ქალაქ ბელევეში სამაზრო-სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ქუმიანში სასოფლო-სამეურნეო კურსებზე სწავლობდა, სადაც ცოდნამოწურებულნი დანიელი სამაგალითოდ დაეუფლა მეფუტყარობას.

დანიელ მასლოვს მძიმე ეკონომიკური პირობების გამო არ ჰქონდა საშუალება, რომ სწავლა გაეგრძელებინა და იძულებული გახდა მასწავლებლად დაეწყო მუშაობა საეკლესიო-სამრევლო სკოლაში, სადაც მან უფრო ნათლად იგრძნო რელიგიის მანიერება და ეკლესიის მსახურთა თვალთმაქცობა... ახალბედა ათეისტი მასწავლებელი დაუფარავად ამხელდა ადამიანთა გონებრივ ჩამორჩენილობასა და რელიგიის მანქანლობას.

1894 წელს დანიელი სამუშაოდ გადავიდა სოფ. ბუნიანში (ორლოვის გუბერნია) საერობო-სამონასტრო სკოლის მასწავლებლად. მან ახალ სკოლაში გაიზარა გამოჩენილი რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის მოძღვრება. რომელიც მასინ პრაგმატიული რუსი ინტელიგენციის ვატაკების სიკანი იყო.

სოფელ ბუნიანში, სადაც დანიელი მასწავლებლობდა, თანდათან ვრცელდებოდა ხალხობური იდეები. მასლოვი იმ იდეებზე გაიტაცდა. იგი სოფლის მშრომლებს მოაჯრობისა და რელიგიის წინააღმდეგ მოუწოდებდა, რის გამოც მალე დაპატიმრეს, გაასამართლეს და მოათავსეს ორლოვის საგუბერნიო ციხეში, რომელიც საქმიოდ მოზრდილი ყოფილა. იგი მამაკაცთა და ქალთა განყოფილებების გარდა დამნაშავე ბავშვთა საყენებსაც აერთიანებდა.

განათლებულ დანიელს ციხის ხელმძღვანელებთან საერთო ენა გამოუნახავს და სხვა პატიმრებისგან განსხვავებით შეღავათიანი პირობები ჰქონია, შესაძლოა, ციხის უფროსმა მისი ინვალიდობა გაითვალისწინა და ქალთა განყოფილებაზე შედამხედველის მოვალეობა დააკისრა.

„ერთ დღეს, — იგონებს დ. მასლოვის ნაამბობის კინორეჟისორი ალ. მამულაშვილი, — საპატიმროში ხმა გავრცელდა, მწერალი, გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი ციხეში უნდა მოვიდესო. იგი იმ ხანად მუშაობდა როგორც „აღდგომარე“ და ინტერესებდა პატიმარი ქალის ტანს პირადად გასცნობოდა.

ლევ ტოლსტოის მოლოდინში საპატიმროს ელსა და ელენეში ჩატარდა საგანგებო დასუთავება, რომელშიც მონაწილეობა პატიმრების გარდა თანამშრომლებმაც მიიღეს.

დანიშნულ დროს ლევ ტოლსტოი საპატიმროში ეტლით მოვიდა. საპატიმროს თანამშრომლები გულბობილად და მოკრძალებით შეხვდნენ. ქალთა განყოფილების შესასვლელთან ლევ ნიკოლოზის ძეს დაჰქვამდნენ მასლოვი და მოწოდებით შეესალმა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა ტოლსტოიმ.
— მე გაცნობთ თქვენ, — უკნო უწმინდესობავ. მიყვარს — ქვედა ნაწი მოთებები, იქვე კეთილი

მასწავლებელი ბრძანდებით — მოახსენა დანიელმა და მოკრძალებით თავი დახარა.

მწერალმა დამხდურს ყურადღებით ახედდა-ხედა, გაუღიპა, ეტუპობდა მოეწონა მისი ნათქვამი და შემდეგ სთხოვა, ეჩვენებინა მისთვის პატიმარი კალების საცნობი. მასმინდელი მამისმევე ძვირფასი სტუმარს წინ გაუძღვა. მოწრდელ საკანში შესვლის დროს შეთვალურემ უყვარა პატიმრებს, რომ სასწრაფოდ ფეხზე ამდგარიყვნენ. უმკრავლებობა სწრაფად წაშოდა, მოგაერთებინა კი უხალისოდ წამოიმართნენ. რამდენიმე ქალი ადგომის არ აპირებდა. ტრულტოის ყურადღება მიიქცია ერთი დამაზი, მაგრამ შეტად ამაყი ქალის სახემ, რომელიც იქდა თავის საწოლზე და აქეთ-იქით იყურებოდა. მწერალი მის წინ შეჩერდა, ანტერესით დააკვირდა და მალე უკან გამორტარდა, ჩანდა, რომ თავისი გმირის ტიპს მიჰყვოდა.

დღემდა რუსმა მწერალმა გულმართალი დანიელის გვარი მისცა თავის ნაწარმოებებს გმირს.

დანიელ მასლოვმა, პატიმრობიდან გათავისუფლებიან შემდეგ, სოფელ ბუნინში ყოფნის დროს გაეწილა ამოცანა, რომ კაცისათვის, თბილისის მახლობლად, კეთლში ესპირიტობდათ მეფუტკრე. კაცისათვის და კერძოდ, საქართველოს შესახებ დანიელს რუსი მწერლების, განსაკუთრებით ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვისა და ალ. გრიბოედოვის ნაწარმოებებიდან ბევრი რამ გაეგო და უუოწმანოდ ადამიანთა საქართველოში გამგზავრება. ამის ემატებოდა ის გარემოებაც, რომ მასლოვს აკრძალული ჰქონდა რუსეთში ცხოვრება.

1900 წლის 30 დეკემბერს დანიელი თბილისში ჩამოვიდა და მასწინვე კაცის გაემგზავრა. მას იქ დახვდა მოულოდულომწიფობელი საფუტკრეები. მისმა მეტატრონემ რუსი მეფუტკრე გულთბილად მიიღო. შინაურულად გაუმასპინძლდა და სთხოვა ფუტკრის გამრავლება.

დ. მასლოვი გულმოდგინედ შეუდგა საქმიანობას და მალე მუყაოთი შრომისათვის მუშატრონის მადლობა დაამსახურა.

ერთ დღეს მეტატრონემ თავისი მეფუტკრე გააცნო თბილისის მახრის მომრიგებელ, მოსამართლეს ივანე გაბრიელის ძე თულაშვილს, რომელმაც დიდხანს ისუბრა დანიელთან მეფუტკრეობის შესახებ.

რამდენიმე დღის შემდეგ ივ. თულაშვილმა გაბრიელი თავისი ეტლით წაიყვანა საგურამოში ილია ჭავჭავაძისთან.

1901 წლის შემოდგომაზე, როცა თულაშვილმა რუსი სტუმარი ილიას წარუდგინა, დიმილით უთხრა: ვიცო, ჩემო ილია, მეფუტკრე-

ობა გიყვარს და, აი, სპეციალურად შენთვის მეფუტკრე მოვლავნო.

ი. ჭავჭავაძემ სიამოვნებით მიიღო დანიელ მასლოვი და მეგობრის მადლობა მიახსენა მისი იქ მოყვანისათვის.

საგურამოში მისვლის სამახსოვრო დღეს მეფუტკრე დანიელი ასე ახსენებს:

„ჩვენ ვიდევით მშვენიერი, სუფთა სახლის წინ. თითქოს სამშობლოში მოვხვდი, ისე ვგრძნობდი თავს. ყველაზე და ყველაფერს ისე დამუაზლოვდი, რომ მხოლოდ სიყვდილი თუ დამაშორებდა აქურობას..“

საგურამოში შე დამხვდა, თუმცა მოხალისის ბელით გაყვებულდი, მაგრამ შინც საკმაოდ დიდი მეურნეობა... საქონელი არც თუ ისე ბევრი იყო — სულ 30 სულს ითვლიდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ბატონმა სენარატორი შეიძინა. მახსოვს, როგორ ვდგამდით ჩვენ ერთად სარდაფში, მაგარ ჭირკვს და მახზე ვამარკებდით სენარატორს..“

ილია მუდამ ცდილობდა, რომ მეურნეობის ყველა კულტურული წამოწყებაში ფართოდ გაეცეცლებინა გლეხებში და ჩაენერგა მათში რაციონალური მეურნეობის ჩვევები. ამ მიზნით ილია ჭავჭავაძე ხან ერთს, ხან მეორე გლეხთან მგზავნიდა, რომ შე ადგილზე შეჩვევებინა მათთვის, თუ როგორ უნდა გაემ, რაგლებინათ ფუტკარი..“

ბაღში აზრდებოდა ნაირნაირი ყვავილები, მაგრამ მეტატრონეს უყვარდა იასამანი. ესენი ბლომად მოიპოვებოდა საფუტკრეში..“

იყო შემთხვევები, როცა ილია საათობით დღუჭდებოდა ბოლზე სკებს და ჩაფიქრებულთაღმურს ადევნებდა ფუტკრის ცხოვრებას..“

ილია ჭავჭავაძემ თავისი სამსართულიანი სახლის წინ, ბაღში მოწყობილი ჰქონდა სასწავლ-საჩვენებელი 18 სკა. მას და დანიელს საგურამოელ გლეხებთან ბევრჯერ ჩაუტარებიათ საუბრები მეფუტკრეობის მნიშვნელობაზე, ილია დაბეჭდებით უბატკებდა მსმენელებს, რომ ქართული ფუტკარი ერთ-ერთი უძველესისაა მთელ მსოფლიოში.

მასლოვი გლეხებს ესუბრებოდა თაფლის საყუათო ღირებულებაზე, რომ ეს ვიტამინებით მდიდარი საკვები აუცილებლად საჭიროა მოზარდებისათვის და ამასთან ერთად სამკურნალო საშუალებაცაა განსაკუთრებით ასთმით დაავადებულთათვისო.

მეფუტკრეობის გარდა დ. მასლოვი კარგად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებშიც და შემთხვევითი რიდი იყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ილია რჩევასაც რომ სთხოვდა მას.

საგურამოში ჩამოსულ შორეულ თუ ახლობელ სტუმარს ილია სიამოვნებით წარუდგენ-

1. ალ. მაჟულაშვილის მოგონება დ. მასლოვზე ინახება ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის ფონდებში.

11. „მთაბი“, № 10.

I ნ. ხომერიკი, ილია ჭავჭავაძის სახლი საგურამოში, 1950, გვ. 25



და დანიელს და მაშინვე მოკლედ აცნობდა მის შრომისმოყვარეობას, ილიას გერმანულმა მეგობარმა ცნობილმა მწერალმა არტურ ლა-ისტმა გულით შეიყვარა დანიელი, ისინი ხშირად საუბრობდნენ არა მარტო მეფუტკრეობაზე, არამედ ერთი თანამეგობრობაზეც.

მასლოვი დიდად აფასებდა ილიას შინაურულ დამოკიდებულებას გლეხებთან, მის ხამარათაობასა და პრინციპულობას, სტაქციურ მოკიდებულებას შენობებთან.

— ერთხელ ილიას შეჰოციალა, — იგონებს მასლოვი, — 17 იანვარს საგურამოში ვიქნებო, მეტად საშინელი ქარბუქი ამტუდარაო, უველას გვანა, ილია არ ჩამოვიდოდა, მაგრამ აი, ჩამოვიდა იგი. ქურჭუმბურულს წყარ-უღვაშიც უნულის ღოღოლები ცვილია. — ასეთ ამინდში, ასეთ უნდაში ჩამოსვლა როგორ გახდებო? — შევეცითხე.

— რადგან შეგატყობინეთ, ჩამოვალ-მეთქი, ჩამოვდი კიდევ, მიუხედავად უველათრისა, — მიასუხა ილიამ.

ერთხელ, როცა ილია ეწოში წაბლის ნერვს რგავდა, იმ დროს უკვე ხანდაზმულს, დანიელისათვის უკითხავს, ნუთუ გვედრისება ამ ხეების ჩრდილში ქლომაო.

დანიელს ამაყად უნასუნია, მაგას, ბატონო, რასავიარეულია მოვესწრებოთო.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის მღელვარე დღეებში შუარაზ-მელები უველგან უდიერად მოქმედებდნენ, გაუფასურებული იყო კატოისანი ადამიანის ცხოვრება. ილია გაბედულად ილაშქრებდა ბნელი საქმის ორგანიზატორთა წინააღმდეგ იგი აფრთხილებდა მოურავსა და ახლომელებს, რომ კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაში უფილიყვენ გლეხებთან და საპირო შემთხვევაში დაცვათ ისინი მოსალოდნელი ეგზერციისაგან. მწერალი იმედოვნებდა, რომ ხაზლის დუბჭირი ყოფა დიდხანს არ უნდა გაგრძელდებოდა და მალე ცხოვრება თავის კალამოში ჩადგებოდა.

ერთგული ქმრისა და უზადლო მეგობრის სიკვდილის შემდეგ ილიას ქვრავმა ქალბატონმა ოლდამ სამუდამოდ დატოვა მშობლიური საგურამო, მას ილიას გარეშე აქ ცხოვრება აღარ შეეძლო. დანიელმა ცრემლიანი თვალებით გააცილა ოლდა.

საგურამოში ილიასეულ კარ-მიდამოსა და მამულს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაეპატრონა. მისი დეალებით, ერთხანს მამულის გამგებლად დანიელი ითვლებოდა, მაგრამ ილიას შემდეგ მას აქ არაფერი ახარებდა, თანაც არც ქანწრთილება უწყობდა ხელს, რომ მამულში უველათრისთვის სათანადო უურადღება შეეცია. საზოგადოებამ მალე მამული მოიწარადრეს ჩააბარა, მაგრამ მას მამულისთვის გულშემატკივრობა არ გამოუჩენია.

1908 წელს დ. მასლოვი სთამოცნებით შეხვდა ცნობას ამის შესახებ, რომ საგურამოში, ილიასეულ სახლში წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა უნდა გახსნილიყო.

საგურამოს სკოლის პირველი მასწავლებელი ილია ზოსიმეს ძე რუხაძე უსაზღვროდ მადლიერი იყო მასლოვისა, მათ ერთად შეპოიარეს სოფელში უველა ოჯახი, აღწერეს სასკოლო ასაკის ბავშვები და მშობლებს მოუწოდეს, შეიღებინათ უსათუოდ გაეგზავნათ სკოლაში. დანიელის ავტორიტეტმა და განსაკუთრებით მისმა გულაღაღმა რჩევამ სასურველი შედეგი გამოიღო, ბევრმა მშობელმა გადაწყვიტა, შეიღო სკოლაში გაეგზავნა.

დანიელი ილია რუხაძეს არიგებდა, არ შეშინებოდა სქანებებს, ახლოს ყოფილაყო მოსწავლეთა მშობლებთან და მოემარაგებინა პატარები სასწავლო ნივთებით.

— შე მახარებს, — ეუბნებოდა დანიელი ი. რუხაძეს, — რომ ილიასეულ სახლში სკოლა გაიხსნა; ფრიად სასიხარულოა ისიც, რომ ამ სკოლის გახსნის მთავარი ინიციატორი ილიას ქვრავი, ოლდა თადეოვის ასული არისო.

სოფელ გალავანში მცხოვრებ გლეხ რევოლუციონერ გიორგი ტატიშვილს ყოველთვის, როცა საგურამოში ან მცხეთაში მიემგზავრებოდა, გზად დანიელთან უნდა შეეველა და გულთბილად მოეკითხა. აი რას იგონებს იგი:

„1918 წლის გვიან შემოდგომის ერთ წვიმიან საღამოს, საგურამოში ყოფნის დროს დანიელი რომ ვნახე, გული დამწვდა, ვიღაცას ეცემა, სახე და მკლავები დაღურჩებულად მქონდა, იწეა პირაღმა და ვეღარ ლაპარაკობდა. საგურამოელმა ქალბებმა ნაღვლიანად მოამხეს; აქვე, სოფლის გზის სანაპიროზე ორმა ცხენოსანმა პოლიციელმა შეაჩერა, ერთმა მათგანმა დამცინავად უთხრა, შენ ბატონ ილიას მეფუტკრე მასლოვი არა ხარო? — დიახ, ვახლავართ, — უნასუხა დანიელმა.

პოლიციელმა ღაწმღვა დაუწყო ილიას, ის აღრე მოსკლავი იყო. დანიელი გაშწარდა, შეეკამათა, სიცრუეს ნუ ამბობთო, ამის თქმაზე პოლიციელებმა მათარბები მოიმარჩვეს და შეუბრალებლად სცემეს. დანიელმა მათ ესლა უთხრა, რომც მომკლათ, ტყუილს ვერ მოქმევიწყებოთ. ჩვენებური გლეხები რომ არ შევლებოდნენ საწყალს, ალბათ სულს ამობდიდნენ“.

წინამძღვრისათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამფუძნებელი ილია წინამძღვრისეული დანიელ მასლოვს თავისთან მეფუტკრეობის მასწავლებლად მისვლას სთავაზობდა და ცხოვრების უკეთეს პირობებსაც პირდებოდა. დანიელი მას უარით ისტუმრებდა, ჰაკვავაძისეულ მამულს როგორც კი შემიძლია, ცო-



ტად თუ ბევრად, ყურადღებას ვაქცევ და აქედან სხვაგან წასვლა მიჭირს.

სტაროსელსკის მამულში დანიელმა ფუტკარი ოთხ ფუტკარს კამედ ვაზარდა და მოჰკვლინთვის ფუტკარ მეტს ვარაუდობდა. იგი მრავალ-შვილიან დედებს და ავადმყოფებს ზშირად უფასოდ უგზავნიდა თაფლს.

1923 წელს საქართველოს სსრ მინისტროსის სპეციალური დადგენილებით დ. მასლოვი გა-დაყვანილ იქნა წინამძღვრიაანთყარის სკოლაში მეფუტკარეობის მასწავლებლად. ამ სკოლის დირექტორ ფურცელაძესთან ერთად დანიელ-მა სკები შუაზე გაყო, ორმოცი სკა საგურამოში დატოვა, დანარჩენი წინამძღვრიაანთყარ-ში გადაიტანა.

დანიელი გულმოდგინედ შეუდგა პედაგო-გორ მოღვაწეობას და სულ მოკლე დროში მასწავლებლებისა და მოსწავლეების სიყვარუ-ლი დაიმსახურა.

„დანიელ მასლოვი მეორე კურსიდან გვას-წავლიდა მეფუტკარეობას, — იგონებს შოთა ფარსაძის ძე ჩხაკაძე. — მასწავლ, მასწავ-სახელმძღვანელები ქართულ ენაზე არ იშო-ვებოდა და ჩვენ, მოსწავლეები კონსპექტს ვა-დგენდით დანიელის კარნახით. მისი რუსულ-ქართული საუბარი ყველასათვის გასაგები იყო და რამდენადაც შეგვეძლო, კარგად ვსწავლო-ბდით. პრაქტიკული შრომაც არ გვეზარებო-და, დანიელ გაზრდილს ძესაც „დეგუსტა-ციას“ დროს ჩვენთვის თაფლი არ ენაწებოდა. იგი ყველა სამუშაოს თავისი ხელით ასრულებ-და და თან ზღმეორედ გვახსენებდა ვაკე-თილზე არა ერთხელ თქმულს.

თავისუფალ დროს დანიელს უყვარდა ჩვენ-თან სახლში ლიტერატურაზე, ზშირად იყუ-ნებდა ციტატებს პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევისა და სხვა მწერალთა ნაწარმოებე-ბიდან, განსაკუთრებით თავჯანს სცემდა ლევ ტოლბტოისა და ილია ჭავჭავაძის, გულთბი-ლად ახსენებდა მათ.

მასლოვს, სკოლის ბიბლიოთეკაში შემოსვ-ვით შეეხვდა პ. გელიაშვილის ავტორობით გამოსულ წიგნს ა. ჭავჭავაძის შესახებ, სადაც დიდა მწერლის პიროვნება გაუბრალოებული იყო. მთელ მეც მოგაშინად რეფერატო ილიას შესახებ, გამოკვეთენ აღნიშნული შრომა და თამაშად გამოვედი მსმენელთა წინაშე. დანი-ელ მასლოვი გვესწრებოდა და ყურადღებით მისმენდა. როცა გელიაშვილის აზრი მოვიშვე-ლიე ილიას პრაქტიკული საქმიანობის შესა-ხებ, წინადადება დამთავრებული არ შექონდა, რომ მან გულმოსულმა დატოვა აუდიტორია... პერიოდულ იხტო იყო, რომ ილიას შესახებ უმ-სგავს კრიტიკას უყოველმხრივი წახალისება ეძ-ლეოდა და სამწუხაროდ, მეც წამოვეგე ამ ანკეხზე. მეორე დღეს მოხბრეს, წუხელ და-ნიელმა მთელი დამე მოუსვენრად გათინაო, მეწინა, არ მინდოდა მისი ვაჭყარება.

საუზმის შემდეგ დანიელმა დამიბარა, სას-

ტიკად მისაყვედურა: სად წაიკოლებ შენ ასე-თი ცუდი აზრები, რაც შენ გუშინ თქვა, სი-ნამდვილად არ შეიფერება... მან იქვე საინტერესო შეგალიტქმის... მისწვეტებთ დამაჭერებლად მიამბო ილიას გულჯეოლო-ბის შესახებ, თუ როგორი ქომავი იყო გლე-ბებისათვის“.

დანიელ მასწავლებელი განსაკუთრებით აფასებდა შრომისმოყვარე და ზრდილობიან მოსწავლეებს, მათ სახელებს სიამოვნებით იმე-ორებდა და ცდილობდა, როგორც კი შეეძლო, წახალისებინა ისინი.

ზელოვნების დამსახურებული მოღვაწე გი-გლო ქაპალაშვილი კმაყოფილებით იგონებს თავის საყვარელ მასწავლებლებს:

„დანიელ მასლოვი სამაგალითო აღმზრდე-ლი იყო. თავის საგანს — მეფუტკარეობას მთელი გატაცებით ვვასწავლიდა, ვვანერგავდა თავაზიანობის ჩვევებს. მისი იდეალება იყუ-ნენ ლევ ტოლბტოი და ილია ჭავჭავაძე. მათი გახსენების დროს თავლები გაუბრწყინდებოდა ხოლმე და ისეთი ხალისით იწყებდა საუბარს, რომ ყველა მსმენელი დანტერესდებოდა ნა-ამბობით. მასლოვს ჩვევად შექონდა, სწავლაში წარჩინებული მოსწავლეების ეტლით თბილი-სში წყავდა. პირველ რიგში, ილიას ქვრავს, ოღლას უჩვენებდა, გულთბილათ მოიკითხვ-და და თაფლს მიართმევდა. ვვადგავს სულ ილია ჭავჭავაძის შესახებ საუბრობდა. ერთ დღეს მეც წამიყვანა თბილისში და მარტენა ჩანგატებელი ოღლა, ქალი ავად იყო, არეუ-ლად ლაპარაკობდა, დანიელი ცრემლიანი თვა-ლებით მისჩერებოდა მას და ნუგუშს აძლევდა“.

მცოდნე და გულმართალი მასწავლებელი კეთილად გაიხსენდა საგურამოელმა ნინო ბე-დუკაძემ:

„ჩემს ყოფილ მასწავლებელთა შორის და-ნიელ მასლოვს განსაკუთრებული ადგილი უყავია. მისი მაღალიდებოდა ვაკეთილები, მო-სწავლე-ახლავარდობისთან მუდამ გულბს-მხერი დამყოფებულება, პედაგოგურ შრო-მაში ახლაც მეზმარება.

დ. მასლოვი წინამძღვრიაანთყარიდან რამდენი-მე წლის შემდეგ ისევ საგურამოში გადავიდა, ერთხანს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მეფუტკარედ მუშაობდა, შემდეგ კი ამავე სა-მუშაოს ასრულებდა ახლადგახსნილ საყოლ-მეურნეო კადრების მოსამზადებელ რესპუბ-ლიკურ სკოლაში.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთა-ვისათვის მზადების დღეებში დანიელი უსა-ღვრო სიხარულს განიცდიდა. იგი ზშირად და-დიოდა ილიასეულ კარ-მიდამოში, ზღვებოდა საიუბილეო კომისიის წევრებს და გულახდი-ლად ესაუბრებოდა ამაგდარი მწერლის შინაა-რსიანი ცხოვრების შესახებ.

დანიელს უყვარდა ილიასეული ბებერი კა-კლის ხის ქვეშ სტუმრებთან შეხვედრა და საყვარელი მწერლის შესახებ საუბარი. მისი

გულგულად ნათქვამი მსმენელთა მადლობას ამსახურებდა. იქვე, ილიასეულ ნაფუძვარზე დანიელთან შეხვედრის საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა მწერალმა როდიონ კორჭიაში:

„ერთხელ გიორგი ლეონიძემ მწერლები საგურამოში წავეყვანა ილიას სახლის დე-სათვლიერებლად. გიორგიმ ხალისიანად შეგ-ვიყვანა ეზოში თანამოკალმეები: ნინო ნაყაშა-ძე, მარტენა, იროდიონ ქავერაძე და მე. ჰი-შეარსო რომ შევედით, მერხზე ვიდაც მოხუ-ცი იქდა. მან უუტრა, უუტრა ნინოს, მერე წა-მოვარდა და შესძახა: „ნინო იოსიფოვნა, თქვენო ბრწყინვალემავე, ეს თქვენ ბრძანდებ-ით? ნინო დააკვირდა, შემდეგ მივარდა და გადაეხვია.“

— მასლოვ, ეს თქვენა ხართ, განა?

მოხუცი ატირდა. ნინო გვერდით მიუტყდა, მოფერდა, საუბარი დაუწყო. თურმე ეს მო-ხუცი — უბრალო დარაჩი, ტოლსტოისა და ილიას პატრივისმცემელი და გულშემოტივარი აღამიანი უყოფილა.

„...— მართალია თუ არა, ილია გლახებს წუალს არ აძლევდაო რომ ამბობენ? — კვი-თხე მას.“

მოხუცმა იწინა, შეკრულზე ხელი მიიდო და მითხრა.

— განა ისეთი კაცი იყო ილია გრიგორევი-ჩი? ის კი არა, ფქვილს აძლევდა გლახებს. რამდენჯერ მიმიცია სანოვაგე მისი ბრძანე-ბით... ომ არა! იმასაც საწუალი ხალხი უუვარ-და, როგორც ლევ ნაიკლავეიჩის... აი, შე ტოლსტოველობისათვის გამოშაქვეს რუსეთი-დან. ილია გრიგორევიჩმა მიმიღო, შემივარდო-მა. ტოლსტოი ღვთის კაცი იყო, ილია გრი-გორევიჩიც მუდამ საპარტილიანი...“

მოხუცს ისევ ცრემლები წასვდა, ნინომ ხე-ლი გადაუსვა თავზე, დაამშვიდა.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ნინომ შეუშინ-ევლად ფული ჩაუღო ჯიბეში მასლოვს...“

— ასე მგონია, დღეს ორივე ერთად ვნახე, ტოლსტოი და ჰავერაძე. — თქვა ნინომ. მე კი უუთხარი:

— ასე მგონია, დღეს ერთად ვნახე: ტოლ-სტოი, ილია და ნინო“.

გარკონეშვილი

1941 წლის დეკემბერში [რედაქციის] შეხვე-ნარებოდა ილია ჰავერაძის შეკვლის გ. ბე-რბიჭაშვილის სასამართლო პროცესი. მასლოვს სთხოვეს პროცესზე დასწრება, მაგრამ მან კა-ტიგორიული უარი განაცხადა.

— გეთაყვა, თავი დამაჩებეთ, ნუ დაშვით ამით, რომ კაცს, რომელსაც ადამიანური ღი-რსება დიდი ხანია დაკარგული აქვს, შევხე-დო. ილიას შეკვლელთან შეხვედრა ჩემთვის შე-ტად შტაქინეული იქნებოდა.

როგორც ცნობილია, ილიასეულ სამხართუ-ლიან შენობაში მუზეუმის გახსნამდე მწერა-ლთა დასასვენებელი და შემოქმედებითი სა-ხლი იყო. დანიელი დროადადრო ხვდებოდა მწერლებს და დიდი ვატაციებით ესაუბრებოდა ილია ჰავერაძის ფასდაუდებელ დეაწლზე-ერთ დღეს გიორგი ლეონიძეს მისთვის უთქ-ვამს, მართალია, ახლა ამ სახლში კვლავ ჩქეფს შემოქმედებითი შრომა, მაგრამ ბევრად უკუ-თიხე იქნება, მის ნაცულად აქ ილიას სახლ-მუზეუმი გვეკონდესო. თან დაუმატებია, ამ კეთილშობილური საქმის ბოლომდე შევანი-სათვის უველაფერს გავეყეთებო.

სამწუხაროდ, დ. მასლოვი ვერ მოეწიწრო ილიასეულ სახლში. მუზეუმის გახსნას, რასაც მოუთმენლად ელოდა.

1949 წლის გვიანი შემოდგომის ერთ ხუ-სიან დღეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დანიელ მასლოვი გარდაიცვალა. საგურამოელი ხანდაზმულები ამბობენ, საყვდილის წინა დღეს ღონეშიზღილი დანიელი სულ თავისი მშობლებისა და ილია ჰავერაძის შესახებ ლა-პარაკობდაო.

საგურამოელი მშრომელები გულისტკივი-ლით გამოეთხოვეს მსცოვან შეფუტა-რებს, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, „შე-ტველი საგურამოელი ვარ“, და თავიანთ წი-ნაპართა სასაფლაოზე დაკრძალეს იგი.

ნათელა ურუშაძე

მსახიობი და მებოგარი

(ეროსი მანუჩაშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო)

ქართულ თეატრში ერთად მოვედით: ერთად ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში, ერთ შემოქმედებით არწმუნას ვეზიარეთ. ის სცენიდან ქადაგებდა ანსამბლის, გარდასახვისა და თანაგანცდის თეატრის პრინციპებს, მე — ვწერდი იმპოზე, ვინც ასეთ თეატრს ქმნიდა, რაღა თქმა უნდა, ეროსიზეც. ვინაიდან სწორედ ამგვარი თეატრის შემოქმედად მოვევლინა იგი ქართულ სცენას. სამჯერ დამიწერია მის შესახებ ხანგამოშვებით: 1981 წელს, როდესაც წარმატების რაშზე ამხედრებული სამსახიობო შემოქმედების მწვერვალებს იხერობდა, ერთი მეორის მიყოფებით გააცოცხლა სცენაზე ჩემი მანუჩაშვილი იოზეტ პეშკი (ი. ფუჩიკის „დაშიანებო, იუპით ფხიჯილად“). მსუნაგი ღვთისმსახური ლოესი (ჯ. ფლტატერის „ესპანელი მღვდელი“), გულმბრკვილო დათა (ჯ. ნახუტრაშვილის „კინკრაქა“), იიდაოსი, გვადა...

1982 წელს მოულოდნელად დავკარგეთ შეხანიშნავი მსახიობი და მებოგარი, მაშინ დავწერე შესახედ. ახლა მეოთხედ ვწერ, უიმისობის რამდენიმე წლის შემდეგ... და ხელახლა ვიხსენებ წარსულს...

1945 წელი, გაზაფხული. თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსი სადიპლომო სპექტაკლს უჩვენებდა. ეს იყო ვორკის პიესა „მდაბიონი“, ბესემენოვის სახლში, სადაც იწლებო გამოათა ცხოვრება, პერი ზომანზე მებად დაბალო იყო, ამის გამო იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იქ მყოფ ადამიანებს პიესა არ მყოფნიდათ, სუნთქვა უჭირდათ. ამ ფონზე განსაკუთრებული თვალსაჩინოებით იხატებოდა ელენას მგალობელი-ტეტერევის აბოვანი ფაგურა. დიდი, ძირს ჩამოშვებული უღვაშება ჰქონდა ეროსის ტეტერევის შესაჩინევად

გრძელი თმა. გრძელი ზედა ტანსაცმელი, რომელსაც შინაც არ იხდიდა. ეს ურველოვე სტუდენტ-მსახიობის იხედაც აბოვან სხეულს კიდევ უფრო წარმოსადგებს ხდიდა. ხმას კი ვერც სცენა, ვერც დარბაზი ვერ იტყვდა. „რა შესანიშნავი მონაცემები აქვს ამ მანუჩაშვილს? რა დიდებული ხმა!“ გაისმოდა დარბაზსა და ფოიეში ანტრაქტის დროს. ეს იყო მსახიობის აღიარება.

მართალია, მანამდე ეროსის წარმატებით ჰქონდა ნათამაშევი გამზიე (ლეტრაზის „ბაწია“), კოლოშიციევი (გორკის „უკანასკნელი“), ბრეტე (დიუსოს და გოუს „ღრმა ფსევები“), მაგრამ სრული ძალით მისი მსახიობური ნიჭი ინსტიტუტში ტეტერევის როლში გამოვლინდა. არა იმიტომ, რომ მოხდა ის ბედნიერი დამთხვევა, როდესაც როლი საშუალებას აძლევს მსახიობს ბუნებით ნაბოძები მისი ინდივიდუალური ნიჭი გამოავლინოს. კიდევ იმიტომ, რომ თვით სპექტაკლი აგებული იყო იმ შემოქმედებით პრინციპებზე, რომელიც ქართულ თეატრში დაჰკადრებისათვის ასე თავგამოდებით იბრძოდნენ შემდგომ ეროსი.

„მდაბიონი“ სადამლომო სპექტაკლი იყო ასეთი წარმოდგენის უმთავრესი მიზანია თავმოყრით წარმოაჩინოს ყველაფერი, რაც უნდა შეინაწავლოს მომავალმა მსახიობმა სათეატრო სასწავლებელში. ახლა საქვეყნოდ განთქმული, მაშინ კი დამწვეები რეჟისორი გ. ტოვტონოვოვი, რომელმაც დადგა გორკის ეს პიესა სტუდენტ-დაბლომანტებთან, შემოქმედებამოიც და სწავლებამოიც ყველაფრის სათავედ ხელოვანის მოქადაგებობრივ მიზანდასახულობას მიიჩნევდა — უნდა ჰქონდნენ რწმენა და უნდა ემსახურათ მას, აჰკადრებდნენ იმას, რაც გვქრია. მუდამ უნდა იყოდ

რას ამტკიცებ, რას ამკვიდრებ და რის გულისთვის? მხოლოდ ასეთ კითხვებზე თანახმიერი პასუხებით გაერთიანებულ ადამიანებს შეიძლება ეწოდოს შემოქმედებაში ერთმორწმუნენი.

გ. ტოვსტონოვოვი ერთმორწმუნეთა კოლექტივს წრდოდა. ამ კოლექტივის უდადეგსა და უმანწინელოვანეს ნაწილს მსახიობები შეადგენენ. სწორედ ამის გამო რეჟისორის თეატრის პრინციპების დამაყვიდრებელ გ. ტოვსტონოვოვს იმთავითვე განსაკუთრებით უყვარდა მსახიობი, სათითო შედეგად ერთი ბენო ეპოზოდზე მასთან მუშაობა. ასეთი სიუჟეტული შეტრქმევა უდადეგი სიხარულია მსახიობისათვის, რადგან გრძნობს რეჟისორის სეროიზულ ინტერესს მისი პიროვნებისადმი და სურვილს მაქსიმალურად გამოავლინოს მისი შემოქმედებითი უნარი.

გ. ტოვსტონოვოვის უნარი სპექტაკლი, რომელიც მას ინსტიტუტის სცენაზე დაუდგამს (მით უფრო, სადილობო „მდაბიონი“), განსხვავებულ მხატვრულ პირობაზე იყო აგებული და ამის გამო განსხვავებული მხატვრული საშუალებებით განხორციელებული. დამწვები რეჟისორისთვის სტუდენტური სპექტაკლი საყუთარი შემოქმედებითი მარწამის დამკვიდრების, მისი ნიჭის გამოვლინების ერთ-ერთი, თანაც უმდიერესი საშუალება იყო. იმიტომ რომ სწორედ ინსტიტუტში ეძლეოდა კოლექტიური შემოქმედების პრინციპების დამკვიდრების შესაძლებლობა. უდადეგი მწინელოებისა იყო ისიც, თუ ვინ იყო ამ სტუდენტური სპექტაკლების მპურებელი. ნებისმიერ ავადმყოფ თეატრს შესურდებოდა საზოგადოება, ამ წლებში რომ ავებდა თეატრალური ინსტიტუტის მპურებელთა დარბაზს. ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი ა. ზორავა მადამომობოვან საზოგადოებას იწვევდა ზოლმე და თვითონვე მასპინძლობდა მას. ყველა სტუდენტმა იცოდა, რომ მის სახილველად მომარძანდებოან კონსტანტინე გამსახურდია, ოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, ვერაიო ანჯფარაძე, ნატო ვარწამე, შალვა დამაზიძე, არნოლდ ჩიქობავა, რევაზ ნათაძე, ვახტანგ ბერაძე... ვინ მოთვლის ყველას...

სპექტაკლში „მდაბიონი“ დაძლეული იყო კოლექტიური შემოქმედების ყველა სირთულე: ყველაფერი მიწვეობრივ იყო ერთმანეთთან დავაჟირებული, ერთი მოქმედი პირი შეორისისათვის არსებობდა. გვირთა ცხოვრებაში არ მოძებნებოდა არც ერთი ვაუშართლებელი, უმოქმედო წუთი. არც ერთი სიტუვა, რომლის წარმოქმნა შენაგნად არ ყოფილიყო აუცილებელი ომისთვის, ვინც ლაპარაკობდა ამის გამო თავისთავად აღმოცენდებოდა ზოლმე ის განსაკუთრებული კონტაქტი, რომელიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში უბი-

ლავი ძაფებით ავჯშირებდა სცენურ გვირგნის დარბაზში მუღუ ადამიანებთან: ასეთი კავშირები განსაკუთრებული სიამოვნების მამოქმედებელია როგორც მსახიობების, ისე საყუთარებისათვის. ესა იმის მიწვეო, რომ, ვისაც უნახავს ინსტიტუტის „მდაბიონი“, დღესაც ახსოვს სპექტაკლიცა და ერთი ტიტერევიც. მონაწილეებს კი ისიც ახსოვთ, დასწევსში როგორ უჭირდა ერთის, როგორ უშლიდა ხელს თანდაყოლილი მორცხვობა. განსაკუთრებით მავადთან მუშაობა, სადაც ყველა ანე ახლთა ერთმანეთთან. უცებ ვერ მივხვდით, ჩვენმა მანწავლებელმა ყველაზე ადრე მას რატომ შესთავაზა მომავალი სამოსიელის ერთი დეტალი (გრძელი კაწენე — ის ზომ მგდლობელია და ეველს უფროხილდება). მყისვე მოეხსნა ერთის შებოცილობა. შემდგომშიც, საზელოვანისა და გამოვლილს, მაინც უჭირდა ზოლმე მანამ, სანამ რეჟისორი არ შეაყვედებდა რამე ისეთს, რაც ცხოვრებისეულად მიხეული არ იყო — საყუთარი სახით მპურებელთან შეხვედრა ხელისშეშლებელი იყო ერთისთვის შემოქმედებაში. არსებობენ ანჯვარი არტისტული ბუნების მსახიობები. ერთის ნიჭის ეს თავისებურება მაშინვე შენიშნა სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტმა მიხეილ თუმანიშვილმა, რომელიც ამხანად რეჟისორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. თან დღიურს აწარმოებდა. ფასდაუფებელი დოკუმენტია ეს ჩანაწერები ქართული თეატრის ისტორიისთვის. ვინ იცოდა მაშინ, რა მისიას ივალდებულებდნენ ამ სპექტაკლის მონაწილე ერთი მანწავალაძე, გიორგი გიგეჭორი, ავჯო დვალიშვილი, ხადრა კობახიძე და მიხეილ თუმანიშვილი რამდენიმე წლის შემდეგ?

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, განაწილებით, ერთი ცხინვალის თეატრში აღმოჩნდა. თბილისში ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. ესაკიას მოწვევით, რომელიც ამხანად საქართველოს რადიოს ხელმძღვანელობდა — კომენტატორი იყო სპიროს საფებურთო განაცემებისათვის. არუნთავლის თეატრის დაწეი ჩაირიცხა.

თეატრი ყოველთვის უმალ ვერ შენიშნავს და ვერ ამოიცნობს კოლექტივის ახალ წევრს, მაგრამ ერთის ვერ შეჭრნავა შეუძლებელი იყო — შეტისმეტად საჩინო იყო ყველა მისი თვისება: აზოვანი, ულამაზესი ტუმბრის მპურადოვანი ხმა, წარმოუდგენელი მომზიბვილელობა.

მისი შემოქმედებითი დაბადება დიდი თეატრის სცენაზე 1951 წელს მოხდა. მ. თუმანიშვილის სპექტაკლში „ადამიანებო, იუჟთო ფხიწლად“ მან იამამაშ მანწავლებელი იოწვე პეშტი. ეს იყო ისეთი წარმატება, რომლის შესახებაც ორი აზრი არ არსებობდა. არც მოძებნებოდა ვინმე, ვისაც მისი პეშევისათვის არ თანავგრძნობს, არ შეხვეუარებოდა, არ დაახსოვ-

რებოდა ამის გამო. რაში იყო წარმატების ხედვით? პირველ ყოვლისა, იმაში, რომ პე-
შკვი ზემანური ოცნების ადამიანი იყო. ადამიანი, რომელიც ჩუხსლოვაციის თავისუფალი
სკოლის გახსნის პროექტებს ადგენდა, ფაშინ-
ტურ სატუსაღოშიაც კი უფრო მნიშვნელოვანი
სურვილებით სულდგმულობდა. უნდოდა ფიზი-
კისათვის სატუსაღოს საშინელებიანი შექმნე-
ბუქებინა... ერთიმ შექმნა ადამიანური სიყ-
თით, მომავლის ჩქმენით გახსივისნებული და-
უფიწვარი სახე. ეს სახე პრინციპული წარმო-
დგენის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.
საქმე ისაა, რომ წარმოდგენა „ადამიანებო,
იუთუნი ფიზიკა“ მათურებელს სთავაზობდა
იმ დროის რუსთაველის თატრისათვის დამახ-
სიათებელი შემოქმედებისგან რადიკალურად
განსხვავებულ გზას — თატრი არა ორი, თუ-
ნადაც ბრწყინვალე მსახიობსა, არამედ ანსამბ-
ლის თატრი, სადაც ნაწარმოების იდეას სტე-
ნაზე აუღენს ფსიქოლოგიური ხიღრმით ამო-
ხსნილი პიესის ყველა პერსონაჟი, ურთიერთ-
დაკავშირებულ, ურთიერთგანმმარბებელ ცო-
ცხალ სცენურ სახეთა მთლიანი სისტემა.

ასე დაიწყო იმ-იანი წლების რუსთაველის
თატრის პრინციპული შემოქმედებითი ბრძო-
ლის რთული პროცესი. თატრის ახალი სახე-
ობა ძველს წიაღში იბადებოდა.

შემოქმედებით თანამოაზრეთა ჭკუფთან ერ-
თად, რომელსაც რეჟისორი მ. თუმანი-
შვილი ედგა სათავეში (შემდგომში მათ „შეი-
კცას“ შეარქმევინ), ერთი ანსამბლის თატ-
რისათვის ბრძოლის გზას დაადგა. ამ ახლ-
გაზრდებს უნდოდათ ეთამაშათ და დაედგათ
სექტატლები სხვანაირად. საქმე ეხებო-
და არა ბარისს, არამედ თვისებას ხელოცენ-
ბაში ამოხსნაველი დებულებების შეც-
ვლას: ყველაფრის უწყვეტი, ბუნებრივი ცხო-
ვრებით გამოვლინება. არც ერთი წუთი უმო-
ქმედო, არც ერთი სიტყვა, რომლის დახადე-
ბა შინაგანი მოთხოვნით არაა გამოწვეულია. ამ
გზით შექმნილი სცენურა ნაწარმოები ცხოვ-
რებისეულად მართალი იყო, გასაგები, ახლო-
ბელა და ამის გამო სასურველი იმ დროის მ-
ათურებლისათვის. რამდენიმე ჭოეული წლის
შემდეგ სწორედ ასე გაიხსენებს იმ დროს
თვით მოძრაობის ლიდერი მ. თუმანიშვილი:
„მშინ ჩვენ ვიწუებდით ჩვენი თაობის ახალ
საქმეს — ეცდილობდით ჩვენებურად აგვეხაზა
დრო“.

იმ წელს, ითაშა ერთსიმ კიდევ ერთი რ-
ლი, ისიც სახსიათო, არუთინ ზიშიშოვი
ჭ სულდუკიანის სოციალურ კომედიაში „პე-
პო“ (დადგმა დ. ადელიძისის). პეშკოვისა და
ზიშიშოვას ფოტოსურათების შედარებაც სა-
კვარისაა იმსახიობს, რომ ნათელი იყოს რაო-
დენ განსხვავებულ სცენურ სახეებს ქმნიდა
ერთი იმთავითვე.

ძალზე თამაშად იყო დახატული მსახიობის

მიერ ზიშიშოვი, პირველ ყოვლისა გარეწო-
ბის მხრივ: ყოინისებრად შეღებულ, გულს-
ყურით დეარცხნილი კორტი ნაჩრევნი ზი-
ში, აგრეთვე ყოინისებრად შეღებულ წარბე-
ბი და უღვაში, ამავე ფერის თმისა ხალი-
ლოყაზე, აგრეთვე საგანგებოდ დაგრებლი.
შეი ფერის მოდური ევროპული კონტუმი,
რომელიც არც მის გარეგნობას, არც მის ად-
მანურ არსს არ მიესადაგებოდა. თვითონაც
ვაკრის უბრალე, თავისუფალი კაბა-სამოსი
ერჩინა, მაგრამ მის ახალგაზრდა ცოლს, ფე-
ფელას, ევროპული უფრო მოსწონს და მეტი
რა გზა... კონტრემისა და გრემის ეს კონტრა-
სტი უნიტყვოდაც ბევრს რასზე აუწევდა მ-
ყურებელს.

წლების მანძილზე თამაშობდა ერთი ამ
როსს. სექტატელი რომ ღარ იყო რებერტუ-
არში, ძალიან ზნობად ის და მ. ჩახვა კონ-
ცერტებსა და შემოქმედებით სადამო-შეხვედ-
რებში წარმოადგენდენ ზოლზე სცენას. სადაც
ზიშიშოვი და ფეფელა მდებროდენ და ცდმა-
ვდენ, არც დრომ, არც განსაზიერების სი-
შირემ, არც უდიდესმა წარმატებამ არ იმოქ-
მედა ერთის ზიშიშოვის მხატვრულ ბარისს-
ზე.

შემდეგი დიდი წარმატება ფელიტრირის „ეს-
პანელ მღვდელში“ განსაზიერებულ ლოპესთა-
ნაა დაკავშირებული (დადგმა მ. თუმანიშვი-
ლისა). იშვიათია წარმოდგენის ისეთი ერთსუ-
ლოვანი მიღება, როგორც ეს წიაღად ხვდა
„ესპანელ მღვდელს“. სექტატლის პირველი
წუთიდან ეს უკვე ნათელი იყო, როდესაც წა-
რმოდგენის მათუწებელი საყვირების ხმაზე
გაიხსნა ფარდა და მათურებელი მხატვარ-
დ. თავიძის მიერ შეთხზულ სცენურ კორდო-
ვაში აღმოჩნდა.

კარგად მიგნებული დეკორაციული გადაწ-
ვება, ერთი მხრივ, უადვილებს მსახიობს გმი-
რის სახის გამოკვეთას, მაგრამ, მეორე მხრივ,
ბევრსაც მოითხოვს მისგან — ის ორგანული
უნდა იყოს ამ გარემოსთვის. მსახიობის სწო-
რედ ეს უჭირფიტესი თვისება გამოავლინა
ერთსიმ ოინაზი ესპანელი მღვდლის ლოპესის
როლში. გასაოცარი ბუნებრიობით „ჩახატა“
თავისი ლოპესის მთელი იერი რეჟისორის და
მხატვრის მიერ დანახულ კორდოვას მათრე-
ბულ კუთხეში: მოქველებული სახლებს მსგა-
ვსად, ლოპესის ტანსაცმელიც ვახუნებელი
იყო, აღაჯალაგ ნაფუფუნებად ეყოდა და უღ-
ზე ჩამოკიდებულე ჭკრის მეტი არაფერი უგა-
ვდა ლოპესს ღვთისმსახურს.

მსუბუქად ტრიალებდა დეკორაციის კობტა
დანადგარი, გასაოცარი სპსუბუქით ატარებდა
თავს ზობას ტანს ლოპესი, იმითმ, რომ
ზედმეწეწით თავისუფალი იყო ყოველ, სულ
უმნიშვნელო და დიდად მნიშვნელოვან საქცი-
ელში. კომპიური ფარა მოითხოვდა ამს.

ესმეც და ვაიყვარა იყო ერთის ლოპესი,

იმავე დროს უშუალო, არმენავამოცდობა და ღარიბ მძევლებში მშვიდ-მწყურვალს მოჩვენებითი ცერემონიებისათვის აღარ ეცალა. შეეძლო საღმრთო წიგნის ფურცლებით ქონიანი ტურბები გაეწმინდა, ღვთისმსახური თავდაუწყებელით როცა მისცემოდა, იმდენად, რომ ჭვარი გავარდნოდა და ეს არაფრად ჩაეგდო... ყველა დეტალი კმედიით იყო, ვლანდებოდა კონსტანტინე ბილულ საქციელში, რომლის ჭაჭყაც შეადგენდა სცენური სახის ცოცხალ, კვლამართიად თეატრალურ ორგანიზმს.

დიდი, ძალიან დიდი მტაცებელი ფრინველის ასოციაციას იწვევდა ერთის ლოქების მთლიანი, განსაკუთრებულად მოძრაი ნახატ, რომელიც ერთსა და იმავე დროს ზედმიწევნით ზუსტად იყო და ზედმიწევნით თავისუფალიც. ამ დროისათვის (1951) ერთის ნიჭმა უკვე იმდენად გაშალა ფრთა, რომ უდიდესი სიზარტულის შინაიკებელი იყო არა მარტო მაყურებლისათვის, არამედ თვით მსახიობისათვის. საქმეც ის იყო, რომ რეჟისორული ნახატის ზუსტ ტყალში მოქცეული მსახიობი მის შიგნით იყო თავისუფალი და ხალისიანად შეეცემოდა იმპროვიზაციას, რაც მოლოკებულობა და დადგენილის ახალ-ახალი კმედიით ფერებით გაფრთხილებას იწვევდა და არა დრამატურაგის სიტყვების საყურთარი ახალ-ახალი ტექსტებით შეცვლას. მ. თუმანიშვილის წარმოდგენებში ამჯერად რამ დაუშვებელი იყო.

ლოპესის როლი ერთის აქტიორული ბუნების ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაც გამოავლინა — მასხმელებობისა და სიმსუბუქის შესაძლება. სწორედ ეს გახდა იმის საწინდარი, რომ ორი წლის შემდეგ, ა. ზორავასთან ერთად, ისიც დაინიშნა ოდიპოსის როლზე (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“, დადგმა დ. აღმაქისძისა).

ახალგაზრდა ერთის ოდიპოსი გარეგნობით ძალიან მკავდა ანტიკური ხანის ლარნაკებზე მოხატულ გვირგვინს. დაუნდობლად დაწერილი ეს როლი — ერთ უწყვეტ მოქმედებაში იშლება გვირგვინს უნებლიე დანაშაულის საწინდელი ტრაგედია და მოაჯრდება ისე, რომ მის შემსარულიბელ მსახიობს წუთიერი შეტყვენების საშუალებაც კი არა აქვს. ასეთი როლი მსახიობისაგან დიდ სულიერსა და ფიზიკურ სიძლიერესაც მოითხოვს, ძალთა გონიერი განაწილების უნარსაც და ყოველივე ამის მაყურებლისათვის იმჯერად მიწოდებას, რომ არც დადლილობა იყოს საგრძნობი და არც დაღვრილი ოფლი.

ერთის აქტიორული შესაძლებლობები მეტად შესაფერი აღმოჩნდა სოფოკლეს გვირგვინისთვის. განსაკუთრებით ხმა — ისეთი ძალიან და ელერადობის, თითქმის დმერტის იმისთვის მოუცია, რომ ღია ცის ქვეშ გაშლილი ანტიკური თეატრის ათასეული მაყურებელი დაიპყროს, ოდიპოსის შემდეგ ბევრმა ტრაგეკულ

მსახიობად აღიარა ერთი და მიაჩნა, რომ ეს სახი უფრო ძლიერია მის ქვეყანაში მსახიობ-ვარში, ვიდრე მანამდე შექმნილი მსახიობ-როცან სახასიათო მხატვრულ სახეთა რაგვი.

მაგრამ მ. თუმანიშვილმა ზედიზედ ორი სახასიათო როლი მისცა — ეოკოტა ცვიოვიანი ბ. ზუშინის „ფილოსოფიის დოქტორში“, სადაც ერთობ, ყველა სხვა სცენოტისთან ერთად, დიალოგის წარმოების ნამდვილი ოსტატობა გამოჩინა და ორი ძალზე განსხვავებული როლი ერთ სექტაკლში — რადიოკომენტატორისა და პროფესორ მეშაწინიშვილისა კ. ბუაჩიძის კომედიაში „ამბავი სიუვარულისა“.

ამ თთქმის იმპროვიზაციული სექტაკლის მონაწილეებს — თორათა და შავ საყოცერტო კოსტუმებში გამოწყობილ მსახიობებს — თვითონ გამოქონდათ სცენაზე მოქმედებისათვის აუტოლებელი საგნები, უვლადურს მოაწყობდნენ და შემდეგ ამოქმედდებოდნენ საყურთარ გვირგვინსა სახელით. კომედიისათვის ჩვეული სისწრაფით ეთარდებოდა ამბავი სიუვარულისა კ. ბუაჩიძის თავისებურ „მოქმედება-ტაიმებში“ და თთქმის ცარიელ სცენაზე ერთიც უგარიშოდ საყურთარ ტანსაცმელში, ხელში მკეროფონთა გამოდიოდა... ეს რადიოკომენტატორი თან ახლდა ახალგაზრდების სიუვარულის მთელ ამბავს: ხან გვიამბობდა მათ შესახებ ამის, რაც ჩვენ არ ვიცოდით, ხან აღუვლებოდა ერთი მათ ცხოვრებაში — კარნახობდა, აფრთხილებდა, ამხნევებდა, უბოძებდა... ეს ყოველივე ცოცხლად, მსუბუქად, აღერსიანი იუმორით... მაგრამ, რატომ არ უშლიდა ის, რომ საყურთარი სახით წარსდება მაყურებლის წინაშე ხომ არაფერი შეუცვლიდა გარგნობაში — გვიჩი საერთოდ არ ეცეთა, სამოსელის ერთი დეტალიც კი არ განსხვავდებოდა ჩვეული მისი სამოსელისაგან რა მოხდა? არაფერი განსაკუთრებული — მათი მაჯერობა მკეროფონმა შეასრულა. ერთისთვის ესეც საკმარისი იყო, ვინაიდან მკეროფონის ხელში აღება უკვე ნიშნავდა ჩვეულებრივი ცხოვრების ტყალიდან გამოსვლას.

მთელი სექტაკლის თანმხლები ეს რადიოკომენტატორი მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე წუთით ეპქრებოდა ხოლმე და ჩვენს წინაშე მოხტე პროფესორ მეშაწინიშვილად წარმოსდგებოდა იმისთვის, რომ სისწრაფო სამედიცინო დახმარება გაეწია სპორტულ მეციანერებთა კანდიდატ გქვთიმე ქთამაძისათვის. რომელსაც ბინის მიღებით განცდილმა ბედნიერებამ გულის შეტბვა მოუტანა.

იმისათვის რომ ახალგაზრდა ერთის ღრმა მოხუცად ქველდყო, საკმარისი აღმოჩნდა ხელჯობი, სათვალე, დაგრძელებული ცხვირი და შავი პატარა ჩაჩი, მოხუცები რომ ხმარობენ ჩვეულებრივ მელიოტი თავის დასაფარავად და გასათბობად. ხელჯობი სიბერისთვის ჩვეულ მუხლის სისხტეზე მივითითებდა. გრძელ



ცხვირზე ჩამოცურებული სათვალე სახის გამოხატულებას ცვლიდა, შევა ჩაიხ თავისთავად ბადებდა ანოციაციას ამასთან, ვინც ასეთს ატარებს... ამ სამი დეტალს ფიციურმა შეგრძნებამ კი თვით ეროსის არება უცებ „გადააწყო“ და გარდასახვა ელვისებური აღმოჩნდა. „შორანდო“ თუ ვალდებულნივით დაქაშაობს, სცენად გახული მსახიობი მსწარულ მოცილებდა შემოხსენებულ დეტალებს და კვლავ მოკვეცილებოდა რადიოკომენტატორის სახით, რომელიც კომენტარს მემარწევიშვილის ენოზობდა უყვებოდა. აქტიორული ხელისუფლება აჩის დემონსტრაცია იყო სექტაქლის ეს მონაკვეთი, ამიტომ მსახიობიც ხარობდა მის მიერ მონიჭებული უჩვეულო, წმინდა ხელოვნებისული სიხარული და მყურებელიც — ისიც ხომ ამგვარი სიაშოვნების მიღების წყურავლის გამო მოდის თეატრში!

ამის შემდეგ დაიბადა მისი ბოცო — მოხუცი მეზღვაური გ. ზუგნიშვილის „ზღვის შვილებიდან“ (დადგმა მ. თუმანიშვილისა, 1961) შვილის აშოდ მოლოდინე რომანტიკოსი მოხუცი, სულით — იოზეფ პეშევის ახლობლისი უკავილით ხელში. ეროსის პეშევისა და ბოცოს ფორსურათებს ერთმანეთის გვერდით თუ შოვათავსებს, ვაკავოცებს გმირთა გარეგნობის ნახატის მთლიანობა, უვლდა მისი დეტალის — ფესსამლიდან თავსაშკაულამდე — ერთმანეთთან შეხმატობილება და მარმონიული შერწყმა. და, რაც შთავარია, მსახიობის მიერ შთა გათავისება — როგორაა სხეული ამ საროსელში ჩადებალი!

1968 წელს რუსთაველის თეატრში გაჩნდა შიორე, პირველისგან უვილაფრით განსხვავებული, სათამაშო მოედანი — ე. წ. შიორე სცენა, პირველი სექტაქლი. რომელიც ამ სცენაზე დაიბადა, იყო გ. ნაზუროშვილის ზღაპარი „კინკრაქა“ (დადგმა მ. თუმანიშვილისა). უვილაფერი ახალი იყო, ძალზე განსხვავებული, რაც შთავარია, სცენა — მართლაც შიორე, ზედმიწევნით ახლო მყურებელთან, ზღაპარს, სადაც მოქმედებდა არა ანტიურთი ან ისტორიული გმირები, არამედ დევი, ქოსა, უფლისწული და გლეხი ბიჭი... შთა ამხავი სიკეთისა და შეგობობის უძვეველნის შეხსებზე, უმარავი ქართული ხალხური თამაშობა, წეს-ჩვეულება, ცეკვა და ხიმღერა... ძნელი დასაქრებელია ახლა, იცვებ მეტი წლის შემდეგ, ვინ და როგორ ეტაროდა ამ მშვენიერ წარმოდგენას და მის შემქმნელებს, როგორ თუ გმირულ-რომანტიკული ტრადიციებიდან ვადაუზეთოთ ღამის იდეოლოგიური ხასიათის ბრადებები წამოუყვენს, თუ თეატრალურა საროგადოების პლენუმზე, თუ ბეჭდურად სახელწოდონ ეურანალში? ერთ-ერთი ბრადებია ისიც იყო — ბარათშვილიან და იდიპოსის განმსახიბრებელ გამოჩენილ მსახიობებს მგელსა და დავის როგორ თამაშებოდა... დავის

განმსახიბრებელი ეროსი მანჯალამე კი გწორედ ამის გამო იყო დიდალუ ქეჩუქუჭუქუ — სწორედ რომ იდიპოსის შექმნისთვის შემდეგაა სანტერესო თამაშო დათვი, უფრო სწორად — ადამიანი, რომელიც ცხოველთა საშუარსში დავის მონათესავეა. განა მხატვრულ ნაწარმოებში შეიძლება ცხოველი იყოს — მის უფან ხომ მუდამ ადამიანი ივლისსმება. მაშასადამე, მსახიობის წინაშე იდგა უჩვეულო ამოცანა, მანამდე რომ არ ამოცნსა: შიავნოს ცხოვრებისეული მოვლენებისადმი დავის მხავსი ადამიანის დამოკიდებულება დათვის კომპლექციის ადამიანისათვის დამახასიათებელ შინაგანწყობილებებს. არცებობის რიტმს, მიზრა-შორბას, სიარულს, მისთვის სასიამოსა და საწუნს და უკველივე ამის სცენური, კონკრეტული, კეცვადი გამოვლინების ფორმებს. ამგვარი სიმარალე ხომ უჩვეულო სიმარტოდა, ახლაც დავხედოთ ფოტოზე აღბეჭდილ ეროსის დავის გამოსახულებას — კიდევ ერთხელ დავინახავთ, როგორ „გადეწყო“ მსახიობს წორბა სხეული: მოცევა, მხრები ჩამოწევა, რამდენიმე ნომრით დიდმა, ზოლიანმა პეგამომ კიდევ უფრო შეარბილა და მოპირველა მისი სხეული, აშვე დროს, ხელის მტევეების დამალვის საშუალებაც მისცა, — სხვაგვარად თავის ღამაზე ხელებს აბა როგორ მიამხავსებდა ეროსი დავის თათებს?.. „კინკრაქას“ სცენური სიცოცხლე ხანგრძლივი აღმოჩნდა. კრიტიკოსები არ ცხრბოდენ. ეროსის კი კვირებულ განრიგში „კინკრაქას“ გამოცხადება სიხარულის დემილოთ უნებობდა სახს — შან იცოდა, რომ ამ წარმოდგენას შოთომენლად ელის უვილა ასაკის მყურებელი.

არც ენტს, რომელიც მან შექსპირის „მეფე ლირში“ ითამაშა (დადგმა მ. თუმანიშვილისა, 1968), არც ართავაზს ნ. დუმბაძის „შინან დამეში“ (დადგმა რ. ბურბურასი, 1966), ასეთი სიხარული მისთვის არ მოუტანიათ. უვილა სცენური სახე სიხარულის მომტანი არც შეიძლება იყოს, არც ერთი შემოქმედის გზა მხოლოდ გამარტვებებისა და მიღწევების გზა არაა.

1967 წელს ერთი დიდი მწვერული კიდევ დაიპტრო ეროსში — გვაოდ ბავვა განახიბურა ლ. ქიარელის აშვე სახელწოდების გასცენიურებულ პაროზში (დადგმა მ. თუმანიშვილისა). სექტაქლი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ნაწარმოებში მიხენებია გარდატეხა, რომელიც მობდა ღარბი გლეხის — გვაოდ ბავვას ცნობიერებაში. ის ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში ჩადგა... პროცესი — შინაგანი ცვლილება, მისი საფეხურები, საუთარ თავთან ბრძოლა, თანაც ნაწარმოებში, რომელიც სცენაზე წარმოსადგენად არაა დაწერილი.

გვაოდს აღიარებდა ერთსულთვანი იყო ამ სცენურ სახეში, შეიძლება ითქვას, ეროსის

ყველა ბუნებრივმა თვისებამ და უნარმა მო-
 ჟარა თავი და იმანაც, რაც შეიძინა მან თეატრში მუშაობის მან წლის მანძილზე: გვირის სცენური სიციცხლის განვითარების დინამიკური ტენილის ზუსტი და ხაინტერესო ნაბატის გააზრება, ფერთა შერჩევა-შემაკვება და აგრეთვე სინატრერის განაწილება, ავტორის ხულის წვდომა, სიტყვის ძალის მომარტყება და ურველივე ამის ამ მხატვრული პირობისათვის დამორჩილება, ამჭერად რომ შესთავაზო რეჟისორმა წარმოდგენის მონაწილეებს. მოხდა ის, რაც ძალიან აწითათად ხდება, სცენაზე გაცოცხლები ქრისტომათითულად ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი.

ამჯერად, მონაწილეების დახასრულისათვის ეროსის აქტიორული ინდივიდუალობა უყვე ჩამოუალიბდა. ურველ მის ქმნილებაში მხაზობის პიროვნება ხმაზალა აცხადებდა, რომ სიღრმევი წვდომის, მასტაბურობისა და აპოხსნილის მასტუბუად მიწოდების შერწყმა — დომინანტია მის შემოქმედებაში. რომ თავისი ხელეყნებით ეს სხვადასხვა ვარიანტში და განსხვავებულად, მაგრამ აუცილებლად იცავს გამოჩრეულ პიროვნებას, უბრალო ადამიანად რომ იყოს იგი. ამავე დროს, ის შემოქმედებითი პირინციპები დამკვიდრდა და განმტკიცდა რუსთაველის თეატრში, რომისთვის იბრძოდა იგი სხვა თანამოაზრებთან ერთად. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რაღაც იცვლებოდა, როგორც მათურებელთა დარბაზში, ისე თეატრის შვინი.

„შვიდაკაცს“ დრო რომ დამთავრდა, ეს აშკარა იყო. სხვა შემოქმედებითი რწმენა, სასცენო ხელეყნების სხვა გაცება აკადებდა ფეხს. ცხადია, უმთავრესი თავის საურდენად ამ ახალ თვალსაზრისს ახალი ძალები ენაპირიგებოდა. მედროშები უფუოდ უნდა შეცვლილყუნენ. მასსადამე, ადრინდელი მედროში ამ ტრადიციან თავისუფლდებოდა. ეროსისათვის კი შემოქმედებითი დატვირთულობა აუცილებელი იყო ისევე, როგორც რუსთაველის თეატრის სცენის დიდი სივრცე, ზოგისთვის ძნელად დასაპურობი, მისთვის კი ასე აბოლობელი, იმბრო, რომ მასტაბურობა მისი ნიჭის თვისება იყო.

მართალია, კინოშიც იღებდნენ („ლონდრი“, „მთავრის მოტაცება“, „ვერის უზნის შელოდიები“, „ნატურის ხე“, „ქვევრა“ და სხვ.), სატელევიზიო დაღმებსა და ტელეფილმებშიც, გადაცემებშიც კი მიხუვდა სათეატრო ხელეყნებაზე, თეატრშიც ითმაშა რამდენიმე როლი (ბრუტოსი, ოთარ-ბეგი), აზღაყის როლიც ითმაშა „კავასიური ცარცის წრეში“, ს. ზაქარიაძე ურევალა „სამანიშვილის დედინაცვალში“, კინოსახიობის თეატრშიც მიიწვიეს მხაზიობად. შემდეგ ამ თეატრის დირექტორობაც ავლდებულა, მაგრამ მანძილს, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა რუსთაველის თეატრის

სცენასა და მას შორის, არაფერი ავსებდა... ისიც შესაძლებელი ვახდა, რაშიც მუშაობდნენ ასი წლის აღსანიშნავი კონტრფორმისტები სექტაკლში ეროსი არ მონაწილეობდა. მანამდე კი ერთი წელი საერთოდ არ გამოხულა სცენაზე...

1982 წლის 28 იანვრის უციკრად წავიდა ჩვენგან ეროსი.

თავჯარის ძაღისა იყო ეს აშხავი.
 ვის არ ახსოვს ადამიანთა ნიაღვარი, უსასრულოდ რომ მოედინებოდა იმ დღებში და აუხებდა ჭერ მის უბრალო საცხოვრებელს, შემდეგ კი რუსთაველის თეატრს, რომელიც ვერც უვაილებს და ვერც ცრემლებს ვეღარ იტევდა? ხალხი გლოვობდა ეროსის თეატრებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ველ-მინდვრებისა და სამეცნიერო დაწესებულებებში... იმ დღებში საქართველო ეროსის დაქარგვით გამოწვეული ტკივილით ცხოვრობდა.

ურაცხვა ჭარისფრული მიცილებდა ეროსის რუსთაველის თეატრიდან საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონამდე — მისი საშობალოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მოხუცები, ხანდაზოვლები, ახალგაზრდები, მოზარდები, პატარა ბავშვები, რომლებიც უფროსებს რატომღაც თან წამოყვანათ. წესრიგის დამკვეთებს ამ დღეს საქმე არ ვახწენიათ — ეს ხალხ-მრავლობა არ იყო ბრბო. აქ არ იყვნენ ცნობისმოყვარები. იყო მათურებელი. რამდენიმე თაობის თეატრალური მათურებელი, რომელიც მხაზიობისადმი თავის სიყვარულს გამოხატავდა. ეს იყო სიდიადე არა მარტო პირადად ეროსისა, არამედ მისი მოღვაწეობისაც, სიდიადე სცენის ხელეყნებისა, ვინაიდან უყიდვრესად გლოვრდული იყო ეს სახალხო გლოვა სუყვარელი მხაზიობისა, ჭეშმარიტად სახალხო არტისტიკა.

ასე დასრულდა მიწას მიბარების ამაღლებული ცერემონიალი. ხანგრძლივობისა და უაღრესად ემოციური ფორმებით გლოვის მიუხედავად, დანაჯარგით გამოწვეული ტკივილი არ მათურდა, დარჩა კიდევ უამრავი საოქმედი, უამრავი ცრემლი... გამოღვენას მოითხოვდა გლოვა, რომელიც არ იყო დასრულებული, დღემდე გრძელდება იგი სტატივებსა და მოგონებებში, ლექსებში, მას რომ მიეძღვნა, გადაცემებში, მისი შემოქმედების ამსახველ დოკუმენტურ ფაღში, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სიღამებში, სახელოვიარო ჯარის დახმულ ხმაში, კინოსახიობთა თეატრის ურველი სექტაკლის დასაწვისში ზუსტად ისე რომ ხმოვანებს, როგორც ეროსის დაქარაღვის დღეს, ურველი რტეტაციის, პრემიერისა თუ გასტროლების დაწვების წინ რომ მას იხუენებენ, იმ წარწერით, მისი საკაშულოობის კარს რომ აშხვენდა — „ეროსი მანგაღამის ოთა-



ხი", საქართველოს რადიოს ერთ-ერთი სტუ-
დიაც ხომ მისი სახელობისაა, თბილისის ერთ-
ერთი ქუჩაც... საცა მისდამი მიძღვნილ დიდ
კრებულს შესთავაზებს მკითხველს საქართვე-
ლოს თეატრალური სპეციალიზაცია დღემდე
ახსოვს ყველას — ახლობლებს, მეგობრებს,
მეურბერებს — იმ ადამიანებს, რომელთა სი-
ყვარულაც მუდმივ აცოცხლებს უღამაზეს
ყვავილებს პანთონის იმ მონაკვეთში, ერო-
სის რომ ეკუთვნის...

ვის რგებია ასეთი ხსოვნა? თავისთავად იმა-
დებია კითხვა — რა შეიძლება იყოს ასეთი გა-
მორჩეული ხსოვნის მიზეზი?

შემოქმედებამ ბუნებით ნაბოძები დიდი ნი-
ჭი? დიდი ბავშვის გულღიაობა, ყველა მის
სცენურ ქმნილებაში რომ გამოსჭვავილიდა?
სკენთის შუქი და თბილი იუმორი, მის ნიჭს
რომ ახსოვსწებდა და დღეიდან შეინახა სიმა-
რთლეს ნათელი ამოცანა და ხელწერა, რომელ-
საც ყველა ამოიკითხავდა? გაბედული სცენუ-
რი საშუალებები? იმპროვიზაციის აზარტი,
როცა თვით მსახიობის ბელოვნების არც შე-
ფერებდა მისი შემოქმედების სახით სცენაზე?
მუდამ შეხამწევი რომ იყო? რომ მარტივ სა-
კუთარი ნაწარმოებების შემქნით არ კმაყო-
ვილდებოდა — „შეოცაყასთან“ ერთად იბრ-
ძოდა მხატვრულად შთაღნი ანსამბლური სას-
ცენო ბელოვნების დამკვიდრებისათვის? რომ
მის უმშვენიერეს ქმნილებებსაც კი არ ემჩნე-
ოდა გაწვეული ქაღის დადი და ისეთი სიმშუ-
ბეჭით იყო მოწოდებული, თითქოს ძალთა
დაუზარკავად, მხოლოდ შოკოკონსა და ნიჭის
წყალობით დაიხადნენ უცერად და უმტკივნე-
ულოდ? მაგრამ ეს თვისებები ვანა მხოლოდ
მას ჰქონდა?

იქნებ იმიტომ, რომ სპორტი უყვარდა და
წლების მანძილზე ფეხბურთის კომენტატორიც
იყო? სპორტით ხომ უფრო მეტნი არიან გა-
ტაცებულნი, ვიდრე თეატრით? თანაც ისეთი
სახეობით, როგორიც ფეხბურთია. უნდა წარ-
მოვიდგინოთ ის დრო, როდესაც ტელევიზია
არ იყო და ფეხბურთის მრავალმილიონიან, უკა-
დურკვად აღილებულ გულშემატკივრებს მხო-
ლოდ რადიოთი შეეძლოთ იმის მოსმენა, თუ
რა ხდება სტადიონის მოედანზე. ვანა ადვილი
იყო ასეთი ვადაცემის წარმოება? წანასწარ
ვინ იცის, რა მოხდება მოედანზე, რა კომბინა-
ცია შეიქმნება — მას წამსვე უნდა მოეძებ-
ნოს სპორტი სიტყვიერი ფორმა, რადგან მომ-
დევნი წაშს სხვა კომბინაცია იხადება, აჟი თი-
ქვა კიდეც. რომ საქართველოში ეროსიმ შე-
ქმნა ეს ვანა, შესაშამისი ქართული ტრეპი-
ნოლოგიითა და სტეციფიკური გამოთქმებით,
რომლებიც დამკვიდრდა, რამდენი ეროსისეუ-

ლი მსწარმელ შემქნელი სიტყვიერე ნაშე-
დაიხადა და წამსვე გაქრა ფეხბურთის ფეხ-
რესად დინამიური ვადმოცემის დროს. ახლო-
ბლებმა იციან როგორ ვანიცდიდა იგი ამ რე-
პორტალებს, რამდენ ძალს ხარკავდა. ესეც
ხომ თავისებური შემოქმედებაა, უცნაური,
უჩვეულო, ამაღლებვეულო.

მისი სიყვდილის შემდეგ გამოირკვა, რომ,
თორმე, ეროსის ეს შემოქმედება უდიდეს ზე-
ვადუნას ახდენდა არა მარტო ფეხბურთის
მოყვარულებზე, არამედ თვით ფეხბურთელე-
ბზეც. ა. ჩივამძე წეროდა ასე დარწრა —
„1984 წელს ტაშენტიდან რომ ვადმოსცემა
ეროსი თბილისის „დინამოს“ მიერ ქვეუნის
ჩემპიონობის შობაების შატის — იმ რეპორ-
ტუმა მიგვიყვანა მისიანი წლების ბიჭები ფეხ-
ბურთის სექციისა, სპორტულ მოედანზე“.

თვითონაც თამაშობდა ფეხბურთის. ბორის
პაიჭაძის მოსაწერი ფეხბურთი იყოდა — გო-
ნაერი, ლამაზი, მოძრაობის მშვენიერების შე-
მგარძნები და გამოშხატველი... „ესმერადღაში“
მისუცი ფეხბურთელი თამაში, როგორ იგ-
რძნობოდა ამ რაღში ეროსის დიდი სიყვარუ-
ლი მშვენიერი ფეხბურთისადმი...

იყო დრო, როდესაც უღამაზესი ტემბრის
მისი ხმა ერთდროულად გუგუნებდა მრავალ-
რიცხოვან კინოდარბაზებში, რადიოში, შემდ-
გომ კადეც ტელეგადაცემებში, თანობით ადა-
მიანები უსმენდნენ მას და იღიმებოდნენ, რა-
დგან უყვარდათ ამ ხმის პატრონი... ახლა ეს
მას სულ უფრო იშვიათად გვესმის, მაგრამ
ამის გამო არ გვაიწყდება, პირიქით — გვე-
ნატრება.

იქნებ ეროსის პირად თვისებებშია საქმე? მო-
რცხვი რომ იყო, საკუთარი პოპულარობა რომ
აწიოლებდა, მუდამ მზად რომ იყო ადამიან-
სთვის დახმარების ხელი ვადწოდებინა, უწო-
მოლ მომხიბვლელი რომ იყო, მიმწოდობი, სუ-
რდენი და იმედი, დიდსულოვანი, სიტყვიერი-
რი... რანდღულად ამაუცი და თავმოყვარე, სი-
ცოცხლისმოყვარული, ღმინის გული.

ანგარიშის გაწევა იცოდა, სხვისი თამოყ-
ვარეობის გაფრთხილება. დიდ საქმეს ჩუმად
გაყვებოდა. ასე წამოიღო „ქინტრატას“ ფარდა
რუხთავების თეატრიდან და კინოსახიობთა
ახლგაზრდულ თეატრს მოუტანა. რამდენი
რამის მოქმელოა ეს თითქოს უბრალო საქცი-
ელა...

იქნებ იმიტომ, რომ არც ის ვედა არავის,
არც მისი მსგავსი მოგვეპოვება...

მაგრამ ვანა ყველა დიდი ბელოვანი არაა
განუმეორებელი? მაშ, რაშია საიდუმლო? სა-
იდუმლო ხაღბის სიყვარულისა, რომელიც მუ-
დამ თვითონ ირჩევს სათაყვანებელ არსებას.



რუსთველის კოსმოლოგიური შეხედულებაზე შესახებ

1984 წელს მეორედ გამოიცა გიორგი თევზაძის საინტერესო და საფუძვლიანი გამოკვლევა „რუსთაველის კოსმოლოგია“. მის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება და მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ეს გამოკვლევა მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, დიდი ტაქტიკა და მეცნიერული კეთილსინდისობით არის დაწერილი.

მიუხედავად ამისა, ამ წიგნის პირველივე გამოცემამ (1979 წ.) ერთგვარად დააზნია მკითხველები. ამის მიზეზი ის იყო, რომ გ. თევზაძემ არ დააზუსტა, თუ როგორი მოსაზრებები ჩაითვლება ზუსტ მეცნიერებაში თეორიულ და როგორი — შეხედულებად. სამწუხაროდ, მეორე გამოცემაშიც იგივე გამეორდა. გარდა იმისა, რომ ეს საკითხი ახსნილი არ არის წიგნში, ზანს, რომ თვით ავტორსაც არ მიუტყუვია ამისათვის სათანადო ყურადღება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გ. თევზაძის გამოკვლევის მნიშვნელობა არა მარტო სცილდება ასტრონომიისა და ფიზიკის ისტორიის საზღვრებს, არამედ უყვეს პროფესიის მკითხველის ინტერესს იწვევს, მაშინ აუცილებელი ზდება წიგნში ზუსტ მეცნიერებათა სპეციფიკის გამოკვეთა და ახსნა, და სასურველად, გ. თევზაძემ მომიჯალი გამოცემის მომზადებისას ამ საკითხს ყურადღება მიჰყოიოს. ე. წ. აუცილებელია დაზუსტება იმისა, თუ რატომ უნდა დავაყონკრეტოთ და ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ თეორია და შეხედულება ასეთ შემთხვევაში.

საქმე ის არის, რომ ზუსტ მეცნიერებაში მეცნიერულ თეორიულ (მეცნიერების კუთვნილ თეორიულ) ის მოსაზრებები ითვლება, რომ-

ლებიც მხოლოდ ზოგად დაკვირვებებსა და ლოგიკურ განსჯას კი არ ემყარება, არამედ ცდის-სეული შედეგებით არის დასაბუთებული და თან ახლავს გაზომვის შედეგები ან მათემატიკური დასაბუთება, ე. ი. მეცნიერის მოსაზრებებს დასაბუთების ობიექტურია საფუძველი თან უნდა ერთვოდეს და დასკვნები ამ საფუძველს უნდა ემყარებოდეს, ანუ დასკვნების ობიექტურია (არასუბიექტურია) საყრდენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბუთე უნდა იყოს. ეს თავისებურება ასხვავებს ზუსტ მეცნიერებებს (ასტრონომიას, ფიზიკას, ქიმიას და ა. შ.) სხვა მეცნიერული დისციპლინებისაგან. ზუსტი მეცნიერება იმდენად იწოდება ზუსტად, რომ აქ მეცნიერის თეორიამ უნდა ახსნას მანამდე დაგროვილი ცდისეული შედეგები და გაზომვის მონაცემები და მისგან უნდა გამომდინარეობდეს ახალი ცდებით მისი დადასტურების შესაძლებლობა მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება მეცნიერება თეორია მეცნიერულ თეორია (მათ უმეტეს, ცალკეული მოსაზრებები), რაც უნდა ლოგიკურად გამართული იყოს და ჰეზ. მარტივებს ჩამოკავდეს, მაინც ამ მეცნიერის შეხედულებად ითვლება და არა მეცნიერულ თეორიად. პოპოთეზა იმით განსხვავდება შეხედულებისაგან (ზუსტ მეცნიერებაში), რომ იგი ამ მეცნიერებას ეყრდნობა, უკვე ცნობილ შედეგებს (ცდების შედეგებს ან სხვა თორიებს) ეყრდნობა, მაგრამ ჯერ არ არის დადასტურებული ახალი ცდებით, შეხედულება კი თავის საყრდენს არ მითითებებს, არ ასახელებს უკვე დადგენილ იმ ჰეზმარტებას, რასაც იგი ეფუძნება. სწორედ ამიტომ ზუსტ მეცნიერებაში სიახლე ვერ წარმოიშევა, თუ მას საფუძველი არა აქვს, ხოლო თუ რაიმე ორიგინალურა

შეხვედრებები წარმოიშება, ისინი კვალს არ ატენს ამ მეცნიერების განვითარებას.

სულ სხვა ვითარებაა, თუ გნებავთ, ფილოსოფიაში. აქ შეიძლება მეცნიერის მოსაზრებების შევამებისას მათი ლოგიკური მშლანობა აღმოვაჩინოთ, თან მათში ბუნებისა და ცხოველების დავიკრების შედეგებიც ამოვიკითხოთ და ამის გამო ფილოსოფიურ თეორიად ან სისტემად ვალიაროთ, მაგრამ ზუსტ მეცნიერებაში ეს საქმარისი არ არის მით უმეტეს, მწერლის მოსაზრებები და ბუნების მოვლენათა მოვლენები, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებშია გამოხატული, არ შეიძლება ზუსტად მეცნიერებას თეორიად ჩავთვალოთ, რამდენადაც მხატვრულ ნაწარმოებში არ შეიძლება გაზომვის შედეგები და მათემატიკური დასაბუთება იყოს მოცემული (ფილოსოფიურ თეორიადაც ან მხოლოდ გარკვეული პირობების გათვალისწინებით შეიძლება მიჩნევა მწერლის ნააზრევისა).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ რუსთაველი მიერ ასტრონომიულ მოვლენებთან (საზოგადოდ, ბუნების მოვლენებთან) დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები არ არის ასტრონომიული თეორია, გ. თვებზემ დაშვებულად დასაბუთა, რომ „ვეფხისტყაოსნიდან“ უცდობლად გამომდინარეობს შეხედულება გეო-პელიოცენტრული სქემის მიხედვით შუისა და პლანეტების მოძრაობის შესახებ, მაგრამ ეს არა ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანიში“ გეო-პელიოცენტრული სისტემა არის გადმოცემული. სხვა სიტყვებით, „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს რუსთაველის გეო-პელიოცენტრული შეხედულებები და არა გეო-პელიოცენტრული თეორია ასტრონომიისა.

ისტორიიდან მრავალი მაგალითის დამოწმება შეიძლება ზემოთქმულის დასადასტურებლად. მაგალითად, რენე დეკარტს ასეთი მოსაზრება აქვს გამოთქმული: „დანამდვილებით შეიძლება ეამტიკოთ, რომ ქვა ერთნაირად არ არის განწყოობილი ახალი მოძრაობის მიღებთანადი ან სიჭქარის ვარდისადმი, როცა ის ძალიან სწრაფად მოძრაობს და როცა ის ძალიან ნელა მოძრაობს“. თუ ამ სიტყვებს შევადარებთ ფარდობითობის თეორიიდან გამომდინარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებასთან, რომ სხეულის ინერტია (მასა) მისი მოძრაობის სიჭქარზეა დამოკიდებული, მაშინ აამოდის, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში დეკარტს იგივე უთქვამს, რასაც ფარდობითობის თეორია ამტკიცებს, მაგრამ აზრად არავის მოსვლია დეკარტის სახელი ფარდობითობის თეორიასთან დავიკრებისა და დეკარტის ეს აზრი მის შეხედულებად დარჩა, ისიც ვავიხსენებთ, რომ ატომურ ფიზიკასთან არ აკავშირებენ დემოკრიტეს სახელს, მოუხედავად იმისა, რომ დემოკრიტე ამჟარად გამოსთქვამდა და თავისებურად ასაბუთებდა კიდევაც ნიუთონ-

რების შედგენილობას „ატომებისაგან“ და ამის მიზეზი ის არის, რომ დემოკრიტეს თეორია არ ემყარებოდა და არ იმარწმუნებოდა, როგორც დემოკრიტე თავისი თეორია და ეს იმ დროს, როცა სკოლა ატომების თეორია არ იყო და, თუმცა საუკუნეთა განმავლობაში მეცნიერთა ყურადღება არ აკლდა, მან ფიზიკაზე ვერ მოახდინა გავლენა და ფიზიკამ თავისი გზით შიავლია ქვეშაობილება. საუკეთესო მაგალითად ჩათვლება ისიც, რომ კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთი შემქმნელის, ისაყ ნიუტონის, აზრით სინათლის კორპუსკულარული აგებულება ჰქონდა, ე. ი. ნაწილაკთა ნაკადს წარმოადგენდა, მაგრამ იმის გამო, რომ ნიუტონის დროს არც ცდებით შეიძლებოდა ამის შემოწმება, არც კონკრეტულ ცდისეუარ შედეგებს ემყარებოდა ნიუტონი და, საერთოდ, არ იყო ფიზიკა იმ დრომდე განვითარებული (მომწიფებული), რომ მიკროსამყარო ეკვლია, ნიუტონის ეს აზრი მის შეხედულებად დარჩა და, როდესაც მეოცე საუკუნის ფიზიკამ სინათლის კორპუსკულარული აგებულება (ტალღობით ერთად) უცილობლად აქტად ჩაათვა და ცდებითაც შეამოწმა, ნიუტონს არავითარი წვლილი არ მიაკეთენა (საესებით სამართლიანად) ამ თეორიის შექმნაში.

თუნდაც ასტრონომია გავიხსენოთ: ნიკოლოზ კოპერნიკის პელიოცენტრულ სისტემაშიც, რომლის თანახმადაც მზის გარშემო მოძრაობენ პლანეტები დედამიწის ჩათვლით, ბერესა ჰქონდა გამოთქმული ასეთი შეხედულება. თავად კოპერნიკი თავის წიგნში ხელ-უქვს კაცს ასახელებს ანტიეტრი ეპოქიდან, რომლებსაც ასეთივე აზრი აქვთ გამოთქმული. ასეთივე აზრი ჰქონია გამოთქმული მეოთხმეტე საუკუნეში ზეარაშველ ფიზიკოსს (I) ბიჩინის. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული კოპერნიკზე ადრე ფილოსოფოს ნიკოლოზ კუზანელსაც. მათგან განსხვავებით კოპერნიკმა თავის წიგნს გაზომვის შედეგები, ცხარებები და სქემები დაურთო და ამიტომ ითვლება კოპერნიკი პელიოცენტრული სისტემისა და თეორიის ავტორად, ხოლო მინამდე ვინც გამოთქვა ისეთივე აზრი, ის აზრი იმ სწავლულთა შეხედულებად ითვლება და ასე ჩაწერილი ფიზიკისა და ასტრონომიის ისტორიებში, ე. ი. ისინიც მოხსენიებულნი არიან ისტორიაში, ოღონდ შეხედულებათა და არა თეორიათა ავტორებად (სხვათა შორის, ისინი უფრო კატეგორიულად ამბობდნენ თავის აზრს, ხოლო კოპერნიკი ეკვლის რიდით უფრო მყარძლებული იყო...).

კოპერნიკამდე გაბატონებული და ქრისტიანობის მიერ აღიარებული იყო პტოლომეოსის გეოცენტრული სისტემა, რომლის თანახმადაც მზეცა და პლანეტებიც დედამიწის გარშემო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოძრაობდნენ. დღეს პელიოცენტრული სისტემა გაა-

ტონებული, მაგრამ კომპერნიკის შემდეგ ასტრონომია ტიხო დე ბრაჰემ შექმნა გეო-ჰელიოცენტრული სისტემა, რომლის თანახმადაც ზოგი პლანეტა მზის გარშემო მოძრაობს და მზე დედამიწის გარშემო მოძრაობს (ეს საკითხები უფრო სრულად გ. თევზაძის წიგნშია განხილული). ეს კომპერნიკთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯი იყო და შემდგომში მიღწევებმა მეცნიერებმა ეს ნათელი გახადა.

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული მოდელი გეო-ჰელიოცენტრულია, ე. ი. ტიხო დე ბრაჰეს სისტემის შესავალია, და ოთხი საუკუნით უწინ რებს მას, მაგრამ მხოლოდ ზემოთდასახელებულ შეხედულებათა ანალიზი შეხედულებათა გ. თევზაძემ დამაყრებლად ნათლად იყოს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტიდან გეო-ჰელიოცენტრული მოდელი იკითხება, მაგრამ გ. თევზაძის დასკვნებს აქვია იმის ხაზგასმით, რომ ეს ასტრონომიული თეორია კი არ არის, არამედ შეხედულება რუსთველისა. რა ვასაკვირია, რომ რუსთველს ასეთი შეხედულება ჰქონოდა, როცა მასზე ადრე რამდენიმე საუკუნით შეხედულება (ჰელიოცენტრული) ჰქონდა რუსთველს ეკუთვნოდა ეს აზრი, თუ მანდღა თბილისის ობსერვატორიაში მომუშავე სწავლულს, ამის ვარკვევა ჭკუარეობით არ შეიძლება, რადგან საბუთი არა გვაქვს. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტი მხოლოდ იმის საბუთად გამოადგება, რომ გეო-ჰელიოცენტრული მოდელი რუსთველის შეხედულებად ჩავთვალოთ. მართალია, ეს შეხედულება სწორი არ იყო, მაგრამ უფრო სწორი იყო ვიდრე მამონდელი, ეკლესიის შიგრი აღიარებული, გეოცენტრული თეორია პტოლომეოსისა.

გ. თევზაძის გამოკვლევას საფუძვლად ფიზიკისა და ასტრონომიის ისტორიებში უნდა ჩაიწეროს, რომ მეორეხარისხიანი საუფუნეში რუსთველი გეო-ჰელიოცენტრული შეხედულებებს გამოისტავდა. ეს საკითხი გ. თევზაძის წიგნში კარგად არის დასაბუთებული პოემის ტექსტის მართებული ანალიზის გზით და მისი არგუმენტაციის აქ გამოერება საჭირო აღარ არის.

როგორც ზეითაც ითქვა, გ. თევზაძის შიგრი ამ საკითხის განხილვის ნაწილია მხოლოდ ზუსტ მეცნიერებათა ზემოდახედილი სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა და, სანამ სხვა საკითხებზე გადავიდეთ, მოვიყვანო მის რამდენიმე გამოინათქვამს, რომლებიც საკმაოდ საბაბს აძლევს მითხველს არასწორი დასკვნებისას. მგალობდა, გ. თევზაძე წერს: „ფიქრობენ, რომ პოემში არ შეიძლება იყოს მოცემული ჩაიშე მეცნიერული თეორია, ტრაქტატი. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ ასტროლოგიურ მოვლენათა დეტალურმა გამოკვლევამ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ დისკონამდე მიგვიყვანა... ჩანს, პოეტს ჰქონია საშუაროს აგებულებამაც იმ ეპოქაში საყოველთაოდ მიღ-

ბული და გავრცელებული თეორიისაგან სრულიად განსხვავებული, ორიგინალური ან ანალოგიური მტრად პროგრესული „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 132-133). ასეთმა მსჯელობამ არ შეიძლება მითხველი არ გააღიზიანოს და სწორად ამიტომ განუწყობ ზოგი გ. თევზაძის გამოკვლევას წინააღმდეგ, ზოგმა კი მართლაც ირწმუნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „მეცნიერული ტრაქტატი“ გადმოცემულია. ამიტომ ათეოდებულ უნდა დახუტდეს, რომ მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ ასახვა რუსთველის შეხედულებები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ მას ასტრონომიულ მოვლენათა შესახებ „ორიგინალური და პროგრესული წარმოდგენები“ ჰქონდა, თანაც დეტალურმა ვაიზრებული და გამოთანებული წარმოდგენები,“ რის გამოც უნდა დავასკვნათ, რომ ისინი დაკვირვების შედეგად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს არა ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია „მეცნიერული თეორია, ტრაქტატი“. იქნებ რუსთველი იცნობდა რაიმე ამგვარ ტრაქტატს ან თვითონ იყო მისი ავტორი, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ ეს ტრაქტატი კი არ არის გადმოცემული, არამედ შეხედულება პლანეტების მოძრაობის გეო-ჰელიოცენტრულობის შესახებ.

დასაზუსტებელია გ. თევზაძის შემდეგი მსჯელობაც: „პოემში ნაჩვენებია ციური მოვლენების ისეთი სპეციფიკური დეტალები, რომელთა ცოდნაც მხოლოდ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს თუ შეიძლება ჰქონოდაც გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ ელინდება ბუნების მოვლენათა არსის ისეთი ღრმა ცოდნა, რომ მის ავტორს უთუოდ თვით უნდა ეწირო მოებინა უშუალო დაკვირვებები ამ მოვლენებზე... ამგვარად, რუსთველი გვესახება არა მარტო შეუდარებელ მხატვრად, არამედ ისეთ ბუმბერაზ მეცნიერადაც, რომლის ზადალი თომეტი საუკუნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიაში არ იცის“ (გვ. 181). ეს დასკვნა ჰემარიტებასთან ძალიან ახლოს არის, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, ჭერ ერთი, ის, რომ მამონდ თეორიული ცოდნის ყველა დარგი ისწავლებოდა და განათლებულ ადამიანს მეცნიერების ყველა დარგზე ჰქონდა წარმოდგენა მანძილში ცოდნის ღრმეზე, და მეორეც, მეცნიერში აქ მოაზროვნე, ფილოსოფოსი უნდა ვიგულისხმოთ და არა ასტრონომი. ეს ზემოთ მოყვანილი ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს და ამ აზრის სისწორეს თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ არისტოტელეს შეხედულებებში ფიზიკური მოვლენების შესახებ ფილოსოფიას მიეუფენება და არა ფიზიკას, მიუხედავად იმისა, რომ მის შრომას „ფიზიკა“ ჰქვია. ფიზიკის ისტორიაში არისტოტელეს აზრები ფიზიკური მოვლენების შესახებ შეხედულებებად ითვლება და ამის მიზეზი ის არის, რომ არისტოტელე მხოლოდ დაკვირვ-

ბებსა და განსაკის ემყარებოდა და არა ცდებოდა. ვარაუდი იმისა, რომ რუსთველი უფროდ თვითონ აწარმოებდა უშუალო (და არა ზოგად!) დაკვირვებებს, თუნდაც საფუძვლიანი იყოს, არ გვაძლევს უფლებას, იგი ასტრონომიად ჩავეთვალოთ, რადგან მას ამ დაკვირვების, ე. ი. ვაზომვის (!) შედეგები არ მოჰყავს, არ ასახელებს საბუთებს, რომლებიდანაც მისი დასკვნები გამომდინარეობს. სავარაუდოა და ცნობილიცაა, რომ ისინიც აკვირდებოდნენ პლანეტების მოძრაობას, ვინც კომერციამდე გამოთქვა პელიოცენტრული შეხედულებები, მაგრამ მათი აზრი შეხედულებად დარჩა.

გ. თევზაძე ზნორად შეხედულებებსა და წარმოდგენებს უწოდებს რუსთველის აზრებს ასტრონომიულ მოვლენათა შესახებ, მაგრამ თეორიისა და შეხედულებას შორის განსხვავებას ყურადღებას არ აქცევს. იგი რუსთველის გეოპელიოცენტრულ მოდელს სისტემად იხსენიებს 71-ე, 141-ე, 142-ე, 159-ე, 162-ე, 180-ე გვერდებზე და ასევე ძველ ბერძენ მოაზროვნეთა შეხედულებებსაც თეორიებად იხსენიებს 143-ე და 156-ე გვერდებზე. ამავე დროს იგი წერს, რომ არისტარქეს "ნამდვილად სწამდა დედამიწის მოძრაობით" (გვ. 155). სწორედ რომ სწამდა და დარწმუნებული იყო, რომანდ ასტრონომიული თეორია და სისტემა არ ჩამოეყალიბებია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება აუცილებელია მომავალ გამოცემაში და მანინ საბაბი აღარ ექნება ზოგიერთ კრიტიკოსს, ეჭვი შეიტანოს გ. თევზაძის ობიექტრობაში და მისი წიგნის მიზნად „რუსთველის განდიდება“ მიიჩნიოს, თუმცა ამის საფუძველი არც ახლა არსებობს, რამდენადაც საკვლევი მასალის ანალიზი უადრესად ობიექტურად არის ჩატარებული და სრულიად უდავოა, რომ გ. თევზაძის წიგნის მიზანია მხოლოდ და მხოლოდ გეოცენტრების დადგენა და არა „განდიდება“ რუსთველისა.

„რუსთველის განდიდებას“ დანახვა გ. თევზაძის წიგნში ნაკარნახევია თვით ამ მკითხველთა მისწრაფებით, ისეთი რამ აღმოაჩინონ „ვეფხისტყაოსანში“, რასაც აღმოჩენა არა სჭირდება...

გ. თევზაძის წიგნში მხოლოდ გეოპელიოცენტრული მოდელის შესახებ არ არის ლაპარაკი. აქ განიხილულია რუსთველის შეხედულებები სხვა მოვლენათა შესახებაც. ეს საკითხების კვლევა ალბათ გაგრძელდება და ამიტომ სავსებით მიმაჩნია, რამდენიმე კონკრეტული შენიშვნა გამოეთქვა, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება.

სიტყვები „შე მპარუნებს, არ გამოშვებს...“ უცილობლად გვიჩვენებს მზის მიზიდულობის არსებობას და ამ სტრუქტურის გ. თევზაძისეული ანალიზი საყვებში მართებულია, მაგრამ თუ პოეზიას მთლიანად გვააზარალებს, მაშინ

ეს მიზიდულობა მზის მზიური ბუნების (სითბოსა და სინათლის არსებობის) შედეგად გამოიყურება. ამიტომ რუსთველი შეიძლება წერს, რომ მზის ძალის ეს თვისებები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ იკითხება, გრავიტაციული ძალის თვისებებს წარმოადგენს (გვ. 114), საჭირო იყო იმის გათვალისწინება, რომ გრავიტაცია მასის თვისებაა და ნებისმიერ მასას ახასიათებს ეს თვისება, ხოლო რადგან რუსთველი ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველა მასისათვის მიეწერა ეს უნარი მზიურობისა და მხოლოდ ზოგიერთ ციურ სხეულს მიაკუთვნა, ამიტომ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ „შე-12 საუკუნეში გრავიტაციული ძალის არსებობაში ღრმად ყოფილან დარწმუნებულნი“ (გ. თევზაძე, გვ. 115).

მიუხედავად იმისა, რომ პოეზიადან სავარაუდოა ჩანს რუსთველის მიერ ციურ სხეულთა უშუალო დაკვირვება, და მიუხედავად იმისა, რომ რუსთველის მიერ მზის მიზიდულობის ზოგიერთი თვისების დახასიათება ემთხვევა გრავიტაციული მიზიდულობის ზოგიერთ თვისებას, მაინც არ შეგვიძლია დავასკვნათ, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ მზის მიზიდულობა გრავიტაციული ბუნებისაა, რადგანაც პოეზიადან მზის მიზიდულობა უფრო მზის მზიურობის (სითბოსა და სინათლის) შედეგი ჩანს, და ეს საკითხი დამატებით ანალიზს მოითხოვს.

საერთოდ, ეს საკითხები უფრო ვკლდე განხილვას მოითხოვს. მით უმეტეს, არასტრუქტურული მკითხველისათვის საჭიროა გრავიტაციული მიზიდულობის უფრო ფართოდ მიმოხილვაც, რათა მათ განსხვავებულ დინამიკურ რუსთველის შეხედულებასა და ნიუტონის თეორიას შორის. საჭირო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ მანძილზე დამოკიდებულება მხოლოდ გრავიტაციული მიზიდულობის თვისება არ არის. ვარაუდი ამისა, ცაზე მნათობთა „დამაგრება“ სრულიადაც არ არის გრავიტაციის თვისება. მნათობთა დამაგრებაში გ. თევზაძეს ვარსკვლავებით მოქმედი ცის (როგორც ამბობენ ხოლმე) უცვლელობა აქვს ნაგულისხმები და, მართალია, ვარსკვლავთა ამ პარამონის მათ შორის არსებულ გრავიტაციული ურთიერთობა აწესრიგებს, მაინც საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ეს მზის მოძრაობაზე და მის „მომადლებზე“ არ არის დამოკიდებული, და რაც მთავარია, რუსთველს ეს მთლად ისე არ აქვს წარმოდგენილი, როგორც დღევანდელ მკვლევრებს.

რა თქმა უნდა, პლანეტების ბრუნვის ახსნა მზის მიზიდულობით, როგორც ბუნებრივად უნდა იყოს იგი, ძალიან პროგრესული და მოულოდნელია XII საუკუნისათვის და რუსთველის ეს შეხედულება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ფიზიკისა და ასტრონომიის ისტორიებისათვის (მხოლოდ ისტორიებისათვის!). ამიტომ ვალდებული ვართ უფრო კვალიფიციუ-

რად გავითავსოთ ეს ფაქტი საქართველოს საზღვრებს გარეთ. კიდევ უთბებელ მინდა დავაზნობო, რომ კონკრეტულ საკითხებს გ. თევზაძე მაღალ მეცნიერულ დონეზე, ლოგიკისა და ობიექტურობის დურღვევად იზღავს (და თუ მიზიდულობის შესახებ რუსთველის შეხედულება არასამართლიანად არის დასაბუთებული, გეო-პელოციტრული შეხედულების განხილვა სამართლიანად, ოდონდ სწორი არ არის რუსთველის შეხედულებათა განუსხვავებლობა თეორიებისაგან და საქართა ამ განსხვავების დაფიქსირება.

„ვეფხისტყაოსანში“ ქვეყნისა და სამყაროს ცნებების გ. თევზაძისეული ახსნა იქნებ ფილოლოგებმა ჩემზე უკეთ შეაფასონ, მაგრამ მაინც მინდა შევნიშნო, რომ მავალითად, სტრიქონში „ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდახმელო“ (995-ე სტროფი), „ხმელთა მზე“ მხოლოდ პოეტური შედარება უნდა იყოს და არა მგონია, ამის მიხედვით საფუძველი გვქონდეს ერთმანეთთან დავაპირისპირით ხმელთა მზე, ე. ი. დედამიწის მზე ანუ უკუშარიტი მზე და „სამყაროს მეცხრე ცის მზე“ (გ. თევზაძე, გვ. 171), ხოლო ამის და სხვა ამგვარი სტრიქონის მიხედვით კი დავასკვნათ, რომ სამყარო რუსთველს ესმის როგორც მეცხრე ცა ანუ ქრისტიანობის მიერ შემოღებული „წმინდათა ცა“, რომელიც ვარსკვლავიერი ცის გარე სფეროდ იგულისხმება საერთოდ, წინააღმდეგობა ისეთი შეთხვეტი-

ლება იქმნება, რომ პოეტური წარმოსახვა ზოგჯერ პირდაპირ არის გაგვირეცნილი ეს ცალკე მსჯელობას იმსახურებს. იმსახურებს, სამყაროსა და ქვეყნის ცნებები უფრო დაწვრილებით განიხილოს გ. თევზაძემ.

კიდევ ერთი არაპროფესიონალური შენიშვნა, საქართო იყო რუსული ციტატების თარგმნა. ბოლო შენიშვნა: წიგნში ნათქვამია, რომ „დაკვირვების თვალსაზრისით გეო-პელოციტრული სისტემა კოპერნიკის სისტემის ანალოგიურია, რადგან დედამიწის გარშემო მზის ხილული წრიული მოძრაობის ორბიტა შეიძლება ზუსტად ისეთივე მივიღოთ, თუ დავუშვებთ, რომ მზე უძრავია, ხოლო დედამიწა კი მოძრაობს“ (გვ. 159). ამ მსჯელობაში განმითქმები: „დაკვირვების თვალსაზრისით“ და „თუ დავუშვებთ, რომ მზე უძრავია“ არაპროფესიონალური გამოთქმებია და თუ ისინი პოპულარულად გადმოცემის მიზანს ისახავს, მაშინ უმჯობესი იქნებოდა, ეს საკითხი უფრო ვრცელად ყოფილიყო გადმოცემული და ლაპარაკი ყოფილიყო ათელის სისტემაზე, დამკვირვებელზე, მოძრაობის ფარდობითობაზე, სავსებით, აქ უფრო ვრცელად სჯობდა იმის ახსნა, რომ კინემატიკური თვალსაზრისით მზის მოძრაობა დედამიწის გარშემო და დედამიწისა — მზის გარშემო ექვივალენტურია. ეს წიგნის ძირითადი თემიდან გადახვევა იქნებოდა, მაგრამ საქართო გადახვევა.

ენო მსაქმნევილი

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის ქრობექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 92-55-11, ზო. რედ. მოადგილის — 92-55-12, კ/მგ. მდივანის და განყოფილებების — 92-55-15; 92-55-17, 92-51-26.

საქ. კ. ც.ის გამომცემლობა, 1985.

გადაეცა ასაწყობად 19. 08. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 09. 85 წ. ასაწყობის ზომა 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108, ფოტოკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 14655. ტირაჟი 33.000. შუკვ. 1859. საქართველოს კ. ც.ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფანდი 80 333.

6 94/14



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ